

644/
1971/4

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

საბავშვო ლიტერატურა

6

1971



სესია

52811

169

გამოცემის მეთუთმემა წალი

6

ი ვ ნ ი ს ი

1971

თბილისი



საპ. კვ ცა-ის გამოცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ბიბლიოთეკის ხელნაწი
დარეგისტრირებულია
ფაქტობრივად

შინაქრსი

პოეზია

51. თეიმ სახვაძე. ლექსები
62. ხუბა გაგუა. ლექსები
64. ამირან ახოზაძე. ლექსები
- პროზა
55. მარლომ ახვლედიანი. ალუ.
65. მირონ ხერვიანი. სამაგიერო. მოთხრობა

ასფურცელა

3. არჩილ სულაბაძე. ჯადოსნური კაბა. ზღაპარი
- ბაკურიანი — 71
73. დალილა ზედაძე, ირა გოცაძე, ივანე მიქაბაძე, ზურ მონღაშვილი, დავით მთავარი, თამარ კალატიანი, დათო საბანელიძე, რაულ ჩილაჩავა, ვანო ჩხიკავაძე, გივი ხეთაბაძე, ნოდარ ხვედელიძე, ვახა სორნაძე. ლექსები

ახალი თარგმანები

81. დედაკ პო. ლექსი. ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა
82. ნიკოლა მარინგოვი, ნიკოლაი ზინდაროვი, ივანე დავიდოვი, ვლადიმერ ისახვი, მარკო ბანჩივი, პიროს სტეფანოვი, ხრისტო ფოტოვი, ნიკოლა ინჯოვი. ლექსები. ბულგარულიდან თარგმნა მუხრან მაქავარიანმა.
87. აქუტაბაძე. ცნობილი ილიტისა. თარგმნა თეიმურაზ მაღალაფერიძემ
96. ჰომეროსი. ოდისეა. გავრკელება. ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხენკელმა

ნარკვევი

108. გივი თევაძე. რაიკოვის გივიანი
- პოეზია უპირველეს ყოვლისა
112. გურამ გვარდნილი. „ავანთოთ უში ჩინ-ჩინი ხვედრი“
119. გიორგი ხუხუშვილი. დრო და კოტბი
124. ჯანსუღ დვინჯილია. „სამხრეთი“
128. გურამ ბათიაშვილი. „რწმინა“
132. სოსო სიგუა. „ძახილი“
- წერილები
136. რევაზ სირაძე. „რაც ერთხელ ცნობლად სულს დაჩნდებინა“...
141. აბაგი ბაქრაძე. ძეგა და დიდება...
- პოლემიკა
148. ბარიელ კახიჯიანი. კომენტარი ზემოთხსენებულ ნაშრომს

იუმორი

156. გიგა მახვილაძე. ფიზიკური.

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარკვევიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აბაგი ბაქრაძე,
გივი გვამყარი,
გურამ გვარდნილი,
მერაბ ელიოვიძე,
პარლან კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპოვიანი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ წულუისიძე,
ბარიელ ზანტურიანი,
სერგი ზვილიანი,
თამაზ ვილიანი,
ლუბა ჯანაშია.



სხვენზე

ოქროსთმიანმა გოგონამ ექვსი თუ შვიდი საფეხური ბტუნვით აიარა. მერე, თითქოს საქმეზე ავციანდებოდა, სწრაფად გაირბინა რიკულეზიანი აივანი და მარცხნივ გაუხვია. მოულოდნელად კედელზე მიდგმულ ხის დაბრეცილ კიბეს წააწყდა.

კიბე სხვენზე აღიოდა.

სხვენის კარი ღია იყო.

გოგონამ ეს კი გაიფიქრა, — კიბეს

მოვეფარებო, — მავრამ სხვენზე ახლა მაინც ამჯობინა.

ეზოში ბავშვები დამალობნას თამაშობდნენ. სადაც არ უნდა დამალულიყო ოქროსთმიანი გოგონა, მეგობრები ყოველთვის ადვილად პოულობდნენ. ამიტომაც ცდილობდა ახლა, როგორმე კარგი სამალავი მოეძებნა.

სხვათა შორის, ის ეზო უკვე აღარ არსებობს. აღარ არსებობს არც ის კრა-

შიტი დახურული, ძველისძველი, ერთ-
მანეთს მიბჯენილი პატარ-პატარა სახ-
ლები, ხის აივნებით მტკვარს რომ ნაღ-
ვლიანად გადმოსცქეროდნენ.

ძველი უბანი დაანგრეს და მის ნა-
ცვლად ახალი სანაპირო ააშენეს.

გოგონასათვის წელან გარბენილი რი-
კულებიანი აივანი უცხო არ იყო. ეზოს
ბავშვებთან ერთად აქ სხვა დროსაც
შევრჯერ უთამაშია. თუმცა კედელზე
შიღღმული დაბრეცილი კიბე აქ-
ამდე არასოდეს შეუმჩნევია. სწორედ
ამაზე ფიქრობდა. როცა სხვენისავე
ფრთხილად მიცოცავდა: ეს კიბე ნეტა-
ვი დღემდე რატომ ვერ შევნიშნე?
დამაცადონ. სხვენზე ისე დავიმალო,
მთელი კვირა რომ მეძებონ, მაინც ვერ
შომოაგნონო.

მერე სხვენზე ამოჭრილ კარში თავი
აპყრო და სხვენი მიმოათვალიერა. სიბნე-
ლში უცებ ვერაფერი გაარჩია. გული
შინც არ გაიტეხა. სწორედ ის არის,
რასაც ვეძებდიო. მართლაც, ამაზე კარგ
ადგილს დასამალად მთელ დედამიწის
შურგზე ვერ მონახავდა.

სულ ცოტა ხანში იქაურობა ისე ჩაბ-
ნელებულად აღარ მოეჩვენა. სხვენის
შიღღრმეში გარედან შემოჭრილი მკრთა-
ლი სანათლე იღვრებოდა და ამ სუსტ
შუქზე რაღაც ნივთებისა თუ საგ-
ნების კონტურებიც კი იკვეთებოდა.

რაკი სხვენი მთლად ბნელი არ აღმო-
ჩნდა, გოგონა კარის ჩარჩოს უფრო მა-
კვრად მოეკიდა. ერთხელაც დაიძაბა და
სულ რამდენიმე წამში სხვენზე აძვრა.

ჰაერის მიძიმე და დახუთული იყო.
ცხებოდა. თანაც ირგვლივ ობისა და
შიშველის მძაფრი სუნი იდგა. მაგრამ
გოგონა ჰაერის სიმძიმესა და ობის სუნს
არაფერად დაგიდევდა, რადგან ასეთი
კარგი სამალავი აღმოაჩინა.

შზოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სხვენ-
ზეც ისეთი სიჩუმე დახვდა, რომ ეჭვიც
კი შეეპარა, ხომ არ დავკრუდილი?

ამ სიყრუევეში ყოფნა მაშინვე მოსწ-
ყვინდა და სხვენის სიღრმისავე გასწია.
რქალბათ სარკმელია. — გაიფიქრა გო-
გონამ, — მოდი, ეზოს გადავხედავ. ერ-

თი ვნახო, ბავშვები როგორ მეძებნენ.
სიღრმისავე მიმავალი დარწმუნებით
რომ სხვენზე სულაც არ ბნელოდა. კო-
მიტი ალაგ-ალაგ გამომტვრეული იყო
და ირგვლივ ცისფერი შუქი ვიწრო
ზოლებად ეშვებოდა.

სულ რამდენიმე ნაბიჯზე გარკვევით
დაინახა ჩუქურთმიანი, ძველებური ხის
კარადა.

შეჩერდა.
თვალეებში ცნობისმოყვარეობის ნა-
პერწყლებმა პატარა ეშმაკუნებოვით და-
უწყეს თამაში.

კარადაზე სხვადასხვა ზომის თიხის
დოქები ეწყო. დოქებშიორის თავს იწო-
ნებდა ერთი გვერდებშეჭყლეტილი,
აქა-იქ შაბაიანისფრად ჩაქანგებული
სპილენძის თუნგი. თუნგის სახელურში
ქსელიც კი გაება ობობას. თვითონ ბა-
ბაქუა არსად ჩანდა.

გოგონამ კარადას შემოუარა და დო-
ქებისა და თუნგის გარდა უწესრიგოდ
მიყრილი თიხის ჭამები და ფილები
აღმოაჩინა. ცნობისმოყვარეობა ამით
არ დასცხრომია. კარადაშიც შეიჭყიტა,
ერთი ვნახო, შიგ რა არისო.

კარის გაღებისთანავე მწვანე გრამო-
ფონი და უამრავი თაბაშირის ყულაბა
აღმოაჩინა.

გრამოფონისთვის არც კი შეუხედავს.
იაფფასიანი საღებავებით დაღაბნილი
ყულაბები კი გულისყურით დაათვალი-
ერა. გადმოალაგა და გადმოალაგა სოვ-
დაკრები, მიკიტნები, მეთულუხჩეები,
ჯარისკაცები, ფინიები, კატები, იხვები,
კასრები...

სამწუხაროდ, ყველა ყულაბა ცარიე-
ლი და გატეხილი აღმოჩნდა.

კარადის მარცხნივ მინისკარიანი, მა-
ღალი საათი დაყუდებულიყო. მინაში
უმოდროდ დაკიდებული ქანქარა მოჩა-
ნდა. გოგონამ საათის სახესაც შეავლო
თვალი: ისრები თორმეტთან შეხვედ-
როდნენ ერთმანეთს და, როგორც ჩანს,
სამუდამოდ გაჩერებულყვენ.

გოგონამ საათის კარი ოდნავ გამოა-
ლო და ხელი შეჰყო, ქანქარას თითი გა-
მოჰკრა,

საათმა სასაცილოდ გაიქცა და მაშინვე ჩაუწყდა ხმა. ქანქარა კი ერთხანს უხმაუროდ მოძრაობდა, მერე ისიც გაჩერდა. ოქროსთმიანმა გოგონამ ერთი-ორჯერ კიდევ ააქცარუნა საათი და გაღიმებულმა ყურბი მიუგო.

საათის უკან დიდი სარკე დაინახა. ხის მუქი ჩარჩო სარკესაც ლამაზად ჰქონდა მოჩუქურთმებული.

ვიდრე სარკესთან მივიდოდა, წინ პატარა ზარდახშა დახვდა. იქვე თუთიყუშისა და იაღონების გალიები ეყარა.

ოქროსთმიანი გოგონა დაინახა და ზარდახშას დაწვდა. ზარდახშა იმდენად მიძიმე იყო, ადგილიდან ვერ დაძრა. რა პატარაა და რა მიძიმეაო, — ჩილაპაპაკა თავისთვის და სახურავი ახადა.

პატარა ყუთი მოპირული იყო შავი ხურდა ფულით. ფული მუქით ამოიღო და გატეხილი კრამიტიდან შემოსულ სინათლის სვეტზე დახედა. ხელის გული სავსე ჰქონდა ასი წლის წინათ მოჭრილი ხუთკაპიკიანებით, სამკაპიკიანებით. ორკაპიკიანებითა და კაპიკიანებით.

ზარდახშაში გაუქმებული სპილენძის ფული აღმოჩნდა.

ოქროსთმიანმა გოგონამ ხურდა ფული წკრილით ჩააბრუნა უკანვე და ხელები დაიბერტყა. თან გულდაწყვეტილმა გაიფიქრა: რა კარგი იქნებოდა. ეს ყუთი ოქროს ფულით რომ ყოფილიყო სავსეო.

მერე სარკესთან მივიდა.

სარკეს მტვერი სქლად დასდებოდა. მიუხედავად ამ სქელი მტვერისა, ბზარი მაინც ემჩნეოდა.

გოგონამ დამტვერულ სარკეზე სალოკი თითით აი ასეთი უცხო არსება დახატა:



ხოლო ქვეშ მიაწერა მაკა თითს სული შეუბერა. საკუთარი შემოქმედებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა. აბა, ისე თავის სახელს, რატომ მიაწერდა?

მე სულ დამავიწყდა, მე თქვა, რომ ოქროსთმიან გოგონას მაკა ერქვა.

მაკა დახუთულ სხვენზე, ამ ძველსძველსა და მტვრიან ნივთებს შორის მარტოდმარტო დადიოდა და დამალობნას თამაში ერთხელაც არ გახსენებია. არც ის, ეზოში ამხანაგები რომ მიატოვა ამდენი ხნით.

ყველა კუნჭული დაირბინა. მთელი სხვენი გადმოაბრუნა. რა არ ნახა: სამოვარი, ჟანგიანი შამფურები, ძირგავარდნილი ქვაბები... მაგრამ მისი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ვიწრო და გრძელმა კარადამ მიიქცია.

შეიძლება, ამ კარადისთვის სულაც არ შეეხებოდა. ზედ რომ ორი ბუ არა მჯდარიყო.

მაკა მაშინვე მიხვდა, ნამდვილი ბუები რომ არ იყვნენ. ეს კი არაა, ხამალა წამოიძახა კიდევ: ოჰ, ბუს ფიტულებიო! და უდიდესი ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა მათ გამტვერიანებულ ბუმბულს, მოკაუჭებულ ნისკარტებს და ყვითლად აბრიალებულ შუშის თვალებს.

ამ კარადაშიც დანჯღრეული გრამოფონი და ცარიელი ყულაბები იქნებოდა — გაიფიქრა. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც გამოალო კარი.

მოიტყუვდა.

კარადაში ქალის რამდენიმე ფეხი კაბა და გიტარა ეკიდა. გიტარას სიმები არ ჰქონდა, ამიტომ კაბები შეათვალიერა. გაუკვირდა. ასეთი რამ მხოლოდ კინოში ენახა: ამ კაბებს მაღალი და ლამაზი ქალები მეჯლისზე იცვამენ და შავფრავიან მამაკაცებს ეცეკვებიან ხოლმე.

როგორღაც გულიც კი დაწყდა, როცა ერთ-ერთ პაეროვან, თუმცა ალაგ-

არჩილ სულაბაური.
ჯადონაური კაბა.

ალაგ გაცრეცილსა და დაჩრჩილულ კაბას ხელი შეავლო, — სამწუხაროდ, ამთგან არც ერთი არ მომერგებოა.

გულდაწყვეტილმა კარადის უჯრაც გამოაღო. ესეც, რა თქმა უნდა, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მაკამ თვალებს არ დაუჯერა. უჯრაში თავისი სარგო სამეჯღოსო თეთრი კაბა იპოვნა. კაბა მაშინვე მიიზომა ტანზე და იქვე ერთი-ორჯერ ისევე დატრიალდა, როგორც კინოში ტრიალებდნენ ცეკვის დროს ლამაზი და მალალი ქალები.

მაკა უცებ სარკის წინ გაჩერდა. საუბედუროდ, მტვრით დაბინდულ სარკეში ვერაფერი დაინახა.

„რა მოხდება, რომ ჩავიცვა, — ფიქრობდა გაბზარული სარკის წინ მდგარი მაკა, — არაფერიც არ მოხდება! ოჰ, როგორ გაშტერდებიან გოგოებო, ამ კაბაში გამოწყობილს რომ დამინახავენ. ტასიკო შეიძლება გულზეც გასკდეს. მარტო ტასიკო? ბაოც, თაკოც, თამუნაც, ეეიც“.

ტასიკო, ბაო, თაკო, თამუნა და ეეი მისი მეგობრები იყვნენ.

მაკამ სწრაფად დაიწყო სამეჯღოსო კაბის ჩაცმა. ამ კაბით სახალწლო მასკარადზეც შემიძლია მისვლაო, — უხაროდა.

მაგრამ აქ უცნაური და გაუგებარი რამ მოხდა. კაბა თითქოს თანდათან პატარავდებოდა, მაკა კაბას ველარ იცვამდა.

წეალობდა...

იტანჯებოდა...

ოფლად იღვრებოდა...

მანც არ მოეშვა. კაბა ძლივს ჩამოიცივა თავზე. ცოტა ხნით მოითქვა სული და ისევ შეუტია. ახლა მარჯვენა მკლავის გაყრა სცადა. გაკვირვებული იყო, — წელან როცა მოვიზომე, ასე პატარა არა ჩანდაო.

კაბა თითქოს თანდათან პატარავდებოდა.

მაკამ დიდი გაჭირვებით გაუყარა მარჯვენა ხელი... მერე მარცხენა.

ისევ შეისვენა...

ისევ მოითქვა სული...

მერე კვლავ ჩააფრინდა კაბას და ქვევით დაუწყო ქაჩვა.

სული ეხუთებოდა, სუნთქვა აღარ შეეძლო.

კაბა ნამდვილად პატარავდებოდა, საოცარი ძალით უჭერდა მხრებზე, მკლავებზე, მკერდზე, ნეკნებზე, წელზე.

მაკამ ერთხელაც გაიბრძოლა და, როგორც იქნა, მიიჩრა. უფრო სწორედ, თვითონ მოერგო კაბას.

სარკეში არც კი ჩაუხედავს, ისე გაიქცა ჩასასვლელისაკენ. დარწმუნებული იყო, რომ სამეჯღოსო თეთრი კაბა ძალიან უხდებოდა.

დიღხანს ირბინა და დიდხანს ეძება რიკულებიან აივანზე ჩასასვლელი კაბი.

ამაოდ!

კარი აღარსად იყო.

ბატონი ბუ და კალბატონი კატო

როდესაც მაკამ წელანდელ ნივთებს ისევ ჩამოუარა, გაოცდა: ყველა ნივთი არაჩვეულებრივად გაზრდილიყო. თვით სახურავიც ერთი ათად მალა იყო აწეული.

მაკას თავისუფლად შეეძლო კარადის ქვეშ გავლა-გამოვლა. იმ პატარა ზარდახშაზე ასაცოცებლად ალბათ სკამის მიდგმა დასჭირდებოდა, ხოლო

სარკეში ჩახედვას თუ მოინდომებდა, უსათუოდ კიბე უნდა მიედგა.

ნეტავი ერთი სარკეში ჩამახედაო, — ინატრა მაკამ, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ ამის მოხერხება ახლა არც ისე იოლი იყო.

გაბზარულ სარკეს სინანულით შეაშტერდა. სარკიდან მის მიერვე დახატუ-

ლმა თოჯინამ, რომელსაც ქვემოთ „მაკა“ ეწერა, გაუღიმა.

რას იღიბება, ნეტავი ვიცოდეთ, — გაბრაზდა და სამეჯლისო კაბაზე დაიხედა. ხელებსაც დააკვირდა, ფეხებსაც. მაკა მტერიან სარკეზე სალოცი თითოთი დახატულ თოჯინას დამსგავსებულად.

კიდევ კარგი, ჩასასვლელ კარს ვერ მივაგენი. — ფიქრობდა მაკა, — ჩემს ამხანაგებს ასეთი რომ დავენახე, სიცილადაც არ ვეყოფოდით. მერე ყველაფერი კაბას დააბრალა, — ნამდვილად ჯადოსნური კაბააო, ასე თუ არ არის, მაშინ თოჯინად რატომ მაქციანო?

მწარედ ჩაფიქრებულს ზემოდან მამაკაცის ხრიანის ხმა შემოესმა. ამ ხმამ თავზარი დასცა, მუხლები მოეკვეთა და იქვე ჩაიკეცა.

მერე ჭერისაკენ გააპარა მზერა.

მაღალ კარდაზე ჩამოქდარმა ბუმ დაამთქანარა და ნამძინარევი თვალებით გადახედა მეზობლად ჩამოსკუპებულ ჭოტს.

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო კატო? — ჰკითხა ბუმ მეზობელს.

ჭოტმა ამრეზით მიაბრუნა თავი და ცოტათი გვერდზე ჩაიჩოჩა.

ბუმ კიდევ ერთხელ გაუმეორა შეკითხვა, — როგორ ბრძანდებითო?

ქალბატონმა კატომ ბრაზიანად გადაატრიალა მრგვალი, ყვითელი თვალები და ცოტათი კიდევ ჩაიჩოჩა.

— როგორ გეძინათ?

— კარგად. — ბოლოს და ბოლოს აღირსა პასუხი ჭოტმა, — თავად როგორ მოისვენე, ჩემო სოლომონ?

— შე ვარ სოლომონი? — უცებ აერთო ბუ. — გადამრევს ეს ქალი!

— რა დაგემართა, სოლომონ, რა მალე ბრაზდები!

ბუმ ქალბატონ კატოს ზურგი შეაქცია. ეტყობა, ძალიან გაბრაზდა.

— სოლომონ... — რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა ჭოტი, მაგრამ ბუმ შეაწყვეტინა.

— ქალბატონო კატო, ნუ სარგებლობ: ჩემი თავაზიანობითა და კეთილ-

შობილებით. თქვენ კარგად იცით, რომ მე აჯამეთის ტყეში დავიბადე. ალბათ ისიც მოგვხსენებთ, ჩემმა მშობლებმა რა წესიერ და პატიოსან ბუდ გამზარდეს...

— მე ყველაფერი ვიცი, სოლომონ. — ახლა ჭოტმა არ აცალა ლაპარაკი, — თუ გინდა იმასაც გეტყვი, როდის დაიბადე?

— არც თქვენა ხართ, ქალბატონო კატო, ნორჩი და ქორფა. იმთავითვე შეგატყვევთ, რა ჩიტიც ბრძანდებოდით, დიდი წარღვნის დროს პირველი რომ შეფტრინდით ნოეს კიდობანში.

— მე შეფტრინდი პირველი?! — გადაირია ქალბატონი კატო, — უნდა გრცხვენოდეს, სოლომონ! როდესაც ნოეს კიდობანში შემოვფტრინდი, შენ უკვე შიგ ბრძანდებოდი მოკალათებულად.

მაკა ძალიან გაართო ბუსა და ჭოტის კინკლაობამ. თოჯინაღქცეულს სულ ვადავიწყდა თავისი გაჭირვება. როდესაც გაცეცხლებული ჭოტი დაინახა, თავი ველარ შეიკავა და ხმამაღლა გაიცინა.

ბუ წინ გადმოიხარა და მანქანის ფარებივით დიდი და მრგვალი თვალები იქაურობას მოაკლო. იქვე კუნჭულში ნჯდარი მაკა რომ დაინახა, კეთილად გაიღიმა.

— ოო, ჩემო მშვენიერო მზის ასულო, — მიმართა მაკას, — კეთილი იყოს შენი მობრძანება.

მაკა წამოღდა.

— მე მზის ასული კი არა, მაკა ვარ! ყოველ შემთხვევაში, ბატონო ბუ, სულ რამდენიმე წუთის წინ მაკა ვიყავი.

— გესმით, ქალბატონო კატო, მან ბატონობით მომმართა, ასეც ვიცოდი, მზის ასული კარგად იქნებოდა აღზრდილი. — ვადაულაპარაკა კმაყოფილმა ბუმ ჭოტს და მერე მაკას მიუბრუნდა, — გეთაყვა, შენ ჰეშმარითად მზის ასული ხარ!

არჩილ სულააკაშვილი

ჯადოსნური აბაზა

— არა, მე მაკა ვარ, მაკა!

ბუმ კარადის თავზე დინჯად ვაიარ-გამოიარა, ერთი-ორჯერ ჩაახველა და დაფიქრებულმა ისევ მაკას ჩამოხედა.

— შეუძლებელია, — დაასკვნა ღრმა ფიქრის შემდეგ, — შენ ნამდვილად მზის ასული ხარ... ასე არ არის, ქალბატონო კატო?

— კი, ასეა, სოლომონ! — დაეთანხმა კოტი.

— კიდევ! ამ ბავშვთან მაინც შეიკავეთ თავი, ქალბატონო კატო, რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ მე სოლომონი არ მქვია!

მაკას სულაც არ ეპიტნავებოდა მზის ასულად ყოფნა. მას უნდოდა ისეთივე მაკა ყოფილიყო, როგორც აქამდე იყო. თავის მეგობრებთან ერთად ისევე ეთამაშა დამალობანა, როგორც წელიწადი თამაშობდა. ისევე ევლო სკოლაში, როგორც გუშინ და გუშინწინ დადიოდა.

ასეთ ყოფნას მიჩვევნია, ჩემს კლასში ვიჯდე და არითმეტიკაში საკონტროლოს ვწერდეთ, — გაიფიქრა გუნებაში.

— შენ მშვენიერი მზისფერი კულულები გაქვს, — უთხრა ბუმ, — შენი თვალები ისეთივე ლურჯია, როგორც ვახუშტის უღრუბლო ცა. და, რაც მთავარია, ეგ ოქროს ავგაროზი მზის ნიშანია. აბა დაიხედე, გეთაყვა, თუ ზედ მზე არ არის გამოხატული... შენ ციდან მოსროლილი მზის პატარა ნატეხი ხარ!

მაკამ მკერდზე დაიხედა და გაოცდა. მის მკერდს მართლაც ამშვენიებდა ოქროსქვეყნიანი ავგაროზი. ავგაროზზე მზე იყო ამოტვიფრული.

— არა, საიდან მოიტანა, მაკა მქვიაო?! — ოდნავ გაჯავრებით ჩაიბურტყუნა ბუმ და კარადის თავზე ერთხელაც ვააბოტ-გამაბოტა.

„იქნებ მართლა მზის ასული ვარ? — ფიქრობდა გაოგნებული მაკა, — იქნებ მაკა სხვა ვილაცაა? იქნებ მაკა სულაც არ ამოსულა სხვენზე, ეზოშია და დამალობანას თამაშობს?“

მიუხედავად ასეთი დაეჭვებისა, მაინც ჰკითხა:

— ბატონო ბუ, ნუთუ არ შეიძლება, ისევ მაკად ვიქვე და ჩემს სახლს, ჩემს დედიკოს, ჩემს ამხანაგებს დავუბრუნდე?

— ჩემის აზრით, შენ არა ხარ მაკა. — დაბეჯითებით წარმოთქვა ბუმ.

— მეც ეგრე ვფიქრობ, სოლომონ. — დაუდასტურა კოტმა.

— ეს დედაბერი გამაგიყებს! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა ბუმ.

— ქალბატონო კატო, იქნებ თქვენ მაინც დამეხმაროთ. — შევედრა მაკა კოტს.

— გამიგონე მზის ასულო, — ახლა კოტმა ჩამოსძახა მაკას, — შენ აქვე სამჯერ ხელწაღმა დატრიალდები. მერე პირდაპირ წახვალ. ივლი, ივლი, ივლი მანამდე, სანამ ერთმანეთის გვერდით მჯდარ სამ დედაბერს არ მოადგები. დაიმხსოვრე, დედაბრები ყრუ-მუნჯები არიან, ვერაფერს გეტყვიან და ვერც შენ გააგონებ ვერაფერს. ისინი ექვსი ერთნაირად დაქვეტილი თვალით მოგაშტერდებიან, მაგრამ იცოდე, იმ ექვსი თვალიდან ხუთს სინათლე აქვს გამოლული. სამივე დედაბერი მხოლოდ ერთი თვალთ იხედება. მზის ასულო, შენ უნდა შეძლო იმ ერთადერთი თვალის გამოცნობა. თუ გამოიცნობ, მაშინ... მაშინ... თუკი მართლა მაკა იყავი, ისევ მაკად იქცევი.

— თუ ვერ გამოვიცანი, რა მოხდება?

— მაგის თქმა წინასწარ ძნელია. საქმე ისაა, რომელ თვალს დაადებ ხელს.

— ნუთუ ის ერთადერთი თვალი არაფრით არ განსხვავდება დანარჩენისაგან?

— ექვსივე თვალი ერთნაირია.

— მაშ, როგორ გამოვიცნო?

— მაგას ვერაფერ ვერ გეტყვის, არც არსებობს ქვეყნად ასეთი ვინმე. — გადაჭრით უთხრა კოტმა, — ახლა კი სამჯერ ხელწაღმა დატრიალდი და გზას გაუღეჭი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

...რა ნაზად დამცქერის, რა სიყვარულთ
მელაპარაკება... მე კი კაპასი და
გულბოროტი შეგონა...“ — გაიფიქრა
მაკამ და ხელწალმა სამჯერ დატრიალ-
და.

— მშვენიერო მზის ნატეხო, — ისევ

ჩამოსძახა ბუმ, — კიდევ ერთხელ დაი-
ხედე მკერდზე, ეგ ავგაროზი ნიშანია,
იმისა, რომ შენ ნამდვილად მზის ასუ-
ლი ხარ. გაუფრთხილდი, არ დაკარგო.
შენს ხელში ის სიკეთეა, სხვის ხელში
კი — ბოროტება...

სამი დედაბერი

სამი დედაბრისაკენ მიმავალს გზად
ბუსა და ჭოტის საუბარი წამოეწია:

— მშვენიერი გოგონაა, — თქვა ბუმ,
— სწორედ ასეთი მყავდა წარმოდგე-
ნილი მზის ასული.

— ნამდვილად მშვენიერი გოგონაა!
— დაუდასტურა ჭოტმა.

— როგორ გგონიათ, ქალბატონო
კატო, ჩვენი მშვენიერი გოგონა გამო-
იცნობს თუ არა იმ ერთადერთ თვალს?

— როგორ გითხრა, ძნელი სათქმე-
ლია. სოლომონ.

— ღმერთმანი, გადამრევს ეს ქალი!

— განა სოლომონი ცუდი სახელია?

— ვინა თქვა, რომ ცუდი სახელია?!
მაგრამ მე რა ვქნა, როცა არა ვარ სო-
ლომონი.

— ბრძენი იყო სოლომონი... ოო!..
დიდი დრო გავიდა მას შემდეგ... გახს-
ოვს სოლომონ მეფის სასახლის ბაღი...
რა დიდებული ღამე იყო. ოო, რა ვაე-
კაცურად ყიოდი მაშინ... შუ-ბუუ!..
შუ-ბუუ!.. შუ-ბუუ!..

მაკა შორს წავიდა და ჭოტის ძახი-
ლი აღარ ესმოდა. უფრო სწორედ მისი
— ხმა დაახშო საათის ტიკტიკამა.

საათი მუშაობდა. ქანქარა ზომიერად
მომძარობდა მარჯვნივ და მარცხნივ.

საათის სახესაც ახედა.

დააკვირდა.

კარგად ახსოვდა, საათს ისრები ჰქო-
ნდა. ისიც კი გაიხსენა, რომ ორივე ისა-
რი თორმეტზე იყო გაჩერებული. ნე-
ტავი რა იქნა ისრები? ანდა რას ნიშ-
ნავს უისრო საათი?

მაკას ამაზე ბევრი არ უფიქრია, თა-
ვისი სადარდებელიც ჰყოფნიდა. თანაც

გადაწყვიტა ქვეყნად არაფერი გაჰკვი-
რებოდა.

ზარდახშას, რომელსაც წელან სულ-
ადვილად გადააბიჯებდა, ახლა გვერდ
აუარა, თიხის ღოჭებიან კარადას თვა-
ლი ვერ მიაწვდინა, ეს კი არა, კარადის
ქვეშ თავისუფლად გაეგია. არც კი
დახრილა, ისე გაიარა.

ნუთუ ნამდვილად მზის ასულია? ეს
ოქროს ავგაროზი ვიღამ დაჰკიდა მკე-
რდზე?!

ფიქრებში ვართულმა მაკამ უცებ
ერთ დედაბერს მოჰკრა თვალი. უთუოდ
ის დედაბერია, ჩვენი სკოლის წინ მზე-
სუმშირას რომ ჰყიდისო, — გაიფიქრა
და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.
— ფული არ წამომიღია, თორემ ერთ-
პიქას უსათუოდ ვიყიდდიო.

მეორე დედაბერიც რომ გამოჩნდა,
გაახსენდა სად და რისთვის მიდიოდა.
ხოლო შემდეგ, როცა სამი გადაყრუე-
ბული ერთმანეთის გვერდით მჭდარი
დაინახა, კინაღამ გული შეუღონდა. სა-
ხედანაოჰებულნი, დიდი, ჩამქრალი
თვალეებით წინ უაზროდ იყურებოდ-
ნენ. სამივეს შემოდგომის ფოთლები-
ვით დამჰქნარი ხელები მუხლებზე ეწ-
ყო.

მაკამ ძალა მოიკრიბა, გაბედულად
მიუახლოვდა.

სხვა რა გზა ჰქონდა, უსათუოდ უნ-
და გამოეცნო ექვსიდან ერთადერთი
სადი თვალი, რომლითაც ეს სამი დედა-
ბერი იხედებოდა.

დედაბერებმა არაფრით არ აგრძნო-

ბინეს, დაინახეს თუ არა მათ წინ მდგარი მაკა. საიდანღაც ლურჯი შუქი სცემდა და მათ უმოძრაო, გაყინულ სახეებსა და გამომეტყველებას შემზარავ ელფერს აძლევდა.

იქნებ ვუთხრა, რომ მოვედიო, — გაიფიქრა მაკამ, მაგრამ გაახსენდა კოტის ნათქვამი, — ყრუ-მუნჯები არიანო და ხმა აღარ ამოუღია.

მერე ხელების ქნევას მოჰყვა, ვითომ უკვე აქა ვარ და შემომხედეთო, მაგრამ დედაბრებს არც ამისათვის მიუქცევიათ ყურადღება.

მაკამ ხელების ქნევა შეწყვიტა და დედაბრებს თვალეებში მიაშტერდა. დიდხანს, დიდხანს, დიდხანს უყურა...

თვალეებში გასხვავება რომ ვერ აღმოაჩინა, ერთგვარი ეშმაკობაც კი იხმარა. დედაბრების წინ ჯერ ცეკვა, მერე კი სირბილი და ხტუნვა დაიწყო, იქნებ ის ერთადერთი საღი თვალი გამომაყოლონო.

გაგიგონია!

არც უფიქრიათ თვალის გაყოლება. ისხდნენ შუშისთვალეებიანი ფიტულებით.

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს აკვირდებოდა მაკა. ბოლოს ყოველგვარი იმედი გადაეწურა! გამოცნობა, მართლაც, შეუძლებელი იყო.

ეჰ, რაც მოსახდენია მოხდესო, — მაკამ თვალეები დახუჭა და ერთ ადგილ-

ზე აქაც სამჯერ დატრიალდა. მკვრივი ხელგაშვებითი წინ წავიდა. გაიფიქრა, — დედაბერს უკვე მიეუახლოვდიო, — თვალეები გაახილა.

მაკას სალოკი თითი შუაში მჯდარ დედაბერს მარცხენა თვალში ჰქონდა დამიზნებული.

დედაბრები უხმოდ წამოდგნენ, მერე მარცხნივ უხმოდვე გატრიალდნენ. მერე წელში მოხრილები ერთმანეთის მიყოლებით მიფაჩუნობდნენ, სანამ სხვენის სიბნელემ სამივე არ შთანთქმა.

მაკამ ტანზე დაიხედა, — ჩვეულებრივ მაკად ვიქეცი, თუ ისევ მზის ასული ვარო?

საკუთარ თავს ვერავითარი ცვლილება ვერ დაატყო, ცოტას კიდევ მოვიციდი, გაზრდას დრო ხომ უნდაო?! — გაიფიქრა, მაგრამ სწორედ ამ დროს კარის ჰრიალი გაიგონა.

იქ, სადაც წელან დედაბრები ისხდნენ, კიდევ ერთი დიდი კარადა იდგა. კარადის კარი ნელ-ნელა იღებოდა.

გადასარეგია, — გაეცინა მაკას, — ქვეყანაზე რაც ძველი კარადა იყო, სულ ამ სხვენზე ამოუტანიათო.

კარადაში მკრთალი, მოყვითალო შუქი ლიციციკებდა, გეგონებოდა შიგნითლები ერთი.

— ეს კარი ნამდვილად ჩემთვის იღება, — თქვა მაკამ და ბევრი აღარ უფიქრია, კარადაში შევიდა.

ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი

— ჩანდაბას თქვენი თავი! ასეთი არაფერი მინახავს! — კარის მიხურვისთანავე გაიგონა მაკამ ყვირილი.

მაკა შეკრთა.

სულ ათიოდე ნახიჯზე გაღავანი დაინახა. ალაყაფის წინ დიდ ქვაზე ბიჭი იჯდა, მხარზე გულა-სტვირი ჰქონდა მოგდებული.

ბიჭს ქღალი ჩოხა ეცვა და ასეთივე ფერის სევანური ქუდი ეხურა.

მაკა ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. ლამის ეტირა. ის ერთადერთი ჩანსაღ-

თვალი, რა თქმა უნდა, ვერ გამოიცილო. რა უნდა ჰქნას ახლა, რა უნდა იღონოს ამ უცხო გარემოში მოხვედრილიმა?!

ნეტავი სხვენიდან მაინც არ გამოვსულიყავი, — დარღობდა მაკა, — კეთილი ბატონი ბუ და ქალბატონი კატო შემითარებდნენო.

უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

მაგრამ მესტვირე ბიჭი წამოდგა, მოწიწებით მიესალმა და თავისი ქვა დასაჯლომად შესთავაზა:

— ჩამოჯექი, დაისვენე!.. ალბათ შენც ჩემსავით შორიდან მოდიხარ?

— არა, — მიუგო მაკამ, — ეს-ეს არის სხვენიდან შემოვედი.

— რომელი სხვენიდან? — გოცდა მესტვირე ბიჭი.

— სხვენიდან კარადამი... — დაბნეულმა მაკამ უკან მიიხედა. ბიჭისათვის რომ დაენახებინა ის კარი, რომლითაც აქ შემოვიდა. სამწუხაროდ, ზურგს უკან არავითარი კარი აღარ იყო.

ბიჭმა აღმაცერად გადახედა მაკას. რატომღაც საეჭვოდ გაიღიმა და თავისი ქვა კიდევ ერთხელ შესთავაზა:

— ნუ გერიდება, ჩამოჯექი... არაფერია. ეტყობა, შორმა გზამ ძალიან დაგღალა.

მაკა მიხვდა, ვერაფრით დააჯერებდა, რომ შორი გზა არ ჰქონდა გამოვლილი და არც დაღლილი იყო. თავის მართლებას, თუ სიმართლის დამტკიცება ამით იქნებოდა. ამიტომ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ გზამ მართლაც ძალზე დაქანცა. თანაგრძნობისათვის მადლობა ვადაუხადა და დაღლილივით ჩამოჯდა ქვაზე.

— ალბათ დიდხანს მოგვიწევს ცდა, შეიძლება, კარი არც გაგვიღონ, — თქვა ბიჭმა.

— რატომ?.. — იკითხა მაკამ.

— ჯანდაბას მაგათი თავი!.. არ შემისვენეს!.. სცადე, იქნებ შენ შეგიშვან.

— შენ თუ არ გაგიღეს კარი, მე სულ არ გამიღებენ.

— უცნაური ქალაქია. — თქვა ბიჭმა და ცოტა ხნის ღუმულის შემდეგ განაგრძო, — მე ოლილე ვარ — მოხეტიალე მუსიკოსი. ქალაქიდან ქალაქში დავეხეტები და ჩემი გუდა-სტვირით ხალხს ვართობ ხოლმე. ჩემთვის ყველა კარი ღია იყო, ყველგან სიხარულით მეგებებოდნენ. არაფრით არ მეგონა, თუ რომელიმე ქვეყანა ჩემთვის დახული იქნებოდა.

— ერთხელაც სცადე, იქნებ გააღონ. — რა თქმა უნდა, ვცდი.

ოლილემ ალაყაფის კარზე დააკაკუნა. კარში გამოჭრილი პატარა სარკმელი მაშინვე გაიღო და სარკმლიდან გამოიხედა ნახევარგროშიანმა. ეს იყო ციხის მცველი, რომელსაც რკინის ჩაფხუტი ეხურა.

— მითხარ ნიშანი შენი წარმომავლობის! — ღია სარკმლიდან მკვიანა ხმით დაიძახა ნახევარგროშიანმა.

მაკა ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, თუ ნახევარგროშიანს ასეთი ხმა ექნებოდა.

— არავითარი ნიშანი არა მაქვს, — უპასუხა ოლილემ. — მე ერთი მოხეტიალე მუსიკოსი გახლავართ...

ოლილეს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სარკმლიდან ციხის მცველი გაქრა. სარკმელი ხმაურით დაიხურა.

— ხომ ხედავ, — მიუბრუნდა ახლა ოლილე მაკას, — ვერც კი მოვასწარი მეთქვა, აქ მარტო არა ვარ მეთქი, რომ სარკმელი მომიჯახუნა.

— რა ექნათ? — იკითხა შეწუხებულმა მაკამ, თან ახლავდა შენიშნა ალაყაფის კარზე მიკრული სპილენძის ღერბი. ღერბზე გამოხატული იყო დაფნის გვირგვინში ჩასმული ძველებური ლითონის ფული.

მაკამ ფულზე ამოკვეთილი წარწერაც წაიკითხა:

დ რ ა მ მ ა პ ი რ ე ე ლ ი ს ს ა მ ე ფ ო
— არც კი ვიცი, რა გიპასუხო ქალბატონო, — ეტყობა კარგა ხანს ფიქრობდა ოლილე და პასუხი ვერ მოეფიქრებინა.

— მე ქალბატონი არა ვარ... მე ვარ...

— მითხარი, ვინ ხარ, საიდან მოხვედი, სად მიდიხარ?!

მაკამ არ იცოდა, საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა. არც ის იცოდა გარკვევით, ვინ იყო.

— მე მაკა მქვია, — ჩურჩულით თქვა მაკამ, მერე დიდხანს იყოყმანა. რა ექნა, ვუთხრა, თუ არა, მზის ასულიც რომ ვარო? მართლაც მას ხომ და-



ბეჭილებით არ შეეძლო ეთქვა, — მაინცდამაინც ესა და ეს გახლავართო.

ეტყობა, ოლილემ ვერ გაიგო მაკას ნათქვამი და შეკითხვა გაუმეორა, — მითხარი, ვინა ხარო?

— მაკა ვარ... მზის ასული... — მაკას თავისივე ნათქვამის შერცხვა და გაწითლდა.

— მშვენიერო მზის ასულო, მე ვიცი შენი სიმღერა და თუ ნებას მომცემ, ახლავე გიმღერებ.

მაკა უფრო გაწითლდა, მაგრამ გულში მაინც სიამოვნებდა, ასეთი ლამაზი სიტყვებით რომ მიმართავდნენ.

მზის ასულმა მაკამ მორცხვად დახაზა თავი.

ოლილემ — მოხეტიალე მუსიკოსმა — მხრიდან გადმოიგდო თავისი საკრავი, გულა ილიაში ამოიჩარა და ჩაჰბერა. როცა გულა გაიბერა, სტვირზე თითები აათამაშა და სიმღერა წამოიწყო:

მზე დედა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი.
შუქურვარსკვლავები
და-მშებია ჩემი.

ნეტავ საით წავალ
მოწყვეტილი ზეცას,
მრავალ, მრავალ, მრავალ
გზას სიმღერით ვეცავ.

ვარსკვლავების სევდა
ტივილივით დამაქნს.
დღისით შეძებს დედა,
ღამით შეძებს მამა.

მზე დედა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი.
შუქურვარსკვლავები
და-მშებია ჩემი.

მაკას ის იყო უნდა ეთქვა, — რა კარგად მღერო, რომელიმე სარაიონო

ოლიმპიადაში ხომ არ მიგიღიანებდნენ? — მაგრამ ამის თქმა ვერ შეძლო.

ასწრო, რადგან სარკმელი ისევ გაიღო.

— ეხლავე შეწყვიტე სიმღერა! — დაიწვილა ნახევარგროშიანმა, — თორემ ცემით გაგაძევებ.

— ერთი წუთით მომისმინეთ, ნახევარგროშიანო, — მიმართა ციხისმცველს ოლილემ, — აქ მარტო არა ვარ, მე თან მახლავს მზის ასული მაკა.

— მითხარ ნიშანი მისი წარმომავლობისა!

— ნიშანი?.. როგორ გითხრა?! — მოხეტიალე მუსიკოსმა უცებ მაკას მკერდზე ოქროს ავეგაროზს მოჰკრა თვალი და ნათელმა აზრმა გაუელვა გონებაში. — მისი წარმომავლობის ნიშანი ოქროს ავეგაროზია. ზედ მზის სახეა ამოკვეთილი!

— ოქროსია?!

— ბაჭალო ოქროსი!

— იქნებ ყალბია?!

— როგორ გეკადრებათ?! ეს უკვე მეტისმეტია! ნუთუ გგონიათ, რომ მზის ასული მაკა ყალბ ოქროს დაიკიდებს მკერდზე?!

— აბა მაჩვენეთ! — სარკმელში თავჩაჩქანინანმა ნახევარგროშიანმა გამოიხედა.

— აჰა, ინებეთ! — ოლილემ მკლავში მოჰკიდა მაკას ხელი და ნახევარგროშიანს წარუდგინა. — ნახეთ, თუ არა გჯერათ.

— ო-ო-ოჰ! — ამოიოხრა ნახევარგროშიანმა, — დაუჯერებელია! უ-უ-უჰჰჰ!!

სარკმელი ხმაურით მიიკეტა. ციხისმცველი გაუჩინარდა და დადუმდა, თითქოს მიწამ უყო ჰირი.

ალაქაზის კარი იღება

— ვერც შენმა ოქროს ავეგაროზმა გვიშველა, — ჩაიქნია ხელი მოხეტიალე მუსიკოსმა, — დღეს ცულ ფეხზე ავმდგარვართ. რას იზამ, უარესიც ხდებია! დროზე გავეცალოთ აქაურობას,

მზის ასულო, იქნებ დაღამებამდე რომელიმე ქალაქის ბუქს მივალწიოთ.

— ვაითო, სხვა ქალაქმაც არ გავვილო კარო.

— შენ მაგისი ნუ გედარდება...

საუბარი საყვირის ხმამ შეაწყვეტინა. მაკამ და ოლილემ ერთმანეთს გადახედეს. — ნეტავი ეს ხმა რას ნიშნავს, რას მოასწავებსო?

გალავანს შიგნით კიდევ ერთხელ ჩაბერეს საყვირს. აშკარად განგაშის ხმა იყო. ეს აზრი უფრო მეტად განუმტკიცდათ, როცა დაფდაფებსაც დასცხეს.

საყვირებისა და დაფდაფების ხმას თანდათან უცნაური კრიამული და ყიყინა დაერთო. ოლილემ სმენად იქცა. შეშფოთდა. მოხეტიალე მუსიკოსის ფართული შეშფოთება მაკასაც გადაედო.

— ნეტავი, რა ხდება გალავანში? — იკითხა შეშინებულმა მაკამ.

— ჩანდაბას მაგათი თავი! — უპასუხა ოლილემ, — იქნებ მართალი ვიყავი, როცა ვთქვი, აქაურობას უნდა გავეცალოთ-მეთქი, ეს აურზაური მე არ მომწონს!

— არც მე!

— მეშინია, არაფერი შეგამოხვითონ... უნდა გავიქცეთ.

— როგორც შენ იტყვი, ოლილე.

გაქცევა უკვე გვიან იყო. ალაყაფის კარი ღრჭილით გაიღო. იქაურობა დრამა პირველის სამეფოს მკვიდრთა ყიყინამ და დაფდაფების გამაყრუებელმა ცემამ შესძრა.

შემერთალი მაკა ოლილეს ზურგს ამოეფარა.

გაუგებარი რამ ხდებოდა. სპილენძის ძველი ფულები შემოილეხსა ჰვადნენ — ხტოდნენ, ბლაოდნენ, იცინოდნენ... ზოგი ტიროდა კიდეც.

მერე ყიყინა უცებ შეწყდა.

სპილენძის ფულები ორად გაიყვნენ. გამოჩნდა გორგოლაჭებიანი სავარძელი, რომელსაც ერთი წარმოსადეგი გროშიანი ვაყვაცი მოაგორებდა.

სავარძელში იჯდა მხრებში მოხრილი, მოკუნტული ბებერი მონეტა. შავი

ჯუბით რბილად შეფუთულს მკერდზე ეკიდა ძველი შაურიანი, როგორც ჩანს, ეს იყო მისი წარმომავლობის ნიშანი.

მოხუცი თვლემდა, უფრო სწორად, ეძინა.

გორგოლაჭებიანი სავარძელი, დაახლოებით ისეთი, ჩვენში ხეობებს რომ დაატარებენ, ზედ ალაყაფის კარებთან შეჩერდა. გროშიანი ვაყვაცი დაიხარა და მოხუცს ყურში რაღაც ჩასჩურჩუღა.

მოხუცმა მაშინვე გაიღვიძა. თვლები დაჭყიტა და დაბნეულმა მიმოიხედა, თითქმის გაუცვივრდა, — აქ რა მინდა, სადა ვარო? მერე, როცა მიხვდა, სადაც იყო გროშიან ვაყვაცს მიმართა:

— ჭიკე გროშიანო, აქ ვერავითარ მზის ასულს ვერ ვხედავ!

— აბა, სად არის მზის ასული? — იკითხა ჭიკე გროშიანმა.

ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი სწრაფად მოეცალა მაკას და რიხიანად მიმართა გორგოლაჭებიან სავარძელში მჯდარ მოხუცს:

— აი, ბატონო, ეს მშვენიერი, ოქროსთმიანი გროგონა გახლავთ მზის ასული.

— ჭიკე გროშიანო, უთხარი მზის მშვენიერ ასულს, მომიახლოვდეს.

— მზის მშვენიერო ასულო, მოუახლოვდი ჩვენს დიდებულ ვეზირს, შაურ-მწიგნობარს. — მიმართა მაკას ჭიკე გროშიანმა.

მაკას გაუბედაობა დაეუფლა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ვერ გადაეწყვიტა, მიახლოვებოდა, თუ არა სავარძელში მჯდარ ჯუბიან მოხუცს.

სამაგიეროდ ოლილე არ დაბნეულა. ხელი მოჰკიდა მაკას და შაურ-მწიგნობარს წარუდგინა.

— ჭიკე გროშიანო, ეს ყმაწვილი ვი-

არჩილ სულააპური

ჯ.აღონაძის რედაქცია

ლა? — გაუკვირდა დიდებულ მწიგნობარს.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა ჭიჭე გროშინამ ოლილეს.

— მე მოხეტიალე მუსიკოსი ვახლავართ! — მიუგო ოლილემ.

— ჭიჭე გროშინო, უთხარო ამ ყმაწვილს, გვერდზე გადგეს.

— თუ შეიძლება, გვერდზე გადაეჭი, ყმაწვილო.

ოლილემ — მოხეტიალე მუსიკოსი გვერდზე გადავა.

ამის შემდეგ ვეზირმა მაკას ავგაროზის ნახვა მოიწადინა. ჭიჭე გროშინამა ჩიბიდან სათვალე ამოიღო და ბებერ მონეტას კეხიან ცხვირზე დაუმაგრა. ბებერმა მონეტამ, იგივე შაურ-ვეზირმა აკანკალებული ხელი შეავლო მაკას ავგაროზს. ჯერ მარცხენა თვალთან მიიტანა, მერე — მარჯვენასთან. ბოლოს ცოტა მოშორებით დაიჭირა და ორივე თვალით დააშტერდა.

ყველა სულგანაბული შესცქეროდა შაურ-ვეზირს, რომელიც მთელ სამეფოში წარმომავლობის ნიშანთა პირველ მცოდნედ ითვლებოდა. ვერაფრით ვერ გამოაპარებდი ყალბ მონეტას.

შაურ-ვეზირმა ავგაროზის შემოწმება როცა მოათავა, ერთი ამოიგმინა და გორგოლაჭებიან სავარძელში უღონოდ მიესვენა, მაგრამ ოქროს ავგაროზისათვის ხელი მაინც არ გაუშვია.

მძიმედ სუნთქავდა.

მერე, როგორც ჩანს, ძალა მოიკრიბა, ოდნავ წამოიწია და თავისუფალი ხელი ჭიჭე გროშინისაკენ გაიშვირა.

ჭიჭე გროშინამა უბიდან ოთხად დაკეცილი ქალადლი ამოიღო და თავის პატრონს გაუწოდა.

— ძველი მონეტების... — დაიწყო კითხვა დიდებულმა ვეზირმა მიკნავებული ხმით და მაშინვე გაჩერდა. შემდეგ იკითხა, სად გავჩერდიო და ისევ ქალალდს ჩააშტერდა. — ჰოო!.. ესე

იგი დრამა პირველის სამეფო ზედწერილია, რამეთუ თავის მიწა-წყაგროშინის დაეს მშვენიერ მზის ასულ...
გროშინის

მწიგნობარს კითხვა აღარ დაუმთავრებია, რადგან ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა. მის გარშემო მდგარ სპილენძის ფულებს ალბათ ეგონათ, აქ ტაშის დაკვრა არისო საჭირო და დასცხეს კიდევ ტაში.

ტაშის გრიალმა შაურ-ვეზირი გამოაღვიძა.

— სად გავჩერდი, ჭიჭე გროშინო?.. ჰოო... შეფე დრამა პირველი და დედოფალი ზუზა დიდად მოხარულნი არიან მზის მშვენიერი ასულის სტუმრობისა. კეთილი იყოს შენი მობრძანება!

მოხუც ვეზირს ისევ მოსწყდა კინწო და ჩათვლიდა.

— ვაშა! — იგრიალა ძველი მონეტების ბრბომ.

ამ ღრიანცელმა კვლავ დაუფრთხო ძილი დადლილ-დაქანცულ ბებერ მონეტას.

— ჭიჭე გროშინო, ამ სავარძელში ჩაეტევა მზის ასულიც?

— თუ ცოტას ჩაიწვეთ, ჩაეტევა.

— ჩაიწვევ, აბა, რას ვინამ?

შაურ-ვეზირმა სცადა ჩაწუთელიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ ჭიჭე გროშინი დაიხარა და ერთი ხელის მოსმით სავარძლის კუთხეში მიკუტა დიდებული ვეზირი. მერე უღიდესი თავაზიანობით მოჰკიდა ხელი მაკას და ბებერი მონეტის გვერდით დააბრძანა. გორგოლაჭებიანი სავარძელი მოაბრუნეს.

ჭიჭე გროშინი საზურგეს უკნიდახ მიაწვა და სავარძელი ხრიგინით დაიძარა.

— ოლილე! — შესძახა მაკამ. — ნახვამდის ოლილე! არ დამივიწყო.

ოლილემ გაიციხა და ხელი დაუქნია. — ნუ გეშინია, არ დავგივიწყებ!



რას წარმოიდგენდა მაკა, თუ ასეთი დიდი პატივითა და ზარზემით მიიღებდნენ ამ უცხო ქვეყანაში. ქუჩა, აივნები, ფანჯრები, სახურავები სულ ხურდა ფულით იყო გაჭედილი. იები, ენძელეები, კორჩოტები, ბაიები ყოველი მხრიდან თოვლივით ცვიოდა და ალტაცების შეძახილები გაისმოდა.

— გაუმარჯოს მზის ასულს!

— ერთილი იყოს თქვენი მობრძანება!

— ვაშა მზის ასულს!

— ვაშაა!

მაკა ხელის ქნევით ესალმებოდა აღფრთოვანებულ სპილენძის ფულებს. თან გუნებაში ელიძებოდა. — თაკო და ეკი მაინც მიყურებდნენ, რომ მთელ ეზოს მოსდონ, ამ უცხო ქვეყანაში რა ყოფილია და სიხარულით შესალმებიანო.

გორგოლაჭებიანი სავარძელი რყევარყვევითა და ხრიგინ-ხრიგინით წინ მიიწვედა. მაკას უყვირდა, — ნეტავი სავარძელი ასე რატომ ყანყალებს და გაყვავებსო. მართლაც, ასეთი საზეიმო შეხვედრისათვის ნუთუ არ შეეძლოთ უკეთესი ტრანსპორტი გამოეყუთ? საბოლოო მაკას გულშეუცელი სულმთლად აემღვრა.

ძველი მონეტების ქვეყანაში გადაადგილების სხვა საშუალება არ არსებობდა. ან ფეხით უნდა გველო, ანდა ამგვარი გორგოლაჭებიანი სავარძლით. ხოლო მაკას რომ სცოდნოდა, მთელ სამეფოში მხოლოდ ოთხი პიროვნება დასაყრდენობდა ასეთი სავარძლით, რა თქმა უნდა, ამ გასაყრდენებს უფრო დიდი პატივად ჩათვლიდა და უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებდა.

მაკამ არც ის იცოდა, საით მისერიდებდნენ. იგი ცნობისმოყვარეობით ათვალერიებდა სახლებს, რომელიც ძველ სკივრებს, ზანდუკებს, კიდობნებს და ზარდახშებს აგონებდა, თან თავაზიანად უღიმოდა სპილენძის მონეტებს და მისალმების ნიშნად ხელს უქნევდა.

ისე კი, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა თავს კისერზე თოკამობმულ ხბოსავით. ამის მიზეზი ის იყო, რომ შაურ-ვეზირს თითქმის მთელი გზის მანძილზე მაკას ავგაროზისთვის ხელი არ გაუშვია. ეთამაშებოდა, ეფერებოდა, თან თავის წარმომავლობის ნიშანს — ძველ შაურიანს აზომებდა.

მაკამ ოდნავ დამცივებულად იგრძნო თავი და შაურ-ვეზირს გამომწვევად ჰკითხა:

— ჩემი ავგაროზი ბევრად პატარა ხომ არ არის თქვენი წარმომავლობის ნიშანზე?

— რასაკვირველია, არა! — უპასუხა დრაჰმა პირველის ვეზირმა, — ჩემი წარმომავლობის ნიშანი, მზის ასულო, უბრალო შაურიანი არ გეგონოს. იგი ძველია. მისი ნამდვილი სახელი არის შაპური, ესე იგი — შაჰისა. ოდესღაც შაჰების კარზე მას უდიდესი პატივი ჰქონდა მიგებული.

— ოღი წარსული ჰქონია თქვენს წარმომავლობის ნიშანს.

— რასაკვირველია, მზის ასულო! ნაგრამ თუ შენ ინებებ, ახლავე გაგიცვალი.

ჩემი ავგაროზი ამ შაურიანში როგორ გაუშვავალო? — გაიფიქრა მაკამ და ზრდილობიანად მოახსენა უარი:

— სამწუხაროდ, ბატონო, არაფრით არ შემიძლია გაგიცვალოთ.

ბებერმა მონეტამ საბოლოოდ მოიწყინა. ისე მოიწყინა, რომ ჩაეძინა კიდეც და გვარიანი ხვრინეც ამოუშვა.

მალე ყვავილებითა და სამეფო აღმებით მორთულ სასახლეში მოახრიგინეს გორგოლაჭებიანი სავარძელი.

მაკა მაშინვე წარუდგინეს მეფე დრაჰმა პირველსა და დედოფალ ზუზას, მეფეცა და დედოფალიც თავიანთ ტახტებზე ისხდნენ გრძელი დარბაზის

არჩილ სულაიაური
ჯადოსნური კაბა

ბოლოს. ორივენი ისე იყვნენ მიხრწნა-
ლები, შაურ-მწიგნობარი მათთან შედარ-
ებით მზგებატუკად მოგეჩვენებოდათ.

მეფესაც და დედოფალსაც მკერდს
უმშვენებდათ ვერცხლის წარმომავლო-
ბის ნიშნები.

განა მარტო მათ, ძველი მონეტების
სამეფოში ყველას ეკიდა მკერდზე სხვა-
დასხვა გამოსახულებიანი ნიშანი და,
როგორც ჩანდა, ყველა მათგანი დიდად
ამაყობდა თავისი წარმომავლობით.

მაკამ დარბაზი მიმოთავალიერა.

დრამა პირველისა და დედოფალ ზუ-
ზას მარჯვენე და მარცხნივ სასახლის
დიდებულები იდგნენ და უხმოდ მის-
ჩერებოდნენ მაკას.

— აბაზ-ვეზირო! — დიძახა მეფე.

სადა ხარ, აბაზ-ვეზირო?

— აქა ვარ, უკვდავო მეფე! — გაის-
მა უცებ მარჯვენა მხრიდან ხმა და წინ
წამოდგა კიდევ ერთი ბებერი მონეტა.

ეს თუ თვითონ შაურ-ვეზირი არ არ-
ის, მაშინ უსათუოდ მისი ძმა იქნებაო.
— დაასვენა მაკამ.

— აბაზ-ვეზირო, — წამოიწია ტახ-
ტიდან მეფემ. — ერთი შეამოწმე ეგ
ნიშანი, ნამდვილად ოქროსია თუ ყალ-
ბია!

— უკვდავო მეფე, — უპასუხა აბაზ-
ვეზირმა, — მაგის ოსტატი შაურ-ვე-
ზირია.

— მაშ, შეამოწმოს, აქვე, ჩემს წინა-
შე!

მაკას, ცოტა არ იყოს ეწყინა, — აბ-
უჩაღ ხომ არ მიგდებენ, ყოველ წუთში
ჩემს ავგაროხს რომ ამოწმებენო. მაგ-
რამ ამჯერად თავი შეიკავა, უფროსებს
პატივი სცა.

ეტყობა, შაურ-ვეზირმა გამოიძინა.
თვითონ მოჩაჩუნდა მაკასთან და აკან-
კალებული ხელი წაავლო ოქროს ავგა-
როხს, მაკამ ერთი კი გაიფიქრა — არ
დავანებებო, მაგრამ მოხუცმა ავგარო-
ხი მოულოდნელი სისწრაფით გააქანა
პირისკენ. და თუ მაკა რაიმემ დააკავა,
მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარე-
ობამ: ბნელ ხახაში ორად ორ კბილს
შოკრა თვალთ.

შესაძლოა, შაურ-ვეზირი ამიტომაც
ითვლებოდა შეუცვლელ ნუმისმცოდნეად
სად, რომ ერთმანეთს დამიზნებული
ორი კბილი ჰქონდა შერჩენილი, ხოლო
სასახლის დიდებულთაგან ყველა უკ-
ბილო იყო.

როგორც ჩანს, შაურ-ვეზირმა კარ-
გად ვერ მოხომა, ანდა იფიქრა, — მე-
ფეს ეჭვი არ შეეპაროსო და კბილებით
ისე მაგრად ჩააფრინდა ავგაროხს, რომ
კინალამ ორივე კბილი ზედ დატოვა. სა-
ბრალოდ ყბაზე წაივლო დამკვანარი ხელი
და თავის ადგილს დაუბრუნდა ბურ-
ტყუნ-ბურტყუნით.

— მოგახსენეთ, ნამდვილი ოქროს-
სია-მეთქი და მეტი რა ვქნა, უკვდავო
მეფე.

მაკას უსათუოდ სიცილი წასკდებოდა,
მეფეს შემზარავად რომ არ ამოეგმიხა:
— ოოო!

დედოფალმა ზუზამ უფრო თავშეკა-
ვებულად ამოიყენესა, მერე ერთი-ორ-
ჯერ ნაზად დაახველა და მაკას მიმართა:

— მართლაც, მშვენიერი ავგაროხია!
ხომ ვერ მეტყვიით სად შეიძინეთ?

— ეს ავგაროხი თან მოჰყვა ამ კა-
ბას. — უპასუხა მაკამ.

— კაბაც მშვენიერია... სად შეიკე-
რინეთ?

— ჩვენს ქუჩაზე ერთი მოდების ატ-
ელიეა... თუ არა ვცდები, იქ უნდა იყ-
ოს შეკერილი.

— მო-დე-ბის ა-ტე-ლი-ე... — ძლივს
დამარცვლა დედოფალმა ზუზამ. თან
განციფრება ვერ დამალა, — ა-ტ-ე-
ლი-ე?..

— დიახ, ქალბატონო... ჩუღურეთ-
შია... რიყის ქუჩაზე.

— მე არც ეგ ქალაქი გამიგია და არც
ეგ ქუჩა.

— ჩუღურეთი ქალაქი არ არის, უბა-
ნია, ქალბატონო.

— მართლა?! — უიმედოდ გაუკვირ-
და დედოფალ ზუზას.

მეფე დრამა პირველი ისევე გამო-
ცოცხლდა:

— აბაზ-ვეზირო, იცის თუ არა მშვე-

ნიერმა მზის ასულმა თასი ჩემი წარ-
მომავლობის ნიშნისა?!

— იცი, თუ არა, მზის ასული? —
დაიწყო აბაზ-ვეზირმა.

მაკას მოსწყინდა ამდენი შეკითხვე-
ბი და სიტყვა შეაწყვეტინა:

— არ ვიცი, ბატონო... — კიდევ ეს
უნდოდა ეთქვა. — „არ ვიცი და არც
მიინტერესებსო“, მაგრამ ზრდილობიანად
შეიკავა თავი.

— მაშინ უთხარი, რაღას აყოვნებ!
— შეუტია მეფემ თავის ხელქვეითს.

— ჩვენი დიდებული ქვეყნის პირ-
ველი და უცვლელი მეფე დრაჰმა პირ-
ველი...

— როგორ? — გაოცდა მაკა, — გა-
ნა თქვენი მეფე არასოდეს არ შეცვლი-
ლა?

— რა თქმა უნდა, არ შეცვლილა! —
უპასუხა ამაყად აბაზ-ვეზირმა.

მაკას უფრო მეტი გაოცება გამოეხა-
ტა სახეზე.

— რა ვიცი, ისტორიის სახელმძღვა-
ნელოში ეგ არ წერია. მეფე იმისია,
რომ უნდა შეიცვალოს... მას ყოველ-
თვისა ჰყავს მემკვიდრე ან მოწინააღმ-

დგვე, რომელიც ცხარე ბრძოლებში ამ-
არცხებს ხოლმე. უცვლელი მეფე ჯერ
არ გამიგონია!

— ღმერთო! — ერთხმად შესძახეს
სასახლის დიდებულებმა, — ეს ხომ
მკრეხელობაა!

— ჩვენი მეფე უკვდავია!

— ჩვენი მეფე ერთადერთი და უცვ-
ლელია!

არავინ იცის, როგორ დასრულდებო-
და ეს პაექრობა, საყვირის ხმას რომ
არ შეეწყვიტა.

კარისკაცმა დარბაზს ამცნო:

— ყულაბეთის მეფე თაბაშირ ოცდა-
მეშვიდე!

— აი, ეს მესმის! — წამოიძახა მა-
კამ, — ეტყობა, ყულაბეთს უკვე ოც-
დაექვსი მეფე გამოუცვლია. — მერე
უხებურად მიიხედა იმ კარისკენ, საი-
დანაც თვითონ შემოვიდა.

ღია კარში გამოჩნდა თვითონ მეფე
თაბაშირ XXVII თავის ამალიანად, ის-
ინი მძიმედ, აუჩქარებლად მოდიოდნენ
მეფე დრაჰმა პირველის ტახტისაკენ.

— ეს ხომ ნამდვილი ყულაბებიაო
— შემოპკრა ტაში გახარებულმა მაკამ.

თაბაშირის მეფე მოგზაუნდა

მაკა უეცრად აღმოჩნდა მეფე დრაჰ-
მა პირველისა და დედოფალი ზუზას
ტახტს უკან. ამ უეცარი ადგილგადანა-
ცვლებისას არავითარ ჯადოსნურ ძა-
ლას არ უმოქმედია. აბაზ-ვეზირმა
მკლავში წაავლო თავისი რკინის ხელი
და მაკა იქაურობას მოარიდა. თვითონ
აბაზ-ვეზირმა კი მეფე თაბაშირ XXVII
შესახვედრად გაემართა.

მაკა ორ საკმაოდ ხანდაზმულ ბანო-
ვანთშორის აღმოჩნდა. ბანოვანებს წა-
მიტაც კი არ დაუყოვნებიათ, მაშინვე გა-
უბეს საუბარი.

— ხომ ვერ გვეტყვი, სად შეიძლება
ასეთი ავგაროზის შოვნა? — ჰკითხა
ერთ-ერთმა ბანოვანმა.

— როგორ გითხრათ? — ჩაფიქრდა
მაკა. — როცა დედაჩემს გოგირდის


აბანოში მივყავდი, ყოველთვის ვერცხ-
ლის ქუჩას გავივლიდით ხოლმე, ვერ-
ცხლის ქუჩის ბოლოში კი ოქრომკე-
დელთა სახელოსნოებია. მე დარწმუნე-
ბული არა ვარ, მაგრამ... ალბათ იქ შეი-
ძლება ასეთი ავგაროზის შეკვება.

— იქნებ უფრო მარტივად გადაგვე-
წყვიტა საკითხი, — თქვა მეორე ბანო-
ვანმა, — ხომ არ გავვიცვლიდით...

— არა, არა!.. ეგ მეფემაც მოხოვა და
უარი ვუთხარი.

დიდებულ დარბაზს მძიმე ნაბიჯების
ხმა არღვევდა. მეფე თაბაშირ XXVII
თავის ამალიანად ნელ-ნელა უხლოვ-
დებოდა მეფე დრაჰმა I ტახტს.

არჩილ სულაჰაშარი
ჯაღონსურის ძაბა



— როგორ მოგწონთ ჩვენი მხედრო-
თმთავარი? — მოულოდნელად ჰკითხა
მაკას პირველმა ბანოვანმა.

— მე არ ვიცნობ თქვენს მხედართ-
მთავარს, არც კი მინახავს.

— ნუთუ? — გაიკვირვა მეორე ბა-
ნოვანმა, — შეუძლებელია, არ იცნობ-
დეთ უზალთუნ-ამირსპასალარს.

— არ ვიცნობ და რა ექნა?! — მაკას
მობეზრდა მათთან საუბარი და, ცოტა
არ იყო, უხეშად უპასუხა.

— იცით რა? ერთ საიდუმლოს გა-
გომხელთ, — ჩასჩურჩულა ორივე ბა-
ნოვანმა ერთად. ერთმა მარცხენა, მე-
ორემ მარჯვენა ყურში, — ოღონდ პი-
რობა მოგვეცით, რომ არავის არ ეტყ-
ვიო.

მაკას არაერთგვაროვანი პირობა არ მიუტია,
რადგან სულ არაფრად ეპიტნავენბოდა
საიდუმლო, რომელიც უზალთუნ-ამირ-
სპასალარს შეეხებოდა.

— გაიხედეთ მარჯვენა.

მაკამ მარჯვნივ სხვათა შორის გაიხე-
და.

— ხედავთ ჯაჭვმუზარადიან ვაჟაკს?

— ვხედავ. — მაკამ მართლაც დაინა-
ხა აბჯარასხმული მონეტა.

— ყალბია! — აცნობა ორივე ბანო-
ვანმა ერთად.

— როგორ თუ ყალბია?

— ჩვენ ყველანი ნამდვილი მონეტე-
ბი ვართ, ეგ ყალბია. ჩვენს ქვეყანაში
კი ყალბი მონეტები სასტიკად ისჯები-
ან.

— მერე? უზალთუნ-ამირსპასალარი
რატომ არ არის დასჯილი?

— მხოლოდ მაშინ შევიტყვეთ მისი
სიყალბე, როცა ამირსპასალარი გახ-
და. ახლა ყველამ ვიცით, მაგრამ უკვე
გვიანაა, ვერაფერს ვეუბნებით — ამ-
ირსპასალარი!

მაკა ვერ მიხვდა, რატომ არ სჯიდნენ
ამირსპასალარს, თუკი ყველამ იცოდა,
რომ იგი ყალბი იყო.

ამის გასარკვევად დროც აღარ იყო.
მძიმე ნაბიჯების ხმა სულ ახლოს ისმო-
და. ბოლოს მიწყდა კიდევ. მაკა ფეხის
წვერებზე აიწია და მეფე დრაჰმა პირ-

ველსა და დედოფალ ზუზას შორის თა-
ვი გაჰყო.

მეფე თაბაშირ XXVII მეტად მსუქა-
ნი, ბურთივით მრგვალი იყო. როდე-
საც ღიდი, მელოტი თავი მისასაღმებ-
ლად დახარა, მაკამ თაბაშირის მეფის
კეფაზე შენიშნა ნაჭდევი, სწორედ ისე-
თი, როგორიც ყულაბებსა აქვთ ფულის
ჩასაყრელად.

— გამარჯობა, მეზობელო! — დაი-
ქუხა თაბაშირის მეფემ.

— გაგიმარჯოს, ჩემო კეთილო! —
დრაჰმა პირველის ხმა თაბაშირ XXVII
ხმასთან შედარებით კატის კნავილსა
ჰგავდა.

მაკამ უფრო ღრმად გაჰყო თავი და
ორი ჯიშინი მწვევარი დაინახა. მწვერე-
ბი თავის პატრონს გარშემო უვლიდნენ
და იქაურობას უდიდესი ცნობისმოყუ-
რობით ყნოსავდნენ. მათ ზურგზეც შე-
ნიშნა ნაჭდევები და გაიფიქრა, ძალე-
ბიც თაბაშირის ყულაბები ყოფილანო.

— მეზობელო! — დაიგრაგინა ისევ
თაბაშირ ოცდამეშვიდედმ, — სანადი-
როდ ვიყავი წასული და შემთხვევით
გავიგე, დიდებული სტუმარი გწვევია
თურმე!

— დიახ, მზის ასული გვესტუმრა.
— უპასუხა დრაჰმა პირველმა.

— ნამდვილი მზის ასულია, თუ თვი-
თმარქვია?

— ნამდვილია!

— წარმომავლობის ნიშანი როგორი-
ლა აქვს?

მაკამ დაინახა იბაზ-ვეზირმა ჩუმად
როგორ გაჰქარა მუჭლუგუნი მეფე დრაჰ-
მა პირველს.

ვერც მეფემ და ვერც მაკამ ვერ მოი-
საზრეს, რას ნიშნავდა ეს ფარული მუ-
ჭლუგუნი, დრაჰმა პირველმა დაბნეუ-
ლად მიმოიხედა და თაბაშირის მეფეს
უპასუხა:

— ავგაროზის ამბავს ნუ იკითხავ,
ნამდვილი ბაჯალლო ოქროა! ჩვენს სა-
ხელოვან შაურ-ვეზირს კინალამ კბილი
მოსტეხა.

— დიდებული სტუმარი გწვევია, მე-
ზობელო, დიდებული! — მეფე თაბა-

შირ ოცდამეშვიდედმ ისე ხმაძალდა, ისე
ლონივრად გადაიხარხარა, რომ შანდ-
ლებში რამდენიმე სანთელი ჩაქრა.

თაბაშირის მწვერები სანთლების ჩაქ-
რობას ყვეფით გამოეხმაურნენ.

— ხომ არ გამაცნობდი, მეზობელო,
შენს სტუმარს? — ჰკითხა თაბაშირ მე-
ფემ დრაჰმა პირველს.

დრაჰმა პირველმა ზურგში ისევე მი-
იღო თავისი ვეზირის მუჭულუგუნი, მაკ-
რამ, ეტყობა, ვერც ამან მიახვედრა თუ
რას ანიშნებდა აბაზ-ვეზირი.

— რატომაც არა, რატომაც არა, ახ-
ლავე გაგაცნობ! — მეფე დრაჰმა პირ-
ველმა მიიხედ-მოიხედა და მაკა იქვე
მდგარი რომ ვერ დაინახა, ფრიად გაო-
ცებულმა დაიძახა: — რა იქნა მზის ას-
ული?

მაკა ტახტს მოეფარა.
დაიმალა.

— ბრწყინვალე მეფევე! — აბაზ-ვე-
ზირმა შეჰბედა თაბაშირის მეფეს —

მზის ასული დაღლილი იყო და მოსას-
ვენებლად წედანვე წავიყვანეთ.

მეფე თაბაშირ XXVII ერთხელაც
ჩააქრო რამდენიმე სანთელი, მერე სი-
ცილი შეწყვიტა და აბაზ-ვეზირის და-
ცინვით უთხრა:

— ტყუილში დაგიჭირე, ვეზირო!
თქვენი სტუმარი უკვდავი მეფის დრაჰ-
მა პირველის ტახტსუკან იმალება! ახ-
ლახანს მოკვარი თვალი!

— მართლა?! — გაუკვირდათ მეფე
დრაჰმა პირველს და დედოფალ ზუნას.
ორივენი მოტრიალდნენ და მაკას დაუ-
წყყეს ძებნა.

— თქვენი სტუმარი ყოველთვის
ჩვენი სტუმარიც ყოფილა! — გრგვინავ-
და თაბაშირ XXVII, — ამიტომ დარწ-
მუნებულნი ვარ მზის ასული ჩვენს სა-
მეფოსაც ეწვევა. ეჭვი ნუ შეგებარე-
ბათ, ისეთ მასპინძლობას გავუწევთ,
როგორიც მზეს და მის მშვენიერ ას-
ულს ეკადრებათ!

ოლილეს მეორე შემხვედრა მაკასთან

დარბაზი დაცარიელდა.

აბაზ-ვეზირის ჩაგონებით ასე ისურვა
მეფე დრაჰმა პირველმა, შაურ-ვეზირი
მგონი გაბრაზდა კიდევ, დარბაზი რომ
დაატოვებინეს, მაგრამ რა უნდა ექნა,
ასეთი იყო უკვდავი მეფის ნება.

დარბაზში დარჩნენ მხოლოდ მეფე
და აბაზ-ვეზირი.

მაკა რატომღაც არავის გახსენებია.
ტახტის უკან თავისთვის იჯდა იატაკზე
და ყულაბების სამეფოში გამგზავრება-
ზე ფიქრობდა. თუ გუნებაზე არ ვიქნე-
ბი, არც წავალო. მაგრამ რა იცოდა,
რომ ყულაბეთში გამგზავრება მის ნე-
ბა-სურვილზე სრულებითაც არ იყო
დამოკიდებული.

— გუებნებოდი, უკვდავო მეფევე, —
გაიგონა მაკამ აბაზ-ვეზირის ხმა, — და
არ მიჩვერბდით. თაბაშირ XXVII ვე-
რავი და დაუნდობელია.

— საიდან დასკვენი, რომ ვერავი და
დაუნდობელია? — ჰკითხა მეფემ.

აბაზ-ვეზირი ცოტა ხნით შეყოვნდა.
შესაძლებელია, მართლაც არ ჰქონდა
ხელთ საბუთი, რომლითაც თავის პატ-
რონს მეფე თაბაშირის სივრავესა და
დაუნდობლობას დაუმტკიცებდა.

— ყოველ შემთხვევაში, საიდან გაი-
გო, რომ ჩვენ, სტუმრად მზის ასული
გვეწვია.

— აკი თქვა, ვეზირო, სანადიროდ
ვიყავი და გზად მიმავალმა გავიგეო.

— კეთილი და პატიოსანი! როდის
ყოფილა, უკვდავო მეფევე, ჩვენი სტუ-
მარი ყულაბეთში გადაეპატიეებინოთ?

— ეგ რაღაც არ მაგონდება, — ჩა-
ფიქრდა დრაჰმა პირველი, — თუმცა რა
მოხდა, ძვირფასი სტუმარი ყველას სი-
ამოვნებს.

„ძვირფასი სტუმარი“ რომ გაიგონა
მაკამ, იატაკიდან აღგა, კაბა დაიფერ-

არჩილ სულაბაური
ჯადონუსური კაბა

თხა და გასწორდა. მართლაც, რას იტყოდნენ, სასურველი სტუმარი იატაკზე მკდარი რომ დაენახათ.

— ყულაბებს მე არ ვენდობი, — არ იმშობდა თავისას აბაზ-ვეზირი. — ყულაბა იმის ყულაბაა, რომ ფული გადაყლაპოს!

— თაბაშირის მეფეს არავითარი ფული გადაყლაპვა არ სჭირდება! ასე რომ იყოს, აქამდე გადაგვყლაპავდა. ვერა ნახე, რა მძიმედ დააბიჯებდა? სულ ოქროთია გაძქვილი.

— გადაგვყლაპავდა, — თქვა სევდიანად აბაზ-ვეზირმა, — რა თქმა უნდა, გადაგვყლაპავდა ჩვენ რომ რაიმე ღირებულუბა ვაგვაჩნდეს. სამწუხაროდ, მეფეო, ჩვენ ძველი მონეტები ვართ.

— სწორედ ეგ არის ჩვენი ღირსება, ვეზირო! ვისა აქვს ჩვენდენი სიბრძნე და გამოცდილება?! ვის შეუძლია ჩვენსავით შართოს სამეფო?!

— ჩვენი ყავლი დიდი ხანია გასულია, მეფეო! ჩვენ სხვებს ვატყუებთ, თითქოს ყველაზე უკეთ შეგვიძლია სამეფოს შართვა-გამგებლობა, სხვებო, ჯანდაბას, მოვატყუოთ! ოღონდ საკუთარ თავს ნუ მოვიტყუებთ; მეფეო!

დრაჰმა პირველს ამჯერად ხმა არ ამოუყოლია.

— თუ გვინდა, რომ ჩვენს არსებობას აზრი მიეცეს, — განავრძო ვეზირმა, — ის ოქროს ავგაროზი როგორმე ჩხელში უნდა ჩავიდლოთ.

— მერე ჩავიდლოთ, ვინ გვიშლის?!

— თაბაშირის მეფე! თუ მზის ასული ყულაბეთში გავგზავნეთ, თაბაშირ ოცდამეშვიდე ოქროს ავგაროზს არ დაგვიბრუნებს!

— მაგას კი ვერ დაგიჯერებ, ვეზირო!... თაბაშირ ოცდამეშვიდე სიკეთით აღსავსე მეფეა!

მეფისა და ვეზირის საუბრის დროს დარბაზში ღია ფანჯრიდან სიმღერა შესიჰრა.

ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი მღეროდა:

დღეს თუ არა, ხვალ,
ხვალ თუ არა, ზეგ

მომანათე სხვა,
უფრო დიდი მზე. —

ოღონდ უფრო სხვა,
უფრო დიდი მზე, —
დღეს თუ არა, ხვალ,
ხვალ თუ არა, ზეგ!

— ოლილე! — წარმოთქვა ჩურჩულით მაკამ, — ოლილე მოვიდა!

მეფე დრაჰმა პირველი და აბაზ-ვეზირი საუბარს განავრძობდნენ.

— ის მუჭლუგუნები რაღა იყო, ვეზირო?

— არ მინდოდა, თაბაშირის მეფისათვის გაგვემღავენებინა მზის ასულის სტუმრობა.

— ტყუილი რა საკადრისია, ვეზირო?!

მაკამ ფეხაკრეფით გასწვია კარისაკენ, — ეს ორი მოხუცი ისე არიან კამათით ვართულნი, ჭერიც რომ ჩამოინგრეს. მაინც ვერ გაიგებენო.

არც შემცლარა.

მეფემ და მისმა ვეზირმა, ჯერ ერთი, არ იცოდნენ, თუ მაკა ამავე დარბაზში იყო, მეორეც, მართლაც ისე გამწარებულინი კამათობდნენ, რომ მაკას გაპარვა არ შეუძინებიათ.

მაკამ სწრაფად ჩაირბინა კიბეები და ეზოში გაჩნდა.

ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი თავის გულა-სტივრზე უკრავდა, თან სასახლის ფანჯრებს შესცქეროდა. ალბათ ეგონა, რომელიმე ფანჯრიდან მაკა გადმოიხედავსო.

— ოლილე, — დაუძახა მაკამ.

მოხეტიალე მუსიკოსმა გულა-სტივრზე დაკვრა შეწყვიტა და მაკასკენ გამოქანდა გახარებული.

დიდი ხნის უნახავებივით შეხვდნენ ერთმანეთს მაკა და ოლილე.

— მაკა, მზის ასულო!

— ოლილე!

— გაიგონე ჩემი სიმღერა?

— გავიგონე, ოლილე!

— ძალიან დამწყდა გული, ისე უცებ რომ წაგიყვანეს. მაინც რა ზემოთ შეგხვდნენ... შენ ნამდვილად იცოდი, რომ ამ სამეფოში მოუთმენლად გელოდე-

ბოდნენ და დამიმაღლე... რატომ დამიმაღლე, მზის ასულო?!

— მე არაფერი არ ვიცოდი, ოლილე! ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ასეთი შეხვედრა...

— არა მჯერა, მზის ასულო!

— ახლა მაგის გარკვევის დრო არ არის, ოლილე! — მაკას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სულ ახლოს დაინახა ვერცხლის მონეტა. მათხოვარივით ჩამოძევილი, ჩამოფლეთილი, ორივე მუხლზე დაჩოქილი, სასოწარკვეთილი სახით მოიწევედა მისკენ. აკანკალებული მარჯვენა ხელი წინ ჰქონდა გაშვერილი.

— მზის ასულო, შემობრალე, გვედრები, შემობრალე, — მათხოვარი მთრთოლვარე ხმით მიმართავდა მაკას, — თითქმის ორი ათასი წელია, რაც ვიტანჯები, მზის ასულო... ყველასაგან შეგინებულნი, უარყოფილი, დათრგუნული და განკიცხული... შემობრალე მზის ასულო!..

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა შემფოთებულმა მაკამ და ოდნავ უკან დაიხია.

— მე ვარ ერთ-ერთი იმ ოცდაათ ვერცხლთაგანი, იუდას რომ მისცეს ქრისტეს გაყიდვისათვის.

— მერე რა გინდა ჩემგან?!

— გამიცვალე შენი ავგაროზი...

— როგორ უბედავ, შე გარეწარო!

— არ დააცალა სიტყვის დამთავრება ოლილემ.

— ოლილე, გავიქცეთ აქედან! ოღონდ ახლავე გავიქცეთ. გული მიგრძნობს, რაღაც უბედურება დატრიალდება!

— გავიქცეთ! — დაეთანხმა ოლილე, მათხოვარი პირქვე დაემხო და აქვითინდა.

ოლილე და მაკა გასაქცევად მოემზადნენ, მაგრამ გაქცევა არ დასცალდათ, წინ თავით ფეხამდე შეიარაღებულნი მემომარი გადაედლობათ.

— ტყუილად ირჯები, მზის ასულო. ყველა კარი საიმედოდ არის ჩარაზუ-

ლი, ამ გალავნიდან ახლა ბუზიც კი ვერ გაფრინდება.

— ეს ვილაა?! — წამოიძახა ვაკვირვებულმა ოლილემ.

— მოგესხენებათ, მოწყალო ხელმწიფე, ვინცა ვარ, — ერთგვარი ღირსებისა და სიამაყის გრძნობით წარმოთქვა მემომარმა. — მე ვარ გახვრეტილი კაპიცი!

— დიდი ვინმეც ყოფილხარ! — უთხრა ოლილემ — მოხეტიალე მუსიკოსმა.

გახვრეტილმა კაპიციმა მუზარადი მოიხადა და ამაყად გაიღიმა.

კაპიციანს შუბლი მართლაც გახვრეტილი ჰქონდა.

— ეს ჭრილობა ვატერლოს ბრძოლაში მივიღე, როცა დიდ ნაპოლეონს ვებრძოდი... — თქვა და ისევ დაიხურა მუზარადი.

— ოლილე, გავეცალოთ აქაურობას!

— აბა, გახვრეტილი კაპიციანო, — მიმართა ოლილემ, — ჩამოგვეცალო გზიდან, ჩვენ შენთვის არა გვცალოა!

კაპიციანმა მაშინვე ხმალი იშოშვლა. ოლილემ ამოსუნთქვაც კი არ აცალა, თვალის დახამხამებაში მიეჭრა კაპიციანს და ხმალი ხელიდან გამოსტაცა.

— ფეხი არ მოიცვალო, თორემ აქვე გაათავებ! — დაემუქრა მოხეტიალე მუსიკოსი.

კაპიკს, მართლაც, ადვილიდან ფეხი არ მოუცვლია. სამაგიეროდ, ისეთი ღრიალი მორთო, რომ იქაურობა გააყრუა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ გახვრეტილ კაპიკს ასეთი ბლავილი შეეძლო, — გაიფიქრა მაკამ.

ამ ბლავილზე, სად იყო და სად არა, რამდენიმე ნახევარგროშიანი მემომარი მოვარდა. მემომრებს ოლილე ხმალშემართული დახვდა. ხმლების საშინელი ჩახაჩუხი ატყდა.

ნახევარგროშიანი მემომრები ყოველმხრიდან თავს ესხმოდნენ მოხეტიალე მუსიკოსს. ოლილე მარჯვედ იცავდა.

არჩილ სულაბაური:
ჯადოსნური კაბა.



თავს. როცა დროს იხელთებდა, თვითონვე უტევდა.

ხმლების ჩახაჩუნება და ყიყინამ მთელი ქალაქი დააყენა ფეხზე. მეფის სასახლეშიც ატყდა განგაში.

— ოლილე, გაიქეცი, თავს უშველე — დაუძახა მაკამ.

ოლილე ჭარასავით ტრიალებდა.

ხმლის ერთი მოქნევით რამდენიმე გროშიანი მეომარი დააწვინა. მერე ღობეზე შეხტა. ღობიდან კი სახურავზე აძვრა.

— დაიპირეთ, არ გაუშვათ! — გასცა ბრძანება მეფე დრაჰმა პირველმა, რომელიც სასახლის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს ბრძოლას.

გროშიანი მეომრებიც ეცნენ ღობეს. ღობიდან სახლის სახურავზე დააპირეს აცოცება, მაგრამ ოლილემ ყველა პანტა-პუნტით ჩამოჰყარა ძირს.

ბრძოლის ადგილზე უზალთუნ-ამირსპასალარი გამოჩნდა. ქარქაშიდან დაძრო ხმალი და სახურავზე მდგარ ოლილესკენ გაიშვირა.

— წინ, მეომრებო! ჩვენი უკვდავი მეფისათვის სიცოცხლეს ნუ დავიშურებთ! სიკვდილი ან გამარჯვება!

უზალთუნ-ამირსპასალარის სკანდალი მოწოდებამ დიდად გაამხნევა ნახევარგროშიანი მეომრები. ისინი ოთხივე მხრიდან ეკვეთნენ სახლს, ერთმანეთს მხრები შეუღვეს და ისე აცოცდნენ სახურავზე.

ოლილემ რამდენიმე მეომარი მოიცილა გზიდან. მერე გაიქცა და მეორე სახლის სახურავზე ისკუპა.

ნახევარგროშიანი მეომრები ბლავილით დაედევნენ მოხეტიალე მუსიკოსს.

— მშვენიერო მზის ასულო, წამობრძანდით სასახლეში. ჩვენი უკვდავი მეფე დრაჰმა პირველი გელოდებათ.

მაკამ გვერდზე მოიხედა და გახვრეტული კაპიკიანი დაინახა. კაპიკიანი დამცინავად იღიმებოდა.

მაკას არც უფიქრია სასახლეში დაბრუნება. გულისფანცქალით ადევნებდა თვალს ოლილეს ყოველ მოძრაობას. ალტაცებულ იყო მისი სიმაძევეთ, მოქნილობითა და მოსაზრებულობით.

მაგრამ კაპიკიანმა ხელი წაავლო და ძალათ წაათრია მაკა სასახლეში.

— ოლილე! გაიქეცი, თავს უშველე! — კიდევ ერთხელ დაუძახა მაკამ.

„ურჩხულთან“ ბრძოლა

გორგოლაჰებიანმა სავარძელმა, რომელშიც უზალთუნ-ამირსპასალარი და მაკა ისხდნენ, ძველი მონეტების საშეფო დატოვა.

ალაყაფის კართან ჩამოქნეული მაიხოვარი დახვდათ. იგი კვლავ მუხლებზე დაჩოქილი იდგა და მთრთოლვარე ხმით ევედრებოდა მაკას, — შენი ავგაროზი ჩემს წარმომავლობის ნიშანში გამიცვალეო.

გორგოლაჰებიანი სავარძელი არ შეყოვნებულა. ალაყაფის კარი ჭრიალჭრიალით გაიღო და მიიხურა. სავარძელს უკანიდან ორი ნახევარგროშიანი მეომარი აწვებოდა.

უზალთუნ-ამირსპასალარი და მაკა ყულაბეთისკენ ამ ორი წირპლიანი მე-

ომრის ამარა არ მიემგზავრებოდნენ. მათ უკან მოჰყვებოდა შუბოსანთა ოცეული.

მაკა კარგ გუნებაზე იყო. სასახლის ფანჯრიდან დაინახა, როგორ დაუსხლტა ოლილე მეომრებს და როგორ გაიქცა. რა თქმა უნდა, ეწყინა, მოხეტიალე მუსიკოსი სამუდამოდ რომ დაკარგა, მაგრამ ამ წყენას სიხარული ერთგვარად მაინც ამეტებდა: მთავარი ის არის, რომ ოლილე ძველ მონეტებს ტყვედ არ ჩაუვარდა.

მაკას ეგონა, ოლილეს გამო ყულაბეთში აღარ გამგზავნიანო, მაგრამ მოტყუვდა. მეფე დრაჰმა პირველმა, მიუხედავად იმისა, რომ დედოფალი ზუზა წინააღმდეგი გახლდათ, დაიქინა: მზის

ასული უსათუოდ უნდა გავგზავნო ყუ-
ლაბეთში, რადგან ჩვენდამი კეთილად
განწყობილ მეზობელ მეფეს ვერ გავა-
წბილებო.

გორგოლაჭებიანი სავარძელი ნელ-
ნელა მიჯაყყაყებდა ოღროჩოღრო გზა-
ზე.

უხალთუნ-ამირსპასალარი გაჯგიმუ-
ლი იჯდა და პირდაპირ იყურებოდა.
იმის დასამტკიცებლად, რომ საბრძო-
ლველად ყოველთვის მზად იყო, მარჯ-
ვენა ხელით ხმლის ვადა ჰქონდა ჩაბ-
ღუჭული.

მაკას სულ მალე მოსწყინდა გორგო-
ლაჭებიან სავარძელში უხმოდ ჯაყყაყი.
სალაპარაკოდ ენა ექავებოდა, მაგრამ
სარგადაყლაპული ამირსპასალარი ხმას
არ იღებდა. ის კი არადა მაკასკენ
ერთხელაც არ გამოუხედავს.

მაკას ექვიც კი შეეპარა ხომ არ და-
მუნჯდაო და მაშინვე გადაწყვიტა შე-
ემოწმებინა სახელგანთქმული მხედართ-
მთავრის ლაპარაკისუნარიანობა.

— პატივცემულო ამირსპასალარო,
კიდევ დიდხანს მოგვიწევს ამ გორგო-
ლაჭებზე ჯაყყაყი?

— დიას! — დაამშვიდა უხალთუნ-
ამირსპასალარმა.

— გმადლობთ! — მოწიწებით გადა-
უხნადა მადლობა მაკას, თან გაუხარდა,
არ დამუნჯებულაო და იმწამსვე მია-
ყოლა მეორე შეკითხვა, — ალბათ ძა-
ლიან ძნელია დღეღაღამ ჯაჭვმუზარად-
ში ჯდომა?

— მე ჯაჭვმუზარადში კი არა ვზივარ,
შეჭურვილი ვარ ჯაჭვმუზარადით! —
გაბრაზდა მხედართმთავარი და რატომ-
ღაც მუზარადი მოიხნა.

მაკამ წარბს ზემოთ ღრმა ნაიარევი
შენიშნა და გაიფიქრა, — რა აზრი აქვს,
შეკითხვა რომ დავუგვიანოო. არც და-
უგვიანებია, იქვე ჰკითხა:

— პატივცემულო ამირსპასალარო,
შუბლზე რა ჭრილობა გაქვთ?

— ეს ჭრილობა ონლიყ აჰმედ მესა-
მესთან ბრძოლის დროს მივიღე. იცო-
ცხლე, იმას დღე ვაყარ... ჩემთან შერ-
კინება მოინდომა. მეც გულით მწყყუ-

როდა მასთან შებმა, ბრძოლის ველზე
გამწარებული დავეძებდი...

ეს თუ არ გავაჩერე, ხმას აღარ ამო-
მალებინებხო, — გაიფიქრა მაკამ და
სწორედ იმ დროს, როცა ონლიყ აჰმედ
III უხალთუნ-ამირსპასალარს მახვი-
ლით შუბლი გაუქენწლა, გულუბრყვი-
ლოდ წამოიძახა, — მე კი ეგ ჭრილო-
ბა შაურ-ვეზირის ნაკბილარი მეგონაო.

— შენ რა, გინახავს იმ ბებრუტუნას
კბილები? — შეშფოთდა სახელგანთქ-
მული მხედართმთავარი.

— როგორ არა, მან ხომ ჩემი ავგა-
როზი შეამოწმა. კბილები ისე მაგრად
მოუჭირა, ზედა კბილი კინაღამ ამ ავგა-
როზზე დატოვა.

უხალთუნ-ამირსპასალარმა მაკას ავ-
გაროზს დახედა და ღრმად ამოიოხრა,
ოხერას კინაღამ გულიც ამოაყოლა. ოხ-
ვრა იქით იყოს, თვალებზე ცრემლიც
კი მოადგა.

მოულოდნელად გორგოლაჭებიანი
სავარძელი შუა გზაზე გაჩერდა. გზად
მიმავალთ წინ ეკლიანი გორაკი გადაე-
ღობა.

— ეს რაღა უბედურებაა! — წამოიძა-
ხა უხალთუნ-ამირსპასალარმა. და ნა-
ხევეარგროშიან მეომრებს უბრძანა. —
ერთი მიდით და ნახეთ, რა გვჭირსო.

ნახევეარგროშიანმა მეომრებმა ნახეს
და მოახსენეს.

— ეკლიანი მთაა, დიდო სარდალო!

— ვერ გადავალთ?

— ვერა.

— რაღაც არ მაგონდება, რომ აქ
ოდესღაც ეკლიანი მთა იყო. როდის
ამოიხარდა ნეტავი.

მაკა კარგად დააკვირდა ეკლიან მთას
და გახარებულმა სიცილით წამოიძახა.

— რისი მთა. ეს ხომ ზღარბია!

— ზღარბია?! — იკითხა რატომღაც
ბრაზიანად უხალთუნ-ამირსპასალარმა
და გორგოლაჭებიანი სავარძლიდან გად-
მოვიდა. თან გადმოსვლისთანავე ხმა-
ლი იძრო. — ზღარბია... აბა... ზღარ-

არჩილ სულაბაური
ჯაფოსნური კაბა

ბია... — იმეორებდა თავისთვის და ხმალშემართული ზღარბისკენ მიემართებოდა.

უზალთუნ-ამირსპასალარმა რამდენჯერმე შემოუარა ზღარბს. ახელ-დახელა, კარგად შეამოწმა. მერე, მაკასთვის მოულოდნელად, ზეადმართული ხმალი მოიქნია და ზღარბს გამეტებით დაჰკრა ზურგზე.

შეშინებული ზღარბი შეხტა და წინ გაეარდა. უზალთუნ-ამირსპასალარის ფეხებში მოინდომა გაძვრომა, მაგრამ ვერ გაეცია. დიდმა მხედართმთავარმა თავი ველარ შეიკავა და ზღარბს პირქვე დაემხო.

შეშინებულმა ზღარბმა ზურგით კარგა ხანს ათრია უზალთუნ-ამირსპასალარი. მერე ზურგი შეიბერტყა, გზიდან გადაუხვია და სადღაც ბუჩქებში გაქრა.

პირქვედამხოზილი უზალთუნ-ამირსპასალარი გზაზე დატოვა.

შუბმომარჯვებული მეომრები თავიანთ სარდალთან მიიჭრნენ. გორგოლაჭებიან სავარძლიდან მაკაც გადმოვიდა და მოფუსფუსე შუბოსნებს მიაშურა.

უზალთუნ-ამირსპასალარი მეომრებს უკვე გადმოებრუნებინათ და ახლა გულაღმა გამოტილიყო მტერიან გზაზე. საწყალს თავ-პირი დაღლეთილი და დასახიჩრებული ჰქონდა.

— წყალი. ჩქარა წყალი მოიტანეთ! — ბრძანება გასცა მაკამ.

— ჭურჭელი რომ არა გვაქვს? — იკითხა ერთ-ერთმა ნახევარგროშიანმა მეომარმა.

— აგერ ჭურჭელი! — მაკამ დაინახა ამირსპასალარის მუზარადი, რომელიც იქვე გზისპირას ეგდო.

ნახევარგროშიანმა შუბოსანმა სწრაფად დაავლო მუზარადს ხელი და წყლის მოსატანად გაიქცა. საბედნიეროდ, წყარო ახლოს აღმოჩნდა და სველი მუზარადი მაშინვე მოარბენინა.

მაკამ მუზარადში ხელი ჩაჰყო. მაგრამ შიგ წყალი არ აღმოჩნდა. — რა ჩემი ბრალია, — მოუბოდიშა ნახევარგროშიანმა შუბოსანმა, — ისეთი ძვე-

ლია, წყალი სულ წურწურით გასდისო.

სველი მუზარადი მაკამ უზალთუნ-ამირსპასალარის სახესთან დაიქნია და რამდენიმე წვეთი შუბლზე მიაშხეფა. გულწასულმა თვალი გაახილა და მიღებული ხმით იკითხა: — ცოცხალი ვარ, თუ არაო?

— ცოცხალი ხარ, ცოცხალი! — დაამზვიდეს თავიანთი სარდალი მეომრებმა და თვითონაც დაამზვიდნენ.

უზალთუნ-ამირსპასალარი გროშიანმა მეომრებმა გაჭირვებით წამოაყენეს. აქეთ-იქიდან შუბებიც კი შეუყენეს ბერკეტებივით. ფეხზე წამომდგარმა შუბლზე გადისვა ხელი და თავისთვის ჩაილაპარაკა, — არც იმ ურჩხულს დაადგებოდა კარგი დღეო.

— შუაზე გამოზილი გარბოდა, დიდო სარდალო! — უბასუხეს ერთხმად გახარებულმა ნახევარგროშიანმა მეომრებმა.

— მართლა? — კმაყოფილებით გაიღიმა სახელგანთქმულმა მხედართმთავარმა, — მაშ აქვე სადმე ეგდება მკვდარი. წადით, მოძებნეთ!

ნახევარგროშიანი მეომრები დაქირმაჩნდნენ, საშინელ ურჩხულს დაუწყეს ძებნა.

ამაოდ!

ხელცარიელნი დაბრუნდნენ და უზალთუნ-ამირსპასალარს მოახსენეს:

— ვერ მივაგენით, დიდო სარდალო!

— სად მიაგნებდით?! — თქვა ამაყად სარდალმა, — მიწაში იქნება ჩამძვრალი!

— ალბათ ქვესკნელში დაფაცს სულს! — ბლაღდნენ გახარებულნი ნახევარგროშიანი მეომრები.

— გეყოფათ ბლავილი! — შეუტია მათ დაზარალებულმა სარდალმა, — დროა, გზას გავუდგეთ! — მაგრამ, როგორც კი ფეხის გადადგმა დააპირა, საშინლად დაიმანჯა და ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

ნახევარგროშიანმა მეომრებმა სწრაფად მოაგორეს გორგოლაჭებიანი სავარძელი. მერე აიყვანეს თავიანთი სა-

ყვარელი, ომგადახდილი სარდალი და
სავარძელში ფრთხილად დააბრძანეს.

გორგოლაჭებიანი სავარძელი ჯაყ-
ჯაყით დაიძრა. მაკას დასახიჩრებულ
უზალთუნ-ამირსპასალარის კენესამ გუ-
ლი გაუწვრილა და ნახევარგროშინ
ნემორებს მიუბრუნდა. ერთ-ერთ მა-
თგანში ჭიჭე გროშინი იცნო და ისე
გაუხარდა, თითქოს დიდი ხნის დაკარ-
გულ მეგობარს შეხვდა.

— ოჰ, გამარჯობა, ჭიჭე გროშინო!
— გაგიმარჯოს, მზის ასულო!
— მართლა გაუპო ზურგი პატივ-
ცემულმა უზალთუნ-ამირსპასალარმა
ზღარბს?

— დიახ, მზის ასულო, ურჩხული
ორად გაპობილი ვარბოდა.

— მაშ მე რატომ ვერ დავინახე?
— ზუსტად შუაზე გაპობილი ვარბო-
და, მზის ასულო!

— რა თქმა უნდა — დაეთანხმა ჭი-
ჭე გროშინს თვითონ უზალთუნ-ამირ-
სპასალარი, — ერთი ნახევარი აქეთ
გაიქცა, მეორე ნახევარი — იქით!..
ამიტომაც ვერ მონახეს ჩვენმა მეგობ-
რებმა ის ურჩხული...

მშვენიერი ზღარბი იყო, — ფიქრობ-
და გზადაგზა მაკა, — ერთი ასეთი ზღა-
რბი ნამდვილად დაამშვენებდა ჩვენი
სკოლის ცოცხალ კუთხესო.

ზეიმი ყულაბების კვეყანაში

ვინ იცის, შესაძლებელია, თავისი არ-
სებობის მანძილზე ყულაბეთს არც კი
განუცდია ასეთი სიხარული.

არც განუცდია და არც გამოუხატავს.
მაკა განცვიფრებული იყო. ნეტავი
გამაგებინა, ასე რამ დააგვიყა ეს თაბა-
შირის ყულაბებიო.

მართლაც, აღტაცებასა და სიხარულს
ველარ იოკებდნენ.

ისეთი ყიყინითა და შეძახილებით
ხვდებოდნენ, რომ მაკამ ერთი-ორჯერ
ყურებში თითებიც კი დაიცო.

ის დღე საზეიმო დღედ გამოაცხადეს.
ყველა ღუქანი, ყველა მალაზია, ყვე-
ლა ფარდული დაიკეტა. მაკას სტუმ-
რობას მთელი ყულაბეთი ზეიმობდა.

გედების მოედანზე სახელდახელო
ტრიბუნა გაემართათ. ტრიბუნა, მართა-
ლია, გაქედლი იყო ყულაბებით, მაგ-
რამ მაკასთვის მაინც მოინახა წინა რი-
გში ადგილი.

როგორც კი ტრიბუნის მოაჯირს გა-
დაეყუდა, მოედნის ბოლოდან მისკენ
გამოემართა თეთრ ცხენზე ამხედრებუ-
ლი თაბაშირის მეფე. თეთრი ცხენიც,
რასაკვირველია, თაბაშირისა იყო.

თაბაშირ ოცდამეშვიდეს უკან ამა-
ლასავით დაედევნა ყულაბელთა აღტა-
ცებული ყიყინა.

მაკას ყურადღება ტრიბუნის მარჯვ-
ნივ გაშლილმა ხელოვნურმა ტბორმა
მიიპყრო. ტბორში მშვიდად დაცურაგ-
დნენ თეთრი გედები და სხვადასხვა
ზომისა და შეფერილობის იხვები.

ტბორის შუაგულში პატარა კუნძულ-
ი იყო ამოზრდილი. პატარა კუნძულ-
ზე ფლამინგო იდგა, რაღა თქმა უნდა,
ცალ ფეხზე.

თეთრი ცხენი თამაშ-თამაშით უახ-
ლოვდებოდა ტრიბუნას. ხელაწეული
მეფე ზვიადი ღიმილით ესალმებოდა
ქვეშევრდომებს. მერე ცხენზე ამხედ-
რებულმა ხელი დაუქნია მაკასაც და
ერთი-ორი ქათინაურიც უთხრა.

— უმშვენიერესო მზის ასულო, მე
ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ასე
საღად და ჯანმრთელად გხვდავთ ჩემს
სამეფოში.

ორმა კარისკაცმა მეფეს ცხენი დაუ-
ჭირა. თაბაშირ ოცდამეშვიდე ცხენი-
დან ჩამოცოცდა გაჭირვებით და საკუ-
თარი ღირსების გრძნობით აღჭურვი-
ლი ტრიბუნისაკენ გაემართა.

ტრიბუნა, როგორც ვიცით, წარჩი-
ნებული გვარის ყულაბებით იყო გაქე-

არჩილ სულაბაური
ჯადონაშვილი აბაზა

დილი და თაბაშირის მეფისათვის აღ-
გილი აღარ რჩებოდა.

მეფე წინა რიგისაკენ მუკლუგუნე-
ბით მიიწევდა. ტრიბუნის მოაჯირს მი-
აღწია თუ არა, მარცხნიდან და მარჯვ-
ნიდან ლაწალუწისა და მსხვრევის ხმა
გაისმა. როგორც ჩანს, რამდენიმე ყუ-
ლმა გადავარდა ტრიბუნიდან და დაი-
შხვრა. ამისათვის ყურადღება არავის
მიუქცევია. პირიქით, ყულაბები სუ-
ლმთლად გადაირიგნენ, როცა თავისი
თაბაშირის მეფე მაკას გვერდით მდგა-
რი დაინახეს. მაგრამ მათი ყიჟინა მე-
ფემ დაახშო.

— ჩემო შვილებო! — მიმართა მან
ქუხილიანი ხმით თავის ქვეშევრდო-
მებს, — დღეს ჩვენს ქვეყანას ესტუმრა
უმშვენეირესი და უსაყვარლესი მზის
ასული.

თაბაშირის მეფემ ძალიან გრძელი
სიტყვა წარმოთქვა. სიტყვის წარმოთ-
ქმის დროს იმდენი ოფლი დაღვარა,
რომ რამდენიმე ცხვირისახოცი გასაწუ-
რი შეიქნა.

მაკა მეფის სიტყვას ხან უსმენდა,
ხან არა. როცა მოსწყინდებოდა, მზერას
ტბორზე გადაიტანდა. ძალიან ართობ-
და, თანაც სიამოვნებას ჰგვირდა გედე-
ბის ნარნარი სრიალი. ფლამინგოზე კი
ბოლოს და ბოლოს გაბრაზდა, — ნე-
ტა ვიცოდე ცალი თვალით სულ მე რას
მომჩერებია, სხვა საქმე არა აქვსო?

გაბრაზებამ მაშინვე გაუარა, რო-
გორც კი ჰრელი ლეკვი დაინახა. თა-
ბაშირის ლეკვმა ცუნცულით გადმოსჭ-
რა მოედანი და მქუხარე მეფის წინ ჩა-
ცუტქდა. გაკვირვებულმა ცალი ყური
ირიბად აზიდა. მერე ჩაცუტქდა და
ერთხანს იყო ასე ჩაცუტქული.

მეფე გრგვინავდა, სიტყვებს, როგ-
ორც ქვემეხი ჭურვებს, ისე ისროდა.

საბრალო ლეკვს ალბათ შეეშინდა.
კუდამოქუთებულმა მოჰკურცხლა და იმ
ადგილას, სადაც ახლახანს ჩაცუტქული
იყო, პატარა ტბორი დატოვა. მაკას გა-
ეცინა, ეს რა სულელი გოშია ყოფი-
ლაო. თან ინატრა: ნეტავი სახლში ასე-

თი ლეკვი მყავდეს, რა კარგად მი-
ვლიდით!

თაბაშირის იმპერატორი კი ხმას თა-
ნდათან უწევდა და რაც უფრო უწევდა
ხმას, მით უფრო ძლიერად ურტყამდა
მუშტს ტრიბუნის მოაჯირს.

თავის სიტყვაში ძველი მონეტების
სამეფოსაც შეეხო. კარგი მეზობლობა
გვაქვს და ეს კეთილი დამოკიდებულე-
ბა სამარადისო ვახლავთ. მაგრამ ბო-
ლოს მეფე დრაჰმასა და მის ამალას რა-
ტომლაც წუწურაქები უწოდა, რითაც
ფრიალ გაახარა და გულიანად აცინა
ყულაბები.

სიტყვის დასასრულს თაბაშირის მე-
ფემ საპატიო სტუმარი, მზის მშვენიე-
რი ასული სასახლეში მიიწვია.

მაკას ერთი სული ჰქონდა ტბორთან
მისულიყო და ფლამინგო ენახა. მაგრამ
რა ექნა, თვით თაბაშირ ოცდამეშვიდე
არ იცილებდა გვერდიდან.

საკვირველი ის იყო, რომ უზალთუნ-
ამირსპასალარს, არც მის გადაღლეტილ
სახეს ყურადღება არავინ მიაქცია. სა-
დაც უკან მოჩანჩალებდა თავისი შე-
ჭურვილი ნახევარგროშიანი მემორებო-
ნანდ. მიუხედავად ამისა, სარდალი იხ-
ტიბარს მაინც არ იტყხდა. გაგვიმული
მოდრიდა და, როგორც ყოველთვის,
მარჯვენა ხელი ხმლის ვადაზე ელო.

მაკას, რა თქმა უნდა, დიდხანს მდუ-
მარედ ყოფნა არ შეეძლო და არც უც-
დია, აბა, ვნახო ხმისამოუღებლად რამ-
დენხანს გავძლებო. თაბაშირის მეფეს
სასახლეში მოსვლამდე წვრილად უამ-
ბო, ხმლის ერთი მოქნევით უზალთუნ-
ამირსპასალარმა როგორ გაჰკვეთა სა-
შინელი ურჩხული და მერე ორადგაკ-
ვეთილი როგორ გაიქცა სხვა და სხვა
მხარეს.

თაბაშირის იმპერატორმა ხმამალა
გაიცინა. ამ სიცილეზე მაკას ყურები ისე
ასტიკვდა, რომ საკუთარ თავს გუნება-
ში უსაყვედურა კიდევ: ნეტა ვიცოდე.
რატომ არ გაჩუმდები, ენა როდემდე
უნდა აჭარტალოო?!

მეფური სუზრა

მაკას გაგონილი ჰქონდა, მეფური სუფრა ასეთი და ისეთიაო. რაც გინდა, სულო და გულო, ჩიტის რძე არ აკლიაო. მაგრამ თაბაშირ ოცდამეშვიდეს სასახლეში გაშლილ მაგიდას რომ გადავლო თვალი, მეფურ სუფრაზე აზრი შეიცვალა.

მაგიდაზე მხოლოდ ცარიელი ჯამჭურჭელი ელაგა, არც სასმელი, არც საკმელი. ფარეშები გამწარებული დარბოდნენ, ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ვითომ სამზარეულოდან ცხელ-ცხელი და ახალ-ახალი კერძები შემოჰქონდათ. სინამდვილეში კი მაგიდაზე ცარიელ თეფშებს, ცარიელ სინებსა და ცარიელ ხონჩებს ალაგებდნენ.

მაკა სუფრის თავში იჯდა, ყველაფერს ამას ხედავდა და საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

თაბაშირ მეფემ დიდი ყანწი მოითხოვა.

მოუტანეს დიდი ყანწი.

სადღეგრძელო ამით უნდა დავლიო, გამივსეთო, — უბრძანა ფარეშებს.

ფარეშებმა დოქი მოათრიეს და ყანწში დააპირქვავეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, დოქიც ცარიელი აღმოჩნდა. მაგრამ თაბაშირ მეფემ ყანწი თითქმის ყველა სტუმარს აჩვენა, ნახეთ, პირამდე არის სავსეო.

სტუმრები თავის კანტურით უდასტურებდნენ, — გვჯერა, გვჯერა, გვჯერა, დიღო მეფეო, ნუ წუხდებითო!

— ამ ყანწით, — დაიქვეა თაბაშირის მეფემ, — მინდა ჩვენი სტუმრის, მზის უმშვენიერესი ასულის სადღეგრძელო შევსვა... ეს ყანწი სავალდებულოა და ყველამ უნდა დასცალოს...

— მზის ასულის სადღეგრძელოს ბოლომდე დავცლით!.. — ყველამ ერთხმად მისცა პირობა უზალთუნ-ამირსპასალარის გარდა.

— მზის უმშვენიერესო ასულო, — თაბაშირის მეფემ ახლა მაკას მიმართა,

— თქვენი სტუმრობა ჩვენთვის დიდი სიხარულია და არც ვიცი რა გოგორ გამოვხატოთ ეს სიხარული. იცოცხლეთ და ილღეგრძელეთ! გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას პირად ცხოვრებაში.

— ვაშა! — აღრიალდა მთელი სუფრა.

თაბაშირ მეფემ ყანწი მიიყუდა და ნელ-ნელა შეუდგა დაცლას. ყველანი უხმოდ მისჩერებოდნენ მეფეს, — აბა, ვნახოთ, ბოლომდე დაცლის, თუ არაო.

— ვაშა! — კიდევ ერთხელ აღრიალდა სუფრა, როცა თაბაშირ ოცდამეშვიდემ ყანწი ცერათითის ფრჩხილზე დაიბერტყა, — ნახეთ, შიგ ცვარი ღვინო არ ჩამიტოვებიაო.

ესენი ნამდვილად გამაგიებენ, — ფიქრობდა მაკა, — ერთი გამაგებინა, ცარიელ ყანწს რა დაცლა უნდაო?!

— ალავერდი უზალთუნ-ამირსპასალართან! — იქუხა თაბაშირ მეფემ.

— ბატონებო, — ფეხზე წამოდგა უზალთუნ-ამირსპასალარი, — როგორც იცით, დღეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევერკინე საშინელ ურჩხულს. თქვენ კარგად ხედავთ, როგორა ვარ დასახიჩრებული, თანაც ამ ბრძოლამ ძალიან დამალა. მაგრამ რა მექნა, მე რომ საშინელ ურჩხულს არ შეგებძოლებოდი, მზის მშვენიერი ასული დღეს თქვენი სტუმარი არ იქნებოდა.

— გაუმარჯოს უზალთუნ-ამირსპასალარს!

— მან მზის ასული იხსნა ურჩხული-საგან!

— გაუმარჯოს ურჩხულთა შემმუსვრელს!

ბუბუნებდა აღტაცებული სუფრა.

ესენი მე მატყუებენ, თუ თავს იტყუებენო, — გაიფიქრა გოგონებულმა მაკამ. ერთი სული ჰქონდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, — ცოტას

არჩილ სულაბაური
ჯადოუნთური კაბა



კიდეც დავაცლი, ვნახავ, რას იზამენო.

— ამიტომ, ბატონებო, — განაგრძობდა უზალთუნ-ამირსპასალარი, — გთხოვთ, ღვინოს ნუ დამაძალბთ. ეს ერთი ყანწი მაპატიეთ.

— მაგის პატიება არ იქნება!

— ვინც ურჩხული დაამარცხა, იმან ყანწიც უნდა დაცალოს!

— თვითონ მეფე გადმოდის ალავერდს!

— ვერ გაპატიებთ, ვერა!

არ ცხრებოდა სუფრა.

უზალთუნ-ამირსპასალარს ყანწი მიართვეს. მერე ფარეშებმა ცარიელი ღოჭი მიიტანეს, და ისევე, როგორც მეფეს, ყანწში ჩაუბრქვეს. კმარა, კმარაო, — ამბობდა შეწუხებული ურჩხულთა შემმუსერელი, — ყანწი უკვე გაივსო.

მაკა საკუთარ გულს ასკდებოდა. ხმის ამოღებას კი მაინც ვერ ბედავდა.

— ძალიან ძნელი იყო საშინელ ურჩხულთან შებმა, — ასე დაიწყო თავისი სადღეგრძელო უზალთუნ-ამირსპასალარმა. მერე დიდხანს ილაპარაკა საკუთარ გამირობაზე. სულ ბოლოს კი დასძინა, — თუ დღეს გამირობა ჩავიდინე, ეს გამირობა მხოლოდ და მხოლოდ მზის მშვენიერმა ასულმა ჩამადენინაო.

— ვაშა!

— ვაშა მზის ასულს!

ყანწი რომ ჩამოთავდა სტუმრები საკმელს მიეძალნენ. სინებიდან და ხონჩებიდან თავიანთ თეფშებზე გადმოჰქონდათ და გადმოჰქონდათ სუფრაზე არ არსებული საკმელი. ვითომ შეეჭყეოდნენ, ყბებს მაღიანად იქნევდნენ და პირს აწკლავუნებდნენ, თანაც კმაყოფილი გულზე ხელეხი იბრავუნებდნენ, იფ, იფ, რა გემრიელიაო! ეგ კი არა და კერძებს ერთმანეთსაც კი სთავაზობდნენ.

— სანამ ცხელია, ეს ხაშლამა გადაიღეთ, ბატონო!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, ჯერ თქვენ ინებეთ!

— მე უკვე გეახელით!

— ამ კუპატს ხომ არ ინებებთ დედაბული კუპატია!

— არა, გმადლობთ. კუჭის წყლული ჰაქვს და პილბილიანი ცოტა არ იყოს მწყენს.

— მაშინ, ჩახოხბილი მიირთვით.

— ჩახოხბილს სიამოვნებით გადავიღებ...

ფარეშები ერთ გაწამაწიაში იყვნენ. სტუმრებს უცვლიდნენ და უცვლიდნენ თეფშებს. ხონჩებით ვითომ ახალი კერძი შემოჰქონდათ, ღოჭებით კი — ღვინო.

უზალთუნ-ამირსპასალარი ჭუკივით დათვრა და მეზობლად მჯდარ ვიღაც თაბაშირის აზნაურს კოცნიდა, ასეთი დიდებული სუფრა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. მერე თითები გაილოკა და ხმამალა ბრძანა: — ერთი მზარეული მომიყვანეთ, ამ გემრიელი კერძებისათვის მისი სადღეგრძელო უნდა დავლიო.

მარტო უზალთუნ-ამირსპასალარი კი არა, ყველანი დათვრნენ, ყაყანებდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ებღლარქუნებოდნენ, თვით თაბაშირის მეფესაც კი აღარავრად ავღებდნენ და აღარ ეპუებოდნენ.

— რატომ არაფერს არ მიირთმევთ, მზის ასულო? — ჰკითხა მთვრალმა მეფემ მაკას, — ამით რომ უყუროთ, ესენი ერთხელაც არ შემოგთავაზებენ, რაიმე ჭამეთ, დიდი ღორმუცელები არიან, ჩემო პატარა გოგონავ!

მაკამ ცარიელ სუფრას გადახედა და გაიფიქრა, — არც არაფერი უჭამით, არც არაფერი უსვამთ, ერთი ვიცოდეთ, რამ დააძლო და რამ დაათრო ეს ხალხიო?! მერე თაბაშირის მეფეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მაინც რას მირჩევთ, რომელი კერძი გადმოვიღო?

— ნუ მორცხვობთ, მზის ასულო, მე ისეთი მზარეული მყავს, რომელი კერძიც არ უნდა გადმოიღოთ, დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ.

— მეც დარწმუნებული ვარ, მაგრამ ახლა არა მშოი. — მიუგო მაკამ. მერე

შენიშნა: თაბაშირის მეფე მას კი არ უყურებდა, ოქროს ავგაროზს დასჩერებოდა ხარბად, ისე ხარბად, რომ საბრალო მაკას შიშისაგან გული გადაუქანდა.

თაბაშირის მეფემ მსუქანი ხელი მაკას მკერდისაკენ წაიღო და ავგაროზი კოტიტა თითებში მოიშწყვდია.

დიღხანს უხმოდ ეფერა ოქროს ავგაროზს, მერე გაუღიმა, მერე გაუცინა კიდეც.

ბოლოს ხმა ამოიღო, ენა მოუჩლიქა, როგორც ჩვილ ბავშვს.

— საკალელო!.. პატალავ! საკალელო! ჩაგკლაბო ოქლო?! ჩაგკლაბო პატალავ?! ოქლო! საკალელო!!

მაკა ვაფითრდა.
პირი გაუშრა და თაბაშირის მეფეს წყალი სთხოვა.

— ჩქარა წყალი! — ბრძანა თაბაშირი ოცდამეშვიდემ.

ფარეშებმა აზარფეშით მოარბენინეს ცივი წყალი. მაკამ რამდენიმე ყლუპი მოსვა და აზარფეშა უქანვე დაუბრუნა ფარეშებს.

დალია თუ არა წყალი, თავბრუ დაესხა. სუფრა, ყულაბები, ამირსპასალარი, თვით თაბაშირის მეფეც დატრი-აღდნენ და ერთმანეთში აირივნენ.

მაკა სკამის ზურგს მიესვენა. ალბათ

ძალიან დავიღალეო, — გაიფიქრა და თვლები დახუჭა.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი,
შუქურვარსკვლავები
და და ძმია ჩემი.

მოესმა უცებ გარედან სიმღერა. ოლილე მოსულაო, — გაუხარდა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ წამოდგა. მოდუნებული სხეული ადგილიდან ვერ დასძრა.

დღეს თუ არა, ხვალ,
ხვალ თუ არა, ზეგ,
გზა არა მაქვს სხვა,
მივაშურებ მზეს.

დღეს თუ არა, ხვალ,
ხვალ თუ არა, მალე.
გზა არა მაქვს სხვა,
მივაშურებ მთვარეს.

გარეთ მღეროდა ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი,
შუქურვარსკვლავები
და და ძმია ჩემი.

მაკამ წამოდგომა სცადა, ვერ წამოდგა, თვალის გახელა სცადა, ვერ გაახილა. გაღიმება სცადა, ვერ გაიღიმა... ძილის ბურუსში გაეხვია მაკა.

საუბარი გელჯის მოედანზე

როდესაც მაკას გამოეღვიძა, მოეჩვენა, რომ დარბაზში მარტო იყო. თვლებში მოიფშენიდა და გრძელ მაგიდას გახედა: სუფრა აელაგებინათ. ჯამ-ჭურჭელიცა და ყულაბებიც თავიანთ თაბაშირის მეფიანად სადღაც გამქრალიყვნენ.

მაგიდის ბოლოში ნაცნობ მუზარადს მოჰკრა თვალი. ეს მუზარადი უხალთუნ-ამირსპასალარს წასძრომოდა თავიდან. თვით ურჩხულთა შემმუსგრელიც იქვე განისვენებდა: მაგიდაზე დამხობილი გვარიანად ხვრინავდა.

მაკამ გაიღიმა. ეტყობა, კარგ გუნე-

ბაზე გაიღვიძა. უფრო გამხიარულდა, როცა თაბაშირი მეფის ღრეობა გაიხსენა, რა სულელური სუფრა იყო, არც სასმელი ჰქონდათ, არც საჭმელი და როგორ დაძინენ და დათვრნენ, ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ.

მერე ისიც გაახსენდა, შუა სუფრაზე რომ ჩაეძინა. ალბათ ძალიან დავიღალეო, — გაივლო გუნებაში და ამ ფიქრმა დაამშვიდა კიდეც, მაგრამ მის მეხსიერებაში ახლა ოლილეს სიმღერა ამოტივტივდა.

არჩილ სულაბაშვილი
ჯალღონური კაბა

მართლაც რა საოცარი იყო!
ძილის წინ რულში ოლილეს სიმღერა გაიგონა. მაკას კარგად აღარ ახსოვდა, ცხადში მღეროდა ოლილე, თუ სიზმარში. თუ ცხადში მღეროდა, მაშინ მოხეტიალე მუსიკოსი აქვე სადმე იქნება. შეიძლება, იცის კიდევაც რომ მაკა ყულაბეთის მეფის სტუმარია და იმიტომაც იმღერა ღია ფანჯარასთან. ამით შეატყობინა მაკას, მეც ყულაბეთში ვარო.

მაკა სწრაფად წამოდგა და ფეხბარეფით წავიდა კარისკენ. უხალთუნ-ამირსპასალარისაკენ არც კი გაუხედავს, ისე გაიპარა დარბაზიდან.

კიბეზე დაეშვა. მერე რამდენიმე წამი ირბინა და გედების მოედანზე ამოჰყო თავი.

უცნაური სიჩუმე გამეფებულოყო ირგვლივ.

ყულაბეთი მკვდართა ქალაქს ჰგავდა. არც მოედანზე, არც ქუჩებში არც ერთი ყულაბა არ ჩანდა. ის კი არადა, ხელოვნური ტბორიდან ყველა გედი გაქრალყო. მხოლოდ ფლამინგო იდგა გაუნძრევლად ცალ ფეხზე და ტბორში ამოზრდილი პატარა კუნძულიდან ცივად მისჩერებოდა მაკას.

მაკამ ტბორს გარშემო შემოუარა და სიმარტოვის უცნაური სევდა შემოაწვა გულზე.

ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. მაკას კი ხმის ამოუღებლად ყოფნა დიდხანს არ შეეძლო. ალბათ, ამიტომაც გამოელაპარაკა ვარდისფერ ფლამინგოს.

— გამარჯობა, ფლამინგო!

ფლამინგო არ განძრეულა, არც ხმა ამოუღია. გაშტერებული იდგა ცალ ფეხზე.

— მე მინახავს ზოოპარკში ნამდვილი ფლამინგო... შენ თაბაშირისა ხარ. ისინი კი მშვენიერი ვარდისფერი ბუმბულით არიან შემოსილნი, თავისუფლად დადიან ტბორებში, თევზებს იჭერენ... თევზებს ტბორში, რა თქმა უნდა, ზოოპარკის თანამშრომლები უყრიან. — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა,

მაგრამ ნაბიჯების ხმა გაიგონა და თვენი მოაბრუნა.

მაკამ მისკენ მომავალი მოხეტიალე მუსიკოსი დინახა.

— ოლილე! — წამოიძახა გახარებულმა და ტაში შემოჰკრა.

— მაკა, მზის ასულო!

— რა ყოჩაღი ყოფილხარ, ოლილე, როგორ დაუსხლტი მეომრებს!

— მაკა, ნუთუ წუხელ არ გესმოდა ჩემი სიმღერა?!

— როგორ არ მესმოდა, მაგრამ გზამ ისე დამალა, რომ ძილს თავი ვერ წავართვი.

— მაკა, მე ვნახე, როგორ სძინავთ უხალთუნ-ამირსპასალარსა და მის მეომრებს. ეს გაბერილი ყულაბებიც სადღაც შეიმაღლენ და მიმოიფანტენ. ამიტომ, თუ გაქცევა გვინდა, გასაქცევად უკეთეს დროს ვერ ვიხელთებთ. გავიქცეთ, მზის ასულო.

— გავიქცეთ, — დაეთანხმა მაკა, — მე უკვე მომწყინდა ასე უაზროდ ხეტიალი.

გაქცევა გადაწყვიტეს. გარშემო ხელისშემშლელი არავინ იყო, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ. ამის მიზეზი ის იყო რომ ოლილე უცებ გაფთვრდა და მერე თავზარდაცემულმა წამოიძახა:

— მზის ასულო, სად არის შენი ოქროს ავგაროზი?!

შეშფოთებულმა მაკამ მკერდზე დაიხედა. ავგაროზს ხელი შეავლო და ოლილეს ჰკითხა:

— განა ეს ჩემი ავგაროზი არ არის?!

— არა, მზის ასულო, ეგ ავგაროზი ყალბია!

— ყალბია?!

— სამწუხაროდ, ყალბია!.. შეუცვლიათ!

— როგორ თუ შეუცვლიათ?! — მაკას არაფრით არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მკერდზე თავისი ძველი ავგაროზი აღარ ეკიდა.

— ჯანდაბას მაგათი თავი! — უთხრა ოლილემ — მოხეტიალე მუსიკოსმა, — წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას!

მაკას უცებ გაახსენდა ბატონი ბუს შეგონება: სხვის ხელში ეგ ავგაროზი ბოროტებად გადაიქცევაო და გაქცევაზე ამჯერად უარი უთხრა ოლილეს.

— არა, ოლილე, ის ავგაროზი როგორმე უნდა დაგიბრუნო, თორემ უბედურება დატრიალდება.

— როგორ მოვიქცეთ?! — ოლილე ჩაფიქრდა. იდებანს იღვა ასე ჩაფიქრებული. ბოლოს თქვა. — კარგი, მზის ასულო, შენ ისევ დაბრუნდი ძველი მონეტების სამეფოში. მე აქ დავრჩები. ვეცდები, ოქროს ავგაროზი აღმოვაჩინო და დაგიბრუნო.

— კარგი, ოლილე!

— ოღონდ ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგებ.

— სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც შენ დამარიგებ, ოლილე.

— არავის არ უთხრა, რომ ოქროს ავგაროზი დაჰკარგე, ანდა შეგიცვალეს. არათუ უთხრა, არც კი ავარძნობინო. ნუ მოიწყენ, მოიქეცი ჩვეულებრივად, იმ-

ხიარულე, ვითომ ქვეყანაზე არაფერი არ მომხდარა.

— გმადლობ, ოლილე!

— ახლა დაბრუნდი სასახლეში და გადავიძე ვალეშილი უხალთუნ-ამირსპასალარო.

მაკა სასახლისაკენ გაემართა. თვალეზე ცრემლი მოადგა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა მოხეტიალე მუსიკოსის რჩევა-დარიგება და ცრემლი ჩუმად მოიწმინდა.

— მე უსათუოდ მოვალ ძველი მონეტების სამეფოში და ავგაროზს მოგიტან.

მაკამ გაიღიმა.

— ჰო, ეგრე, შენს თვალეზე ცრემლი არ დამანახო! — უთხრა ოლილემ, მოხეტიალე მუსიკოსმა.

მაკა კი გულდაწყვეტილი ფიქრობდა: რა სულელი ვარ, მე მეგონა დავიღალე მეთქი, თურმე ძილის წამალი დამალე ვინეს და დამაძინეს. ეჭვიც არ მეპარება, იმიტომ დამაძინეს, რომ ჩემი ოქროს ავგაროზი გამოეცვალათო...

დაბრუნება

მაკა დარბაზში დაბრუნდა.

უხალთუნ-ამირსპასალარს გაღვიძება არ დასჭირვებია, თვითონვე გაიღვიძა. ჭერ დამთქნარა, მერე გაიზმორა და, — ხომ ცოცხალი ვარო?, — უმისამართოდ იკითხა. როცა დარწმუნდა, რომ ცოცხალი იყო, ჯარისკაცური სისხარტით წამოხტა და თავიდან წამძვრალი მუხარადი ისევ თავზე ჩამოიფხატა.

— კარგი დრო გავატარეთ, არა? — ჰკითხა მაკას კმაყოფილებისაგან სახეგაბრწყინებულმა.

— კი... — უბასუხა, მაკამ, — ოღონდ მე აღრე ჩამეძინა და ძალიან მინდა ვავიგო, როგორ დამთავრდა ჭეიფი.

— შესანიშნავად, — ისევ დამთქნარა უხალთუნ-ამირსპასალარმა, — თუმცა ჩამდენიმე ყულაბელმა ცოტათი გუნება გაგვიფუჭა. დათვრნენ ეგ ოხრები, ერთმანეთს შეასკდნენ და დაიშხვრნენ.

— ერთი-ორის მსხვრევას მეც მოვესწარი, — თქვა მაკამ. ეტყობა, უხალთუნ-ამირსპასალარი სულ სხვა რამის თქმას აპირებდა, მაგრამ იატაკზე გაშხლართული თავისი მეომრები რომ დაინახა, გაოცებისაგან თავი ველარ შეიკავა:

— ესენი აქ რას აკეთებენ?!

— ალბათ, ეგენიც თქვენსავით დათვრნენ, უბასუხა მაკამ.

— ო! ამას კი არ ვაპატიებ, — გაცეხლდა ურჩხულთა შემმუსვრელი, — ო! ეს ჩემს მეომრებს არ ეკადრებათ!

ჯაჭემუხარადით შეჭურვილ მეომრებს იატაკზე ეძინათ. თავის შუბებიანად ისე იყვნენ ერთმანეთზე მიყრილნი, რომ მაკას სკოლის ეზოში პიონერების მიერ შეგროვილი ჯართი ეგონა.

არჩილ სულაპაშვილი
ჯადოსნური კაბა

— ადექით! — დაუღრიალა უხალ-
თუნ-ამირსპასალარმა.

დაფეთებული მეომრები წამოცვიდ-
ნენ და სარდლის წინ ერთ ხაზზე გამ-
წკრივდნენ. ეტყობოდათ, ჯერ ვინ არ
იყვნენ მოსულნი, რა ხდებოდა არ იც-
ოდნენ.

სარდალმა გამწკრივებულ მეომრებს
აუარ-ჩაუარა.

ყოველ მათგანთან კარგახანს ჩერდე-
ბოდა და სახეზე გულდასმით აკვირდე-
ბოდა. თითქოს ამოწმებდა, — ხომ არ
შემიცივალეს, ნამდვილად ჩემი მეომრე-
ბი არიან, თუ არაო?

ვინ იცის, რა დღე დაადგებოდათ სა-
წყლებს დარბაზში ორი ფარეში რომ
არ შემოსულიყო.

ფარეშები სტუმრებს მიესალმნენ,
მერე მაკას თავაზიანად ჰკითხეს:

— როგორ მოისვენეთ, მზის ასულო?

— გმადლობთ, კარგად! — უპასუხა
მაკამ.

— თქვენ უძლეველო ამირსპასალა-
რო?

— დიდებულად.

— საჰმელს თუ ინებებთ, ახლავე მო-
გართმევთ.

უხალთუნ-ამირსპასალარს მაკამ და-
ასწრო:

— თუ წუხანდელი კერძები იქნება,
სიამოვნებით შევექცევითო!

— რასაც ინატრებთ, იმას გაგიჩინეთ,
მზის ასულო! — უპასუხეს ფარეშებმა.

— თავად მეფე სად ბრძანდებოა? —
იკითხა უხალთუნ-ამირსპასალარმა.

— მეფე სანადიროდ წაბრძანდა. ასე
თქვა: გავიგე მზის ასულს გარეული
ფრინველის ხორცი ჰყვარებიაო.

— სიამოვნებით დაველოდებოდით,
მაგრამ დრო აღარ გვარჩება. ჩვენ ახ-
ლავე უნდა გავეშუროთ.

— გარეული ფრინველი?! — მეფე
ხომ თქვენი გულისთვის წაბრძანდა სა-
ნადიროდ?

— გარეული ფრინველი წუხელაც
ბევრი გეახელით და აღარ მინდა. — ვე-
რა, ჩვენ ვედარ მოვიცდით, — დასძი-
ნა უხალთუნ-ამირსპასალარმაც რატ-

ომლაც ნაწყენი კილოთი. მერე წყება
იმაზე შეეტყო, გარეთ გამოსვლის
რომ ჩაიბურტყუნა. — იმ გაბერილს
თუ სანადიროდ წასვლა უნდოდა, ჩემ-
ზე კარგ მონადირეს სად იშოვიდაო?..

გორგოლაჭებიან სავარძელს ისევ მი-
აწუნენ ნახევარგროშიანი ვაჟაკები და
დასძრეს. ნახევარგროშიან ვაჟაკებს
ისევ უკან მოჰყვებოდნენ თავითფეხამ-
დე შეკუთვილი მეომრები.

უხალთუნ-ამირსპასალარი გორგო-
ლაჭებიან სავარძელში გაჩვიული იჯ-
და, მარჯვენა ხელი ჩვეულებისამებრ
ხმლის ვადაზე ელო.

პატივცემული უხალთუნ, როგორი
ღვინო იყო? — ჰკითხა მაკამ.

— ცეცხლოვანი! — არ დაუყოვნა
პასუხი სარდალმა. — უკეთესის წარ-
მოდგენაც კი არ შეიძლება...

— მართლა?

— როგორ? განა შენ არ დაგიღვევია?

— არა.

— ოო, მაშ, ბევრი დაგიკარგავს!

— საჰმელი როგორიღა იყო?

— დიდებული! ასეთი არაფერი მი-
ქამია! მე მზარეულიც კი მოვანობინე,
რათა მისი სადღერძაძელი შემეცვა.

— მე კი მომეჩვენა, თითქოს სუფრა-
ზე არც საჰმელი იყო და არც სასმე-
ლი.

— როგორ გეკადრებთ, მზის ასუ-
ლო! — უხალთუნ-ამირსპასალარმა უც-
ებ მარცხნივ გაიხედა და გორგოლაჭე-
ბიან სავარძლიდან წამოიჭრა. — შეჩე-
რდით! — უბრძანა ნახევარგროშიან
ვაჟაკებს.

გორგოლაჭებიანი სავარძელი შეჩერ-
და.

ამირსპასალარი გადმოვიდა და ბუჩ-
ქებისაკენ გაემართა მტკიცე ნაბიჯით.
ბუჩქებთან მისული სწრაფად მოტრი-
აღდა.

— აქ უნდა აღიმართოს ძეგლი ჩემ
მიერ ურჩხულის დამარცხების აღსა-
ნიშნავად. სწორედ აქ მოვუღე ბოლო
იმ საზიზღარ ცხოველს! გზაზე გართხ-
მული რომ დავინახე, მაშინვე ვიძრე
ხმალი, — განაგრძობდა უხალთუნ-ამ-

ირსპასალარი, თან ხმალს ექაჩებოდა ქარქაშიდან. — მიუხეხლოვდი და ერთის მოქნევით...

უზალთუნ-ამირსპასალარმა ახლაც მოიქნია ხმალი და ბუჩქს მთელი ძაღლი დაჰკრა.

ბუჩქიდან დამფრთხალი ზღარბი გამოვარდა და ფეხებში ეცა სარდალს, მამაცი სარდალი ახლაც პირქვე დაეცა ზღარბს. ზღარბი გზას ვედარ ხედავდა, პირდაპირ მეომრებისაკენ გაიჭრა. ყველა ერთად გადათელა და კვლავ ბუჩქებში შეშლივიდა.

შუა გზაზე შუბოსნების ზედახორა დატოვა.

მაკამ გულიანად იცინა. შემდეგაც რამდენჯერ უთქვამს: ასე გულიანად ჩემს სიცოცხლეში არ მიცინიაო.

ნახევარგროშიანმა ვაჟკაცებმა და მაკამ სათითაოდ წამოაყენეს დაფეხვილი მეომრები.

ამირსპასალარი რაღა იქნა, — წუხ-

და ჰიჰე გროშიანი, — ალბათ იმ ურჩხულმა გაიტაცაო.

მაგრამ როცა ყველა მეომარი ფეხზე დააყენეს, აღმოჩნდა, რომ სარდალი თავისი მებრძოლების ქვეშ მოქცეულიყო.

გულშეღონებული, გაშოტილი იწვა გზაზე და ძლივსდა სუნთქავდა. ცხვირი მარჯვენა ყურის ბიბილომდე ჰქონდა მიღრეცილი. გონს მოსვლისთანავე წამოიძახა: ცოცხალი ვარ, თუ არაო?!

— ცოცხალი ხართ, ცოცხალი! ანუ გემა ჰიჰე გროშიანმა.

— ესეც მეორე ურჩხული! — თქვა სახელგანთქმულმა ამირსპასალარმა, წამოდგა და ხელები დაიბერტყა: — ახლა შეგვიძლია ამაყად დავბრუნდეთ ჩვენს სამეფოში!

რა მშვენიერი ზღარბი იყო, — გული დაწყდა მაკას, ნეტავი ეგეთი ზღარბი გვეყავდეს ჩვენი სკოლის ცოცხალ კუთხეშიო.

აუროლოლი სასახლეში

თავპირდალეწილი უზალთუნ-ამირსპასალარი თავისი დაფეხვილი მეომრებიანად ძველი მონეტების სამეფოს მიადგა.

ისევ დასცხეს ბუქნადარას.

სამეფოში საიდანღაც გაეგოთ თავიანთი სარდლის გმირობის ამბავი და აღფრთოვანებული ძველი მონეტები ისევ შეხედნენ მას, როგორც ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულ გმირს.

ძველმა მონეტებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ სახელოვანი სარდალი მეორე ურჩხულსაც შეეება და დაამარცხა. ამ ცნობას ჯერჯერობით მათ ყურამღე არ მიედწია, თორემ გაორკეცებული ალტაცებით შეეგებებოდნენ და უფრო მეტ პატივსაც მიაგებდნენ.

უზალთუნ-ამირსპასალარის გმირობის ამბავმა მშვენიერი მზის ასულიც კი გადაავიწყა ძველ მონეტებს. ჰაერში

ასროლილი ყვავილები, ქუდები და მისალმების ყიყინა აქვამად მხოლოდ უზალთუნ-ამირსპასალარს ეკუთვნოდა.

მეფე დრაჰმა პირველი და დედოფალი ზუზა თავიანთი ამალითა და ფარეშებით საზეიმოდ გამოწყობილნი დახედნენ სასახლეში. უზალთუნ-ამირსპასალარს გამარჯვება მიულოცეს და ხანჯრძლივი გმირული სოცოცხლე უსურვეს.

მხიარული, საზეიმო განწყობილებათ, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდებოდა აბაზ-ვეზირს განწირული ხმით რომ არ ეკივლა — დავიღუპეთო! და გონდაკარგული იქვე მაკას ფეხებთან არ გაშხლართულიყო.

დარბაზი მოულოდნელობისაგან რამდენიმე წუთით გაოგნდა და გაისუსა. ვერავინ ვერ მიხვდა, რა დაემართა

არჩილ სულაკაშვილი
ჯალღონური აბაზა

აბაზ-ვეზირს, რატომ შეჰკვივლა ისე განწირული ხმით: დავიღუპეთო!

— შეხვედრა გაგვიფუჭა! — გადასჩურჩულა უზალთუნ-ამირსპასალარმა მაკას, — შეშურდა, ასეთი დიდებით რომ მიგვიდეს და გულის წასვლა მოიგონა

ერთხანს ყველანი მდუმარედ დასცქეროდნენ გულწასულ აბაზ-ვეზირს, მერე სამარისებური სიჩუმე დაირღვა, ყველაფერი ერთმანეთში აირია. დიდი და პატარა იატაკზე გაშოტილ ვეზირს დაესია.

- მოეცალეთ!
- ჰაერი, ჰაერი მიეცით!
- ფანჯრები გამოაღეთ!
- წყალი!
- წყალი!

ყვიროდა ყველა, ვისაც ყვირილი ანდა უბრალოდ ხმის ამოდება მაინც შეეძლო.

ძველი მონეტების სამეფოში სწორედ იმ დღეს გაფუჭებულიყო წყალგაყვანილობა და, რამდენიც არ აწვალეს, ონკანს ცვარი ვერ გამოადინეს.

აბაზ-ვეზირს არავის დახმარება არ დაჰსირებებია, თვითონვე მოვიდა გონს. გონს მოსულმა ვილაცას დაუწყო თვალნებით ძებნა. როცა მზერა მკაფზე შეაჩერა და ისევ დაიყვირა: გაგვძარცვეს, დავიღუპეთო! — ყველამ მაკასკენ იბრუნა პირი.

— აბაზ-ვეზირო, — მიმართა დრაპმა პირველმა, — გაგვაგებინე, რა მოხდა, რა უბედურება დაგვატყდა თავს?! აბაზ-ვეზირი წამოდგა და მისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმარდით მიიჭრა მაკასთან. ავგაროზს წაატანა ხელი და დააშტერდა.

— თაბაშირის მეფემ ავგაროზი შეგვიცვალა.

მთელ დარბაზს თავზარდამცემი გმინვა აღმოხდა.

დედოფალი ზუზა მოცელილივით ჩაიკეცა იატაკზე.

მაგრამ დედოფალ ზუზასთვის არავის მიუტკევიდა ყურადღება. ყველა მაკას ავგაროზს მისჩერებოდა.

— დავიღუპეთ, შეგვიცვალეს! — შლილივით იმეორებდა ერთი დღე მკვლელობის აბაზ-ვეზირი.

— რას ჰქვია შეგვიცვალეს! მაგას ვინ გაამიბედავდა! — რიხიანად წამოიძახა უზალთუნ-ამირსპასალარმა.

— ეს ავგაროზი ოქროსი არ არის! — თავისას ჯიუტად ამბობდა აბაზ-ვეზირი.

მაკა შეშინებული იდგა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რა მართალი იყო ბატონი ბუ, როცა მითხრა: ოქროს ავგაროზი სხვას არ ჩაუგდო ხელშიო. აქ ნამდვილად რაღაც უბედურება დატრიალდებაო.

— როგორ თუ ოქროსი არ არის ავგაროზი?! ახლავე შევამოწმებ, თუ მართლა შემიცვალეს, მაშინ თაბაშირის მეფე ჩემს წინაშე პასუხს აგებს! — არ ცხრებოდა დრაპმა პირველი. მერე ბრძანა: — ახლავე მომგვარეთ შაურ-ვეზირი!

ორმა ნახევარგროშიანმა ვაჟკაცმა ხელებზე შესკუბებული შაურ-ვეზირი შემოიყვანეს. შაურ-ვეზირი დიდი წვალეების შემდეგ გააღვიძეს და უთხრეს: ერთი ეს ავგაროზი შეამოწმე ყალბია თუ ნამდვილიო.

შაურ-ვეზირმა ავგაროზი მაშინვე პირისკენ წაიღო, თავისი ერთმანეთს დამიხნებული ორად ორი კბილი გამოაჩინა.

ყველამ რატომღაც უზალთუნ-ამირსპალასარს შეხედა.

სახელოვანი სარდალი გაფითრდა და ყრჟოლამ აიტანა. ეტყობა, შაურ-ვეზირის კბილები ცუდ მოგონებებს უღვიძებდნენ.

ამასობაში შაურ-ვეზირმა ავგაროზი გაკენიდა და ლითონის ნაკენეტი ხელისგულზე გადმოავლო. მერე სინანულით წარმოთქვა:

— ყალბია! დარბაზმა კიდევ ერთხელ ამოიგმიანა შემზარავად.

— მოგვატყუეს!
— ოქროს ავგაროზი შეგვიცვალეს!



— წაგგელიჯეს ოქროს ავგაროზი!
ტიროდნენ ძველი მონეტები. თვით
დრაჰმა პირველსაც კი ლაპალუპით
სცივოდა ცრემლი.

— ეს რა მიყვეს, — მოსთქვამდა გა-
მწარებული მეფე, — როგორ შემიც-
ვალეს ჩემი ოქროს ავგაროზი. ის ხომ
ჩემი იყო... ჩემი...

მაკა სულ დაიბნა. ვერაფრით გაერ-
კვია, ვის ეკუთვნოდა ოქროს ავგარო-
ზი? აქამდე მე ვიყავი მისი პატრონი და
ახლა ეს გამოჩერჩეტებული მეფე რა-
ტომ იჩემებსო, — უკვირდა ძალიან.

პატარა გაუგებრობანი გზაზე

თაბაშირ ოცდამეშვიდესთან ფირმა-
ნიანი მალემსრობოლი აფრინეს: თქვენს
წინააღმდეგ ომს ვიწყებთო!

— რის ავგაროზი, რა ავგაროზი?! —
დაიქუხა თურმე თაბაშირის მეფემ და
მალემსრობოლი პანდურის კვრით გამო-
აგდო.

ძველი მონეტების სამეფო დარბაზის
თათბირზე გადაწყდა: ომი!

ომი!
მშვიდობა დაირღვა!
ძველი მონეტების სამეფოში, როგ-
ორც ამბობენ ხოლმე, ქულზე კაცი გა-
მოვიდა.

ალაყაფის კარი გაიღო და საბრძო-
ლო რაზმებად დაწყობილი, შუბებითა
და ხმლებით შეიარაღებული ძველი მო-
ნეტები ყულაბეთისაკენ დაიძრნენ.

მაკა საბრძოლო რაზმებად დაწყობილ
მეომრებს უკან მიჰყვებოდა. მიჰყვებო-
და არა იმიტომ, რომ თვითონ მოინ-
დომა გაყოლა, არა, აიძულეს.

შესაძლებელი იყო მეფე დრაჰმა პი-
რველისათვის თაბაშირის მეფეს ეთქ-
ვა, თქვენ ვისი ტიკი-ტომრები ხართ,
სხვის წარმომავლობის ნიშანს რომ ით-
ხოვთ მაშინ, როცა თვითონ პატრონი
გაჩუმიებულა და არაფერს არ გეუბნე-
ბაო?

სწორედ ასეთი შემთხვევისათვის
მიჰყავდათ მაკა. როგორც კი ამას ეტ-
ყოდა დრაჰმა პირველს თაბაშირ ოცდა-

— თუ ნებით არ დავგიბრუნა, — გა-
ნაცხადა უხალთუნ-ამირსპასალარმა
ხმალი იძრო, — ხმლით დავიბრუნებ!

— სულ შენი ბრალია, შე ყალბო და
თვალთმაქციო! — შეუტია მეფე დრაჰ-
მა პირველმა თავის სარდალს. საცემა-
დაც კი წაიწია, მაგრამ აბაზ-ვეზირმა
შეაჩერა, გვერდზე გამოიყვანა და წა-
სჩურჩულა:

— მეფეო, არასოდეს არ დავგვირ-
ვებია მაგისი ხმალი ისე, როგორც ახ-
ლა გვკვირდება! არ ღირს უხალთუნ-ამ-
ირსპასალარის გაბრაზება.

მეშვიდე, მაშინვე წარუდგენდნენ მა-
კას და მოახსენებდნენ: ა, ბატონო, ოქ-
როს ავგაროზის პატრონი ავერ არის
და ძალიან ვთხოვთ, თავისი წარმომავ-
ლობის ნიშანი უკანვე დაუბრუნეთო.

თუ არ დაუბრუნებდნენ, ატყდებო-
და კიდევ ომი.

უხალთუნ-ამირსპასალარმა წამოსვ-
ლის წინ მეომრები გაამხნევა: თქვენი
მომრევი ქვეყანაზე არ მეგულება და
თუ იყოჩაღებთ უსათუოდ გავიმარჯ-
ვებთო.

მართლაც, თაბაშირის მყიფე ყულა-
ბები როგორ გაუძლებდნენ სპილენძის
ფულებს?

მაკა მადლიერების გრძნობითაც კი
განიმსკვალა მეფე დრაჰმა პირველისა
და მისი სამეფოს მიმართ: როგორც კი
გაიგეს ავგაროზის დაკარგვის ამბავი,
ყველა ფეხზე დადგა და საომრად გა-
ნემზადა. თუმცა მზის ასული საბოლო-
ოდ დარწმუნებული არ იყო, რომ დრა-
ჰმა პირველი წარმომავლობის ნიშანს
უკან დაუბრუნებდა.

მეომრები კი მიდიოდნენ და მიდი-
ოდნენ.

მაკას, კოტა არ იყოს, ეუტცხოვა გორ-
გოლაჭებიან სავარძელში რომ აღარ
ჩასვეს და ამ მტერიან გზაზე ფეხით

არჩილ სულააკარი
ჯაფოსნური კაპა

მიანჩალბენ. მაგრამ რას იზამ, როცა შენი გულისთვის მთელი სამეფო საომრად დაიძვრება, ცოტათი შენც უნდა გაისარჯო ხოლმე.

ისე კი ფიზკულტურის მასწავლებელი ყოველთვის ეუბნებოდა მოსწავლეებს, — ბავშვები, ხშირად იარეთ ფეხით, ფეხით სიარული ჯანმრთელობის საწინდარიაო.

მოწინავე რაზმს ერთი ჩაფხუტიანი მფორარი გამოეყო და გზაზე შეყოვნდა. ჯაჭვის პერანგისა და ჩაფხუტის სწორება დაიწყო. ეტყობა, თავის დროზე წესიერად არ შეიძურვა.

როდესაც მკაცრ ჩამორჩენილ მეომარს გაუსწორდა, მეომარმა ჩაფხუტი მოიხადა და მკაცრ კიბე გროშიანი იცნო.

— გამარჯობა, კიბე გროშიანო! — მიესალმა მკაცრ.

— გაგიმარჯოს, მზის მშვენიერო ასულო! — უპასუხა კიბე გროშიანმა.

— რაზე ჩამორჩი შენს რაზმს?

— სამკლავეები და ცალი საბარკული შემეხსნა და გავიმავრე, მზის ასულო.

— რას ფიქრობ, კიბე გროშიანო, დავიბრუნებთ თუ არა ჩემი წარმომავლობის ნიშანს.

— უსათუოდ, მზის მშვენიერო ასულო!.. ოღონდ იცოდე, მხოლოდ და მხოლოდ მე შემიძლია მისი დაბრუნება.

— მხოლოდ შენ?

— დიახ, მზის მშვენიერო ასულო!.. უხალთუნ-ამირსპასალარი ყალბია და ტრახახა... ხოლო მეფე დრაჰმა პირველსა და მის ნაზირ-ვეზირებს თაბაშირ მეფე სულის ერთი შეგებრვით გააქრობს. სხვა ვილა დარჩა? მხოლოდ მე! მხოლოდ მე შევძლებ თქვრის ავგაროზის მოპოვებას, — კიბე გროშიანი დადუმდა და ანთებული თვალებით მიამტერდა მკაცრს. — ოო, მშვენიერო მზის ასულო, თუკი ინებებ და ჩემ მიერ დაბრუნებული თქვრის ავგაროზი მართო შენი კი არა, ჩვენი... ესე იგი ჩემი და შენი იქნება, მაშინ..

— რა მაშინ?

— მაშინ... შენ დედოფალი გახდები, ხოლო მე...

— რა გახდებოდი შენ, კიბე გროშიანო?! — შეეკითხა...

თქვენ გგონიათ მკაცრ შეეკითხა? არა! ეს უხალთუნ-ამირსპასალარი გახლდათ. გაბრაზებულმა კინწი ჰკრა კიბე გროშიანს და გაავლო.

— უყურე ამ ყურუმსადს, მეფობა არ მომინდომა! — სიბრაზისაგან ისე აინთო უხალთუნ-ამირსპასალარი, რომ ცეცხლზე გვერვარებულ ლითონს დაემსგავსა. მერე დაცხრა და მკაცრს მიუბრუნდა, — ოო, მზის მშვენიერო ასულო, კიბე გროშიანს ვინ რას აღირსებს, მხოლოდ მე დავიბრუნებ იმ ავგაროზს და თუ ის ავგაროზი ორივეს იქნება, მაშინ შენ დედოფალი გახდები, ხოლო მე...

— შენ რა გახდები, უხალთუნ-ამირსპასალარო?! — არც ეს უკითხავს მკაცრს. ეს აბაზ-ვეზირმა ჰკითხა უხალთუნ-ამირსპასალარს, — მე ვიცი, რაც გახდები შენ! ახლავე დამეკარგე აქედან და შენს მეომრებს გაუძეხი.

შერცხვენილი სარდალი უხმოდ დაემორჩილა აბაზ-ვეზირის ბრძანებას, აჩქარებული მიდიოდა, რათა სათავეში ჩასდგომოდა და გასძლოლოდა საბრძოლოდ დაწყობილ რაზმებს.

— მეფობა არ მომინდომა ამ ყალბმა და ქარაქუცამ, — თქვა გაჯავრებულმა აბაზ-ვეზირმა და მკაცრს მიუბრუნდა, — არავის არ დაუჭეროთ, მზის მშვენიერო ასულო, განსაკუთრებით ამ ყალბ უხალთუნს. მე ყველაზე ჰკვირავი ვარ მთელს სამეფოში, ეს ყველამ იცის... შენი წარმომავლობის ნიშნის ხელში ჩაგდება მხოლოდ მე ძალმიძს. და თუ ინებებ, მზის მშვენიერო ასულო...

— რა უნდა ინებოს მზის ასულმა? — აბაზ-ვეზირს ეს უკვე თვით მეფე დრაჰმა პირველმა ჰკითხა. — ევრავო! ნუთუ ჩემი დალატი გაივლე გულში? ახლავე მოწყდი აქაურობას, მე ვიცი, რასაც ინებებს მზის ასული!

აბაზ-ვეზირი გაიძურწა.
— მზის მშვენიერო ასულო, — მი-



მართა მაკას დრაჰმა პირველმა, — მე მეფე ვარ და მხოლოდ ჩემს სიტყვასა აქვს ფასი! მაგ სულელებს ჰგონიათ, რომ დავებრდი, ქვეყნის მართვა აღარ შემიძლია. არ დაიჯერო, მე ისევ ჯანზე ვარ, თანაც იმდენი ჭკუა კი გამაჩნია, რომ ჩემი ადგილი სხვას არ დაეუთმო.

— მეფეო, — მიუგო მაკამ, — მე ხომ სტუმარი ვარ და თქვენს სამეფოში დარჩენას არ ვაპირებ. მე სხვა ქვეყანაში ვარ გაზრდილი და აქაურობას ვერ შეეგუებები... დღეს მოვედი, ხვალ წავალ. ჩემი...

— იმ ოქროს ავგაროხსაც თან წაიღებ? — გააწყვეტინა სიტყვა მეფემ.

— თუ დავიბრუნე, რა თქმა უნდა, წავიღებ.

— იქნებ ჩემი წარმომავლობის ნიშანში გამიკვალო? — მეფემ მკერდზე დაკიდებული ძველი ვერცხლის მონეტა შეათამაშა ხელში... — ოო, ეს უძველესი მონეტაა...

მაკა ჩაფიქრდა: „ეტყობა, ეგ მონეტა

მართლაც ძველია. ისტორიის მასწავლებელს რომ მივუტანო ამ მეოთხედმონეტა ხუთიანს თუ გამომაყოლებს?“

მიუხედავად ასეთი მაცუთნებელი ფიქრებისა, მაინც უარი მოახსენა:

— არა, მეფეო, მე ჩემი ავგაროხი თან უნდა წავიღო.

— ღმერთმა დამიფაროს! — თვალეზი ცას მიაპყრო დრაჰმა პირველმა, მერე ხელები გაასავსავა და წინ ცუხცუხით გაიჭრა. თან გზადაგზა ჩიფჩიფებდა: — ეგ არ მოხდება, ეგ არ მოხდებაო!...

მაკას ეგონა, რახან უარით გაისტუმრა, მეფე დრაჰმა პირველი თავის მხედრონს უკან მოაბრუნებდა. მაშინ მაკა ავგაროხს სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა.

მაგრამ თავით-ფეხამდე შეჭურვილი მხედრები თავის გზით მიდიოდნენ, მტკიცე ნაბიჯებზე ეტყობოდათ, არც უკან მობრუნებას და არც გზიდან გადახვევას აპირებდნენ.

„მსტოვარი“

ძველი მონეტების მხედრონი მოულოდნელად შეჩერდა.

როგორც ჩანს, მეფემ მაინც უკან დაბრუნება გადაწყვიტაო, — გაიფიქრა მაკამ, მაგრამ მისი ეჭვები არ გამართლდა.

— მსტოვარი დაიჭირეს, თაბაშირ მეფის მსტოვარი! — დაირხა მეომრებში და ამ ხმამ მაკამდეც მიაღწია.

მაკას ზოგი რამ ჰქონდა გაგონილი მეფის მსტოვრების შესახებ და ახლა ძალიან უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა მეფის მსტოვარი. ნეტავი მაჩვენა როგორიაო? — ველარ მოითმინა და ჰკითხა ერთ-ერთ მეომარს.

ცნობისმოყვარეობის ძალამ მაკას პატარა ფეხები თავისთავად ამოძრავა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც მეფე დრაჰმა პირველის ამაღლა შეჯგუფდულიყო.

ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა და თანაც როგორ გაოცდა, როცა მსტოვრის ნაცვლად დრაჰმა პირველის წინაშე მღვარი ოლილე დაინახა.

— ოლილე! ოლილე! — დაუძახა მაკამ და მეფის ამაღლისაკენ გაიქცა.

— ო, მაკა! მზის ასულო!

მაკას უცებ შეეშინდა და სიხარულის დათრგუნვა სცადა. გაახსენდა, როგორ დასდევდნენ ოლილეს ძველი მონეტების სამეფოში დასაჭერად, ისიც გაახსენდა, რამდენიმე მეომარი რომ გადამოადლო სახურავიდან, სწორედ ამისი ეშინოდა, ოლილე არ იცნონ და არ შებოტონო.

— აი, მეფეო, თუ არა გჯერათ, —

არჩილ სულააშური
ჯაფოსნური კაბა

მიმართა დრაჰმა პირველს ოლილემ, — მზის ასულს ჰკითხეთ. მე მსტოვარი კი არა, მოხეტიალე მუსიკოსი ვარ. მუსიკოსი არ შეიძლება მსტოვარი იყოს.

— ეს ოლილე! — თქვა მაკამ, — დიდებულად უკრავს და მღერის.

— თუ ასე, რა გინდოდა ყულაბეთში? — ჰკითხა აბაზ-ვეზირმა.

— ავი მოვახსენეთ, მე მოხეტიალე მუსიკოსი ვარ. დავდივარ ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად და ხალხს ჩემი დაკვრითა და სიმღერით ვართობ.

— ძალიან კარგი. მაშინ გვითხარი, რა მდგომარეობაა ყულაბეთის სამეფოში, — განაგრძობდა დაკითხვას აბაზ-ვეზირი — მზად არიან თუ არა საომრად? თუ მზად არიან, რამდენი მეომარი ჰყავთ და როგორ არიან შეიარაღებულნი? ანდა რაიმე ახალი იარაღის გამოყენებას ხომ არ აპირებენ?

— ძველებურად ცხოვრობენ, — უპასუხა ოლილემ, — მე იქ არავითარი ომისთვის მზადება არ შემიტყვია. ანდა რა ომი შეუძლიათ ცარიელ ყულაბებს.

— ცარიელ ყულაბებსაო?! — წამოიძახა უზალთუნ-ამირსპასალარმა, — რის ცარიელი! ყველა ყულაბა ოქროთია გაქეძილი, ძლივს დააბიჯებენ ქუჩებში.

— რა ვიცი, მე კი მგონია, გახვრეტული კაპიციკი არ მოეძევათ.

— აქა ვარ! — დაიძახა ვილაცამ რაზმიდან და ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა.

— ეს ვილაა? — გაუკვირდა მეფეს.

— ვინა ხარ? — ათვალისწინებით შეათვალა მემომარი აბაზ-ვეზირმა.

— მე გახვრეტული კაპიციანი ვარ!

— მერე რა უნდა? — იკითხა მეფემ.

— მერე რა გინდა? — ისევ ათვალა მემომარი გახვრეტული კაპიციანი აბაზ-ვეზირმა.

— რა მოვახსენოთ... ავი თქვენ თერთონ დამიძახეთ. — გახვრეტულმა კაპიციანმა კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი გადმოდგა და მაკას გვერდში ამოუდგა.

— შენთვის არავის დაუძახებია! — უთხრა მაკარად აბაზ-ვეზირმა.

— როგორ არა, ჩემი ყურით გავიგონე, ვილაცამ თქვა, გახვრეტული კაპიციკი არ მოეძევათ. როგორ თუ არ მოიძევა?! აქ არა ვარ გახვრეტული კაპიციკი?! — მემომარმა ჩაფხუტი მოიხადა, რომ ყველა იქ მყოფი თავისი ნათქვამის სისწორეში დაერწმუნებინა.

გახვრეტული კაპიცი თუ ასეთი მეტიჩარა იქნებოდა ვერაფრით წარმოვიდგენდიო, — გაიღიმა მაკამ.

ალბათ ამ ღიმილმა გაამხსენვა და გაათამამა. ვიდრე აბაზ-ვეზირი ოლილეს დაკითხვას განაგრძობდა, კაპიციანი მაკასთან მივიდა და საუბარი გაუბა:

— ძალიან ვწუხვარ, მზის ასულო, ოქროს ავგაროზი რომ დაჰკარგეთ.

— მეც ძალიან შემაწუხა ამ ამბავმა.

— უბასუხა მაკამ.

— ოო, თქვენ ნუ შეწუხდებით, მშვენიერო მზის ასულო, ოქროს ავგაროზს მე დაგიბრუნებთ, ოღონდ ერთი პირობით...

სამწუხაროდ, გახვრეტულ კაპიციანს არ დასცალდა სათქმელის ბოლომდე თქმა. უზალთუნ-ამირსპასალარმა ქეჩოში წამოჰკრა და მთელი ხმით დაუღრიალა:

— მაშ, ერთი პირობით დაუბრუნებ ავგაროზს, არა?! ამ ყურუმსალმაც არ მომინდომა მეფობა?!

— ყველა ჯარისკაცი მეფობაზე თუ არა, ამირსპასალარობაზე მაინც უნდა ფიქრობდეს! — თქვა ამაყად კაპიციანმა.

— ამირსპასალარობა მაინც არის, შევიკინდარა?! — სარდალმა კიდევ ერთხელ წამოჰკრა ქეჩოში თავის მეომარს.

ოლილეს დაკითხვა გრძელდებოდა.

ვერც დრაჰმა პირველი და ვერც აბაზ-ვეზირი ვერ დაარწმუნა ოლილემ, რომ თაბაშირის მეფე საომრად არ ემზადებოდა.

— რატომ გამოუცხადეთ ომი? — შეეკითხა მოხეტიალე მუსიკოსი აბაზ-ვეზირს.

— იმიტომ რომ ჩვენი ოქროს ავგაროზი მიითვისა.

— თქვენი ოქროს ავგაროზი?! — ვაოცდა ოლილე.

— ჩვენი კი არა... — ოდნავ დაიბნა ვეზირი, — მზის ასულისა... ჩვენ გვინდა მზის ასულს დაევბრუნოთ წარმომავლობის ნიშანი.

— მაშინ ერთ-ერთ მეომრად მეც მივუღებო, — თქვა ოლილემ, — ოღონდ ხმალი მომეცით!

ყველამ ხმალზე იტაცა ხელი, მაგრამ ყველას მინც უზალთუნ-ამირსპასალარმა დასწრო, სწრაფად მოიხსნა და ოლილეს გაუწოდა:

— აჰა, ჩემი ხმალი!

— შენ რა, ბრძოლას არ აპირებ?! — თვალები აახამხამა ღრაჰმა პირველმა, — ვის გაუგია უხმლო სარდალი?! —

— ბრძოლას მე უხმლოდაც ვუსარდ-

ლებ! — დაამშვიდა მეფე უზალთუნ-ამირსპასალარმა.

ძველი მონეტების მხედრიონი ყულაბეთისაკენ დაიძრა.

გზაზე ოლილემ მაკას უსაყვედურა: აკი გაგაფრთხილე, ავგაროზის დაკარგვის ამბავს ნუ გაამჟღავნებო.

— მე არ გამიმხელა, — უპასუხა მაკამ, — მაშინვე მიხვდნენ, რომ ავგაროზი შეცვლილი იყო.

— თუმცა, შეიძლება უკეთესიც არის თაბაშირ მეფის ვერაგობა რომ გამჟღავნდა. შენი წარმომავლობის ნიშანს მხოლოდ იარაღით თუ დავიბრუნებო. სხვა გზა არა გვაქვს.

— ვერ მიაგენი?

— რას მიაგნებ, მზის ასულო, ალბათ ცხრაკლიტულში აქეთ გადამალული... ამ საუბრით მიაღდგენ ყულაბების სამეფოს.

ყველა ყულაბა ცარიელია

ოლილე მართალი გამოდგა.

არავითარი ომის სამზადისი არ ეტყობოდა ყულაბეთს. პირიქით, თაბაშირის მეფე ფრიად გოცებულა კიდევ, როცა მოუხსენებიათ, — ჩვენი ქალაქი ძველი მონეტების სამეფოს მხედრიონს ალყაში მოუმწყვდევიათ.

თაბაშირ მეფე თავისი ყულაბების ამალითურთ იახლა მეფე ღრაჰმა პირველს და დიდი გაკვირვება და სინანული გამოთქვა.

— ვუუხვარ და გამკვირვებია, მეზობელო, ჩემი პატიოსნება სასწორზე რომ შეგიგდია. მე კარგად არც კი მესმის, რას მედავებთ.

— რას? ავგაროზს, უკანონოდ რომ მიითვისე! — ცოტა არ იყოს უქმეხად უპასუხა თავის ძლიერებაში ღრმად დარწმუნებულმა მეფე ღრაჰმა პირველმა.

— ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ მე პატიოსანი კაცი ვარ და ცილისწამებისათვის პასუხსაც გაგებინებთ! — დაემუქრა ბოლოს ნაწყენი თაბაშირის მეფე.

— როგორ დამიმტკიცებ?

— წამობრძანდი, მეზობელო, შენი ნაზირ-ვეზირებთანა და საკუთარი თვლით ნახე.

— რა ვნახო?

— რასაც გაჩვენებ.

— არ დათანხმდეთ, მეფეო — წამობრძანა აბაზ-ვეზირმა, — ყველას შეგვიტყუებს და რაიმე ხიფათს შეგვიამთხვევს.

— ეს უნდობლობა რაღაა, მეზობელო?! — ისევ ვაბრაზდა თაბაშირის მეფე, — სად უნდა შეგიტყუოთ, როცა მთელი ჩემი სამეფო თქვენს ალყაშია მომწყვდეული.

— წაყვეთ, ერთი ვნახოთ, როგორ დაგვიმტკიცებს! — რიხიანად წარმოთქვა უზალთუნ-ამირსპასალარმა და ხელი ხმალს იკრა, მაგრამ ხმლის ვადას ვერ მიაგნო და ახლალა გაახსენდა, რომ იარაღი საბრძოლველად სხვას ათხოვა.

— მე ძალიან იწყებდა გული, — ბუ-

არჩილ სულაჯაური
ჯაფონხური კაბა



ხუნებდა თაბაშირ ოცდამეშვიდე, — რომ შენ ასეთი ცუდი თვალით მიყურებ, მეზობელო. მე ყოველთვის კეთილმეზობლობას ვჭადაგებდი და ქადაგებას ვახორციელებდი კიდევ.

თაბაშირის მეფემ კეთილმეზობლობასა და პატიოსნობაზე იმდენი ილაპარაკა, თანაც ისე გულისამაჩუყებლად, რომ მაკას კინალამ ცრემლი წამოსცივდა. ნეტა რას ერჩით ამ კეთილ მეფეს. ავგაროზი ალბათ სხვამ გამომიცვალაო.

თაბაშირის მეფემ საომრად მოსული მეზობლები თავის სასახლეში მიიწვია, — ახლავე დაგიმტკიცებთ სიმაართლესო.

დიდ დარბაზში მეფეები გვერდი-გვერდ დასხდნენ.

მაკას ცნობისმოყვარეობამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა. მოთმინება აღარა ჰყოფნიდა.

ძალიან,

ძალიან,

ძალიან უნდოდა გაეგო, როგორ დაამტკიცებდა თაბაშირის მეფე თავის სიმაართლეს.

— სარკე! — დაიგრგვინა თაბაშირ ოცდამეშვიდე.

ფარეშებმა, თითქოს ვაჩენის დღიდან ამ ბრძანებას ელოდნენო, იმ წამსვე შემოარბენინეს სარკე და ორივე მეფის წინ ააყუდეს.

მაკამ გოაცებისაგან კინალამ შეჰყვირა: სარკე შუაზე იყო გაბზარული.

თაბაშირის მეფე ტახტიდან წამოდგა და გაბზარული სარკის წინ მსუბუქად დატრიალდა.

— აბა, სად არის ოქროს ავგაროზი? ხომ ხედავთ, რომ ცარიელი ვარ!

სარკე, როგორც უკვე იცით, გაბზარული იყო და მის წინ მდგარ ყულაბას ორად ირეკლავდა. სარკის მარჯვენა ნაწილში ყულაბის გარეგნობა მოჩანდა, ხოლო მარცხენა ნაწილში — ყულაბის შიდა მოცულობა, ეს სარკე ნამდვილად ჯადოსნურიყო, — თქვა მაკამ და განსაკუთრებით სარკის მარცხენა ნაწილს დააკვირა.

— მეფე ცარიელია! — თქვა მაკამ.

— აკი მოგახსენეთ, ცარიელი ვარ, მეთქი! — კმაყოფილი თაბაშირ ოცდამეშვიდე სარკის წინ ტრიალებდა და ბუზუნებდა, — ცარიელი ვარ, ცარიელი!

სარკის მარცხენა ნაწილში აშკარად ჩანდა, რომ თაბაშირის მეფეს არაფერი არ ჰქონდა გადაყლაპული და ცარიელი იყო.

— მეფე მართლა ცარიელი ყოფილა. — აღიარა ყველამ ერთხმად.

თაბაშირ ოცდამეშვიდე კმაყოფილი დაუბრუნდა თავის ტახტს და დაიქუხა: — აბა, ვინ არის შემდეგი?!

შემდეგ პირველი დიდებული გამოცხადდა და ისიც სარკის წინ მსუბუქად დატრიალდა.

პირველი დიდებულიც ცარიელი აღმოჩნდა.

— ცარიელია? — იკითხა სახეგაბადრულმა თაბაშირის მეფემ.

— ცარიელია! — უპასუხეს ერთხმად.

— შემდეგი!

ახლა მეორე დიდებული დაბზარულადა სარკის წინ.

— ცარიელია?

— ცარიელია!

მერე მესამე ვეზირი დაპროწილდა. ეს ყულაბა ყველაზე მსუბუქი ჩანდა.

— ცარიელია?

— ცარიელია.

დიდებულები თავისი ფარეშებიანად რომ ჩამოთავდნენ, ისევ დაიგრგვინა სიხარულისაგან ამჩატებულმა თაბაშირის მეფემ: — ახლა ჩემი სამეფოს ყველა მკვიდრი შემოიყვანეთო!

გაიღო კარი და ყულაბების გაუთავებელი მსვლელობა დაიწყო.

შემოდრიოდნენ და სარკის წინ ტრიალებდნენ:

დიდვაჭრები,

ქორავაჭრები,

მელუქნეები,

მეწვრილმანეები,

ყასბები,

მეთულუხჩეები...

სხვადასხვა ჯურის ხელოსნები.

მჭედლები,

კალატოზები,
დურგლები,
მკალავები,
თერძები,
მეწაღეები
დალაქები...

— ცარიელია! ცარიელია! — გაპყვი-
როდა გახარებული თაბაშირის მეფე. —
ახლა ხომ დარწმუნდით, ხომ ნახეთ?!
— იგი სიცილ-ხარხარით აცილებდა
ყოველ ყულაბას, თან კმაყოფილი მხა-
რზე უტყაპუნებდა ხელს;

— ყოჩაღ, ყოჩაღ, მასახელეთო!
სხვთა შორის, მაკა კარგად გაერთო
და გამხიარულდა ამ გასართობით, —
არ მეგონა, თუ ქვეყანაზე ამდენი ყუ-
ლაბა არსებობდაო.

შემდეგ პირუტყვი შემოლაღეს:
კამეჩები,
ხარები,
ძროხები,
ცხენები,
ჯორები,
სახედრები,
ცხვრები,
თხები,
ძაღვები,
კატები...

— ცარიელია! — ბლაოდა აღტაცე-
ბული თაბაშირის მეფე.

შემდეგ ფრინველი დაიძრა:
ციცრები,
ქათმები,
გედები,
ბატები,
იხვები.

— ცარიელია! ცარიელია!
მაკამ შემოსულთა შორის ფლამინგო
რომ ვერ დაინახა, გული დაწყდა. ხედავ,
რა ამაყია, — თქვა გონებაში, — აქ შე-
მოსვლა არ იკადრა. მერე ფიქრში დას-
ძინა, — ისე ზვიადად იდგა ცალ ფეხ-
ზე, რომ აქ შემოსვლას ნამდვილად არ
იკადრებდაო.

უკანასკნელი იხვი რომ გაბაჯბაჯდა.
მაკამ წამოიძახა:

— ყველა ყულაბა ცარიელია!
— ყველა ყულაბა ცარიელია! — გა-

იმეორეს გაოცებულმა ძველმა მონე-
ტებმა.

— მაშ, რა გეგონათ! — გაიცინა სა-
კუთარი სიმართლით გაამაყებულმა
თაბაშირის მეფემ, — თქვენ კი საომ-
რად მოდიოდით!

— აჟი მოხეტიალე მუსიკოსმა გვი-
თხრა, — გახვრეტილი კაპიციც არ მო-
ქეცვებათო, — ხარხარებდა უზალთუნ-
ამირსპასალარი, — ყველა ყულაბა ცა-
რიელია!

— არ არის ცარიელი ყველა ყულა-
ბა! — დაიყვირა ვილაცამ გარედან.

თაბაშირის მეფე შეკრთა.
— როგორ თუ არ არის ცარიელი?!
ორმა ნახევარგროშიანმა მეომარმა
დარბაზში ერთი ქორვაჭარი შემოათრ-
რია. საწყალი ყულაბა ისე იყო შეში-
ნებული, რომ კაცის ფერი აღარ ედო.
ქორვაჭარი თაბაშირ ოცდამეშვიდეს
წარუდგინეს.

— ყულაბაში რაღაც ჩხარუნებს! —
განაცხადეს ნახევარგროშიანმა მეომ-
რებმა.

ყველამ მრავალმნიშვნელოვნად გა-
დახედა ერთიმეორეს.

— შეუძლებელია, — თქვა ოდნავ
დამშვიდებულმა თაბაშირ მეფემ, —
ახლა არ ვავსინჯეთ და ცარიელი აღ-
მოჩნდა!

— აბა, სარკის წინ დააყენეთ, ვნა-
ხთ რა ჩხარუნებს! — ესეც მეფემ
თქვა, ოღონდ დრაჰმა პირველმა.

შეშინებული თაბაშირის ქორვაჭარი
სარკის წინ დააყენეს.

— ჩემი ბრაღი არ არის, თვითონ ჩა-
მაყლაპინა თავი! — იმართლებდა თავს
ქორვაჭარი.

დარბაზს გაოცების შეძახილი აღმოხ-
და.

გაბზარული სარკის მარცხენა მხარეს
გარკვევით დაინახეს ყულაბაში მომწ-
ყვედული გახვრეტილი კაპიციც.

სწორედ ის გახვრეტილი კაპიციანი,
რომელმაც გზაში ამაყად წარმოთქვა:

არჩილ სულაპური
ჯალღონდური აბაბ



ყველა მეომარი მეფობაზე თუ არა, ამირსპასალარობაზე მაინც უნდა ოცნებობდესო.

დარბაზს უცებ გადაუარა გაცემების ტალღამ. ახლა მხიარულებამ მოიცვა ყველა. ხარხარებდნენ, ხორხორებდნენ, ყულაბაში ჩაედებულ გახვრეტილ კაპიანს დასცინოდნენ.

— მაინც საიდან გაჩნდა აქ ეს გახვრეტილი კაპიკიანი? — დაეჭვდა რატომღაც თაბაშირ მეფე.

— წედან როგორც კი გამოსინჯეთ, — დაიწყო თავის მართლება ქორევაჭარმა, სუფთა ჰაერზე გავედი. გავედი და ეს კაპიკიანი მეომარი გადამეკიდა... რა ვიცოდი, თუ გახვრეტილი იყო, თავზე ჩაფხუტი ეხურა.

— მაინც რაო? რა მინდაო? — არ მოეშვა თაბაშირ მეფე.

— რა და ის ავგაროზი შენა გაქვსო. მე ვუთხარი, არა მაქვს-მეთქი. არ დამიჯერა, — აბა ჩამახედო. მაშინვე მოაჯირზე შეხტა, მოაჯირიდან მხრებზე გადმომასკუბდა და ჩამხედა. თან შარი მომლო, — შიგ ბნელა და არაფერი ჩანსო. კარგად ჩაიხედე-მეთქი, — ვუთხარი. ისიც გადაიხინჯა, ჯერ თავი ჩაპყო, მერე მხრები და შიგნით დამიწყო თვალღერება. მაინც მიყვიროდა, მტუქსავდა, — არაფერი მოჩანსო. ცოტა კი-

დეგ გადაიწიე-თქო — ვურჩიე. ისევე გადაიწია. მეც კაცი ვარ, გულმა ვეღარ გამიძლო და ოდნავ წაეკარი თითი... ეს იყო და ეს! უცებ გავიგონე, კაპიკიანმა როგორ გაადინა ზღართან.

— ეგეც ეგე! — დაიბუხუნა თაბაშირის მეფემ, — ახლა ხომ ვეღარ იტყვიან, გახვრეტილი კაპიკიც აღარ მოეძვეებათო.

დარბაზმა კიდევ ერთხელ გადაიხარხარა.

საბრალო გახვრეტილი კაპიკი გულხელდაკრეფილი იჯდა ყულაბაში. ძალიან მოწყენილი ჩანდა.

მაკამაც ბევრი იცინა, ბოლოს, როცა ეგონა, ყველა ყულაბა ჩამოთავდაო, დარბაზში ნაცნობი თაბაშირის გოშია შემოტუნცულდა. დაბნეული და გაკვირვებული აცეცებდა თვალებს. ყველაფერს უთავბოლოდ აწყდებოდა. მერე თაბაშირ მეფისკენ წამოვიდა და სარკის წინ დასკუბდა.

თაბაშირ მეფემ გაბზარული სარკის მარცხენა ნაწილს დახედა და, — ესეც ცარიელიაო! — იქუხა გახარებულმა. ქუხილმა გოშია დააფრთხო.

კულამოძუებული გავარდა გარეთ. ოღონდ ეს კი იყო, სწორედ იქ, სადაც ჩაცუქებული იჯდა, გოშიამ პატარა ტბორი დატოვა.

პარღისფერი ფლამინგო

რა თქმა უნდა, სიცილი და მხიარულება კარგია, მაგრამ ძველი მონეტები აქ იმისათვის ხომ არ ჩამოვიდნენ, რომ მხოლოდ იცინონ და იხარხარონ. მათ ოქროს ავგაროზის დაბრუნება სურთ.

თუმცა რის ოქროს ავგაროზი, როცა ყულაბაში გახვრეტილი კაპიკის მეტი არაფერი აღმოჩნდა.

მაშ, რა იქნა ოქროს ავგაროზი?

— იქნება ავგაროზი სულაც არ ყოფილა ოქროსი? — ეჭვი გამოთქვა თაბაშირ ოცდამეშვიდემ, — იქნებ ავგაროზი თავიდანვე ყალბი იყო?

(როგორც კი სიტყვა „ყალბი“ ითქ-

ვა, უზალთუნ-ამირსპასალარი ღია ფანჯარას მიადგა და ეზოს გადახედა).

— ყალბი? — იკითხა დარბაზმა.

— რასაკვირველია, ყალბი იყო! — საბოლოოდ დასვა ბეჭედი თაბაშირის მეფემ, — ამ სსსაცილო თოჯინას ვინ მისცემდა ოქროს ავგაროზს?

— ჩემი ავგაროზი ყალბი არ ყოფილა! — სცადა წინააღმდეგობის გაწევა მაკამ.

— რა იცი შენ, ყალბი იყო თუ არა?! — შეუტია თაბაშირის მეფემ და მაკა გააჩუმა, — მე დარწმუნებული ვარ, რომ ყალბი იყო!

— მეც! — დაუდასტურა პირველმა თაბაშირის დიდებულმა.

უცებ ყველამ, თითქოს გულზე დაწოლილი მძიმე ლოდი მოიშორესო, შვებით ამოისუნთქა. სიხარულისგან ყველა აყვირდა და აბღავლდა: ყალბი იყო, ყალბიო!

უზალთუნ-ამირსპასალარი ერთხანს გაყუჩებული იდგა, მერე ამ ღრიანცხელს თვითონაც შეუერთდა. ცმუკავდა, ხტოდა, ყველაზე ხმამაღლა გაჰკვიოდა: მართალია, ყალბი იყოო!

თაბაშირ მეფემ მკერდიდან ჩამოგლიჯა მაკას ყალბი ავგაროზი და იქვე გაკვინტა. მერე პირველმა დიდებულმა გაჰკრა კბილი, მერე მერე დიდებულმა, ხოლო უზალთუნ-ამირსპასალარს ყალბი ავგაროზი ხელში შემოეჭამა.

— აბა, — დაიგრგვინა თაბაშირ მეფემ, — რა გუყოთ მშვენიერ მზის ასულს?

(თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ „მშვენიერი მზის ასული“ დაცინვით იყო წარმოთქმული).

- გავაძევოთ!
- გავაძევოთ!
- გავაძევოთ!

გაჰყვიროდნენ თაბაშირის ყულაბები და ძველი მონეტები.

— „მშვენიერო მზის ასულო“, შეგიძლიათ მიბრძანდეთ! — ვითომ თავაზიანად, სინამდვილეში კი გესლიანად უთხრა თაბაშირის მეფემ.

— დიახ, დიახ, მიბრძანდით! — დაუცაცხანა მეფე დრაჰმა პირველმა, შენი გულისთვის კინაღამ კეთილი მეზობლები წაეჩხუბებთ ერთმანეთს.

მაკას ცრემლები ახრჩობდა, ძლივს იკავებდა თავს. ირგვლივ მიმოიხედა. ყველა დასცინოდა, ყველა უყვიროდა, აბუჩად იგდებდა.

— მიბრძანდი, მზის „მშვენიერო“ ასულო!

- შენი ადგილი აქ არ არის, „კეთილო“ თოჯინავ!
- ყალბო!
- თვალთმაქცო!

— ვინც მოგიტყუებია, ის მოატყუე, ფერიავ!

— აბა სწრაფად მოუსვი აქედან! — შენი ფეხი აქ აღარ იყოს! მაკა უხმოდ გაემართა კარისაკენ. დარბაზი ისეთი ღრიანცხელით მიაცილებდა, რომ საბრალო გოგომ ყურებზე ხელებიც კი აიფარა.

ასე გაიარა დარბაზი დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა.

- კიბეზე ნელი ნაბიჯით დაეშვა.
- ეზოში ოლილე შეხვდა და ჰკითხა:
- მაკა, რატომ ხარ მოწყენილი?
- სასახლიდან გამომამძევეს.
- გამოგამძევეს? — აღშფოთდა ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი. — რატომ, რატომ გამოგამძევეს?!

— ცილი დამწამეს, შენი ავგაროზი ყალბი იყოო!

— ჯანდაბას მაგათი თავი! დამშვიდდი, მზის ასულო, ვანა იმ ავგაროზზე ღირს ამდენი წუხილი.

— ოლილე, — უთხრა მაკამ, — ის ავგაროზი ნამდვილად თაბაშირ მეფესა აქვს გადამალული.

— ჯანდაბას თაბაშირ მეფე! წავიდეთ აქედან...

— შენ არ იცი, ოლილე... ბატონმა ბუმ მითხრა: ეცადე, მაკა, ავგაროზი არ დაჰკარგო. შენს ხელში ის სიკეთეა, სხვის ხელში კი — ბოროტებაო. ამიტომ როგორმე უნდა დავიბრუნო...

ამ საუბრით მაკა და ოლილე ტბორს მიუახლოვდნენ. სასახლის ღია ფანჯრიდან ისევ მოისმოდა სიცილ-ხარხარი.

ტბორში გედები და იხვები დასრიალებდნენ. ტბორის შუა გულში ისევ ცალ ფეხზე იდგა ფლამინგო.

— ოლილე, ოლილე! — გაიგონეს მაკამ და მოხეტიალე მუსიკოსმა ჩუმი ძახილი.

ოლილეს ფლამინგო ეძახდა.

— რა კარგად მღეროდი, ოლილე! შენმა სიმღერამ ჩემი სამშობლო მომაგონა... მადლობელი ვარ, ოლილე!

არჩილ სულაბაძური
ჯადონაშური ბაბა



— სად არის შენი სამშობლო? —
კითხა ფლამინგოს მაკამ.

— შორს, ძალიან შორს, ცხრა მთისა
და ცხრა ზღვის გადაღმა. — უბასუხა
ფლამინგომ ნაღვლიანი ხმით, — მე მო-
ჯადოებული ვარ და ალბათ ვერასოდეს
ვერ დავიხსნი თავს ამ ჯადოსაგან და
ვერასოდეს ვერ ვიხილავ ჩემს სამშობ-
ლოს.

— ვის შეუძლია შენი განთავისუფ-
ლება?

— ჩემი განთავისუფლება მხოლოდ
მე შემიძლია, ოლილე!

— როგორ?

— სიკეთე უნდა ჩავიდინო.

— მერე? ნუთუ აქამდე სიკეთე არ
ჩავიდენია?

— რახან ისევ თაბაშირის მარწუხებ-
ში ვარ მომწყვდეული, ეტყობა, არ ჩა-
მიდენია... ანდა რა სიკეთის ჩადენა შე-
მიძლია მე?! მე ხომ ახლა ყულაბა ვარ,
ფლამინგო — თაბაშირის ყულაბა!

მაკა და ოლილე დაძაბული უსმენდ-
ნენ ფლამინგოს.

— მე არ მინდა თაბაშირის მეფის
თანამზრახველი ვიყო, მისი ბოროტების
მოზიარე... მე მინდა კეთილი ვიყო, მე
მინდა თავისუფალი ფლამინგო ვიყო...
თავისუფალი ფლამინგო კი ყოველთვის
შესძლებს სამშობლოში დაბრუნებას.

ნაღვლიანი ხმა რამდენიმე წამით
შეწყდა.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, მაკამ სა-
კუთარი გულის ცემაც კი გაიგონა.

— ოლილე, — თქვა ფლამინგომ, —
ვერაგმა თაბაშირის მეფემ ოქროს ავ-
გაროზი ფლამინგო-ყულაბაში გადამა-
ლა, მზის ასულის ოქროს ავგაროზი!

— ჩემი ავგაროზი?!. — წამოიძახა
გახარებულმა მაკამ.

— დიახ, შენი ოქროს ავგაროზი,
მზის ასულო. მე არ მინდა ქვეყნად
ბოროტება იმალებოდეს... მე მინდა ოქ-
როს ავგაროზი თავის პატრონს დაუბ-
რუნდეს...

მაკამ და ოლილომ უცებ ტყავის
იგონეს. ჯერ ვერ მიხვდნენ რა ხმა იყო.
ხოლო მეორედაც რომ ვაისმა იგივე
ხმა, დაინახეს კიდევ, როგორ დაიბზა-
რა მთლიანად ფლამინგო-ყულაბა.

მერე თაბაშირის ნამტვრევები ტბორ-
ში ჩაცვივდა. ყულაბის ნაცვლად ტბო-
რში ამოზრდილი პატარა კუნძული ნა-
მდვილი, ცოცხალი ფლამინგო იდგა.
ნიავეა დაუბერა და ფლამინგოს ნაწი,
ვარდისფერი ზუმბული აუშალა.

ვარდისფერი ფლამინგო მობრუნდა
და მაკამ დაინახა გრძელ კისერზე ძეწ-
კვით ჩამოკიდებული ოქროს ავგაროზი.
ვარდისფერმა ფლამინგომ თავისი მო-
კაუჭებული ნისკარტით მოისხნა იგი და
ტბორი გამოტოვა.

ნაპირთან მოსულმა ავგაროზი მაკას
გაუწოდა.

მაკამ, პირველად თავის ცხოვრებაში,
ხმის ამოღება ვერ მოახერხა. მადლი-
ერების გრძნობამ წამით დააშინჯა.

— მე უკვე თავისუფალი ვარ! ბედს
ალარ ვემდური. ერთი სიკეთე ამქვეყ-
ნად მეც ჩავიდინე! — თქვა ვარდისფე-
რმა ფლამინგომ, მერე პატარა მანძილი
გაიბრინა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და
ცაში აიჭრა.

თაბაშირის გედებმა, ბატებმა და იხ-
ვებმა სევდიანი მზერა გააყოლეს ფრთა-
გაშლილ მეგობარს, რომელმაც მათ
თავზე გადაუფრინა და ბედნიერი ხმით
ჩამოსძახა:

— მშვიდობით, მეგობრებო!

— მშვიდობით ფრენას გისურვებთ,
მეგობარო! — დაადვენეს კეთილი სუ-
რვილები გედებმა, ბატებმა და იხვებმა.

ბედნიერმა ფრინველმა კიდევ ერთ-
ხელ შეჰკრა კამარა და ახლა ოლილეს
და მაკას დაემშვიდობა.

— მშვიდობით, მზის ასულო! მშვი-
დობით, ოლილე — დიდებულო მომღე-
რალო! შენმა სიმღერამ შთამაგონა სი-
კეთე, მშვიდობით!

— მშვიდობით იფრინე, კეთილო
ფლამინგო!

— მზის ასულო, მზის ასულო! — გაიგონა მაკამ შემპარავი, უჩვეულოდ მთრთოლვარე ხმა და გვერდზე მოიხე-და.

იქვე მათხოვარივით ხელგაშვერილი, ჩამოქნძილი ვერცხლის მონეტა იდგა. სწორედ იმ ოცდაათ ვერცხლიდან ერთერთი, რომელიც იუდას მისცეს, ქრისტე რომ გაცეცა.

— შემობრალე, მზის ასულო, — ევედრებოდა ვერცხლი, — ორიათასი წელი ამ დღეს ველოდებოდი. ნუთუ ოცი საუკუნე ტანჯვა საკმარისი არ არის?! არავინ არ იცის, რამდენი დამცირება, რამდენი შეურაცხყოფა ავიტანე, ჩემი ბრალი არ არის, მზის ასულო, რადგან მე არ ვიცოდი, რას ვიქმოდი.

ვერცხლმა ღრმად ამოისუნთქა, სული მოიბრუნა და განაგრძო:

— განა სხვა მონეტები ჩემზე პატიოსნები არიან?! გინდა მეფე დრაჰმა პირველი, გინდა მისი ნაზირ-ვეზირები. ყოველ მათგანს ჩემზე მეტი ცოდვა აწევთ, ჩემზე უფრო მეტად აქეთ სინდისი ცოდვებისაგან დამძიმებულნი. ღალატი, სიცრუე, მკვლელობა... აი მაგათი გზა დიდებისაკენ... მაგრამ მე რაკი ერთხელ გამიტყდა სახელი, ყველამ თავისი ბინძური ხელი ჩემზე შეიწმინდა... შემობრალე, მზის ასულო, შემინდე!.. გამიცვალე შენი ავგაროზი...

— ოლილე, წავიდეთ აქედან... — უთხრა მოხეტიალე მუსიკოსს მაკამ, —

რაც შეიძლება მალე გავეცალოთ აქაურობას.

— წავიდეთ მზის ასულო.

— ნუთუ ჩემი საშველი არ არის, ღმერთო! — შეპლადადა ცას ვერცხლმა.

ვერცხლის თვალეზში ბოროტმა ნაპერწკალმა გაიელვა.

— მაშ, ეგრე არა? — წამოთქვა მუქარით ოცდაათ ვერცხლთაგანმა და სასახლისაკენ გაიქცა. თან უკან-უკან იხედებოდა და გესლიანად იღიმებოდა. სასახლესთან მისულმა ხმამალა დაიძახა:

— ჰეი, მეფეო, კარში გამოდი! შენი ფლამინგო გაფრინდა, შენი ფლამინგო გაფრინდა!

— ფლამინგო გაფრინდა!

— ფლამინგო გაფრინდა!

დაირხა უცებ ხმა. ამ ცნობამ მთელი სასახლე ფეხზე დააყენა.

— ფლამინგო გაფრინდა?! — იღრიალა თაბაშირის მეფემ და გარეთ გამოვარდა. — ჩემი ოქროს ავგაროზი რაღა იქნა?!

— რომელი ოქროს ავგაროზი? — იკითხა გოცეხულმა დრაჰმა პირველმა.

— ის, ის, რომელსაც თქვენ ეძებდით, — თითქმის ტირილით უპასუხა თაბაშირ მეფემ, — ფლამინგომ გაიტაცა!

— ფლამინგოს ვინ მისცა?

— მე შევინახე, მე გადავმალე ფლამინგო-ყულაბაში!

მამა გარბის

აქ მოხდა, რაც მოხდა!

დრაჰმა პირველმა ველარ მოითმინა და თაბაშირის მეფეს თაღლითი უწოდა. როგორ თუ თაღლითი მიწოდო, გაბრაზდა თაბაშირის მეფე და მეფე დრაჰმა პირველს სილა გააწვნა.

ჩვენს მეფეს სილა გააწვნისო! — იხუვლეს ძველმა მონეტებმა, ხმლები იზიშვლეს და ყულაბებს დაერივნენ.

ყულაბებმაც დააძვრეს მახვილები...

ატყდა საშინელი ომი.

— ოჰ, ხმალი, მთელ ყულაბეთს ერთ ხმალში ვაძლევ! — ყვიროდა უზალთუნ-ამირსპასალარი, გამწარებული დარბოდა ეზოში და ხმალს ეძებდა.

არჩილ სულააკაური
ჯადოსნური კაბა

— მაშ, ჩემს სამეფოს ერთ ხმალში აძლევ, არა?! — თაბაშირის მეფემ ხელი წაავლო უხალთუნ-ამირსპასალარს და შუა ტბორში მოისროლა.

ტბორი, მართალია, სახელგანთქმულ სარდალსა და ურჩხულთა შემმუსგრელს წელამდე მისწვდა, მაგრამ თავიდან ფეხებამდე გაწუწულმა ნაბირზე გამოსვლა მაინც ვერ მოახერხა. ეტყობა ფსკერი შლამიანი იყო და უძლეველი ამირსპასალარი შლამში ჩაეფლო. მეფე დრაჰმა პირველი კიბეზე დაგორდა და წელი ველარ აითრია.

სასახლის დარბაზებში, კიბეებზე, ბაღში, ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ვერ გაარჩევდი, ვინ ვის ებრძოდა.

— ავგაროზი ფლამინგოს არ გაუტაცია, — დაიძახა ოცდაათვერცხლთაგანმა და გესლიანად გაიცინა, — იგი მზის ასულს დაუბრუნა ფლამინგომ!

ყველა მონუსხულივით გაქვევდა.

სულ დაავიწყდათ, ერთი წამის წინ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ ჰქონდათ გამართული.

ძველი მონეტებიცა და ყულაბებიც მაკას მიაჩერდნენ: მის მკერდზე ნამდვილად ბრწყინავდა ოქროს ავგაროზი, რომელზეც მზის სახე იყო ამოტვიფრული!

ყველას ერთხმად აღმოხდა გმინვა.

ოლილე მხალი იძრო და მაკას აეფარა.

— მაკა, გაიქეცი! — უბრძანა მოხეტიალე მუსიკოსმა, — ჩქარა, სანამ

ალაყაფის კარი ღიაა, თავს უშველე! ამათ კი მე შევაჩერებ.

— შენ? შენ რა გეშველება, ოლილე?! შეშფოთდა მაკა.

— მე ესენი ვერაფერს დამაკლებენ. სანამ გონს მოსულან, გაიქეცი, მზის ასულო!

მაკა ალაყაფისაკენ გაიქცა.

გაიქცაო! — იბღავლეს ძველმა მონეტებმა და ყულაბებმა. ყიყინითა და ღრიანცელით დაედევნენ მზის ასულს.

შეშინებულმა მაკამ მოიხედა და დაინახა: ხმალშემართული ოლილე გაგიჟებულ ბრბოს წინ გადაეღობა და თავგანწირული ბრძოლა გაუშართა.

— ოლილე! — დაუძახა მაკამ, — ოლილე!

— ვასაწარი მაკა, თორემ მერე გვიან იქნება.

ოლილე, რა გინდ ვაჟკაციც არ უნდა ყოფილიყო, ყველას ერთად ვერ შეაჩერებდა. რამდენიმე ნახევარგროშიანი მეომარი და თაბაშირის ყულაბა მაინც დაუსხლტა.

ძველი მონეტები და ყულაბები გამწარებული მისდევდნენ მაკას.

მაკა გარბოდა.

სულ რამდენიმე ნაბიჯიღა დარჩა ალაყაფამდე. უკვე გარკვევით ესმოდა მაკას მდევრის ნაბიჯების ხმა.

წამიც და დაეწეოდნენ

მაკამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. მხოლოდ ერთი ნაბიჯით მიასწრო.

მაკა მთელი სისწრაფით გაიჭრა ვალენიდან და ალაყაფის კარი მოაჯახუნა.

ისევ ბატონი გუ და ქალბატონი კატო

მაკა კარს ზურგით მიაწვა, ისე მაგრა მიაწვა, რომ თვალებიც კი დახუჭა.

დაღლილი მძიმედ სუნთქავდა.

გამალებით უტემდა გული.

დარწმუნებული იყო, გაგიჟებული ძველი მონეტები და თაბაშირის ყულაბები კარს მოაწებოდნენ და შემოვლევდნენ. მაკას საკუთარი ძალის იმედი არა ჰქონდა, — ნამდვილად გაა-

ღებენ კარს და ავგაროზსაც წამარბამევენო.

მაგრამ ვალენიდან ჩამოიხუმი არ ისმოდა. არც ხმაური, არც ყიყინა, არც ღრიანცელი. კარსაც არავინ ეჯავჯურებოდა.

თვალეები ისევ გაახილა.

ირველივე ჩამოწოლილი სიბნელე, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა. თუმცა ამ

სიბნელისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

მაკა ახლა მხოლოდ ოლილეზე ფიქრობდა, — ნეტავი როგორ დააღწევს თავს გაბოროტებულ ყულაბებსა და ძველ მონეტებსო.

— ალბათ კიდევ კარგა ხანს მომიწევს ცლა, იმდენი მტრისაგან თავის დაღწევა არც ისე იოლიაო, — თქვა ხამამღლა და კარს მოსცილდა, — ან სიბნელეში სადმე დავიმალები და ძველი მონეტები ვეღარ მომნახავენო.

გარემო, სადაც ამქამად მოხვდა, რადიკალურად ეცნაურა. გულმა რეჩხიცი კი უყო და სწრაფად ალაცაფის კარისკენ მიტრიალდა.

კარი აღარსად იყო.

— ალბათ ბნელა და იმიტომ ვერ ვხედავო, — დაამედა საკუთარი თავი, მაგრამ თვალი სიბნელეს მალე შეეჩვია.

კარს მაინც ვერ მიაგნო.

— ოჰ, რა ეშველება ოლილეს თუ იმანაც ვერ მონახა კარი?! — წუხდა მაკა, თან გამწარებული აქეთ-იქით აწყდებოდა, — ასე უცებ თავგზა როგორ დამეზნა, კარი რომ დავკარგეო.

უცებ ნაცნობ კარადას მოჰკრა თვალი, კარადაზე ძველი სურები და დოქები ეწყო, თიხის ჯამები უწესრიგოდ ეყარა.

მაკამ ზევით აიხედა, გატეხილ კრამიტოდან ცა მოჩანდა. ნუთუ ისევ სხვენზე მოვხვდიო, — გაუკვირდა და კარადის ქვეშ გაძვრა.

მერე სპილენძის ხურდა ფულით საცხე ზარდახშას მიადგა. ზარდახშის იქით გაზარული სარკე იდგა.

— ყარამან, ყარამან, — გაიგონა აგრეთვე ნაცნობი ხმა, — გაიდვიძე, ნახე ვინ მოვიდა.

მაკამ მერე კარადას ახედა: გახარებული ქალბატონი კატო ბატონ ბუს აღვიძებდა.

— გაიდვიძე-მეთქი, გეუბნები! ყარამან, ნახე ვინ გვესტუმრა?

ბატონმა ბუმ დაამთქნარა და გაიზმორა, მერე ყვითელი, მრგვალი თვა-

ლები დაახამხამა და ჭოტს მიუბრუნდა:

— რატომ არ მაცლით ძილს, ქალბატონო კატო.

— აბა, ქვევით ჩაიხედე, ყარამან.

— ახლა ყარამანი! — აიფხორა ბუ, სადაური ყარამანი ვარ, გეთაყვათ, მე ხომ სოლომონი მქვია!

— რატომ ყურს არ მივდებ, ყარამან, გეუბნები...

— ქალბატონო კატო, — გააწყვეტინა სიტყვა ბატონმა ბუმ, — მე ყარამანი არ ვარ და ძალიან გთხოვთ ამ სახელს მეორედ ნუ დამიძახებთ. მე აჯამეთის ტყეში დავიბადე. წესიერ და პატიოსან ოჯახში დავიზარდე.

— ყარამან, ნუთუ ვერ იცანი, ჩვენი მშვენიერი მზის ასული.

— განა ჩვენი მშვენიერი მზის ასული დაბრუნდა?

— დაბრუნდა, ყარამან.

— ისევ ყარამანი! ერთხელ და სამუდამოდ გიკრძალავთ, ქალბატონო კატო, მაგ სახელის წარმოთქმას!

— გამარჯობათ, ქალბატონო კატო, გამარჯობათ ბატონო ბუ! — მიესალმა მაკა კარადის თავზე შემომსხდარ ფრინველებს.

— გაგიმარჯოს, კეთილო მზის ასულო! — ორივემ ერთად ჩასძახა მაკას. მერე ბუ ჭოტს მიუბრუნდა და ერთგვარი ღირსების გრძნობით გადასჩურჩულა:

— გაიგონეთ, ქალბატონო კატო, მან მე ბატონი მიწოდა.

მაგრამ ქალბატონ კატოს ბუსთვის ყური არ უთხოვებია. იგი ღიმილით დასცქეროდა მაკას. ეტყობოდა, გულით გაუხარდა მისი მეორედ ნახვა. ეს სიხარული ჭოტს არც დაუმალავს.

— ძალიან მიხარია, მშვენიერო მზის ასულო, ისევ რომ გხედავ.

— გამდლობთ, ქალბატონო კატო.

— სიიდან მოდიხარ! — ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა ბატონმა ბუმ.

არჩილ სულაკაური
ჯადონსურში გაბა



— ყულაბების ქვეყნიდან.
— გაიგონეთ, ქალბატონო კატო, მზის ასული თურმე ყულაბების ქვეყნიდან მოდის.

— გავიგონე, ყარამან, ყრუ ხომ არა ვარ.

— ღმერთო, რას გადამეკიდა ეს ქალი, — ამოიხვნეშა ბატონმა ბუმ, — საიდან მოიგონა ახლა ყარამანი!

— თუ ყულაბების ქვეყანაში იყავი, უსათუოდ ნახავდი თაბაშირის მეფეს? — ჰკითხა ჭოტმა.

— ენახე.

— ისევ ცარიელია? — ახლა ბატონი ბუ შეეკითხა.

— დიახ, ცარიელია.

— გაიგონე, ქალბატონო კატო, თაბაშირის მეფე ისევ ცარიელი ყოფილა.

— ვითხარი, ყრუ არა ვარ-მეთქი, ყარამანი!

ბატონი ბუ გაბრაზდა. კარადის თავზე გაბერილი კარგახანს სცემდა ბოლოს.

— თაბაშირის მეფე დიდი გაიძვერა ვინმეა, — თქვა ჭოტმა — საკვირველია, როგორ გადაურჩა შენი ავგაროზი?!


მაკამ დაწვრილებით უამბო ბუსა და ჭოტს ყველაფერი, რაც თავს გადახდა, როდესაც მაკამ ძველი მონეტების სამეფო და მეფე დრაჰმა ბირველი ახსენა, ჭოტმა წამოიძახა, — ნუთუ ეგ ჩერჩეტი ისევ ცოცხალიაო?! ხოლო უზალთუნ-ამირსპასალარის ხსენებაზე სიცილით გაიგუდა.

ბუსაც და ჭოტსაც ყველაზე მეტად ოლილეს სახელის გაგონება გაუხარდათ, ბატონმა ბუმ ფრთებიც კი გაშალა, სხვენში ერთს ჩემებურად გავინავარდებო, მაგრამ რატომღაც შეიკავა თავი.

— ეჰ, ოლილე, ოლილე, — სინანულით წარმოთქვა, ქალბატონმა კატომ, — რამდენი ხანია შენი სიმღერა აღარ მომისმენია!

დიდი სიხარული მოჰგვარა ვარდისფერი ფლამინგოს ამბავმა.

— მაღლობა ღმერთს, თაბაშირის არ-

ტახებიდან განთავისუფლდა, —  ბატონმა ბუმ.

თაბაშირის არტახების გაგონებაზე მაკას ისევ უგუნებობა მოეძალა. კვლავ ოლილე გაახსენდა და მწარედ ჩაფიქრდა. მარტოდმარტო დარჩენილი მონეტიალე მუსიკოსი როგორ გადაიტანდა იმ განსაცდელს, როგორ გაუძლებდა გამძვინვარებული ყულაბებისა და ძველი მონეტების შეტევას?

თავისი წუხილი მაკამ ბუსა და ჭოტს გაუმხილა.

— ოლილე ვაყაცია!.. ოლილეს ვერ ადვილად ვერ მოერევიან, ვერ დაჩაგრავენ! — ანუგემეს მაკა კარადის თავიდან.

— ოლილეს განსაცდელში ვერ მივატოვებ! — გადაჭრით თქვა მაკამ, მე მინდა ისევ ყულაბების სამეფოში დაებრუნდე!

— მზის ასულო, ეგ ძალიან ძნელი რამ გადაგიწყვეტია, — უთხრა ქალბატონმა კატომ.

— რატომ? განა ასე ძნელია იქ დაბრუნება?

— თითქმის შეუძლებელია.

— შეუძლებელი უნდა შევძლო, — მიუგო მაკამ, — ოლილე ჩემი მეგობარია და როცა ჩემს მეგობარს უჭირს, მე არ შემიძლია გულზელდაკრეფილი ვიჯდე.

ქალბატონმა კატომ ეჭვით გააქნია თავი და ბატონ ბუს გადახედა. ბატონმა ბუმაც მხრები აიჩეჩა, — რა ვქნა, მე ვერაფრით დაგეხმარებო.

— ნუთუ იმ სამ დედაბერს ველარ ვნახავ? — იკითხა მაკამ.

— ნახვით კი ნახავ, მაგრამ... — ქალბატონმა კატომ სათქმელი აღარ დამთავრა, სინანულითა და თანაგრძნობით ჩამოხედა მაკას.

— თქვენ ოღონდ იმ სამ დედაბერს შემახვედრეთ, მერე მე ვიცი, როგორც მოვიქცევი... მე კარგად მახსოვს ის თვალი, რომელსაც მაშინ ხელი დავადე.

— შენ გგონია, მზის ასულო, ის დედაბერები ისევ მაშინდებურად სხედან? არა, ჩემო კეთილო, ისინი ყოველთვის



იცვლიან ადგილებს, ამიტომ ერთი და იგივე თვალს ვერასოდეს ვერ მიაგნებ.

— მე მაინც ვცდი, ქალბატონო კატო! — სცადე! ნათქვამია, ცდა ბედის მონახვერეაო. ოღონდ სამჯერ ხელწაღმად დატრიალება არ დაგავიწყდეს.

მაკა მაშინვე დატრიალდა სამჯერ ხელწაღმა და გაბედული ნაბიჯით გაემართა დედაბრებისაკენ.

— ოო, ჩვენი მზის ასული, უკვე სხვა გოგოა! — გაიგონა მაკამ ბატონი ბუს ნათქვამი. — მისი გული სიკეთით არის სავსე, მას შეუძლია მეგობრებისათვის თავდადება!

— კეთილი და გონიერი გამხდარა მზის ასული. მისი გული სიყვარულით არის სავსე... ბედნიერია მზის ასული!

— ქალბატონო კატო, მე ყოველთვის მჯეროდა მზის ასულისა.

— მეც, ჩემო ყარამან!

— ქალბატონო კატო, ხმას აღარ გაგცემთ, თუ კიდევ ყარამანს დამიძახებთ!

— მაშ, რა დაგიძახო?

— აკი შევეთანხმდით, რომ მხოლოდ სოლომონს დამიძახებდით?!

— ოო, ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო.

— მე არ ვიცი, როდის იყო, ქალბატონო კატო. თუ კიდევ წამოგცდენიათ ყარამანი...

— სახელოვანი, უდიდესი გმირი იყო ყარამანი...

მაკა შორს წავიდა და ბატონი ბუს და ქალბატონი ჭოტის საუბარი აღარ ესმოდა.

როდესაც გვერდიგვერდ მჯდარი სამი ნაცნობი დედაბერი დაინახა, ადგილებისაგან გული დაეწურა. მაგრამ მიღეღვარება მალე დასძლია.

მაკას მოეჩვენა, დედაბრებს ადგილები არ ჰქონდათ შეცვლილი. კარგად დააკვირდა. ნამდვილად ისევე სხედან, როგორც პირველად ვნახეთ.

აქაც სამჯერ დატრიალდა ხელწაღმა და ხელი შუაში მჯდარ დედაბერს მარცხენა თვალში დაუმიზნა.

დედაბრები უხმოდ წამოდგნენ და მარცხნივ ასევე უხმოდ წაფაჩუნდნენ. მერე სადღაც სხვენის სიღრმეში გაუჩინარდნენ.

მაკა გახარებული იყო, ხელი დავადე სწორედ იმ თვალს, რომელიც მინდოდაო.

იღვა და ელოდა.

ელოდა, საცაა კარი გაიღება და კვლავ ყულაბების სამეფოში მოვხვდებო, ჩემს მეგობარ ოლილეს ვნახავ, იქნებ განსაცდელისაგან ვისხნა კიდევო. დიდხანს ელოდებოდა კარის გაღებას.

ამაო!

კარი არ გაღებულა.

სასოწარკვეთილი მაკა ჩაიკეცა და მწარედ ატირდა.

მაკა სხვენიდან ჩამოდის

რჩევისათვის ისევ ბატონ ბუსა და ქალბატონ კატოს უნდა მივმართო, როგორ მოვიქცე, ოლილეს როგორ ვუშველოო, — მაკა სწრაფად წამოდგა და ცრემლი მუტუით მოიწმინდა, კაბაზე დაიხედა, — მტკვარში ვიჭექი და უთუოდ დამესვრებოდაო.

როგორც კი კაბაზე დაიხედა, გოაცებისა და სიხარულისაგან შეჭყვირა და ტაში შემოჰკრა, მაკას ეცვა იგივე საზაფხულო კაბა და ფეხსაცმელი, რომლითაც პირველად სხვენზე ამოვიდა.

მერე საკუთარ ხელებს და ფეხებს

დააკვირდა. ხელები სახეზე, მხრებზე, მკლავებსა და ტანზე მოისვა, — ნამდვილად მე ვარ, თუ არაო.

— საოცრება თუ გინდათ, ეს არის! — წამოიძახა გახარებულმა, — მე ისევ ძველი მაკა ვარ!

მართლაც, სხვენზე მზის ასული მაკას ნაცვლად ჩვეულებრივი მაკა დადიოდა, ოქროსთმიანი მაკა — თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე.

საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო, ჩვეულებრივი მაკა ვარო, მკერდ-

ზეც დაიხედა, — ოქროს ავგაროზი მაქვს თუ აღარაო. ოქროს ძეწვეიანი წარმომავლობის ნიშანი მკერდზე აღარ ეკიდა.

— უჰ, რა კარგია! — ამბობდა თავისთვის, — როგორც ჩანს, ის ერთადერთი სალი თვალი გამოვიცანი. აქი ქალბატონმა კატომ მითხრა, თუ ქექიდან ერთადერთ სალ თვალს მიაგნებ, უსათუოდ ძველ მაკად იქცევით.

ჰოდა, გამოუტყენია ის სალი თვალი და ეგ არის!

ჯადოსნური კაბა რაღა იქნა? ჯადოსნური თეთრი კაბა იქვე მაკას ფეხებთან ეგდო. მაკა დაწვდა და აიღო. ვისაც უნდა იმან ჩაიცივას, მე ამის ჩამცემელი აღარა ვარო, — თქვა და გაეშურა მაღალი კარადისაკენ, რომელზეც ბატონი ბუ და ქალბატონი კატო ისხდნენ. წავალ და შევატყობინებ, რომ ისევ ძველ მაკად ვიქეციო. ალბათ ძალიან გაუხარდებათო.

ერთი კი დაეჭვდა, — ნეტავი ეს ჯადოსნური კაბა ვინ გამოხდო? მაგრამ ამაზე ბევრი არ უფიქრია, რადგან უკვე შეჩვეული იყო ათას უცნაურობას და მოულოდნელობას.

კარადას რომ მიუახლოვდა, ბატონ ბუსა და ქალბატონ კატოს გაუღიმა, ღიმილი პირზე შეაცივდა.

კარადის თავზე ორი გამტვერიანებული ბუ იჯდა, უფრო სწორად — ბუს ფიტულეები. ორივენი შუშის დიდი, ყვითელი თვალებით უაზროდ მისჩერებოდნენ ნახევრადხეულ სივრცეს.

მაკამ ისევ გაიღიმა, ოღონდ ღიმილში ახლა სევდამ გამოჟნა. ზანტად გამოალო კარადის უჯრა და თეთრი სამეგლისო კაბა უჯრაში ჩააბრუნა.

იქვე აყუდებულ საათს შეავლო თვალი. ისრები თორმეტთან შეხვედროდნენ ერთმანეთს და სამუდამოდ გაჩერებულიყვნენ. მაკამ ღიად დარჩენილ კარში ხელი შეჰყო და ქანქარას თითი გამოჰკრა. საათმა გაბრაზებული ხმით გაიჟღარუნა და სხვენის სიჩუმე წამით დაარღვია.

გაბზარულ სარკეზე ისევ მოჩანდა

სალოკი თითით დახატული სასაცილო თოჯინა. რომელსაც ქვემოდ ეწერა.

მაკას აგონდებოდა ძველი მონეტებისა და ყულაბების სამეფოებში უცნაური მოგზაურობა. გაახსენდა მეფე დრაჰმა პირველი და დედოფალი ზუზა; შურ-ვეზირი და აბაზ-ვეზირი, უხალთუნ-ამირსპასალარი, ჭიჭე გროშინი და გახვრეტილი კაპიკიანი; თაბაშირის მეფე, პატარა, სულელი გოშია და ვარდისფერი ფლამინგო.

ოლილე?

ნუთუ ოლილე — მოხეტიალე მუსიკოსი არ გახსენებია?

როგორ არა!

ყველაზე მეტად მოხეტიალე მუსიკოსზე წყდებოდა გული, კეთილსა და მამაც ოლილეზე.

მაგრამ რა უნდა ექნა? ოლილე ზღაპარში დარჩა და ზღაპრიდან უკვე ვეღარავინ გამოიყვანდა. ანდა რა საჭიროა ოლილეს ზღაპრიდან გამოყვანა?! დე, ზღაპარში იცხვოვროს!

თითქმის ყოველ ზღაპარში სიკეთე ბოროტებას ებრძვის — ებრძვის და იმარჯვებს.

დე, ოლილემაც ებრძოლოს ბოროტებას!

ებრძოლოს სიხარბეს, სიცრუეს, გაუტანლობას, ფარისევლობას, მომხვეჭელობას... ერთი სიტყვით, ყოველგვარ სიავეს.

მით უმეტეს, რომ მაკა დარწმუნებულია: ოლილე გაიმარჯვებს!

ამ ფიქრებით გართული მაკა სხვენში ამოჭრილ კარს მიადგა. ქვევით ხის დაბრეცილი კიბე და აივნის ნაწილი გამოჩნდა.

ხის კიბით მაკა აივანზე დაეშვა.

როგორც კი მოაჯირს გადაეყუდა, მეგობრებმა ერთხმად შესახეს:

— მაკა! მაკა! სად დაიკარგე, მაკა.

მაისის ცა მაღალი და უხადოდ ლურჯი იყო.

მაკას ღიდი სიხარულით ეგებოდნენ მკერდი, მას არასოდეს არ გახარებია ასე მეგობრების დანახვა და მათი ხმის ვაგონება!

ეთერ სახვაძე

ჰიმნი საქართველოს

მხრებზე მეცემა ლურჯი სხივები,
მუხლისთავები ლურჯად მეღებვის,
ლურჯდება ჩემი თეთრი მძივები,
წითელი ქვევრი, მრეში ბელელი.

ლილისფერდება ზვინების ფენიც,
ცისფერი ღელე ელავს შუკიდან:
სადაურია ეს ნაზი ფერი?
ეს ჩემი მთების ანაშუქია.

სად არის შენი გზის დასაბამი,
საიდან მოხველ, ჩემო ქართულო,
შენი გამზრდელი სახლი სად არის,
პირველი ცეცხლი,
მზე წარმართული?
საგალობლებო და ჩუქურთმებო,
მაჩვენეთ თქვენი თავდასაწყისი,
მასმინეთ სიტყვა გულდამთუთქველი,
უწინარესი ის ნამზადისი.
პირველი ძარღვი სიდან იწყება,
დროის და სივრცის შუა ხომ არა,
მდულარე ლავის გულში ხომ არა,
იმ პირველყოფილ ცეცხლის მიწებთან?
ჩვენ გუმბათებზე ლაფვარდს მივიკვლევთ
და მზეებს ვძერწავთ წმინდა ოქროდან;
მაგრამ სულ ქვემოთ, საძირკვლისათვის,
ვინ ჭრიდა მიწას და ვის მოჭქონდა
საკუთარ მხრებით მძიმე ლოდები?
ვინ აშენებდა კირით, დულაბით,
ვინ იყო, ჩვენ რომ გველდებოდა
და დიდ ლოდინში ჩამოულამდა?
რა ჩაატანა ასეთი მანც
პატარა ქვეყნის პატარა ფუძეს,
ნაწვავ-ნადაგი, ფერფლით და ნაცრით,
უსაარულობას რომელიც უძლებს?

...ჩემს დიდ სიყვარულს აქვს ნაპირები,
 მას საქართველოს თეთრ-მოლურჯო
 მთები უვლის გარს
 და, რამდენადაც ზე წასულა მთათ სარბიელი,
 იმდენად ღრმია ფსკერი ჩემი სიყვარულისა.
 ნუ მიიჭინებთ,
 ზოგჯერ ძლიერ თუ აზავთდება,
 ლურჯ სიშორეებს თუ მისწვდება მისი თარეში,
 ის ხომ ზღვა არის
 და, როგორც ზღვას,
 მასაც ზღვათაებრ
 აქვს გასასვლელი ოკეანეში.

მე გავათენე, დავაღამე,
 კვლავ გავათენე,
 მთების თავები აღმურს კვესავენ
 და ირთებიან ცეცხლის ვარდებით...
 ვწერ
 და რასაც ვწერ ახლა შენთვის,
 უფრო კენესაა
 და არა მხოლოდ ამდღევანდელი.
 მე მეტირება,
 რომ შენ წახვალ ოდესღაც ჩემგან,
 ხოლო მე დამნთქავს სიწყვილიადე
 და ავი დელგმა,
 რომ შენ შენს ლამაზ მეუღლესთან —
 დრო-ჟამთან ერთად —
 მარადისობის ლურჯ გზებს გაჰკვალავ,
 თვალს მოჰფარდები;
 მე დავრჩები,
 სად და რაგვარად?
 ეგ ვინ შეიტყოს ბედმწერის მეტმა?
 დავრჩები, როგორც მგზავრის უკან რჩება ყანები,
 რჩება ტყეები, მწვანე მთები, ველები მნათი,
 რჩება იმად, რომ ნაკლოვანებით
 შეზღუდულია არსება მათი,
 შენი კი, შენი —
 უნაკლოლო, შეუზღუდველი!

ო, დამიძახე, დამიძახე,
ერთხელ მაინც ხმამალა თქვი ჩემი სახელი,
ო, დამიძახე და მიბრძანე,
გამიმხილე ყოველივე შენი სათქმელი.
ო, დამიძახე, დამიძახე,
და მითხარი, რომ
ჩემი თავი ძლიერ გჭირდება,
რომ დავიჯერო, არ საძრახოდ,
არ ამაოდ,
არამედ მოველ შენს სადიდებლად.
ო, დამიძახე, დამიძახე!
აბა, რისთვის მარქმედი სახელს,
მაძლევდი გვარსა,
ო, დამიძახე იმ ძახილით,
როგორც ეძახდი
დაუვიწყარ ქეთევანს, გვანცას...

ღმერთი ამოდის —

მზე ამოდის —

ღმერთი ამოდის გორიდან გორით,
მე ასლა მხოლოდ მზის გზას გავეცქერი,
მზის მობრძანებას მუდამ ვხვდები
პირისპირ დგომით,
უმაღლეს რწმენით და აღტაცებით.
და მე ვესწრები შენს შემოსვლას ცისფერ დილაში,
ხელახლა შობას ჩემი მიწის და სახილვარის,
და ამის გამო ყველა რიჟრაჟი
დღესასწაულად მე ვაღიარე.
და ვერა ვკადრებ მდურვას სიცოცხლეს,
რაგინდ მტკიოდეს,
რაგინდ მტეხდეს გულის ჭრილობა.
ჩემთვის დავითმენ,
ნაიარევს თვით შევიხორცებ
და ვიამაყებ შენი შვილობით.
რაც შენ მომეცი,
როგორ ძალმიძს გადავირიდო,
ვით მოგიბრუნო ძვირფასი ძღვენი,
გავუფრთხილდები დღეებს ჩემსას
თუნდაც იმიტომ,
რომ მათში ბრწყინავს სატება შენი!

ცხოვლად დაიწყო ცხოვრება დღემან:
 ისე ჩქეფს მზიდან წითელი ქაფი,
 თითქოს სპილენძის ელვარე ქვაბით
 ხარშავენ წითელ, იმერულ ტყემალს.
 შორს სუფრისხელად ქცეულა ყანა,
 კალოა, როგორც ყვითელი ძაბრი,
 ხოლო მკვლელები სულაც არ ჩანან...
 ო, ეს სიშორე, ეს ყოვლად ხარბი,
 რომელიც მუდამ ყველაფერს ამცრობს —
 ხიან — ლელიან — ტყიან — სერიან —
 და აბუნდოვნებს უტურფეს სამწყსოს,
 მარტოდენ ჩემს მთებს ვერ მორეგია.
 მათ გაუპიათ ღრუბელთ არენი,
 ცისთვის აუკრავთ თითო ქიმუნჯი,
 დიდ სიშორეშიც ჩემთან არიან
 უზუნაესი მათი სილურჯით.

ასე თუ ისე,
 მე ვარ შენი ერთი ნაწილი
 და, თუ ნაწილი მთელს ჰგავს რამეში,
 მე უნდა გგავდე შენ, მამულო,
 ან არწივობით,
 ან ხმით, ან ცეცხლით,
 ან მაღალი მზით და კაეშნით,
 და ჩემს სიმღერებს შენი ზინეთის
 უნდა გამოჰყვეს თუნდაც მაღლი მცირეოდენი,
 მე ასე ვფიქრობ და ამ იმედით
 ვხარობ, ვთამამობ და სათქმელად გიახლოვდები.



ბავშვთა ჟურნალი

ა ღ უ

(პირველ სიტყვამდე)

არა ვარ...
რა ვქნა არ ვიცი...
რამდენი ვინმეა ქვეყნად და მე მაინც
არა ვარ.

ბედი არა მაქვს, თორემ რა გაჭირდა
ამისთანა. რა ისე დავამძიმებდი დედა-
მიწას?!

მაინც რა უნდა იყოს სიცოცხლე?
ამბობენ, საინტერესო რამ არისო,
მანამ ხარ სულ შენთან იქნებაო.

ჩემთან ახლა მხოლოდ არყოფნაა...
ოღონდ დავიბადო და ბუზს არ ავა-
ფრენ. არც ერთ საგანს ადგილს არ შე-
ვუცვლი. ოღონდ ვიყო და ყვავილს არ
მოვწყვეტ. ოღონდ გავჩნდე და ვეცდე-
ბი, მაღალი არ გავიზარდო, არ გავსუ-
ქდე და ვიქნები გამხდარი, რომ ნაკ-
ლები ადგილი დავიკავო სივრცეში.
ბოლომდე არ ჩავისუნთქავ, ოღონდ
დავიბადო...

ეჰ! ვინ გაიგონებს ჩემს მუდარას?!
ვინ გაიმეტებს ჩემთვის ერთ ბეწო
სულს?!

1

ისევ დედამ და მამამ მიშველეს...
ვარ!
გავჩნდი!

არ ვიყავი და ვარ!
უცებ სულ ახლოს, სულ ღრმად, სულ
ჩემში რალაც აფართხალდა მტრედი-
ვით.

მე ჩემი წილი სული ჩავისუნთქე.

2

— ტირის! — აღტაცებულია თეთრ-
ხალათიანი კაცი, რომელსაც თავდაღმა
ვუჭერივარ და გამეტებით მცემს.
მცემს და ვიტყვებ, აბა რა იქნება?

მტერი ჩავარდა ექიმების ხელში!

— ბიჭია! ბიჭი!

ბიჭი ვარ, აბა რა!..

3

რატომ დავიბადე მე და რატომ არ
დაიბადა სხვა ჩემს მაგიერ?

ვისაც სურს — იბადება. ვისაც არ
სურს — არ იბადება.

რატომღაც არა მჯერა იმათი, ვინც
დაიბადა და შემდეგ იძახის — მე ხომ
არ მითხოვია დაბადებაო. სულ ტყუი-
ლად აყვედრიან ისინი თავის თავს ამ
ქვეყანას.

მე მინდოდა დაბადება და დავიბადე
კიდევ.

ისლა მაკლდა არ დავბადებულყავი!

არ დავბადებულებავი?

მზეს ერთი მაცქერალი მოაკლდებოდა; ჩემს მომავალ მეგობრებს ერთი მეგობარი დააკლდებოდათ;

ჩემს მშობლებს არ ეცოდინებოდათ კიდევ ერთი შვილისადმი სიყვარული: ომში მტერს ერთით ნაკლები შეაკვდებოდა;

ჩემს წილ სივრცეს ერთი ლამაზი ქალი გაუვლიდა (შესაძლოა ჩემშიც ვაყარა). ის ხომ ვერასოდეს ვერ იგრძნობდა სიყვარულს, თუ ჩემი საბედო იყო.

არ შეჩერდებოდა ვიდაცის მზერა ჩემზე. მისი მზერა ჩემში გაივლიდა და გლუვ კედელს მიენარცხებოდა;

მაშინ ხომ ჩემი საფლავის ლოდისკ არ გაითლებოდა;

მაგრამ ყოველივე ამას ვერავინ შეამჩნევდა...

5

ვერავინ ვერ შეამჩნევდა და მერე უმტყვიე — რომ დავბადებულებავი ასეთი და ისეთი ვიქნებოდიო. ვინ დავიჯერებდა?!

ამიტომ უნდა გავამართლო ჩემი არსებობა...

ოთახში საშინლად ქყავიან სხვა ბავშვები. სოლიდარობის გამო მეც ცოტა წავიტირებ. აბა რა ვქნა?! თანაც თავად როდესაც ტირიხარ, სხვისი ტირილი აღარ გესმის და აღარც გაღიზიანებს.

ჩემს ნერვებს უნდა გავუფრთხილდე, დამჭირდება.

6

მთვარე იჭყიტება ფანჯარაში...

მზეს ვერ მოვუსწარი. მხოლოდ მისი უკანასკნელი სხივები დავინახე...

აი, დავიბადე და უკვე რალაცას ვეღარ მოვუსწარი...

ვაიმე! იქნებ ჩემი დილა მუდამ მზის ჩასვლა იყოს?

ენახოთ!

ახლა მთვარე იჭყიტება ფანჯარაში და ცოტა მეშინია კიდევ...

ახლა მიძინავს...

პირველად დავიძინე ჩემს სიცოცხლეში.

სიზმარში მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება ვნახე, ოღონდ დილას ყველაფერი დამავიწყდა.

ვიცხოვრებ და ალბათ გზა და გზა გამახსენდება ჩემი ეს სიზმარი.

8

როგორც იქნა, გათენდა.

რატომღაც მეგონა, მეორე დღეს ორი ვიქნებოდი (ერთი გუშინდელი დღისა, ხოლო მეორე — დღევანდელისა), მესამე დღეს გავსამდებოდი და ა. შ. მაგრამ ასე არ მოხდა. ერთი დავიბადე და როგორც ჩანს, იგივე მოვკვდები.

9

თქვენ ალბათ გაინტერესებთ რას მეძახიან.

მეც მაინტერესებს.

იმდენს ბჭობენ, რომ შეიძლება უსახელოდ დავჩრე.

უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ჯერჯერობით ჩემს თავს „მეს“ ვუწოდებ.

10

ვარ!..

11

მურმანზე უშნო არავინ შემხვედრია. ჯერ არც კი დაბადებულა.

12

დღეს მთელი ჩემი ოჯახი გავიცანი: მამა, ჩემი და — მზია, ბებია, ბაბუა, უამრავი ნათესავეები და მეზობლები. დედაჩემს უკვე დიდი ხანია ვიცნობ...

— რა უშნოა, — ამბობს მამა.

— შენა გგავს, — ამბობს დედა.

— მშვენიერია, — ამბობს ბებია და ბაბუა სათვალეს იკეთებს.

ბაბუა ხმას არ იღებს, რადგან სათვალე ბებიაშვიდს გაიკეთა.

— მე ვკობივარ, — ამბობს მზია და იპრანკება.

ზოგისათვის ლამაზი ვარ, ზოგისათვის უშნო.

სილამაზეზე მე ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ არაფერს არაფერს მეკითხება და ამიტომ მეც არაფერს ვამბობ.

13

აი ამ ხალხში მომიხდება მე ცხოვრება. არჩევანი მოხდა!..

ახლა ყველა ისე დამცქერის, თითქოს ჭაში იცქირებოდა და რაღაც სასწაულს ხედავენ მასში. ეს მე ვარ — სასწაული. მაგრამ ისინი უფრო ვალს იხდიან ამ დიდებული მოვლენის წინაშე, ვიდრე განიცდიან მას. ადამიანები, სამწუხაროდ, მეტად საეჭვო მაგალითებზე ხვდებიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ეს არის სიცოცხლე. მთელი ჩვენი შემდგომი არასწორი ცხოვრება ამ მოვლენის გაუბრალოებას წარმოადგენს...

სწორედ ახლა ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს უზარმაზარი სიცოცხლე — ლოდი მერგო მე, რომელიც მაღალ მწვერვალზე უნდა ავიტანო, ვაი თუ არ მეყოს ძალა მის ასატანად. დამიგორდეს ლოდი და დამემსხვრეს იგი, და ბოლოს სულმოკლე სიხარულით აღმოვაჩინო, რომ ავედი მწვერვალზე და იმ დიდი ლოდიდან მხოლოდ პატარა კენჭი მიღვეს მე გულის ჯიბეში.

სიმართლის თქმა დღეიდან იწყება. მე კი ავჯანში ისე ვარ შებოკილი, თითქო ავჯანკი და კაცისმკვლელი ვიყო.

14

რა აუცილებელი იყო ჩემი ამ დროში მოსვლა?!

რა ფორმალბაა!
მაგრამ ეტყობა, ასე იყო საჭირო.

საინტერესოა, რა ნიშნით დავიბადე მე ამ დროში?!

ვარ!.. 15

16

სხვათა შორის, ძია ლევანი მეტად კეთილი და თავდადებულია. მიუხედავად იმისა, რომ 30 წლითაა ჩემზე უფროსი, მაინც ჩემი მეზობელია.

თავმდაბალი? არაფერიც!

თავმდაბალი კი არა თურმე სხვა გამოსავალი არცა ჰქონია. მაინტერესებს, მე რომ არ დავბადებულყავი, რა იქნებოდა ის ჩემთვის.

17

კვლავ ვერ აირჩიეს სახელი.

მანამ ისინი ბჭობენ თუ რა უნდა მერქვას მე, უფრო მნიშვნელოვან საკითხზე მინდა ჩავფიქრდე:

არ ვიყავი და ვარ!

ნეტა ვინ გამოიგონა სიცოცხლე?

არარსებობა არარსებობის უცნაური ფორმაა.

სად ვიყავი მე ადრე, დაბადებამდე. იმის წინ, როდესაც ის-ის იყო ისახებოდა სიცოცხლე ამ მიწაზე? მას შემდეგ მე მოვდივარ. მე ვაფანტული ვიყავი ეთერში, სავნებში, გრძნობებში, ადამიანებში. შემდეგ რაღაც ძალა გვეკრიბავს და ერთ მშვენიერ დღეს შეერთდება ერთ მთლიან არსებად: სუნთქვა, იმედი, სიყვარული, რწმენა და კიდევ ბევრი სხვა რამ. რომ მას ეწოდოს სახელი „მე“, ეწოდოს სახელი ერთი და ის იქნება ერთადერთი, განუმეორებელი, მატარებელი სასწაულისა...

შემდეგ შენს გარშემო აღმოაჩენ შენს მავვარ არსებებს, რომელნიც ასევე უშორები რთული გზებით მოდიან და ასე უბრალოდ ხვდებიან ერთმანეთს.

ახლა თუმცა დიდი სიყვარულითა და აღტაცებით დაცქერენ მეზობელ-ნათესავეები ამ სიცოცხლეს, შემდგომში ყველას ავიწყდება იგი და სწორედ

ერლომ ახვლედიანი
აღწ

ამ სასწაულს იყენებენ ისინი წამებისათვის, ლალატისათვის, შანტაჟისათვის, ფეხქვეშ გასათელად, გასაუბრალოებლად, ტკივილის მისაყენებლად, მისაჩქმალავად, აბუჩად ასაგდებად...

18

ორიოდე სიტყვა მზიას შესახებ.

— ნამდვილი თხაა, — ამბობს დედა... მეც ვეთანხმები.

მზია სულ ნატერაშია: ნეტა ეს მქონდეს, ნეტა ის მქონდეს. მე რომ ამდენი რამ დამაკლდეს, თავს მოვიკლავ აუცილებლად.

19

ვტირი...

არ იფიქროთ, წარსულს მივტირი. მე ახლა მომავალზე ვფიქრობ...

რა აღვიღად ვტირივარ. ტირილი, ეტყობა, თანდაყოლილი ინსტინქტია, ღირსეული, აუცილებელი თანამგზავრია ჩვენი ცხოვრებისა.

რა გვიან ვიწყებთ ღიმილს. იქნებ ღიმილი ეს კეთილშობილებაა ადამიანის, მისი გამოგონებაა, საკუთარი ადამიანური ინიციატივია, მისი ოპტიმიზმია.

ვიღიმები?!

მიანტერესებს, ვიღიმები თუ არა?! ვისწავლე თუ არა ღიმილი?

რა კარგი იქნება შენს თავს გარედან ისევე ზედავდე, როგორც გრძნობ მას შიგნიდან.

20

იმიტომ ვლაპარაკობ ამდენს ჩემს თავზე, რომ მე სხვა გამოცდილება არა მაქვს, გარდა ჩემი საკუთარი სიცოცხლის შეგრძნებისა.

21

ჩემში ცვივა ხმები, ბგერები, ხმაური, სიტყვები. ჩემში ცვივა ქართული სიტყვები. უამრავი სიტყვები ცვივა ჩემში და მე არ ვიცი რას ნიშნავს ისინი. მაგრამ ჩემი სული იმახსოვრებს

თვით ენას. სწორედ ქართული ენა იქნება შენი დედაენა. სწორედ ამოხატავ შენ შენს დარდას და წუხილს. ამ სიტყვებით ისაუბრებ შენ. ამ სიტყვებით გეტყვიან სადღეგრძელოს და გამოგიტანენ განაჩენს. ამ სიტყვებით მეტყვიან სიმართლეს და ტყუილსაც ამ სიტყვებით მეტყვიან. ამ ენაზე მოუაღერებ შენ შენს საყვარელ ადამიანს და ამ ენაზე გეტყვიან შენ ყველაფერს, რაც გულს მოგიკლავს და ამ სიტყვებით დაგამშვიდებენ შენ.

მე მესმის ტკილი ქართული ენა. მისი სიტყვები მოდიან ჩემამდე, შემოდიან ჩემში და სადღაც სიღრმეში იძირებიან. ლაგდებათ. ეს ენა, როგორც ანკარა მთის წყარო, იღვრება ჩემში და მე არ მინდა სხვა ენით ავივსო.

მოდის სიტყვები, როგორც თეთრი სპეტაკი თოვლი, რომელიც ეცემა თბილ მიწას და იქვე დნება, არ ჩერდება ჭერჭერობით ზედაბირზე. მაგრამ მოვა დამე, ცოტა აცივდება და უეტრად აღმოაჩენ, თურმე რამდენი თოვლი მოსულა წუხელ.

22

მხოლოდ მეშვიდე დღეს შეთანხმდნენ, რომ მე თომა მქვია. ცოტა უბრალო სახელია, მაგრამ აიტანს ამას ჩემი თავმოყვარეობა. დღეის შემდეგ ყველა ამ სახელს დამიძახებს. დამიძახებენ „თომას“ და მე შემოვტრიალდები. ხალხი ასე იტყვის: „თომას გული ეტყინაო“ და ეს მე ვიქნები. იტყვიან, „თომას დიდი დარდი აქვსო“ და ეს მე ვიქნები. იტყვიან: „თომა ახლა აქ იყო და სად დაიკარგაო“ და მე კი ვიქნები ჩემთვის სადმე.

23

ვარ!

24

ნუთუ ეს ჩვეულებრივი რამ არის — იცოცხლო ცხოვრება. ნუთუ ეს ასე უმნიშვნელოა...

არაფერი არ იყო გარშემო. წყვილი-
ლი იყო და შენ იყავი არაფერში. მოუ-
ლოდნელად შენ ხედავ, გესმის, დგახარ,
გიყვარს, წყალსა სვამ, სუნთქავ, გიხა-
რია, იტანჯები. მარჯვნივ მწვანე ველია,
მარცხნივ—ტყე. მაღლა ლურჯი ცაა. შე-
იძლება წვიმს, შეიძლება თოვს, შეიძ-
ლება გიყვარს, შეიძლება ელი, შესა-
ძლოა დგახარ უბრალოდ შენთვის: არა-
ვინ გინდა, არავის ელი, არავინ გი-
ყვარს. შენს გარშემო ყველაფერია და
ნუთუ შენ დაბადებამდე იცოდი, რომ
ეს ყველაფერი ასე დაგხვდებოდა შენ?
ნუთუ ეს სამყარო შენ მიიღე, როგორც
აუცილებელი რამ? ის ხომ არაფერი
არ იყო შენი. ნუთუ იქნები იმდენად
უმაღური, რომ ზემოდან დახედავ მას,
დაემდურები, არ იქნები მისი ერთგული
და მოსიყვარულე. ერთი ტყუილიც კი
შერყვნის და შეურაცხყოფს მას. ეს
ცხოვრება ხომ ისეთი უმწეოა და ნაზი.
მას მოვლა სჭირდება, გვერდში ამო-
დგომა უნდა. იყავ მისი ერთგული და
ისიც გიერთგულებს. ნუ ეცდები წაა-
რთვა, წაგლიჯო მას ის, რაც არ არის
შენი. ნუ ეცდები მოასწრო...

გული საშინლად მიცემს ამ პათეტი-
ური აზრების განცდისას. მე ვგრძნობ
მის აჩქარებულ ფეთქებას...

ვაიმე! იქნებ თვითონ ცხოვრებაა უხა-
მისი, უხეში და სასტიკი? იქნებ ის ისე-
თი არ არის, როგორც მე მაქვს წარ-
მოდგენილი?

25

ამდენი შთაბეჭდილებები სულ რა-
ღაც სამიოდ კვირაში!

26

ყველას აქვს თითო ნაკლი;
მე ყველაზე პატარა ვარ;
ჩემი და — გოგოა;
დედაჩემი მზიას დედაცაა;
მამაჩემი მწერალია.
მეზობელი ბაბუა არაა.

ბაბუას კი თმის მაგიერ წვერი ამო-
სვლია.

მე ახლა, მართალი გითხრათ, ვერავე-
თარ ჩემს ნაკლს ვერა ვგრძნობ. იქნება
მაქვს კიდევაც ნაკლი: ფეხი მაქვს მო-
კლე, ანდა კუბიც დამედოს. ეს უფრო
იმ დრომ იკითხოს, რომელშიც ამ ნაკლს
მნიშვნელობა მიეცემა.

მე უნაკლო ვარ, რადგან ცოცხალი
ვარ.

ჩემის თვალსაზრისით, არ არსე-
ბობს ნახევარი სიცოცხლე, მეოთხედი
სიცოცხლე, ორმაგი სიცოცხლე და ა. შ.

რა შეფარდებაში მოვა ჩემი ეს სრუ-
ლყოფა ამ დიდი სამყაროს კანონებ-
თან, არ ვიცი და ჭერჭერობით არც მაი-
ნტერესებს.

27

ახლადდაბადებულის რამდენიმე
აფორიზმი:

სიცოცხლე სასაწაულია, რომელსაც
სხვები თავის გარეთ ეძებენ ხოლმე.
ცილობენ ამოხსნან იგი სხვათა სხე-
ულებში;

ადამიანი, რომელიც თავის სიცოცხ-
ლეს უცქერის როგორც უბრალო რას-
მე, ის უბრალოდ და უმნიშვნელოდ
ექცევა სხვისას.

ჭეშმარიტად დიდი ადამიანი არის
ის, ვისაც ხშირად ესტუმრება ის სი-
დიადე და განსაკუთრებულობა, რომე-
ლსაც ასე უშუალოდ განვიციდი მე...
ვარ!

28

მურმანი ორი თვითა და 21 დღითაა
ჩემზე უმცროსი — დღეს უნდა დაიბა-
დოს.

29

დაიბადა...
ოღონდ მურმანი კი არა, ნათელა და-
იბადა.

ერლომ ახვლედიანი
აღწ

უკანასკნელ მომენტამდე ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ მურმანი დაიბადებოდა, მაგრამ ნათელას გარდა ყველანი შეეცდით.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: მურმანის მაგიერ ნათელა დაიბადა...

კიდეც კარგი ჩემს მაგიერ მე დაეიბადე...

30

იქნება დაბადებამდე იქნის ადამიანი იმ გამოცდილებას, რომელიც მან შემდეგ იცის, იყენებს, ერიდება თუ ეტანება.

31

მე ვიცი, თუ რა მრავლად არიან ადამიანები ქვეყნად. ამ სიმრავლემ თითქოს გააუბრალოვა სიცოცხლე, იერიში მიიტანა მის ერთადერთობაზე, მაგრამ რაც უფრო მრავალია ადამიანი, მით უფრო მარტო რჩება იგი საკუთარ თავთან, მით უფრო არ გამოდის იგი თავის მყუდრო სამყოფელიდან, რომელსაც „მე“ ჰქვია.

სიცოცხლე ეს არის ერთადერთი შანსი ყველა იმ არსებულ სიცოცხლეთაგან, რომელიც არის, იყო და იქნება.

სიცოცხლე არის ის, რითაც ჩვენ აბსოლუტურად განვსხვავდებით სხვი-საგან.

32

დღეს უცნაური რამ გავიგე. მურმანი ოთხი თვის წინ დაბადებულა.

33

ნეტა ვინ იქნება ჩემი პირველი მეგობარი? ვის ვენდობი პირველად? ვინ გაიზიარებს ჩემს გულისნადებს?

ვინ იქნება ჩემი ბოლო მეგობარი?

ვინ იქნებიან ის ადამიანები, რომელნიც ჩემი ცხოვრების გზაზე შემხვდებიან?

ვინ იქნება ჩემი საბედო? ვინ მიერთ-გულებს? ვინ გამომყვება ბოლომდე?

იქნებ სულ არ გაჩენილა ის, ვინც...
საც მოველ ამ ქვეყნად...
მაშინ არ შეჩერდება ჩემი მზერა მასზე, არამედ მის წილ სივრცეში გაივლის და გლუვ კედელს მიენარცხება...

34

მე ყველაფერი ვიცი, იმათი რომ ვარ. შემდეგ კი იწყება ამ ცოდნის დაიწყება, გაფანტვა და ამ ცოდნაში ეჭვის შეტანა.

ყოფნა — ყველაზე დიდი ცოდნაა. მაგრამ მე აი ახლა უნდა წარმოვთქვა პირველი სიტყვა და ყველაფერი რაც ადრე იყო, დამავიწყდება. დამავიწყდება სამუდამოდ...

მე შევეცდები ახალ ცხოვრებას, შევალ ახალ სამყაროში, ვაგების ახალ გარსში. იქ კი შენ უნდა გააგებინო ის, რაც ასე ნათლად იცი ახლა.

უამრავი ვინმე ვიქნები მე: ხან მტერი ვიქნები, ხან მოყვარე, ხან უბრალოდ რიცხვი და კიდეც ბევრი სხვა რამ. ამისათვის მე უნდა ვისწავლო ლაპარაკი.

ვიტყვი ჩემს პირველ სიტყვას. შემდეგ ვიტყვი მეორე სიტყვას, მესამე სიტყვას, მეათე სიტყვას. მე ვისწავლი ლაპარაკს. შემდეგ ვილაპარაკებ, ვისაუბრებ, ავირჩევ სიტყვებს, ზოგიც დამავიწყდება. მე ვისწავლი ლაპარაკს და ხანდახან ჩუმად ვიქნები...

მე უნდა ვთქვა პირველი სიტყვა!

რა სიტყვა ღირს ჩემი სავსე წარსულის დასავიწყებლად?

იქნებ არა ვთქვა არაფერი და მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება ჩემთვის და გაუგებარი სხვებისათვის.

იქნებ ისეთი სიტყვა წარმოვთქვა პირველად, არც ერთ ბავშვს რომ არ უთქვამს მთელ ქვეყანაზე და ამით ახლავე დავიკმაყოფილო ის პატივმოყვარული უინი, რომელსაც ასე ესწრაფიან ადამიანები. ვთქვათ ვთქვი: „სამყარო“, „კოსმოსი“, „ინტეგრალი“, „კოორდინაცია“ და მე ვიქნები უჩვეულო ბავშვი და ამით უქნობ დიდებას.

შოვიპოვებ. იქნებ მაინც ვთქვა ამგვარი სიტყვა და უზრუნველყო მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება.

რასაკვირველია, არა!

ჩვეულებრივად გაატარო შენი ცხოვრება — ეს არის უადრესი ბედნიერება. ყურადღება აღარ მახვილდება შენს განსაკუთრებულობაზე და სიცოცხლე შეუფერხებლად მიედინება შენში. ხოლო დიდების სიმბოლოდ გამჰვირვალე სპირტიან ქილაში მოთავსებული ორკუდიანი ხვლიკიც გამოდგება.

მე უნდა ვთქვა პირველი სიტყვა. ვიცი, რას ვკარგავ მე ამით, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რათა მოვიდე თქვენთან, მოსაუბრე აღამიანებო, და სიტყვებით მაინც გაგაგებინოთ ცოტა რამ იმის შესახებ, რაც ასე ნათლად მესმის მე ახლა.

მაშ ასე: მე შევდივარ თვალუწვდენელ ზღვაში და ვტოვებ ჩემს მყუდრო ნავსადგურს...

ახლა ღამეა. მშვიდი ღამე. ოთახში მთვარის შუქი შემოდის და კედელზე ფანჯარაა გამოხატული. მე ახლა ვცდი, როდესაც დედას მშვიდად ძინავს. ამ უმნიშვნელო დასაწყისისათვის არ ღირს მისი გაღვიძება. მე მხოლოდ ჩემთვის ვიტყვი:

— ა ღ უ ...

ღეღამ მაინც გაიღვიძა.

— თომამ თქვა პირველი სიტყვა, — ჩაილაპარაკა ღეღამ, გაიღვიძა და აკვანი დაარწია.



ოქსუაგდომი წლავის ნაყინი

როდესაც დგება ცხელი ზაფხული და გულმოდგინედ მიირთმევს ნაყინს ერთი მეორეს საპირისპირო მიმართულებით დაძრული ხალხი, — მე მასხენდება სადღაც, სადგურში, მამის ნაჩუქარ ფულით ნაყინი ნაყინი... ღმერთო, რა ტკბილი იყო ოქსუაგდომი წლების ნაყინი! და, აი, სოფლის მტვრიან შარავზე გახარებული ვბრუნდები უკან, სახლამდე ცოტა მანძილი რჩება — პატარა ტყე და პატარა შუკა... აგერ, გამოჩნდა ჭიშკართან მამაც, თავზე ახურავს ჭილოფის ქუდი, იქვე ჯავლაგა ფრუტუნებს ცხენი და იგერიებს ბუზანკალს კუდით. მე ვცდილობ ჩემი განუზომელი აღფრთოვანება ვაუწყო მამას, მაგრამ არც ისე ომახიანი ამოძახილით ვახერხებ ამას: და გული მწყდება — მშობლის თვალებში ჩაბუდებულა შიში და შფოთი. იმავე საღამოს ლოგინად ვწვივები და ღმერთმა უწყის, ავდგები როდის...

მამავ! მე თვითონ არ ვიცი, დღესაც რად ეუფლება სულს და გონებას იმ უმნიშვნელო აღმაფრენაზე დაფუძნებული ეს მოგონება, რომელიც ოქსუაგდომი წლების უთქმელ ტკივილად და აღტაცებად ითხოვს გამხელას და ომახიან ამოძახილად ყელზე მაწვება...

(გარიანტი)

მესხეთს აღვიძებს ყივილი მამლის, აღმოსავლეთი იწვის-თენდება; ნათდება სივრცე და ითენთება ცისკენ რგოლებად დაძრული კვამლი.

სუნთქვაშეკრული მიეყვები იმ გზას, სადაც დაძრწოდა სიკვდილის ცელი

და გაწოლილა რვაასი წელი მარადისობის უჩინარ სფინქსად.

და მეჩვენება: ხიფათით სავსე შორი წარსულის გლოვა-გოდება თეთრი ღრუბლების გროვად გროვდება და ოქროვდება ვარძიის თავზე...

ფანჯრებში კრთება იანვრის მთვარე — გაზაფხულამდე შორს არის კიდევ — და დათოვლილი ხეები გარეთ ფერად სიზმრებში ისხამენ კვირტებს. ო, ნაადრევი სტუმრობა მუზის, რომელიც შფოთავს და ითვლის წუთებს, როცა პოეტი მაგიდას უხის, როგორც მერცხალი — ცარიელ ბუდე.

ამგვარად შფოთავს და გული უწუხს — შვილის გაჩენას ამაოდ ელის ქალწული, რომლის მკლავსა და ძუძუს არ შეხებია ჯერ კაცის ხელი, პოეტი ხვდება ამ შფოთვის მიზეზს და — ოთხ კედელში გამომწყვდეული — შემკრთალი მხერხით ამქლავანებს ისევ, შიგნიდან როგორ იწვის სხეული.

თ რ ვ ლ ი

ფიფქივით ქრება წამი ყოველი,
წამი უმწეო ფიფქია მხოლოდ;
დრო კი თოვლია, — მოვიდა თოვლი
და გაიყინა სტრიქონის ბოლოს.

გარემომ სული განაბა უცებ —
მამალმა მთელი ძალით იყივლა,
ხმა კი უძლურად შეეხო ბუჩქებს,
შეეხო ჰაერს და გაიყინა.

თვალწინ ფიფქებმა შეწყვიტეს ცვენა.
ირემს პირისპირ ნასროლი ტყვია
ზედ მიეყინა იისფერ ცრემლად —
გვრევე დარჩა თვალეზი ღიად.

გამეშდა კვამლი, სივრცე, მანძილი:
გუნდები, როგორც ისროლეს მარჯვედ,
როგორც სახურავს გადააცილეს —
სახურავს ზემოთ გვრევე დარჩნენ.

გაურკვეველი ზმანების მსგავსი,
ხელუხლებელი ყინვით ძლეული,
მსუბუქი ფარდა ყველაფრის თავზე
გვიდა — კალთებჩამოხეული.

მხოლოდ ზვინები დარჩნენ ზვინებად,
მხოლოდ ჭაობი დარჩა ჭაობად...

შეწყდა ხმაური, შეწყდა დინება,
შეწყდა სიცოცხლე და მოძრაობა.

და უცებ (ქრება წამი ყოველი,
წამი უმწეო ფიფქია მხოლოდ;
დრო კი თოვლია) დაიფშენა თოვლი
და დაიკენესა სტრიქონის ბოლოს:

ცისკენ რგოლებად დაიძრა კვამლი,
კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე ფიფქებს;
ჰაერს შეასკდა ყვირილი მამლის,
ტყეში ირემი დაემხო პირქვე...

ვიფიქრე, რაღაც ცთუნება თუა:
როგორც მდინარე ჯებირებს შორის,
აწმყო, წარსულს და მომავალს შუა
იწვა — ბოჭავდა ნაპირი ორი.

მაინც იდუმალ ეფერებოდა
ორივე ნაპირს სველი თითებით,
და ფითრდებოდა, როცა ზემოდან
გადმოჰყურებდა ცივად ხილები.

კვლავ იდგა შფოთი, აყალმაყალი,
და როგორც ორი სხვადასხვა აზრი,
მარჯვნივ შენობა ჩანდა ახალი,
მარცხნივ — მაღალი გუმბათი ტაძრის...

ბ ა მ რ ლ ვ ი ძ ე ბ ა

მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

ა. ტაბიძე.

თვალეზში უკრთით უმწეო ცრემლი —
თითქოსდა ფეხქვეშ ეცლებათ ფუძე
მთ, ვისაც ჩუმად სჯეროდათ ჩემი
და გავუმტყუნე იმედი უცებ...

და, აი, ვწევარ სრულიად მარტო
იქ, სადაც სევდა ღურჯი იების
და მყუდროება გარემოს ართობს
ერთფეროვანი მელოდოებით.

რამ ჩაუწყვიტათ უეცრად ხმები?
სად გაიკრიფნენ ქალიშვილები
სამგლოვიარო კაბების რხევით,
როგორც შუადღის მზეზე ჩრდილები?

მე ვერ არ მახსოვს მსგავსი წვალება,
ნუ იტყვი, თითქოს კედლია სხეულის —
სინამდვილეში გარდაცვალება —
უფრო მძიმეა და მტკივნეული!

ზეცა სანთლების შუქზე ირწევა
და აფრქვევს ბინდში ბრჭყვილია წვეთებს...
ო, უეცარი გამოღვიძება
მამის ოდაში — სიკვდილის შემდეგ:

სოფლის ბოლოში ყივის მამალი
და ამოქნარებენ გულგრილად ჭები,
და სადღაც, სიკვდილს უთხრის სამარეს
ჯერ გაუთხრელი საფლავი ჩემი.

სიჭაბუკის დღიურიდან

რომ ვიცი, ეს დღე
ჩამოგავს ნიავეს,
მით უფრო მეტად
ვღელავ და ვიწვი,
მივდივარ მაღლა და მკერდით მიმაქვს
მთები, ზღვები და სიმწვანე მიწის.

გულში დგას დიდი
ხმაური ტალღის,
ასევე დიდი
ცეცხლი და სითბო,
ცხოვრება თავის ავით და კარგით
მე ვარ, ან უკეთ, ჩემშია თვითონ.

ამ დროის თვალში
ეს მე ვარ ასე
ანთებული და
ქცეული აზრად,
ამ ახალ დღეებს დიდებით ვავესებ,
მიწას და ზეცას ვუკარგავ საზღვარს.


სულის სამყაროს
მიღხენს და მივსებს
დაფნის გროვა და
მტრედების ხმები
და ახლა, როგორც არასდროს, ისე
მზის სიახლოვით დამეწვა მხრები.

მწამს სიმაღლეთა
წყება ვერ დამლღის,
ვერც გრიგალების
მთით დაძვერება,
ამ ქვეყნად მომხდარ ყოველგვარ ახლის
მე ვარ საწყისი და გაგრძელება.

რომ ვიცი ეს დღე
ჩამოგავს ნიავეს,
მით უფრო მეტად
ვღელავ და ვიწვი,
მივდივარ მაღლა და მკერდით მიმაქვს
მთები, ზღვები და სიმწვანე მიწის.

ფიქრები პანის მიწაზე

რომ გვიფართოებ
ნელ-ნელა თვალებს,
გადაგვიშალე ეს გული ბარემ.
გვითხარ,
წარსული
თუ რად გიღირდა
და სულ გაშიშვლდი წლების მიღმიდან...
თურმე ყოფილხარ
მზეებერ მარადი
და შენ რამხელა სახელს მალავდი.





(მოთხრობა)

ჭიჭია ბოსტნის ღობეს მიყრდნობოდა. მეზობლის ეზოდან ქართული გარმონის ხმა და შექეიფიანებული ხალხის ხორხოცი მოისმოდა. „წავიდე? რომ არ წავიდე, რა იქნება ვითომ?“ — ფიქრობდა იგი.

ქუჩაში მანქანამ ჩაიგრუხუნა და მტერის კორიანტელი დააყენა. ერთხანს ვერაფერს ხედავდა. მერე მტვერი ჩადგა.

„ეს წვერი მაინც არ მომეპარსა...“ — სახეზე მოისვია ხელი ჭიჭიამ. წვერგაუპარსავს ნაცლებად ეტყობოდა ნაცვაილარი.

მალე სამზადიდან საქორწილოდ მო-

რთული პატარძალი გამოიყვანეს. მას მოციმციმე თვლებმობნეული თეთრი კაბა ეცვა, თავზე გვირგვინი ედგა.

უკან მუსიკოსები მოჰყვებოდნენ — სამი ახოვანი, ღიბგადმოგდებული მამაკაცი. ერთი გარმონს წელავდა, მეორე კლარნეტს აკივლებდა, მესამე დოლს აბრახუნებდა. როგორც სოფლის ონაერები მიუთვლიან ტოროლებს თავისი მახსიკენ, ისე მიუმღეროდნენ მუსიკოსები ნეფე-დედოფალს.

ნეფეს ხელვაკი გაეყარა გოგოსთვის. იგი მაღალი, აწოწილი, ცხვირა ბიჭი იყო. წვრილ კისერზე ჰალსტუხი ჩამოჰკონწიალებდა.



გზად ხელისმომკიდე გადაუდგა ორ-
თავეს. მან მკლავები ზეღმართა და
ნეფე-დედოფლის თავზე ფულების კო-
რიანტელი დააყენა. ამ დროს სოფლის
ფოტოგრაფიც გამოჩნდა სიდანდაც.
დასაჩქარების მომენტი* ფირზე აღ-
ბეჭდა.

მუსიკოსებმა „კარკუჩა“ წამოიწყეს.
მედოლემ ზორბა ყანყრატო გად-
მოაგდო და რიხიანად შეუბერა:

„კარკუჩში ჩამაიყვანეს, ქალი
ლაშაში თმინი,
შვილი მაყარი გადმაიყვა შვილთავე
ცხენოსნიანი...“

„ბედი რომ ექნება კაცს... ვინ იფიქ-
რებდა ნათია მაგას თუ გაჰყვებოდა“,
— შუბლი მოიჭავა ჭიჭიამ.

მერე ხელისმომკიდემ ნეფე-დედო-
ფალი გამოიწვია საცეკვაოდ. ბოლოს
ახალყოილები ერთმანეთს შეატოვა,
თვითონ კი განზე გადავა და ტაში დაუკ-
რა.

„მინც როგორ გაჰყვა ეს ღმერთი-
ვით გოგო?“ — მხრები აიჩეჩა გოცე-
ზისაგან ჭიჭიამ და აქეთ, კომბოსტოს
კვლებს შორის მოფუსფუსე ქალისაკენ
შემობრუნდა.

— ლეილ, მოდი აქა... — დაუძახა
ქალს ჭიჭიამ.

ლეილას ხელში სათლი ეჭირა, კომ-
ბოსტოს რწყავდა.

— რა იყო? — სათლიანად შემობ-
რუნდა იგი ჭიჭიასაკენ.

— მოდი, უყურე...

ლეილა მივიდა და ჭიჭიას გვერდით
დადგა.

— ბედნიერი წყვილია, როგორ უცი-
ნით სახე... — თქვა ჭიჭიამ.

— გაგიჟდნენ ეს მუსიკოსები... რას
უკრავენ... — ქალმა ერთი სევდიანად
გადახედა ჭიჭიას.

ჭიჭიას მათი ქორწილი გაახსენდა და
ახლა ინანა, აქეთ რომ დაუძახა ლეილას.

მერე ნეფე-დედოფალი ოთახში შეი-
ყვანეს. მუსიკოსები და გარეშე ხალხიც
უკან შეჰყვა. სიმღერის ხმა მიწყდა.

ჭიჭია და ლეილა ღობეს მოშორდნენ
და ლაფაროსკენ წავიდნენ.

ლაფაროში ჰალარა, შავებში ჩაცმუ-
ლი ქალი ღობის მარცვალს ეკლავდა და
თავისთვის რალაცას ჩიფჩიფებდა.

— ლეილ, რალა მაგათი მორწყვის
დროა, დღეს თუ ხვალ უნდა დავაბინა-
ოთ. — კომბოსტოს კვლებს გადახედა
ჭიჭიამ.

— იყოს მაინც, რალას უშლის... —
თქვა ლეილამ და ცარიელი სათლი ლა-
ფაროს კედელზე დატანებულ ჭვინთზე
ჩამოჰკიდა:

„მზეო, ჩალისფერო, კიდევ დარჩი
ჩვენსა,
მზეო, შე ღმერთკაცო, შენა...“

ლამოს მთაზე გადაწვერილ მნათობს
შესთხოვდა შავებში ჩაცმული ქალი,
თან ღობის ბარკებს ფხრეწავდა. მაგ-
რამ მნათობმა არ იღო ყურად მისი
ვედრება, ბადის თოკებივით აკრიბა
თავისი სხივები და ჰორიზონტს მიღმა
ჩაიტვირთა.

— ბაბო, ბევრი დარჩა? — ჰკითხა
მუშაობაში ვართულ ქალს ჭიჭიამ.

— მთელი წლის სარჩევი გვქონდეს,
შვილო, და ვინ ჩივა, — შესწყვიტა
ჩიფჩიფი მოხუცმა.

— გესმოდა, ბაბო, სიმღერა? —
ჰკითხა ახლა ლეილამ.

მოხუცმა თვალები დაივიწროვა, თი-
თქოს რალაცას იგონებდა, მერე თქვა:

— ჩვენში სხვანაირად იცოდნენ,
ქორწილი, თვითონ ხალხი მღეროდა და
ცეკვავდა, ეს ბუზიკანტები არ სჭირდე-
ბოდათ.

— თქვენი დრო სხვა იყო, ბაბო... —
თქვა ლეილამ.

— მაგათ სოფელში ახლაც ისე
იციან... — აუხსნა ლეილას ჭიჭიამ.

— აქი თქვენს ქორწილში არა გვეყო-
ლია ეს ბუზიკანტები, ჩემიანებმა ვერ
იმღერეს იმიტომ?

— კი იმღერეს... — დაემოწმა ლეი-
ლა.

ჭიჭიას ღიმილი გაუკრთა სახეზე.

— ცეკვა გვაკლდა თუ მხიარულება?

— თქვა შუბლგახსნილმა მოხუცმა.

— მაგრამ ის თქვენებურები რომ არ

ჩამოსულიყვენენ იმ სიშორიდან, მაშინ ვინდა იმღერებდა?

მოხუცი ჩაფიქრდა.

— ჰო, ეს მართალია, შვილო... აქაურებს ხმას ვერ ამოაღებინებს კაცი... — დაეთანხმა მოხუცი ლეილას.

ჭიჭიას სახე მოღრუბლა, და მნაშავესავით გადახედა ლეილას.

— სამოცი ქათამი დაუკლავთ, ოცი ინდაური, ერთი ძროხა, დეკეშლა და ათი ბურვაკი... — ჩამოთვალა ლეილამ.

— დაკლავდნენ, შვილო, აბა რა იქნებოდა, ერთადერთი შვილი ესა ჰყავთ მაგის მშობლებს...

ლეილამ შუბლშეკრულ ჭიჭიას ხელკავი გაუყარა და მხარზე ჩამოადო თავი.

ჭიჭია ფიქრობდა: „მერე რა რომერთი ჰყავთ... განა სხვა არავინ ყოფილა დედისერთა, იმიტომ ზედ კი არ გადაჰყოლიან“.

ქალმა ნიკაბთან შეიკრა ლეჩაქი და ლობიოს ჟიღვა განაგრძო.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

მერე ლეილამ თქვა:

— ბაბო, ხომ უნდა გადავიდეს ჭიჭია... რაც არ უნდა იყოს, მეზობელია...

— უნდა გადავიდეს, მა რა... თუ არავისთან არ გადავედით, ჩვენც არავინ მოგვაკითხავს, ეს ასეა...

— ჩვენს ქორწილში რომ არ ყოფილან, — თქვა ჭიჭიამ, — კაცმა რომ თქვას, მეც რაზე უნდა მივიდე.

ბებიაშისმა საყვედურით გადმოხედა:

— მერე რა, შვილო, რომ არ ყოფილან... აი, ბალები გეყოლებათ და მათს ნათლობა-ქორწილზე მოვლენ... მომავალზეც უნდა იფიქროს კაცმა...

— მეზარება სუფრაზე ბაიყუშვივით ჯდომა, თქვენც რომ მოდიოდეთ, მაშინ სხვაა...

— კარგ საქმეში უნდა მიბაძო სხვას, თორემ...

— ჩვენ სახლში ვიქნებით... შენ გადადი, ცოტა გულს გადააყოლებ, შენი ტოლები იქნებიან... — უთხრა ჭიჭიას მხარზე თავმისვენებულმა ლეილამ.

ჭიჭიამ ისევ ჩამოისვა სახეზე ხელი:

„წვერი მინც არ გამეპარსა ამ დილას, ეს ოხერი...“ — გაიფიქრა მან.

— საჩუქრის ნუ გედარდება... მერე მივეტანთ რასმე... — შეაგულიანა იგი ცოლმა.

— ასეა ქვეყანა, შვილო, რასაც გაცემ იგი დაგიბრუნდება კაცს... მართალია, თქვენი ქორწილები ჩათავდა, მაგრამ შვილები ხომ გეყოლებათ, იმათზე უნდა იფიქროთ... — დაარიგა ჭიჭია ბებიაშისმა.

— ბაბო მართალია, ცოტა წინ უნდა გაიხედოს ადამიანმა... თორემ ისე რა გამოვა... — დაეთანხმა უფროსს ლეილა.

— ჰო, კარგი... რახან ასეა, გადავალ და ის იქნება... — ხმა ამოიღო ჭიჭიამ.

— გადადი, შვილო, გადადი... — შუბლი გაეხსნა მოხუცს. — გადადი და გაერთე, რაც ბალობაში დაგაკლდა, ისიც საქმარისია... — მოხუცმა მალულად შეიმშრალა სველი თვალები და ლობიოს რჩევა განაგრძო:

„რა ადრე დაბნელდი, ჩალისფერო... ქერივ-ობლებისა მინც გეფიქრა, უპატრონოთა მინც გეფიქრა, ღარიბ-ღატაკთა, შე ღმერთაკო, შენა...“

განაგრძო თავისთვის ბუტბუტი შავოსანმა ქალმა.

ჭიჭია და ლეილა შინ შევიდნენ.

— სხვაზე ნაკლები რითი ხარ რო... — უთხრა გზაზე ლეილამ ქმარს.

ჭიჭიამ არაფერი უპასუხა. ოთახში ბნელოდა.

ლეილამ კარი მიხურა. ღია სარკმელი მირაზა და ფარდები ჩამოუშვა. სინათლე არ აუნთია. კედლის გასწვრივ მიდგმულ ტახტზე წამოწვა და ხელები გაშალა.

ჭიჭიამ ტახტზე მისვენებულ ლეილასთან ჩაიმუხლა.

ერთხანს უხმოდ იყვნენ.

მირონ ხმადიანი
სამაგირო

მერე აივნიდან შემოვარდნილმა ჩქამმა გამოარკვია ორთავენი.

ჭიჭია უხალისოდ წამოიწია. ტახტის კიდეზე ჩამოჯდა. ლეილაც წამოდგა, კაბა ჩაისწორა.

— წადი ახლა, ჭიჭი... მე დაგელოდეები... — უთხრა მან ქმარს.

— ხო, წავალ... — თქვა ჭიჭიამ.

ამ დროს შავეებში ჩაცმულმა ქალმა შემოაღო კარები. უკვე აღარ ჩიფჩიფებდა იგი. იღლიაში დარჩეული ლობიოთი სავსე გეჯა მოექცია.

— მე წავედი, ბაბო... — დაემშვიდობა მოხუცს ჭიჭია.

— წადი, შვილო, წადი...

გარეთ საღამოსეული ბინდ-ბუნდი იდგა.

ლამოდან დაძრულ სიოს შეთვალული ალიბუხრისა და ქლიავის სურნელი მოჰქონდა. ჭიჭიამ ფეხაკრეფით, ქურდულად შეალაჯა მეზობლის ეზოში. გარეთ წვრილფეხობადა დარჩენილიყო. ორსართულიანი, გაბრღვლილებული სახლის გვერდზე მიშენებულ გომურში ქალები და მკლავდაკაპიწებულნი მენორცეები საქმიანობდნენ.

ჭიჭიამ ჩუმად აიარა კიბეები და გარეთ, დერეფანში, აივნის ბოძთან აიტუზა. შუალა ოთახში ნეფე-დედოფალი ცეკვავდნენ. იდგა ერთი ქრიაშული და ხორხოცი. სუფრის მოსამსახურე ქალები და აცეცები გარბი-გამორბოდნენ, ნაირ-ნაირი საქმელები, ღვინისა და ბორჯომის ბოთლები შეჰქონდათ. სუფრაზე ანაწილებდნენ. ქორწილი კარგა ხანია დაწყებული იყო. ახოვან თამადას, სუფრის შუაში რომ იჯდა, ხმა დაბოხებოდა.

მუსიკოსები საცეკვაოს უკრავდნენ.

ახლა პატარძალს ნეფის ახლობლები აცეკვებდნენ. ცეკვის დროს ისინი ჯიბეში აფათურებდნენ ხელს, დაკუჭულ ათმანეთიანებს ამრობდნენ, თითებს-შორის სორსლავდნენ და ჰაერში აფრიალებდნენ. მერე პატარძალს გადასცემდნენ. პატარძალი ერთხანს ტო-

ვებდა თავის მეწყვილეს და ცეკვონინით მუსიკოსებისაკენ ემუხრებოდა. ფულს ნაპირზე მდგარ მედლოეს კაცდა გამობერილ შარვლის ჯიბეში.

მედლოე გაცისკროვნებული თვალებით გადახედავდა ხოლმე სუფრას, ახალ მუშტბას ათვალიერებდა. პატარძალი კი საცეკვაო მოედანს უბრუნდებოდა და ახლა სხვასთან აგრძელებდა ცეკვას.

ჭიჭიას გუნება წაუხდა. წედან, შორიდან უფრო ლამაზი მოეჩვენა ნათია. ახლა კი უწინდებური სიფაქიზე აკლდა.

ბოლოს პატარძალი დაიღალა. მუსიკოსებმა შესწყვიტეს დაკვრა. თამადამ ყანწი მოითხოვა. მერე ზეზე წამოდგა და ნეფის ოჯახის სადღეგრძელო წარმოთქვა...

მოდგილეებმა აიტაცეს მისი ნათქვამი. ყველას თავისებურად აჰყავდა ცაში სასიძოს მშობლები.

ჭიჭია შუბლდაცვარულ ნათიას შესცქეროდა, თავისი საქმროს გვერდით რომ იჯდა სუფრის მოპირდაპირე მხარეს. ნათია ჯერ კიდევ ღრმად სუნთქავდა, ცხვირსახოცით აწითლებულ სახეს ივრილებდა. ჭიჭიას აღარ უკვირდა უკვე, ამ იწონილ ცხვირა კაცს რომ წაჰყვა ცოლად.

მერე ვიღაც ქალი მოვიდა ჭიჭიასთან. ალბათ ამ ოჯახის ნათესავი თუ იყო, მხარზე ჩაჰკიდა ხელი და სთხოვა ოთახში შეჰყოლოდა.

იმ ქალმა განაპირა, მცირე ოთახში შეიყვანა. ხალხით გაჰქედნილმა, მრავალნაირი საქმელებით გავსებულმა სუფრამ თვალები აუჭრელა ჭიჭიას. ერთხანობას ვერაფერს ხედავდა, ვერც ის გაარჩია, ვინ დაიძახა პირველად — ჭიჭიას გაუმარჯოს, ჭიჭიასო...

ხალხი რატომღაც აჩოჩქოლდა მის გამოჩენაზე:

— გაუმარჯოს, გაუმარჯოსო — მოისმა აქეთ-იქიდან.

ჭიჭია კარებისაკენ ზურგშექცევით დასვეს. როცა გამოერკვა, ირგვლივ მიმოიხედა და გვერდით მსხდომნი შეათვალა. თითქმის ყველას იცნობდა ჭიჭია. გადამთიელებს, უცხოთ ამ ქორ-

წილზე რა ესაქმებოდათ—ნეფე-პატარ-
ძალი ორთავენი ხომ აქაურები იყვნენ.

ჭიჭიამ თავისუფლად იგრძნო თავი.
მის გვერდით და ახლო-მახლო ვინც
იჯდა, იმათ მიესალმა კიდევ. ზოგმა
გაიგო მისი ხმა, ზოგს არ გაუგია.

უეცრად უკნიდან ვიღაცამ დაუ-
ყვირა:

— ჭიჭი, შე ძველო, შემოსწრებისა
დამილიე ერთი...

— რაღა ვილაცამ, ბერდო იყო. მისი თა-
ნაკლასელი. ჭიჭიას ისარივით მოხვდა
მისი ხმა. ბერდოსთან ამ ორიოდვე წლის
წინ უსიამოვნება მოუვიდა და მას მე-
რე ქვეშეცნეულად გრძნობდა, იგი შე-
საფერის დროს ელოდა — რათა სამა-
გიერო გადაეხადა. ბერდო და ჭიჭია ქა-
ლაქში მიემგზავრებოდნენ. ბერდოს ად-
გილი ვიღაც ჭიჭიარა, დალეულ დედა-
კაცს დაეკავებინა, იგი ეტყობა შეუძ-
ლოდ იყო, ორთავე ხელით საზურგეს
ჩასჭიდებოდა და წამოდგომას ცდი-
ლობდა...

ვიღაც ქალეზმა სთხოვეს ბერდოს —
ადგილი დაეთმო მოხუცისათვის.

ბერდო არ უთმობდა — ქალი-მალე
არ ვიცი, ჩემს ადგილზე დამსვითო.

მოხუცი როგორც იქნა, წამოიზლაზნა
და ადგილი გაანთავისუფლა.

ჭიჭია უკანა რიგზე იჯდა. ბაბომისი
გაახსენა იმ ქალმა. ბაბომისივით შა-
ვებში იყო იგივე ჩაცმული, თმაც ისევე
გაჭალარავებოდა. „ვინ იცის, რა დარდი
აწევს გულზე...“ — გაიფიქრა ჭიჭიამ და
მოხუცს თავისი ადგილი შესთავაზა.

მოხუცი არ ჯდებოდა — გაიფიქრებ
როგორმე, ფეხზე დავდგებიო.

მაგრამ ჭიჭია არ მოეშვა.

ბერდომ ერთი ამრეზილად გადმოჰ-
ხედა ჭიჭიას. რაღაცა ჩაიბურტყუნა
თავისთვის.

ჭიჭია კარგად იცნობდა ბერდოს და
ეუცნაურა მისი საქციელი. არ მოეწო-
ნა ამხანაგის მრეში მზერა, არც მისი
ბურტყუნა.

შუა გზაზე, ვეჯას წყაროსთან, მძლო-
ლმა ავტობუსი გააჩერა, ხალხი ჩამოვი-
და და მუხლი გაშალა.

ბერდო ჭიჭიას მიეჭრა:

— შენ ძაან ზრდილობიანი ბიჭი ხარ,
ა? — ჰკითხა მან ჭიჭიას.

ჭიჭია დაიბნა.

— ყველაზე თავაზიანი... — გაუმეო-
რა ისევ ბერდომ.

„ერთი ფუთი მარილი... ერთი ფუ-
თი...“ — ფიქრობდა ჭიჭია, თავისთვის.

— ბერდო, შენ რაღაცა გეშლება...
— უთხრა ჭიჭიამ.

— მოდი, გავარკვიოთ, ვის ეშლება...

— მუქარის ცილოთი მიმართა ბერდომ.
„ერთი ფუთი...“

ჭიჭიას ვერაფერი გაეგო — მაინც
რა იყო აქ გასარკვევი?

— თუ ძაან გინდა, გავარკვიოთ...

გზის გადაღმა, მინდორზე გავიდ-
ნენ.

პალტოები გაიძვრეს და ეცნენ ერთ-
მანეთს.

ჭიჭია უაზროდ იქნევედა მუშტებს.

ბაიბურში არ იყო — რა ხდებოდა,
რას აკეთებდა.

რომ გამოერკვა, იგი ზედ აჯდა ბერ-
დოს, ორთავე ხელით გაეკავებინა.

ბერდოს ცხვირიდან სისხლი სდიო-
და. ჭიჭიას არ ახსოვდა, როდის
მოარტყა ამხანაგს სახეში, მაგრამ
სისხლი კი ნამდვილად სდიოდა.

მერე მოჩხუბრები გააშველეს.

— მამატიე, ბერდო... — უთხრა ჭი-
ჭიამ ხალხშემოჯარულ ამხანაგს.

ჭიჭიას ახლაც ვერ გაეგო, რა მოხდა
იმ დღეს, როგორ ვაჰყვა ამხანაგს საჩ-
ხუბრად. ან რა ბზიკმა უკბინა ბერდოს,
ასე რომ გაწიწმატდა. უსიამო მოგო-
ნებად შემორჩა ის მგზავრობა. ახლა კი
ბერდოს გამკოლავ მზერას ზურგით
გრძნობდა და უსიამოვნოდ განიცდიდა.

— აბა, ჩანჩალ... ჭიჭიას დაუდგი
კუთვნილი ჭიჭები... — უბრძანა ბერ-
დომ მერიქიფეს. — შემოსწრებისა დაგ-
ვილიოს. თჯახი და ნეფე-დედოფალი
დალოცოს.

— ცოტა სული მოვათქმევიწითო, კა-

მირონ ხაჩიანი
სამაპირო



ცო, რა იყო... — შეესიტყვა ბერდოს მერიქიფე, პირთამდე გააპინებული კიჭები მაინც დაუდგა კიჭიას.

ყველა მას შემოსცქეროდა.

კიჭია ფეხზე წამოდგა, მოკლედ აღდგარძელა ოჯახი და ნეფე-დედოფალი, სულმოუთქმელად გადაჰკრა სამივე კიჭა.

— ყოჩაღ, კიჭი... აი ეს მესმის... — მოუწონეს კიჭიას ბიჭებმა.

ბერდომ არაფერი თქვა, მერიქიფეს რაღაც უჩუბრჩულა ყურში.

მერიქიფე კარში გავარდა. მალე მუსიკოსებით დაბრუნდა ოთახში.

— ჩვენ რა, ზაქები ვართ? — თქვა მან, კარებში რომ შემოდინდა — იქით რომ ცეკვავენ, ქორწილი აქაც არის...

— აბა რას დაგვიკრავთ ახლა... — მიმართა მუსიკოსებს ბერდომ. — ჯიბიდან ათმანეთიანი დააძრო, ჩანგალზე ჩამოაცვა და მედოლეს ესროლა. — რაიმე სულის გასაბარებელი დაუკარო: „ჰეი, სადოური ხარ, ბიჭოვ, შენა?...“ „ჰეი, სადოური ხარ, ბიჭოვ, შენა...“ მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსა, იქაურები ვართ, შენცა და მეცა...“

დაუკრეს მუსიკოსებმა.

მერე სხვებმაც დააკრვეინეს. ყველა, ვინც უკვთავდა სიმღერას, ჩანგალზე ჩამოცმულ ათმანეთიანს ესროდა ღიბ-გადმოგდებულ მედოლეს. ზოგიერთმა ორ-სამჯერაც დაუკვეთა. ერთი წყება სულ სამგლოვიარო სიმღერებს უკვეთავდნენ. ბევრი მათგანი პირველად ესმოდა კიჭიას. მოტივი ყველას ერთნაირი, სევდიანი, გაწელილი და მომბეზრებელი ჰქონდა. მუსიკოსები ცრემლად იღვრებოდნენ, მექორწილეთ კი თავი ჩამოეგდოთ:

„ზოგს ასი წელი ეცოტავება შენ ოციც კი არ შეგსრულდება ცივ სამარეში წევხარ...“

კიჭიას მობეზრდა ეს გაუთავებელი გოდება. ცხელ ხაჭაპურს გადასწვდა, მაგრამ უკანვე დადო — მთელი სუფრა სულგანაბული შესცქეროდა მუსიკოსებს.

იგი მალულად ათვლიერებდა მუსიკოსებს. ბევრი მათგანი წვერგაუპარსავი იჯდა მაგიდასთან. უკვირდა, ამდენი ფული რომ ჰქონდათ, ჰაერზე რომ აწივებდნენ წვალბით მონაგარს, ოფლის ფასად მოპოვებულს. ათმანეთიანები თოვლის ფანტლებივით დაფარფატებდნენ. ეს უთავბოლო ხელგაშლილობა ამ ოჯახის პატივისცემას ნიშნავდა. ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

მერე ბერდომ, ამ სუფრის თამადამ, საცეკვაო დააკრვეინა. თვითონ წრეში ჩაღდა და მორიგეობით იწვევდა ხალხს საცეკვაოდ. ვინც იცეკვებდა, ფულს უტოვებდა გაბრღვიალებულ, ჯიბეებდატენილ მუსიკოსებს. კიჭიაც გამოიწვია ბერდომ. რაღაც დამცინავად მიეახლა და თავი დაუკრა. წრე პატარა იყო. მოცეკვავეთა იდაყვები რომ არ მოხვედროდა, კიჭიამ თავის სკამიანად სუფრისკენ გაიწია, ნახევრად აქეთ იყო შემობრუნებული და ისე უკრავდა ტანს. ბერდოს გამოწვევა არ ეპიტნავა, მაგრამ მაინც წამოდგა და ერთიორი წრე დაუარა. მერე კი თავის სკამზე ჩამოჯდა. ბერდოს არ მოეწონა ეს ამბავი, კვლავ გამოიწვია კიჭია, თან ირონიული ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— კიჭია, შე ძველო, კიჭი... — დაპყვიროდა დამცინავად ბერდო.

კიჭია იქით შებრუნდა და ბერდოს ზურგი შეაქცია.

ბერდო მაინც განაგრძობდა ცეკვას. კიჭიას შეეშვა იგი და სხვები გამოიწვია. გახელეზული ცეკვადა. ხელებს მიიჭნევდა და მოიქნევდა. საცეკვაო წრეში ვეღარ ეტეოდა და აქეთ-იქით ეხლებოდა სუფრაზე მსხდომთ. თავისი მოადგილე რომ გადმოუხტა საცეკვაოდ, სულ გადაირია ბერდო. ფეხის წვერებზე დგებოდა ჩაბუქნავდა და ხელებს გაშლიდა, თან გაჰკიოდა და ჩხაოდა.

ხალხი იცინოდა. ზოგიერთი უსტვენდა და აქეზებდა ისედაც გაგიჟებულ ბერდოს.



— ჰეჰეი... — გაჰყვიროდა ბერდო.

— ჰე... ჰეი... — ბანს აძლევდა მოადგილე.

ერთხელაც გამოქანდა ბერდო, ცხენით დაიჭიხვინა და იქით ჭიჭიას მხარეს ჩაბუქნა. მძლავრად მოიქნია ხელი და მერე უცბად გავიდა წრიდან. სიცილ-ხარხარით გავიდა და მოადგილე დატოვა მოედანზე.

— აბა, ჰე... აბა, ჰე... — თავისი სკამიდან დასძახოდა ახლა ბერდო. თვალები ეშმაკურად მოეჭუტა.

მოადგილემ სხვა გამოიწვია, მერე თვითონ თავი ანება ცეკვას, ფული მედოლეს ჩაუჭუჭკნა და თავის ადგილს მიამშურა.

ახლა სხვები ავრძელებდნენ ცეკვას. ჭიჭიას თავი დაელუნა და ბრაზისაგან გული ეწურებოდა. ბერდოს ხელმა ისე გაიტკაცუნა მის სახეზე, ლამის თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცივდა. მერე საულვაშეზე თბილად მოელამუნა რაღაცა. ხელი მოისვა. წითლად შეეღება თითები. სისხლი სდიოდა ცხვირიდან. კანკალმა აიტანა, არ უნდოდა სხვებს შეემჩნიათ და თავს იკავებდა. თანაც დარწმუნებული არ იყო, განგებ მთარტყა ბერდომ ხელი სახეში თუ ისე, უნებურად მოუხვდა. მერე ცოტა დამშვიდდა და უკვე ისე აღარ განიცდიდა ამ ამბავს. ოღონდ სისხლისდენა აწუხებდა.

გარეთ უნდა გასულიყო როგორმე. როცა ცეკვას მორჩნენ და მუსიკოსებმაც წუთით შეისვენეს, ჭიჭია თვალების ცეცებით წამოღგა და გარეთ გაიძღრწა. აივანზე ბავშვები თამაშობდნენ. ქალები საქმიანობდნენ. ის უცნობი ქალი, წელან ჭიჭია რომ დასვა მაგიდაზე, ბავშვებს აწუმებდა. ჭიჭია რომ დაინახა, ადგომის მიზეზი გამოჰკითხა. ჭიჭიას ცხვირსახოცი აეფარებინა სახეზე. ბურღლუნით გაეპასუხა:

— წყალს დავლევ და მალევე შემოგებრუნდებიო...

გარეთ მშვენიერი სადამო იდგა. ეზო-ბაღები ქლიავისა და ალიბუხრის სურნელებით გაჟღენთილიყო. ღამის

სიო სასიამოვნოდ ელამუნებოდა სახეზე. საიდანღაც ღამურების წრიბი მოისმოდა.

ჭიჭიამ ერთი ღრმად ამოისუნთქა. იქვე ღობის ძირში გამომდინარე წყაროსთან მივიდა და სახეზე შეისხა. შუბლი და კისერი ცივი წყლით დაისველა. სისხლისდენა მაინც არ შეუწყდა. მთელი საათი ისხამდა წყალს სახეზე, მაინც არაფერმა უშველა — თითქოს მძიმე რამ ჭრილობა ჰქონდა, თქრიანლით მოსდიოდა სისხლი. ჭიჭიამ ერთი მაგრად შეიკურთხა. თვითონაც არ იცოდა ვისზე ბრაზობდა, თავისთავზე თუ ბერდოზე. ან იქნებ სულაც ლეილასა და ბაბომისზე? ძალით რომ გაავდეს სახლიდან. რომ არ წამოსულოყო, არც ნათიანე დაეკარგებოდა წარმოდგენა. ბერდოც ვერ შეარცხვენდა სახალხოდ...

მერე პირის ბანას შეეშვა, ხელი მოიჭირა ცხვირზე და სახლისკენ წავიდა.

ასეთი დასისხლიანებული ვერ მიადგებოდა ლეილას, დასისხლიანებული და ნაცემი.

თორმეტს გადაცილებული იყო უკვე. სახლში სინათლეები ჩაქროთ. ეზო-ლაფაროში სიბნელე და სიჩუმე სუფევდა. ხანდახან ბოსტანის სიღრმეში კალია აჭრიბინდებოდა ზოლმე, თითქოს ამ წუთიერ მყუდროების დარღვევა ეწადაო.

ჭიჭიას შეეცოდა, კალია მარტო რომ ებრძოდა ღამისეულ მდუმარებას.

სამზადის კარები შეაღო. ძველისძველ ტახტზე გაცვეთილი ნაბადი იყო დაფენილი. იმ ნაბადზე ჩამოჯდა, მერე კი ნებივრად გაიშობა. ცალი ხელი თავქვეშ ამოიღო, მეორე კვლავ ცხვირზე ეჭირა. გულალმა იწვა და გარდახდენილზე ფიქრობდა. მერე ჩაეძინა. შუა ძილში ლეილა დაესიზმრა. ლეილა ეფერებოდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა.

მირონ ხარბიანი
სამაგბირო

მერე, რომ გამოერკვა, ნათლად გაიგონა:

— უსინდისო, უსინდისო, მთელი დამე მალოდინე...

ლეილა მის გვერდით იწვა. სახეზე ეალერსებოდა.

— ჰო, ბოდიში, ლეილ... მამატიე... — ამოდერდა ჭიჭიამ.

— არა უშავს... ხანდახან კი უნდა დათვრეს კაცი, ისე არ ვარგა... — სულს ძლივს ითქვამდა ლეილა.

სამზადში არ ციოდა.

იგი და ჭიჭია ტბილ სიზმარს მიეცნენ.

● დილით, თვალი რომ გამოახილა, ეუცნაურა გარემო.

მერე სისხლით მოთხერილმა პერანგის საყელომ წუხანდელი დამე გააზნენა.

ნაბადზეც შემხმარიყო სისხლი.

ცხვირი მოექავეა ჭიჭიას, ოდნავ ასტკვიდა კიდევ.

მერე შიშვლილი მოეძალა.

წუხელ ხომ ლუქმა არ ჩაუშვია პირში.

წამოიზღაზნა და ბანცალით გავიდა გარეთ. ნაცემი ძაღლივით მომჩვარულიყო.

ლეილა ბოსტანში საქმიანობდა. სათლით კომბოსტოს რწყავდა.

„რათ უნდა ახლა, ამას რომ აკეთებ... დღეს თუ ხვალ უნდა დავაბინავთ ეს კომბოსტო...“ — ვაიფიქრა ჭიჭიამ და დიმილი გაუერთა რატომღაც.

— ადექი, ჭიჭია?... — შეეხმიანა ლეილა.

— ჰო, რა... — თვალები მოიჭუჭყნა ჭიჭიამ.

— ბევრი დალიე? — შეეკითხა ცოლი.

— ცოტა მეტი მომივიდა...

— სისხლი წავსკდომოდა ცხვირიდან.

— არც კი გამოვიდა ეს ოხერი...

— სისხლი რომ წასკდება კაცს, კარგია, მით უმეტეს ნამთვრალეზე...

— რა ვიცი, აბა...

— ახალი ამბავი გაიგე? — ნათლად ანად შეეკითხა ლეილა.

ჭიჭიამ იგრძნო, როგორ დაუსევდიანდა ხმა გოგოს. მხრები აიჩეჩა:

— აბა ხომ არ დამესიზმრებოდა...

— ექვსი ათასი შემოსვლიათ თურმე...

— ჰო? — სხვათა შორის თქვა ჭიჭიამ.

— რატომ არ გაჰყვებოდა ნათია, ვერ აცხოვრებდა დედოფალივით თუ რა...

ჭიჭია უკვე ისე არ განიცდიდა ცოლის ნათქვამს. მერე რა, რომ თვითონ ამხელა ქორწილი არ გადაიხადეს. მერე რა, რომ დამკვრელები არ ჰყავდათ. ბიძაშვილებმა ვერ იმდერეს და იცეკვეს თუ რა. მერე ნათიას დაცვარული სახე წარმოუდგა თვალწინ, გაშლილ ხელში მექორწილეთა ნაჩუქარი ფული აეფრიალებინა და როინით მიიწვევდა დამკვრელებისაკენ, რომ ახლა იმათთვის გადაეცა. ჭიჭიას სულ არ უგვირდა, თავის მეზობელს, იმ აწოწილსა და ცხვირას რომ გაჰყვა ნათია. ახლა გოგო სულაც არ იყო ისეთი ლამაზი და მომხიბლავი, აქამდე რომ ეჩვენებოდა.

მერე წუთით ლეილა წარმოიდგინა იმის ადგილას. სუფრასთან ჩამომსხდარი წვერგაუპარსავი ხალხის ხორხოცი ჩაესმა შორიდან. ჩანგლებზე ჩამოცმული ათმანეთიანები დაურიალდნენ თვალწინ...

ბერდო კი ცხენივით ხეივინებდა და გაჰკიოდა. ბუქნავდა და ხელებს იქნევდა.

და ამ წუთში აღარაფერს არ ნანობდა ჭიჭია.

კმაყოფილი, დამშვიდებული სახით გაემართა ონჯანისაკენ და სისხლი ჩამოიბანა. მერე პირსახოციც სახე შეიმშრალა. წვერი წამოზრდოდა. ნაყვავილარი ისე აღარ ეტყობოდა უკვე. ჩუმად, თავისთვის ღლინებდა ჭიჭია...

ლეილას სათლი მიწაზე დაედგა და გაოცებული შესცქეროდა ქმარს. ლაფაროდან კი მოხუცის ჩიფჩიფი-ლოცვა მოისმოდა.

ბ ე ქ უ რ ი ა ნ ი — 71

ამას წინათ ბაკურიანში ჩატარდა შემოქმედებითი ახალგაზრდობის მეშვიდე რესპუბლიკური სემინარი. ეს ტრადიციული ღონისძიება, რომელიც კვლავაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით მოეწყო, დიდად სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. ახალგაზრდა მწერლები, არქიტექტორები, მხატვრები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, თეატრისა და კინოს მუშაკები ერთმანეთს გულწრფელად უზიარებდნენ თავიანთ აზრებს, აცნობდნენ შემოქმედებით გეგმებს, საუბრობდნენ ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

სიმპოზიუმი უთუოდ შეუწყობს ხელს ახალგაზრდა ხელოვანთა შემდგომ დაოსტატებას, მათ იღეურ წრთობას. სემინარის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკის მრავალი ქალაქიდან და რაიონიდან წარგზავნილები.

ამასთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთი მათგანის ლექსებს.

დალია ბელინიძე

შენს მშვიდ თვალებში
ჩაბუდებულა
სინათლით სავსე
ცისფერი ღამე.
არაფერს არ ვთხოვ,
არაფერს სულაც,
ნუ მიცქერ ჩუმაღ,
მითხარი რამე!
მიღიმი უხმოდ
და მთოკავს მზერა
ავგისტოსავით ცხელი და მშვიდი.
სული სულს უხმობს

და ბედისწერას
უთქმელი რჩება
სათქმელი დიდი.
და ამას ჰქვია
აღმათ ბავშვობა,
როცა ფიქრს
სიტყვა არ ეკარება.
მანც იცოდე —
ჩემთან დარჩება
ეს ღამე,
ეს ცა და მღუმარება.

იზა გოცაძე

ახლა მინდორში ვწევარ უაზროდ
და თავს მეფრქვევა ოცნების თოვად,
— მოვად,
არ მოვად,

მოვა,
არ მოვა,
(წელიწადები რა სწრაფად რბიან).
თუ არ მოხვედი, მერე სხვა მოვა...
ალბათ, არასდროს არ არის გვიან.

ქარი შეხვედება ველურ ნუშს და
თმებს აუწეწავს...
სადღაც შორს, იქით
ძუს მოუხმობს ფოცხვერი სვადი...
უკვდავი შამსუ მობრძანდება ბრწყინვალე ტახტით
და შესაწირად სალამომდე ჩამოაქვს სვატი.

ივანე მიქაიი

დამდგარა ჟამი ფიფქების ცვენის,
კუმზერ მათ როკვას,
ფარფატს და ტრიალს,
სახურავს თეთრი ფარდაგი შვენის,
ხეები თავებს მიწამდე ხრიან.

უცებ გაისმა ლაწანი ტოტის,
ველარ გაუძლო,
ზედ თოვლი იდო.
ბილიკს გავხედე, ნეტა ვინ მოდის...
თვალს არ ვუჯერებ,
ეს შენ ხარ თვითონ.

მორადვევ თოვლს და თავშალი გბურავს,
გაბრწყინდა შენი ღვთიური სახე.
ვერც ვინატრებდი უკეთეს სურათს, —
ჩემკენ მოდიხარ ამაყი, ლალი.

მე ვნატრობ ჩემთვის — მზე ვიყო ნეტავ,
ქარბუქის,
ზამთრის მოვსპო ხსენება,
დავტბე, გიყურო მოვლენილს ბედად,
ცხადად ვიხილო შენი მშვენება.

აფხაზურიდან თარგმნა რ. ფერაქაძე.

ზაურ მოლაშხია

მ ა მ უ ლ ი

ვისილე მუხა აყვავებული —
მწვანე გაზაფხულს აფრიალებდა

და ხმიანებდნენ დიდრონ ტოტებში
თეთრი სხივები — მზის ფრინველები.

დღე მალღებოდა და თვალსაწიერს
დიდი სინათლე ედგა დარაჯად...

ვისილე მუხა აყვავებული —
მწვანე გაზაფხულს აფრიალებდა.

მგის ეკლესია

დიდხანს რეკავდა, დიდხანს ფხიზლობდა,
გზად სასოება დაუთვისია
და სავეე იყო ცით და სიწმირებით
ჩემი პატარა მზის ეკლესია.

წვიმა მღეროდა თუ თქარუნებდა, —
მუდამ ისმოდა ჩუმი გალობა.
და ღულუნებდა თვითონ ბუნებაც
შენს სიმართლეს და წარუვალობას.

და დამყურებდი მუდამ ზემოდან,
დამქონდა რწმენა, როგორც უღელი.
შენზე ვფიქრობდი, შენი მჯეროდა,
შენ გიჩოქებდი ქედმოუხრელი.

ბოლოს დამტოვე, გაქრი სრულებით
და საქვალენი ჩუმი კენესიან...
დავრჩით მარტონი, უერთგულესნი
მე და მდუმარე მზის ეკლესია.

ბ ლ ე ხ ი

ჭრელი მამალი სივრცეს გასძახის
და შრომობს ხალხი, გამრჯე სოფელი
და აყვავებულ ტყეს და სანახებს
დასცქერის დღეთა მანათობელი.

ახლა ეს ხალხი ქვეყანას მართავს,
ეს ხალხი არის მამულის ძალა...
და ხედავს გლეხი ხვალინდელ ნათელს
და სოფლისაკენ მომავალ ქალაქს.

ღაპრით მჭაქლეჯი

ა რ ა ბ ვ ე ლ ე ბ ი

საარაგვოზე თვალშესულ ყანებს,
ნიაფი ლოკდა ქვამარილივით
და დილაბინდზე ამდგარნი ყმანი
მკლავებს იპოხდნენ აბჯრის სივრლით.
ჩაფიდნენ ბარად და მათი სისხლი
ახლა კრწანისის ძარღვებს აწვება
და მოძმეების ღხინის სუფრასზე
დაბრუნდნენ ყანწის სამას აწვევად.
მათ სიკვდილივით დატორეს ბედიც
და დროს შეებნენ ბრდღვინვით ავაზის,
ახლა არაგვი არსებობს ერთი,
არაგველია ქვეყნად სამასი.

ღელის განსენება

მუდამ ზრუნავდი,
მუდამ დარდობდი,
მუდამ გიჭირდა,
მოცლა არ გქონდა,
ვერ მოიცალე,
ვერც კი შეხედე
ამ ქვეყნად
შენ წილ ახალგაზრდობას.

ჩემს სენს და შიმშილს,
ღხენას და ტკივილს
შენად იღებდი
და განიცდიდი,
მიტომ მჯეროდა,
მიტომ მჯეროდა,
რომ სიკვდილისთვის
ვერ მოიცლიდი.

პარბი ღამე

დავით მეფეს დიდგორს ვახლდი, თურქს დაფუხვდი
ფიცხლად,
ვნახე მხარე, მშენებარე, საქართველოდ ვიცან.

მოვილოცე ღვთისმშობელი ბოლნისსა და ბანას,
მეფემ, როგორც კირითხურო, გელათს წარმიტანა.

მზიანეთში ვნადირობდი ავაზით და მწვევრით,
ქარი იყო და ტყეების უსიერი ტვერი.

შვლებს არვეს გადავდიე, იორს გაღმა გაველ,
ეს რა კარგი სიზმრებია, ეს რა კარგი ღამე.

თამარ კალაჯოზი

ეს ფოთლები შრიალებენ ქარში
და მზის სხივებს მოაქვთ ჩრდილთა ტალღა,
მახსენდება, ორი ცელქი ბავშვი
წყალწყალ როგორ გავდიოდით გაღმა.

ხელს გვიქნევდა ქუდიანი სოკო
და ეყარა ბალახებში გირჩი,
და სამიზნეს გასცქეროდა გოგო,
როცა შურდულს იმარჯვებდა ბიჭი.

მართლაც ძლიერ შემეშინდა ერთხელ:
წყალში ეგდო ორთობინტრეს ლანდი,

გასაქცევად რომ მივენდე ფეხებს,
გამოედო კაბას მაყვლის ბარდი.

ისე ფრთხილად დამამშვიდე მაშინ,
იფნის სახრით მისხეპავდი ბურქებს,
სადღაც ტოტზე ჭახჭახებდა შაში,
მეც შაშივით გავიცინე უცებ.

მოგძახოდა უკან ხეთა ჯარი,
გვიცინოდა ყვაველების თოვა,
ოწობინტრე ასლა არსად არის
და ბავშვობაც ქარმა გაიყოლა.

ღათო სეპანელიძე

ხ ი ს ი ა

ალაზნის ველზე ნისლი წვეს,
ო, რა ფაფუკი ნისლია...
ფრთონავს,
ირწვევა,
ციმციმებს,
ეს ნისლი ლექსის ღირსია,
ვდგავარ და წყაროს სიცილზე
შენ მახსენდები, —

ცისია!
ლურჯი იები გიყვარდა,
წლებს წაუღია ის ია,
მზისებრ აენთო წარსული,
ეს ფერი ლურჯი ცისია,
ცისია!
ცისია!
ცისია!

როგორც შემთვრალი სკომორხი,
ისე ბარბაცებს ქარის წისქვილი
დასიცხულ სტეპში...
მე ბუგის წყალით ვიგრილებ შუბლს და
ვაკვირდები ჩასილულ ნაგებს
დეღტის ნაპირთან.

— ორმოცდასამში აქ პლაცდარში ავიღეთ
ღამით—

ამბობს მსცოვანი მებადური
და სვასტიკიან მუზარადიდან
ფრთხილად ამოჰყავს
ჭიაყელები.

რ ი უ რ ა უ ი

ახალგაზრდა უკრაინელ პოეტს ვლადიმერ
ზაბაშტანსკის, რომელმაც უბედური შემთხვე-
ვის გამო ორივე ხელი და თვალისჩინი დაკარგა.

ფეხშიშველ ქალებს მოჰყავდათ დილა,
ცხელი თიბათვე იქნევდა ხელებს
და უსასრულო სიცოცხლის ჩრდილი
ჰგავდა ჯებირში მომწყვდეულ დელეს.

და მამლის ყვივლს ელოდა ხატა,
გამხდარი ბიჭი გარბოდა ბინდში
და სახურავზე ბამბურა კატა
კნაოდა დიდი ნათელის შიშით.

ყვითელ ჩარჩოში ჩარჩენილ სიცილს
პირველად მაშინ მოგვარი თვალი.

და შემოდგომის ნაცრისფერ სევდას
უკაცრიელი ოთახი სვამდა.

ტახტზე ეყარა მუხის ფოთლები
და სურათები ფიქრიან ქალის.

მე ჩამოვსენი კედლიდან ჩარჩო
და მოვუძებნე ჭურჭელი წყურვილს,

აკვანში იწვა თეთრი თოჯინა,
ბზრიალა ეგდო კრიალა სკამთან

გამოედვიძა დამწყვდეულ სიცილს
და ახარხარდა ოთახი ჩუმი.

პანო ჩიხვაძე

ხან უცნაური მეწვევა დარდი
და მწუხარება მიბორკავს ხელებს —
რომ არაფერი ამ ქვეყნად არ ღირს
ამ გოლიათი კაცების მერე.

მარტო სიცოცხლეს რა თავში ვისლი,
თუ ჩემ სანაცვლოს ვიტყვი ვერაფერს.

ხან ვემალები ეჭვსა და სირცხვილს
ვამსხვრევ იმედის მყიფე ფერადებს

მაგრამ თენდება... ფიქრი ღამეზე
სატკივარივით მეშვება გულზე.
მზე ზეწარივით მითბობს სარეცელს
და ჩემ წილ სივრცეს ამაყად ვუმზერ.

ვერ გამოვდექი თქვენ შორის ხიდად,
ვერ შეგაერთეთ ნაპირი ორი.
მშობლის ვალი გაქვს — სისხლი აყვირდა,
ფიქრი ყიჟინებს — მოძებნე ფონი.

ერთი ნაპირი მეწევა შენსკენ,
მეორე ყელში გამჩრია ბურთად.
თუ შეერთება ვერაფრით შევძელ,
ამ დინებაში ჩავიქცე უნდა.

რაზეც ვფიქრობ და რაც მენატრება,
გუშინ თუ არა,
დღეს თუ არა,
ხვალე ახდება.
ჩამოვარდები მთვარის ხელადებს
და გავყურდები
ახალ ნატურის აღსრულებამდე.

ბუხარი უკვამლოდ. დამწვარი ნახშირი.
(იქნება ეს მხოლოდ დარდია ბავშვური).
რამდენი ტივია მორევში დაშლილი,
რამდენი კაცია სახლიდან გასული.

რამდენი ცრემლია, რამდენი სამარე.
გზის გაღმა ხილია, ხიდს იქით სამრეკლო.
მიწაზე კვლავ რჩება ყველაზე მთავარი,
რომ შენი ზარები წასვლამდე დარეკო.

მზია ხეთაბუკი

შენ რომ გახარებს — ისეთი დღეა
დღეს.
შენ რომ გალონებს — ისეთი იყო
გუშინ.
მყვირალა ირემს ვაძრობ დაგრეხილ
რქებს
და წყვილი ყანწით იმედს ვიღვენთავ
გულში.

ჩემი ფანჯრიდან გაცქერი ზვიად
მთებს,
მათ უბიწობას მხოლოდ ეჭვი თუ
ბღალავს.
და შემოდგომის ფოთლებთან ნიძლავს
ვდებ —
დაიბადება დღევანდელი დღე
ხვალაც.

მე გაზაფხულმა გადამარჩინა,
გადამარჩინა,
გადამარჩინა,
მე სიყვარულმა გამათამამა,
გამათამამა,
გამათამამა,
მე სიძულვილმა არ დამაძინა,
არ დამაძინა,
არ დამაძინა,
და თეთრმა ღამემ დამსვა თამადად.
პირველი ჭიქით გაუმარჯოს სიყვარულს ჩვენსას,
მეორე ჭიქა დაიდვაროს პურზე დუმილით.
მესამე ჭიქას გაზაფხულის სახელი ერქვას.
მეოთხე ჭიქამ დაიტოს მთლად სიძულვილი.

მომდევნო — დღის და ღამის ბოლო წუთების იყოს,
ზუსტი განრიგით რომ მოდის და მიდის თავადა.
და ფეხაკრეფით დილა რომ არ მოპარულიყო —
ვადღეგრძელებდი ახლა თამადას.
ეს გაუმარჯოს ღამენათვე სიცოცხლეს ჩემსას,
სიყვარულმა რომ გაათამამა.

ნორაკ ხვედელიძე

გ მა დ ლ ო ბ, ს ა ო

ჩანგისათვის მუხის ფესვი,
არწივის ფრთა იალქნისთვის,
სიმებივით წვიმა კენესის,
რა ჯადო აქვს მძივთა ციმციმს,
გმადლობ, საქართველოს ცაო,
სამუდამო კელაპატრისთვის.

დ რ ო შ ა ს ბ ა ვ უ ლ ი

ნეტავ არაგვი რო მოდის,
ისე სიტყვა მოდიოდეს,
არ უნდებოდეს მოლოდინს
მოჩქეფდეს და მოჰყოოდეს.
მთები — ზეცის არმაზები —
თვალთა ბრილში ქანაობდეს,
ერთს შევძახებ, გამარჯვებით,
დროშას გავშლი ცათაოდენს.

ადე, სოგაის მინდიავე,
აჰყვე ხეობებს ბინდიანს,
ე რა ვოჟები დაზრდილან,
მთიდან რო თავქვე მიდიან.

ჩარგლის არწივი გვინახავ,
მთადიდზე უდგა კარავი,
ფშავით წასულნი გვინახავ,
ზე ამომხდარი არავინ.

ვილა დაუხვედეს მასპინძლად,
მთას თუ შემოჰყვა სტუმარი,
ან სიტყვას ვილა აჰკინძავს,
ვინ მისცეს თავსასთუმალი.

ვაჰ, თუ დაეცეს მთას ქორი,
ლამეც ხომ გაგვივებადა.
მოყმე არ ჩანდეს, ე მძორი
დაჯდეს არაგვის სერეპადა.

ერთი დღე ფშავეში

კასპიისაკენ მიაქანებდა,
ქარი ბუერის ფოთოლს,
ნუთუ ყოველი სივრცეს დანებდა,
სწუხდნენ: „სულ მალე მოთოვს“.
ფიცვერცხლი ვჭამეთ მაშინ ფშაველებთან,
გახსოვს ცა ჰგავდა გოდოლს,
როცა გრიგალი მიაქანებდა
კასპიისაკენ ფოთოლს...

პეპე ხორნაული

პ ი რ ვ ე ლ ა დ

მოწყენას მისას როდესაც გრძნობენ,
იქუფრებიან თვალები ნისლით...
თუ გავამტვრიე განგების ღობე,
პირველად დედის ჭაღარას ვიხსნი.

დედის მანდილში აპრილი გალობს,
ვით დაფიონი ფხოვეთის მთებში;
თუ უკვდავების ვიპოვნე წყარო,
პირველად დედას მოვუტან პეშვით.

ფიქრები ღლიან ისედაც დაღლილს,
სამრეკლოსავით ფერმკრთალს და ხნიერს...
თუ დეკემბერშიც ანთო ბადი,
პირველად დედას დავეკრეფ იებს.

ნანინას ნამი აკვანზე ელავს,
როგორც კვირტებზე ღიმილი ფესვთა...
თუ სივრცეებში შევძელი ფრენა,
პირველად დედას ავიყვან მზესთან.



ქრუკ 30

მ ა რ ტ ო

გაჩენის დღიდან სხვა ვიყავი, არავის ვგავდი,
სხვარიგად ვწუხდი, სხვა მქონდა დარდი,
სხვა უჩნდა ხილვად თვალთა ჩემთა, სხვა სახილავი,
სხვა იყო წყარო ჩემი ცრემლის და სატკივარის.
სხვა გზნება მწვაავდა, მედებოდა სხვა მღელვარებით,
გული ვერა და ვერ გავიხსენ მსგავს ნეტარებით,
სხვა სიხარულით ვიხარებდი, სხვა ხეთა სხვა რტო
და რაც მიყვარდა, მიყვარდა მარტოს.

მერე, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავ, როცა ქარიშხლით
სავსე ცხოვრების გარიჟრაჟზე, იღუმალის ხმით
კეთილისა და ავის სიღრმით, წყნარად მროკავი
ამოიმატა მისტერია, ჩემი მბორკავი:

წყაროთა სავსე ნაკადიდან, გადმოჩქერილთა,
იმ სხივებმიყრილ კბოდეთაგან, კლდეთაგან შვერილთა,
ჩემ გარს მბრუნავი, შემოდგომის ფერთა ოქროთა
მიმტაცებელი მზიდან მოქროდა, —

ანდა ელვიდან, ცას ტყორცნილი, ოდეს — ძლიერი,
გადანივლიდა — ცეცხლოვანი და წამიერი,
იგი მოქროდა ქუხილიდან ცეცხლის შუბებით
და ღრუბელიდან, და ის ღრუბელი
(როს ზეცას ლურჯი კიდი-კიდე ეხამებოდა)
იმოსებოდა და დემონად მესახებოდა.

ინგლისურიდან თარგმნა ვალიკო ხელაშვილმა,



ნიკოლა მაკინგოზოვი

ლირიკული ლოგიკა

ჩანს, ლავა უკვე ცივდება ახლა,
ბილად ქცეულა კრატერის ბინდი,
ფაუარს იკვანის ღრუბელი ლაღი,
წყალს და მიწავ, იძინე მშვიდად.

ზვრებში ფიცხელი ჩადდება რთველი,
ზაფხული ნამგალს იმარჯვებს უხვი,
თენდება დილა — ნორჩი და ბრძენი,
კაცსაც საქმენი მიუღის უკეთ.

ყოფის როგორღაც შებრუნდა კეხი,
აწმყო გარდასულს არა ჰგავს სულაც,
შიჯანებს არღვევენ ამჯერად გლეხნი
და ვხვევიან ერთმანეთს ძმურად.

შეხედე, ქეიტკირს აშენებს კაცი,
იანვე, როგორც აგებდნენ უწინ...
ნუთუ მოითხოვს ლოგიკა მკაცრი,
რომ ეს კედელი დაინგრეს უცებ?

ხმა ჩაიწყვიტე, ავყია ხროვავ, —
ხალხს რომ ხელახლა უქადი ჟღერტას...
ცხოვრება ჰგავდეს ცხოვრებას, დროა,
დროა, რომ შვილით ხარობდეს დედა.

დროა, ღიმილმა შესცვალოს ღენით,
ფანჯრიდან შუქი იღვროდეს უხვად,
ლაღად ეფრინოს პეპელას კეთილს, —
ყმაწვილს რომელიც ძალიან უყვარს.

ნიკოლაი ზიდაკოვი

ბაგავსულის მოლოდინი

როდის იხუვლებს პატარა ღელე?
ალუბლის როდის იფეთქებს კვირტი?
აღამიანის მზერას და ხელებს
სურნელი როდის აუვა მინდვრის?

ცამ რომ ლაპლაპი დაიწყოს ლურჯად,
შიწას რომ შუქი დაეფრქვეს ზეცით,
რომ დატრიადდეს ხორბალი ხნულში
და გაზაფხული ღაღადჰყოს თესლმა.

რომ შუაგზაზე გაჩერდეს ქასრი, —
არ გაიხადოს წითელი კაბა,
რომ გამოისკვნას დიადი აზრი, —
მუცლადღებზე უფრორე სწრაფად.

რომ კაცის აზრის მოსმენის შემდეგ, —
მზეს თავისთავი ეპატარაოს...

და ირგვლივ ყოფა იმგვარად ჩქეფდეს, —
გადამავიწყდეს მე: — პანტა რეი!

რომ ყველაფერი, — რაც კია ირგვლივ, —
ვარსკვლავად, ანდა ყვავილად იქცეს...
და კაცის გული, და ბუდე ჩიტის
აღფრთოვანებით აღივსოს მყისვე.

ლირიკულს ვაქებ ლოგიკას მხოლოდ.
მუცლით მეზღაპრეს გაუხმეს ენა.
ენამრავალო, ტყუედები ჭორო, —
ომი არავის არ უნდა შენი!

მერწმუნეთ, შლეგთა უმწეო ცეცხლი,
კერპს უბოროტესს ამაოდ ესავს;
ცხოვრების კანონს ვერავინ შეცვლის
და იზეიმებს მშვიდობა ქვეყნად.

მ ლ ე ბ ა ქ ა ნ ზ ე

ხელ ბაქნისაჲ! —

ერთადერთო მგზავრო უგეზო, —

ხარ დარჭობილი რახანია შენ ამ ჭიშკართან...

და რაც აქამდე

შენ ორთქლმავლის გინახავს შუქზე, —

არა მგონია,

სხვას ენახოს

იგი, — შენს გარდა.

უხმო რელსებზე

კისერს იტებს

ტაროსის ღმერთი,

წივილ-კივილით ორთქლმავლები დაქოშინობენ...

ვით ნაფლეთები ჭვარტლისანი

ტოტთაგან შენთა

ცვივა და ცვივა

ბელურები

ვათოშელები.

თოვლს გამოუჭანს ნაურმალი როდესაც მუცელს,

არავთა წნევით საფლაგები როცა რეკავენ,

ისე ამყად იწვდი ხოლმე შენ მწვანე ფურცელს,

ხელში ბილეთი მატარებლის თითქოს გეკაოს.

სიახლეს შენსას

ორთქლმავალი ვერ ამჩნევს სულაც,

— სამხრეთისაკენ! —

ლაშლაშებენ ბორბლები მისი...

გიკვდება გული

და გულმოსული, —

ხადაც იდექი,

იქ რჩები ისევ.

წამოდი ჩემთან, —

ავიყვან მთაზე,

ჩანჩქერის შხეფებს გასხურებ წმინდას...

ღრუბლის ქულაზე

გულალმა დაწექ,

და იოცნებე, —

რამდენიც გინდა.

დაგტოვებ წუთით.

გეწვივი ისევ,

და შენ თუ ზღაპარს მიამბობ მერე, —

წინასწარ ვიცი, —

ლექსს დაგწერ ისეთს,

როგორსაც მხოლოდ სიზმარში წერენ.

დ ი ღ რ ო ა

წამომახტუნა ლოგინიდან ჩანჩქერის ზათქმა:
 ვადებ ფანჯარას: — მდუმარება ხმაურმა შთანთქა;
 წყალი, რომელიც ლავასავით მოიზმორება, —
 ჭებდავ, როგორი ხათქა-ხუთქით სტოვეებს მორენას.
 იქ, სამკურნალო ბალახიდან დგება მთიები,
 წითელ ციაგზე ყვავილებად შხეფდება წყალი,
 მთათა ძუძუთი საკმარისად ნაპატივები, —
 მოპქრის ჩქერალი — გაზაფხულის ძალუმი ძალით.
 ამ გაქანებამ სინდიყვიით ანკარა წყლისამ,
 ახალგაზრდულმა, რიხიანმა გრიალმა მისმა, —
 გამომადვიძა, სასიმღეროდ ამიწყო გული,
 და მეუბნება: — დამიგდეთ, ძმობილო, ყური:
 მზის ქვეშ დუდილი დაიწყება ახალი ახლა,
 ხეების ზროში აროკდება წვენი ცინცხალი,
 დიდყვავილობა გაჩადდება დაბლა და მაღლა,
 სიხარულს ამას მოასწავებს სწორედ მთის წყალი.
 და როცა გულის, ჩემი გულის შეწყდება ძვერა, —
 შეაცოცდება საფლავის ქვას როდესაც ხავსი,
 მიწყვი, როცა კი გაზაფხული აღსდგება ქვეყნად, —
 ისკუბებს, ვიცვი, ვიტოშადან ჩანჩქერი ასე...
 თან წამოიღებს ის თოვლსა და გრანიტის ლოდებს,
 ფართო ხეობას ამოავსებს ბუხუნი მისი,
 და ეს ქვეყანა, ჩვენ მიწაში ვიქნებით ოდეს,
 სიმღერასავით იწკრიალებს წინაშე მისხის.

მეაკო ბანჩვი

ხვივიან სოფლები ქალაქებში

ცვივიან სოფლები ქალაქებში,
 აღიან სოფლები ქალაქებში.
 გაჩნია რომელი სად მდებარეა, —
 ცვივიან
 ფრიალოზე შეფენილნი,
 აღიან
 ტაფობში მდებარენი.
 სოფლის სახლებმა ფეხი აიდგეს თითქოს,
 და როგორც ბერნამიის ტვერის ხენი,
 მიემართებიან ქალაქების გარეუბნისაკენ,
 და კაცს არ შესწევს
 ძალა მათი შერგრებისა.

ცვივიან სოფლები ქალაქებში,
ადიან სოფლები ქალაქებში.
გაანია რომელი სად მდებარეა.
შეიმჩნევა,

ყოველი სოფელი
ლაგდება თავისი შარაგზის ერთ მხარეს.
ერთი სახლიც კი არ ხვდება
მოედნის მაგნიტურ ნალს იქით.
რა აჭედებს მათ აქ,
ამ თავდაჭერილი კვარტლის ბოლოს?
იქნებ მჭედელი, რომელიც ზანტად სცემს გრდემლზე
მოგონებებივით მძიმე ხვედას?
ან იქნებ, იქვე საწვრილმანო დუქნიდან
სცემს მათ ურმის საპნის სუნი
(თუმცაღა სასაბნე კასრი ცარიელია).
და იგი თავისკენ იზიდავს მათ?
ანდა იქნებ,
ვინ იცის, ადამიანური სულის კვალს
ატარებენ ისინიც:
გადასახლებულია კაცე ქალაქში სამუდამოდ,
მაგრამ მისი საყრდენი ჯერ კიდევ
სოფელია მაინც.

პიკანე სჯუანოვი

ს უ რ ა თ ი

არ მოეშალოს მშვიდობის დილა! —
შენს —
თიოქოს ღრუბლით მომზირალ თვალებს...
შენი თვალები იმგვარად ბრწყინავს, —
მე სასწაულსაც ვირწმუნებ მალე.

მე და შენს შორის, —
შენც იცი, მგონი, —
სიოა მხოლოდ და სამი ჩიტი...
ხეზე დამჯდარა სამიდან ორი,
მესამე — ციდან დაგვძახის — „ჭიტას“.

ხრისტო შოგავი

ჩ ე მ ს უ ვ ი ლ ს

მოდ, მე და შენ წავიდეთ ტყეში,
ერთად ვიგემოთ შიში და ეშხი;
და მოვიგონოთ სახელნი, მოდი,
ფრინველთა,
ხეთა,
ყვავილთა,
მოლთა,

იყავი ბავშვი.
ყოჩაღად იარ.
არ შეგარქვიფოს ხმაურმა ტყისამ.
და ყველას პირი დარჩება ღია,
სულ მალე ისეთ სასწაულს იზამ;
ტყეს გაახარებს დანახვა შენი,
ჩაგაკონებენ დიდრონი ხენი.

შენი ფინია გახდება ლომი,
შეგიტებობს შვიდი კეთილი გნომი.
ტურა და მგელი, ციყვი და მელა. —
შენი ძმობილი გახდება ყველა.
იჩქარე, გასწი!
ყოჩაღად იარ,
გარდაიარე კლდენი და ღრენი,
არ დაგავიწყდეს,
რაც ტყეში ხეა, —
გზადაგზა ყველას მიეცი ხელი.
ყური ათხოვე მოწყალე ბალახს,
წყალს დაუჯერე,
იარე რწმენით...

იცოდე, კაცის ისაა ძალა,
არ ლაპარაკობს რაც კაცის ენით.

იჩქარე,
გასწი,
ყოჩაღად იარ, —
დაღამდებიან ხეები ვიდრე,
და ქათქათებდა იქ სადაც დილა, —
მიხაკი ვიდრე იფეთქებს შვიდი.
ის დაბრუნება მოგიხდეს ჩემთან,
პაწია ხელი ჩაჰკიდე ბილიკს
და იმ ელვარე ბილიკთან ერთად,
დილა იალბეს, — ყველაზე ტკბილი.
წვრილად იამბე, — ხილული ტყეში,
შემომიკეთე ახალი ფერი,
რომ მე ზღაპრული დავწერო ლექსი
და შენ მოგიძღვნა ის ლექსი მერე.

ნიკოლა ინჯოვი

ნაწვიმარი ხისარტყელა

მზემ რომ ზეცა გაწურა,
ცისარტყელას ნაწვიმარს,
როგორც წვიმის ნაწილი,
გადაველო ქალწული.

უმკვეთრებდა ძუძუ-მკერდს
დუკატების გალანი...
გაიძახდნენ ურჯუკზე:
— ქალია თუ ყარანა?!

მთა დაისით ნაფერი —
დაჭკნა, როგორც თავცეცხლა...

მზემ აკრიფა ცხრა ფერი, —
მთა გადავლო ცხრაჯერ ცხრა.

ცისარტყელა სიმღერად
თითქოს ვინმემ გაწურა...
ერთხელ კიდევ შეიდფერად
გაიჟღერა ქალწულმა.

და გასწია იქითკენ, —
წვიმა რომ წვიმს ცინცხალი...
ვინაობა ვიკითხე, —
მიპასუხეს: — ისხარი!

გულგარულიდან თარგმნა მუხრან მაჰაპარინამა.



ცხოვრება ილიოზისა

1. ეპოქა

ეს იყო წიგნის მაღაზიის მეორე სართულზე. იგი, ოცი წლის ქაბუკი, თარობთან მიდგმულ კიბეზე იდგა და ახალ წიგნებს ათვალიერებდა: მოპასინი, ბოლღერი, სტრინდბერგი, იბსენი, შოუ, ტოლსტოი...

ამასობაში ბინდბუნდი ჩამოწვა. ქაბუკი მინც დაჯინებით განაგრძობდა წარწერების კითხვას გამოცემათა ყდებზე. მის წინ მთელი „საუკუნის დასასრული“ იყო: ნიცე, ვერლენი, ძმები გონკურები, დოსტოევსკი, ჰაუპტმანი, ფლობერი...

ძლივსა არჩევდა გვარებს. წიგნები ნელიად გაუჩინარდნენ ბნელში. ბოლოს, კითხვის ენება დაუცხრა და კიბიდან დაშვება იწყო. იმავე წუთს, კერში, ზუსტად მის ზემოთ, უთაღვაჭო ელექტრონათურა აინთო. მან კიბიდან გადმოჰხედა მაღაზიის მოსამსახურეებსა და მუშტარებს, რომლებიც თარობაშუა დაბორიალობდნენ. ყველა უცნაურად პატარა და უსუსური ჩანდა.

— აღამიანის მთელი ცხოვრება ბოლღერის ერთ სტრიქონადაც არა ღირს...

იგი ერთ ხანს კიბიდან დაჰყურებდა მათ — უშეო, საყოღაც ჭმნილებებს.

2. დედა

შეშლილებს ერთნაირი, თავისფერი ხალათები ეცვოთ. ამის გამო დიდი ოთახი კიდევ უფრო პირქუში ჩანდა. ერთი შეშლილი მონდომებით უკრავდა ჰიმნებს ფისპარმონზე. მეორე, ოთახის შუაგულში ცეკვავდა, უფრო სწორად, ხტოდა.

იგი იდგა ლაღაჟა ექიმის გვერდით და ამ სურათს უმზერდა. ათი წლის წინათ ღეღამისი არაფრით გამოირჩეოდა მათგან. არაფრით...

მართლაც, შეშლილთა სუნში იგი ნაცნობ, დედისეულ სუნს გრძობდა.

— ეკ, რა გაეწყობა, წავიდეთ!

ექიმმა, დერეფნის გავლით, ერთ-ერთ ოთახში შეიყვანა. კუთხეში ეწყო შუშის დიდი ქილები დასპირტული ტვინებით. ერთ ტვინზე მან მსუბუქი, მოთეთრო ლორწო შეამჩნია — თითქო ცოტაოდენი კვერცხის ცილა დაასხურესო. და ექიმთან საუბრისას კვლავ გაახსენდა დედა.

— კაცო, რომელსაც ეს ტვინი ეკუთვნოდა, ერთი ელექტროკომპანიის ინჟინერი იყო. თავი შავ, მბრწყინავ ღინამო-მანქანად ჰყავდა წარმოდგენილი.

ექიმის მზერა რომ აეცილებინა, მან ფანჯრიდან გაიხედა. ეზოში არაფერი ჩანდა, გარდა აფურის ყორისა, რომელშიც დამტკრეული ბოთლის ნატეხები იყო ჩარჭობილი. ნატეხები მღვრიე, მქისე ათინათსა ჰფენდა მეჩხერ ხავსს.

3. ოჯახი

იგი ქალაქგარეთ ცხოვრობდა, მეზონინიან სახლში. ფხვიერი ნიადაგისა გამო მეზონინი რაღაც უცნაურად იყო გადაბრცილი.

ამ სახლში ხშირად ეჩხუბებოდა დეიდა. ზოგჯერ მათი შერიგება დედობილ-მამობილს უწყევდა. ამის მიუხედავად, დეიდა მაინც ყველაზე მეტად უყვარდა. როცა მას თორმეტი წელი შეუსრულდა, შინაბერა დეიდა უკვე სამოცი წლის მოხუცი იყო.

ქალაქგარეთ, მეზონინში მრავალჯერ დაფიქრებულა: ხშირად სტანჯავენ თუ არა ერთმანეთს მოყვარული აღამიანებო. და ამ ფიქრების დროსაც უგრძენია — რა უსაამოვნოდ იყო მეზონინი გადაბრცილი.



4. ტოკიო

მდინარე სუმიდაგავაზე პირქუში ნისლი ჩა-
მოწვა. იგი გაპყურებდა კუნძულ მეუკოძიმას
აღუბლებს პატარა, სწრაფად მიმსრბოლი გე-
მის სარკმლიდან. ეს აღუბლები მამუან დეერ-
გოთ, როცა ტოკიოს ჭერ კიდევ ედო ერქვა.
თეთრად გადაპენტელი აღუბლები მის თვალ-
ში გასაშრობად გამოვიდულ ძონძებმა ჰგავ-
და. მაგრამ ამ აღუბლებმა, მეუკოძიმას ძველ-
თაძველმა აღუბლებმა, ბოლო დროს მას
შეაცნობინა თავი თვისი.

5. 80

ერთ უფროს ამხანაგთან ერთად კაფეში
ჯდომისას იგი განუწყვეტლივ აბოლებდა პა-
პიროსს. ყურადღებით უსმენდა მოსაუბრეს,
თვითონ კი — ცოტას ლაპარაკობდა.

— დღეს დიდ ხანს ვიარე მანქანით.

— საქმეზე?

მაგიდას ჩამოყრდნობილმა ამხანაგმა და-
უღევრად უპასუხა:

— არა, სეირნობა მინდოდა.

ამ სიტყვებმა გაათავისუფლა იგი — გზა
გაუხსნა შეუცნობი სამყაროსაკენ, საკუთარ
„მესაკენ“, რომელიც ახლოს იყო ღმერთთან.
ამან რაღაც ტყვილი აგრძნობინა; და ამეც
დროს, სიხარულიც.

კაფე ძალზე პატარა იყო. სურათის ქვემო-
დან, რომელზედაც მითითური ბანი ეხატა, ეშ-
ვებოდა სქელი, ხორციანი ფოთლები წითელ
ლანჩაჟი ჩარგული კაუჩუკის ხისა.

6. აპაღოზი

ზღვაურის განუწყვეტელ ქროლვაში მან
ინგლისური ლექსიკონი ვადაფურცლა და თი-
თი გააყოლა სიტყვებს:

„Talaria“ — ფეხსაცმელი, სანდლები.

Tala — მოთხრობა.

Talipot — პალმა, იზრდება აღმოსავლეთ ინ-
დოეთში. დერო 50-დან 100 ფუტს აღწევს.
ფოთლებს ხმარობენ ქოლგების, მარაოებისა და
შლაპების გასაკეთებლად. ყვავილობს 70 წელი-
წადში ერთხელ...
და მის წარმოდგენაში მკაფიოდ აიხატა
ამ პალმის ყვავილი. იმავე წაშს ყელში მანამ-
დე განუცდილი ქავილი იგრანო და უნებლიეთ
ლექსიკონზე გადმოწერა.

გადმოწერა... მაგრამ არა, ეს ნერწყვი
არ იყო.
იგი ჩააფიქრა სიმოკლემ წუთისოფლისამ და
გონებაში ისევ აეხატა პალმის ყვავილი,
ამაყად რომ ირხეოდა შორს, ზღვის გადაღ-
მა...

1. მდინარე, ტოკიოს ჩაუდის.
2. ედო ტოკიოს ერქვა 1868 წლამდე.

7. სურათი

იგი უცებ... ეს მართლა უცებ მოხდა. წიგ-
ნის მაღაზიის ვიტრინაში ვან-გოგის სურათე-
ბის თვალჩერებისას იგი უცებ მიხვდა, თუ
რას ნიშნავდა სურათი. რეპროდუქციები იყო.
მაგრამ რეპროდუქციებში იგრანობოდა ბუნე-
ბის სიციცხალე.

სურათებით გატაცებამ იგი აიძულა ყოველი-
ვესთვის ახლებური მზერით შეეხედნა. ბოლო
დროს მდებრივ, დაფინებულ მზერას აყარობდა
ხის ტოტების ხეულებს და სიმრგვალეს ქალ-
თა ღაწვებისას.

ერთხელ, ქალაქგარეთ, შემოდგომის წვიმიან
ბინდებულში იგი რკინიგზის ვიადუქზე მიანი-
ჭებდა. ვიადუქის გადაღმა, მიწაყრილობა, სა-
ტვირთო ფურგონი გაჩერდა. ფურგონთან
ჩავლისას იგრანო, რომ ამ გზით მასზე ადრე
ვიადუქს ევლო უკვებ. მაგრამ ვის?

ეს არც უნდა ეკითხა საკუთარი თავისთ-
ვის.

ოცდასამი წლის ქაბუქის სულში ასახულ-
ნაღვლიანი პეიზაჟი გამსჭვალავი მზერით შე-
ათვალავდა ყურწყაქრილმა პოლანდიელმა, რო-
მელსაც კვილებში გრძელი ჩიბუხი ჰქონდა
გაჩრილი...

8. ნაპერწკალი

იგი მიბიჯებდა ასფალტზე — წვიმაში, ძლი-
ერი წვიმა იყო. ირგველ ყოველივე წყლის
მტერს გაეციინა და იგი გრძნობდა რეზინის
მაკენტრომის სუნს.

და აი, ზემოთ, მავთულებში მოლურჯო
ნაპერწყალმა იელვა. იგი უცნაურად აღელდა.
პიჯაკის ჯიბეში ხელნაწერი ედო, რომელიც
მეგობრების ეურნალში უნდა მიეტანა დასა-
ბეჭდად. წვიმაში უთავებამოდ მოყალიბე ერ-
თხელ კიდევ ახებდა მავთულებს...

მავთულებში ისევ იგზნებოდა მკვეთრი ნა-
პერწყალები. მთელს აღამიანურ ცხოვრებაში
არაფერი ეგულბოდა სანატრელი. მხოლოდ
ეს მოლურჯო ნაპერწყალი, მხოლოდ ეს შემ-
ზარავი ნაპერწყალი მდლა, პერში, თუნდაც
სიცოცხლის ფასად უნდოდა რომ დაეჩემებინ-
ნა.

9. ცხადარი

გვამს ცერა თითხე მავთულით მიბმულ
ფირფიტა უყანალებდა. ფირფიტაზე გვარა
და წლოვანება ეწერა. მისი მეგობარი წახრი-
ლიყო და სკალპელით მიცვალბულის სახას
იანს ქრდა. კანის ქვეშ ჩანდა ღამაში, ყვი-
თელი ქონი.

იგი უყურებდა გვამს. ეს სჭირდებოდა ერ-
თი ნოველისათვის — რომლის მოქმედება
უძველესი დროის ფონზე იშლებოდა. მძორია



სიმყრალე, დამპალი ჭერმის სიმყრალეს რომ წაავად, უსიამოვნო იყო. შექმნილი მეგობარი ნელა ამოძარავებდა სკალაქს.

— ბოლო ხანს გვაგებდა აღარაა სამყოფი... ამის პასუხად მან როგორღაც თავისთავად გაიფიქრა: „თუკი გვაგებდა არ მყუფოდა, ყოველგვარი ბოროტი აზრის გარეშე ჩავიდნდი მკვლელობას... მაგრამ პასუხმა, ცხადია, თუქმელად დაივანა მისსავე სულში.

10. მოძღვართომოდვარი

იგი მოძღვართომოდვარის¹ თხზულებას ეთხულობდა დიდი მუხის ქვეშ. შემოდგომის დღის ციალში მუხას ფოთოლიც კი არ ერხეოდა.

სადაც, შორს, ზეცაში სრული წონასწორობით სუფევდა მინის პინებიანი სასწორი. აი, ასეთი სურათი მოელანდა მოძღვართომოდვარის თხზულების კითხვისას.

11. რიშრაში

ნელიად თენდებოდა. მან თვალი მოავლო დიდი ბაზრის ქუჩის ბოლოში. ბაზარში თავმოყრილი ხალხი და ურმები ვარდისფრად შეფერილიყვნენ.

მან პაპიროსი გააბოლა და ნელა გაემართა ბაზრის შუაგულისაკენ. უცებ, პატარა, შავმა ძაღლმა შეუყვია. არ შემყრთავდა. მას უყვარდა ეს პატარა ფინიაც კი.

ბაზრის შუაგულში ფართოდ გაეხარჯდა ქაღალის ვარჯები. მან ტოტებშუა ახვდა ცის მაღალ თავანს. ცაზე, ზუსტად მის ზემოთ, ვარსკვლავი კიაფობდა.

ეს მაშინ მოხდა, როცა იგი ოცდახუთი წლისა იყო — მოძღვართომოდვართან შეხვედრის მესამე თვეზე.

12. სანახარო ნავსაღვარი

წყალქვეშა ნავში სანახევროდ ბნელოდა. იგი, უზარმაზარ მექანიზმებს შორის მიუჩუქული, პერისკოპის პატარა ოკულარში იჭრებოდა. ოკულარში ჩანდა შექიტი ალივლივებული პორტი.

— აქედან, ალბათ, მოჩანს „ქონგო“, არა? — პკიობა მას ფლოტის ოფიცერმა. ოთხკუთხეა ლინზიდან პაწია სამხედრო გემების ცქერისას მან რატომღაც ქაშაყები გაიხსენა. ნელ-

¹ იგი კითხულობდა მოძღვართომოდვარის თხზულებას... — იგულისხმება ნაცუმე (გვარია) სოსეკი (ფსევდონიმი). ახალი იაპონური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი (1867—1916). ამ მწერალმა ძლიერი გავლენა იქონია აკუტაგავას შემოქმედებაზე.

სურნელოვანი ქაშაყები, ოცდაათ სენინი¹ ბევრჯერ უმტეკის ულუფას რომ მოჰყვებოდა ხოლმე მშობლიურსა.

13. მოძღვართომოდვარის მიცვალება

იგი ბოლოსას სცემდა ერთი ახალი სადგურის ბაქანზე. წვიმის შემდეგ ქარმა დაუბერა. ჭერ კარგად არ მოციკრებულიყო. პერონის გადაღმა რკინიგზის მუშები ერთდროულად იქნედნენ წერაქვევს და ხმაბალია მღეროდნენ.

ნაწვიმარზე ამოვარდნილმა ქალიცონმა თანწარიტანა მუშების სიმღერაცა და მისი განწყობაც. არ უკიდებდა პაპიროსს და სიხარულის მომიჯნავე ტანჯვას განიცდიდა. პალტოს ჯიბეში დებუვა ედო: „მოწვეართმოდვარი სიკვდილის პირზეა“.

მწვერვალ მაკუთმას მხრიდან კლავკინითადა კვამლის წვერილი ბოლქვების ფრქვევით ახლოედებოდა ტოკიოსკენ მიმავალი დღლის ექსპრესი.

14. ქორწინება

ქორწინების მეორე დღეს მან ცოლს უსაყვედურა: „არ უნდა დავეხარჯა ფული უყარათოდ“. ეს სიტყვები დეიდას დაძაღებით იყონათქვამი. ცოლმა მოუბოდიშა არა მარტო მას — ეს თავისთავად — არამედ დეიდასაც.

...მოიბოდიშა ქმრისთვისვე ნაყიდი ნარგებნიანი ლარნაის გვერდით.

15. ისინი

ისინი უშფოთველად ცხოვრობდნენ დიდი, ვაფოთილი ბანანის ჩრდილში... სახლი ზღვის სანაპირო პატარა ქალაქში ედგათ — ტოკიოდან ერთი საათის სავალზე.

16. ბალიში

იგი კითხულობდა ანატოლ ფრანსს და სასთუმალად ედო სიკეტიციზმის კეთილსურნელოვანი ვარდები. სულ ვერ შეამჩნია, რომ სასთუმალს კენტავრი შემოსჩვეოდა.

17. პეპელა

წყალქვეშაარების სუნით გაუღენთილ ნიავში ლაღად ფარფატებდა პეპელა, მან სულ ერთი წამით განიცადა პეპლის ფრთების შეხება გამხმარ ტუჩებზე, მაგრამ შემორჩენილნაზი მტვერი ფრთებისა, მრავალი წლის შემდეგაც განუზომელ სიხარულს ანიჭებდა.

¹ სენი — ფულის ერთეული.

აპუბაგავა
ცნობრება ილიოტისა

18. მთხარა

პოტელის კიბეზე, მოულოდნელად შეეჩხა ქალი. დღისითაც კი, სახე მთვარით განათებულს უგავდა. მან თვალი გააყოლა მიმავალს (აღრე არასოდეს ენახათ ერთმანეთი) და ჭერ განუცდელი კაეშანი შემოაწვა...

19. ხელოვნური ფრთები

ანატოლ ფრანსიდან მან XVIII საუკუნის ფილოსოფოსებისაქენ გადაინაცვლა. მაგრამ რუსოთი არ დაუწყია. ეს იქნებ იმიტომ, რომ იგი თავისი არსების ერთი ნაწილით, — ადვილად ავხენბადი ნაწილით, — სწორედ რუსოს ენათესავებოდა. აიტომ „კანდიდის“ ავტორს მიმართა, რომელთანაც ახლობლობას გრძნობდა მეორე მხრიდან — ცივი გონების მხრიდან.

მისთვის, ოცდაცხრა წლის კაცისთვის, წუთისოფელი სულაც აღარ ჩანდა მშვენიერი. მაგრამ ვოლტერმა ხელოვნური ფრთებით შეაიარაღა.

მან გაისწორა ხელოვნური ფრთები და მსუბუქედ, იოლად გაფრინდა ცისკენ. მაშინ გონების სინათლით გაიცისკროვნებული სიხარული და ურვა აღამიანური ცხოვრებისა, მისი თვალსაწიერის მიღმა დარჩა.

სავსებით თავისუფალ, მოკამათებულ სივრცეში პირდაპირ მზისკენ მიფრინავდა და დაბლა დარჩენილ საცოდავ ქუჩებზე ირონისა და დაცინვას აფრქვევდა. თითქო გადაავიწყდა ძველი ბერძენი, რომელც ზღვაში ჩაჯარდა და დაიდუბა, რადგან მზის მხურვალეებმ გაუღღგო სწორედ ასეთივე ხელოვნურა ფრთები...

20. გორაკილება

იგი ცოლთან ერთად იმევე სახლში დასახლდა, რომელშიც დედობილ-მამობილი ცხოვრობდა. გადაწყვიტა სამსახური დაეწყო ერთი გახეთის რედაქციაში. იმედიცა ჰქონდა ავითელ ქალღღზე დაწერილი ხელშეკრულებისა, მაგრამ ბოლოს გამოჩკვა, რომ ეს ხელშეკრულება გამოცემლებს უოველგვარი ვალდებულებისაგან ათავისუფლებდა და ვალდებულებათა მთელ სიმძიმეს მხოლოდ მას აკისრებდა.

21. შეშლილის ქალიშვილი

მოდრებულ დღეს, უკაცრიელ შარავახზე ორი რიქმა მიბრბოდა. გზა ზღვას უახლოვდებოდა და ეს იქიდანაც ჩანდა, რომ შეშხედარი ზღაუბრი ქროდა. იგი უკანა ეტლში იჯდა. წინასწარ იცოდა, ამ სეირნობას გულს გასახარელი არაფერი მოჰყვებოდა და ფიქრობდა: „რამ წამოვიყვანა აქ?“... ცხადია,

სიყვარულმა არა... პასუხისათვის რომ გვერდი ავლო, დაასკნა: „ასეა თუ ისე, ჩვენს მიწაზე რა უფრთები ვართ“.

წინა ეტლში შეშლილის ქალიშვილი იჯდა. ამ ქალის უმცროსმა დამ ექვიანობის ნიადაგზე თავი მოიკლა.

— ახლა ველარაფერს გააწყობ კაცო...

იგი უქვე განიცდიდა უფრომო გამბოროტებას შეშლილის ქალიშვილის მიმართ, რომელიც აშკარად ემორჩილებოდა ნადირის ინსტიქტებს.

რიქმები ამ დროს სასაფლაოს გასწვრივ გარბოდნენ. ლოკოჩინების ნიყარებით დაფარული ღობის იქით სასაფლაოს ძველბით შავდა ჩანდა. იგი უყურებდა ზღვას, რომელიც მქისედ ციმციმებდა ძველების უკან და საშინელ ზოზღს გრძნობდა ქალის მეუღლისადმი, — მეუღლისადმი, რომელმაც ვერ შეიძლო ქალის დაურგება.

22. ერთი ვიწმე მხატვარი

ეს მხოლოდ და მხოლოდ ეურნალის ილუსტრაცია იყო. მაგრამ ტუშით შესრულებული მამლის სურათს მკვეთრი ინდეიდელბობა ემჩნეოდა. მან ერთ ამხანავს მხატვრის ასავალდასავალი და ვინაობა გამოჰკითხა.

გამოხდა კვირა და მხატვარმა თვითონ მოსძებნა იგი. ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო მისი ცხოვრებისა. მხატვარში მან სხვათათვის შეუმჩნეველი პოეზია დაიჭირა. უფრო მეტი: მან თავისთავშიც აღმოაჩინა სული, რომლის არსებობა მანამდე არ იცოდა.

ერთხელ, შემოდგომის სუსხიან ბინდებულში, მან შეხედა მისის ფოთლოვან ღეროს და უტეც, მხატვარი გაახსენდა. მისის მაგარი, გაბურქნულფოთლებიანი ღერო მაღლა-მაღლა მიიწედა, ხოლო აჩიქნილ მიწაში იცლკენებოდა აღამიანის ნერვების მსგავსი წვრილი ფესვები: ცხადია, ეს მისი პორტრეტი იყო. მისი, ვისთვისაც სულ ადვილად შეიძლებოდა ტყვილის მიყენება. ამ აღმოჩენამ გუნება მოუშხაა.

— გვიანდა. თუმც ბოლო წუთებში...

23. ქალი

ბინდებოდა. იგი მღელვარებით მიაბიჯებდა მოედანზე. დიდი სახლები განათებულნი ფანერებით ბრწყინდოდნენ ოდნავ შევერცხლილი ცის ფონზე.

ტროტუარის კიდესთან შედგა და დაელოდა. ხუთ წუთში ქალიც გამოჩნდა. თითქო მიქანებულს ჰგავდა. მართლაც, ქალმა შეხედა, „დავილალო!“ — თქვა და გაიღიმა. მხარდამხარ გაჰყვანენ ჩახბელებულ მოედანს. ასე

1. მისი — მცენარეა.



იყო პირველი შეხვედრის დროსაც, ოღონდ ამ ქალის სიახლოვეს ყოფილიყო და დაუფიქრებლად მიატოვებდა ყოველივეს.

როცა ავტომობილი ჩასხდნენ, ქალმა ჩაიციებით შეხება და ჰკითხა:

— ხომ არ ნანობ?

მან გულწრფელად უპასუხა:

— არა.

ქალმა ხელი მოუჭირა:

— არც მე ვნანობ, მაგრამ...

ქალის სახე მაშინაც მთვარიით განათებულა ჰგავდა.

24. მუშობარობა

იგი უყურებდა, როგორ ჰბანდა თერხალათანი ბებია-ქალი ახალმობილს. როგორც კი საპირი ჩაუვიდოდა თვალში, ჩვილი საცოდავად იჭმუნებოდა სახეს და ხმამაღლა ტიროდა. იგი იყნოსავდა ჩვილის სუნს, თავისას რომ ჰგავდა და უნებღებოდ მწარე ფიქრები ეძალეობდა:

„რისთვის დაიბადა ამ ტანჯვა-ურვით სავსე ქვეყანაზე? რატომ დაუდგინა ბედმა მამად ჩემისთანა კაცი?“

და ეს იყო პირველი ბიჭი — მისმა ცოლმა რომ შვა.

25. სტრინდბერგი

იგი კარიდან უშვებდა. მთვარის შუქზე, აყვავილებულ ბროწიულებს შორის, ვიღაც ტურტლიანი ჩინელები როგორ თამაშობდნენ „მაჯანს“. მერმე ოთახში შებრუნდა და ლამაზსთან „სულელის აღსარების“ კითხვა დაიწყო. მაგრამ ორი გვერდიც არ წაეკითხა. ტუჩებზე მწარე ღიმილი აეგრიბა. სტრინდბერგიც, გრავის ქალისადმი, — თავის საყვარლისადმი მიწინააღმდეგარა სიცრუეს წერდა. სიცრუეს, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა მისეული სიცრუისაგან.

26. სიძველე

ბუღას ჩამოპარკულმა ქანდაკებებმა, ურწმუნოებმა, ცხენებმა და ლოტოსებმა ლამის მთლად გაანადგურა იგი. შეკუთრებდა მათ და ყველაფერი ავიწყდებოდა. ავიწყდებოდა თავისი ბედნიერი იღბლიც კი, რომლის წყალობითაც თავი დააღწია შეშლილის ქალიშვილს.

27. სპარტანული ალზრად

იგი ამხანაგთან ერთად შესახვევეში მიაბიჯებდა. მოპირდაპირე მხრიდან რიქშა მოახლოვდა. ეტლში, მოულოდნელად, გუშინდელი ქალი აღმოჩნდა. სახე ახლაც კი, დღისით, მთვარით განათებულს უგავდა. ამხანაგის თანდასწრებით, ცხადია, არ მისალმებთან ერთმანეთს.

— კარგი ვინმეა, ა? — თქვა ამხანაგმა.

მან გაჰხედა გაზაფხულით ამწვანებულ მთებს, რომელთაც ტერფამდე უწევდა ქუჩა და შეუფიქრებლად უპასუხა:

— ჰო, ძალიან კარგი ვინმეა.

28. მკვლელობა

მზის გულზე შარა ძროხის ფუნისაგან ყარდა. კაცი ოფლს იწმენდა და ისე მიჰყვებოდა მთისკენ მიმავალ გზას. გზის ორივე მხარეზე მწიფე ქერის სურნელმა იღვრა.

— მოჰკალო! მოჰკალო!

მან როგორღაც შეუმჩნევლად დაიწყო ამ სიტყვების გამეორება. ვინ? ვინ უნდა მოეკლა? ეს ცხადი იყო მისთვის. მაშინვე გაახსენდა საზიზღარი, მოყვლედ წვერულაშეშვარებული კაცი. გადაყვითლებული ქერის ყანის ბოლოში კათოლიკური ტაძრის გუმბათი წამოისევტა.

29. ფორმა

ეს იყო თუნუქის პატარა სურა. ამ მცირე, წვრილად მოტივირულმა სურამ იგი „ფორმის“ მშვენიერებას აზიარა.

30. წიხნა

იგი ლოგინზე იყო წამოწოლილი და ქალს ესაუბრებოდა. ფანჯრის მიღმა წვიმდა. ამ გაუთავებელი წვიმისგან ყვავილებს ლობობა შეეპარათ. ქალის სახე კვლავინდებურად მთვარით განათებულს ჰგავდა. თუმცე, მასთან ლაპარაკი ოღონდ მოსაწყენი იყო. პირქვე მწოლარემ აუჩქარებლად გააბოლა და მოაგონდა, რომ მეშვიდე წელი იყო, რაც ამ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა.

„ისევე მიყვარს?“ — ჩაეკითხა თავის თავს და პასუხი, მისთვისაც კი, ყოველთვის რომ იცოდა საუფთარი გუნება-განწყობილების ასავალ-დასავალი, მოულოდნელი აღმოჩნდა:

— ჰო, ისევე მიყვარს!

31. ღიღი მიწისძვრა

ეს სუნი რალაცით ვადამწიფებელი ქერმის სუნს მიავავდა. ნახანძრალთან ჩავლისას შეიყნოსა და გაიფიქრა — დასიკეხული გვაგების სუნი არცთუ აუტანელი ყოფილაო. მაგრამ როცა გვაგებით ამოვსებულ ტბორს მიადგა, მიხვდა, რომ სიტყვა „საშინელმა“ ემოციურად სულაც არ იყო ვადაუარებება. განსაკუთრებით თორმეტ-ცამეტი წლის ბავშვთა გვაგების ხილვამ დასცა თავზარი. უყურებდა გვაგებს და, რალაც შურის მსგავსს განიცდიდა. გაახსენდა სიტყვები: „ღმერთების რჩეულნი აღრე კვდენ“

აკატაგავა
ცხომრება იღობისნი

ბიან“. მის უფროს დას და ნახევარმასაც და-
ეწვით სახლები. ხოლო უფროსი დის ქმარს
ცრუმოწმეობისათვის გამოტანილი განაჩენის
აღსრულება გადაუღეს.

— ნეტამც ჩახოცილან ყველანი!..

იღვა ნახანძრულთან და თავს ვერ აღწევდა
უამარ ფიქრებს.

32. ჩხუზი

იგი წაეჩხუბა თავის ნახევარმას. უღაო
იყო, ძმა მის გამო შევიწროებულად ცხოვ-
რობდა; მაგრამ ისიც უღაო იყო, რომ ძმა თავის
უფლებებს უხლუღებდა. ნათესავები გამუდ-
მებით ეჩინებოდნენ მას: „მისგან აიღე მა-
გალითით“. მაგრამ ეს მისთვის სულერთი იყო.
ჩხუბით და ჩაჯგურით შუშბანდის ბოლომდე
ჩაგორდენ. ბაღში, — კარგად ახსოვდა, — წვე-
მიანი ზეთის ქვეშ წითლად ჰყვავდა ჰინდული
იასამნის ლალი ბუჩქი.

33. მზირი

იგი მაღალ მთას გაჰყურებდა ვოლტერული
ყვილის სახლიდან. მთის ყინულოვან კენწეროს
ტერაკი კი ვერ მისწვდებოდა, მაგრამ ვიღაც სა-
შუალო ტანის რუსი ჯიუტად მიიწევდა მწვერ-
ვლისაკენ.

როცა ვოლტერულ სახლშიც ჩამოწვა ღამე,
იგი ღამფას მიუჭდა და იდეური ლექსი დაწერა.
თან რუსის ფიგურა ედგა თვალწინ, ჯიუტად
რომ ეძალებოდა ციკაბოს...

ყველაზე მეტად დამცველი მცნებათა —
მცნებათა დამრღვევი აღმოჩნდი თვითონვე.
ყველაზე მეტად მოყვარე ხალხისა —
მოსტლე ხალხისა აღმოჩნდი თვითონვე.
ყველაზე მეტად ანთებელი იდეათათვის —
სინამდვილეს იცნობდი ყველაზე უკეთ.
შენ ელექტროლოკომოტივების ბაღახის
სურნელით გაჟღერითილო,
ნაშობო ჩვენი აღმოსავლეთის საშოდან.

34. კოლორიტი

მან, უკვე ოცდაათი წლისამ, როგორღაც
შეუმჩნევლად შეიყვარა ერთი ტიალი ადგილი.
ამ ვერან ალაგას, ხავსში, ავურისა და კრამიტის
ნამტვრევები ეყვარა. და მის თვალში ეს ოხერი
კუთხე არაფრით განირჩეოდა სეზანის პეიზაჟი-
საგან.

უცებ, თავისი შვიდი-რვა წლის წინანდელი
გატაცება გაიხსენა. და იგრძნო, რომ მაშინ,
თურმე, წარმოდგენაც კი არა ჰქონია კოლო-
რიტზე.

35. რეალისმის მანქანა

მას უნდოდა ისე დაძაბულად ეცხოვრა, რომ
შესძლებოდა ყოველ წამს სინანულის გარეშე

მომკვდილიყო. და მინც შეჰვირვებულ
რებას განაგრძობდა დედობილ-მამობი
დედასთან ერთად. ასეთი ყოფა ჰქმნიდა მისი
ცხოვრების ორ მხარეს — ნათელსა და ბნელს.
ერთხელ, ევროპული ტრანსაცმლის მაღაზიაში
სარეკლამო მანეკენი დანიშნა და გაიფურა, სა-
ოცრად გვაჯარ ამ მანეკენსო. მაგრამ მისმა ქვე-
ცნობიერმა „მემ“ — მისმა მეორე „მემ“ ეს
განწყობა კი ხანია ერთ მოთხრობაში გამოი-
ყენა.

36. დაქანცულობა

იგი, ერთი სტუდენტის თანხლებით, მინდორ-
ზე სეირნობდა.

— თქვენ ყველას, ალბათ, ჯერ კიდევ დიდო
წყურვილი გაქვთ ცხოვრებისა, ა?

— დიას... მაგრამ არ თქვენც...

— არა, მე აღარ! შემოქმედების წყურვილი
შემომჩრა მხოლოდ, მაგრამ...

მართლაც ასე გრძნობდა. შეუმჩნევლად დაჰ-
კარგოდა ცხოვრების ხალისი.

— შემოქმედების წყურვილი — იგივე
ცხოვრების წყურვილია.

აღარ უბასუხნია. მინდვრის ვადაღმა, მო-
წითალი თავთავებს ზემოდ, მკაფიოდ იხატებო-
და ველკანი. და მან ამ ველკანის მიმართ რა-
ღაც შურის მსგავსი იგრძნო. თვითონც არ
იცოდა, რატომ.

37. „ნეპატივი“

ერთხელ იგი ისეთ ქალს გადაეყვარა, ტლან-
ტის ძალითაც რომ ღირსეულ მეტოქეობას გაუ-
წევდა. მაგრამ მან „ზეყაივი“ და სხვა ღირიული
ლექსები დაწერა და, როგორც იქნა, თავი და-
აღწია საშობრობებს. ამის შეგრძნება მწარე იყო
ხის ტანზე მიყინული და შერმე ჩამოფხვცილი
თოვლივით.

ქარს მიჰქვს მრგვალი სუგეგასა!
და დასცემს სადმე მტვრიან შარაზე...
რა საჭიროა რომ შემობრალო?
თუ ტირილია — შენი თავი იტირე მხოლოდ...

38. შურიძიძება

ეს იყო მწვანე ხეებში ჩაფლული ჰოტელის
აივანი. იგი სურათებს უხატავდა პატარა ბიჭს
და ამით ართობდა. ბიჭი შვილი იყო ქალისა.
რომელსაც იგი შვიდი წლის უკან დასცილდა.

შეშლილს შვიდიწლიანი სიგარეტს ეწეოდა,
თან უყურებდა მათ თამაშს. იგი გულდამძიმე-
ბული ხატავდა მატარებლებსა და ჰაეროვლან-
ნებს. საბედნიეროდ, ბიჭი არ იყო მისი შვილი.
მაგრამ ბიჭი „ძიას“ ეხატა, რითაც დიდ ტანჯვას
ჰგვრიდა.

1) დაწერილი შლაბა ქოლგის ან სოკოს ფორ-
მისა.



როცა ბიჭი სადაც გაიქცა, შეშლილის ქალიშვილმა ღრმად ჩაისუნთქა სივარეტის ბოლი და გამომწვევად ჰკითხა:

- განა ძქვენი არა გვათ ბავშვი?
- სულაც არა. ჯერ ერთი...
- ჰო, მაგრამ მგონი არსებობს „საშოსმიერი ზემოქმედება“, არა?

მან უსიტყვოდ მოარიდა მხერა. მაგრამ გულს სიღრმეში უნებლათ აღძრა სურვილი ქალის მიხრჩობისა.

39. სარკმელი

იგი იჭდა კაფეში და ამხანაგთან საუბრობდა.

ამხანაგი შემწვარ ვაშლს მიირთმევდა. თან ყბებობდა ამინდზე, ამ ბოლო დღეებში რომ დაიჭირა. და მან ხელადვე იგრძნო რაღაც წინააღმდეგობრივი ამ საუბარში.

- ისე უტოლო ხარ?
- იმ თვეში უნდა დავკორწინდე.

იგი გაჩუმდა. კედლის სარკეები უთვალავ-ჯერ სახავდნენ მას და თითქო ცივად ემტკრებოდნენ...

40. ღიაღოზი

— რატომ ებრძვი თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას?

— იმიტომ, რომ კაპიტალიზმი ბუდეა ბორბლებისა.

— ბორბლებისა? მე კი მეგონა, შენ არ სცნობდი განსხვავებას კეთილსა და ბორბტს შორის. ეგვიტ არ იყოს, თეითონ როგორღაც ცხოვრობ?

ახე ესაუბრებოდა იგი ანგელოსს. ანგელოსს ახალთახალი ცილინდრი ეხურა.

41. აპაღოზა

უძილობა დასჩემდა. ამას ძალ-ღონის დაშრტატე მოჰყვა. ყველა ეჭიმი თვითვის დიავნოზს უსეამდა: კუჭის კატარი, ნაწლავების ატონია, მშრალი პლევრიტი, ტვინის გადაქანცვა...

მაგრამ თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა ავადობის მიზეზი. ეს იყო სირცხვილი საკუთარი თავისა და შიში საქმლველი საზოგადოების წინაშე!

ერთხელ, მოღუშულ, ნაღვლიან დღეს იგი კაფეში იჭდა, სივარას ეწეოდა და უსმენდა მუსიკას, რომელიც გრამოფონიდან ისმოდა. მუსიკა საშინლად უფროიიქებდა სულს.

ბოლოს, გრამოფონთან მივიდა და ფირფიტის ეტიკეტს დახედა.

მოცარტი — „ჩადონსური ფლეიტა“.

იგი მაშინვე მიხვდა, რომ მოცარტიც წმინდა მცნებათა დამრღვევი იყო და იტანჯებოდა. თუმც, ალბათ ისე არა, როგორც თვითონ... თავი ჩაჰქინდრა და ნელი ნაბიჯით დაუბრუნდა მაგიდას.

იგი, უკვე ოცდახუთმეტი წლისა, გაზაფხულის მზით აციაგებულ ფიქვნარში სეირნობდა. თან იგონებდა ორი-სამი წლის უკან დაწერილ თავისნავე სიტყვებს: „ღმერთებს, საუბედუროდ, არ შეუძლიათ ჩვენსავით მოიკლან თავი“.

43. ღამე

ისევე ჩამოწვა ღამე. მრუმეში აზვირთებულ ტალღების თავზე განუწყვეტლად იქორებოდა ქაფის ნაფლეთები. ასეთი ცის ქვეშ მან მეორედ იქორწინა საკუთარ ცოლზე. ეს სასიხარულო იყო მათთვის. მაგრამ, ამავე დროს, მტანჯველიც. სამი ბავშვი მათთან ერთად უმზერდა ზღვაზე ელვითა კლავენას. ცოლს ერთი ბავშვი ატატებული ჰყავდა და ისე ჩანდა, თითქო ცრემლებს იკავებდა.

- იქ, მგონი, ნავი ჩანს, არა?
- ჰო.
- ანებდამსხერველი ნავი.

44. სიკვდილი

ისარგებლა, რომ მარტო ეძინა და ფანჯრის ცხაურზე თავის ჩამოხრჩობა სცადა ქამრიც. მაგრამ გაუყარა თუ არა კისერი ყულფში, შეეშინდა სიკვდილისა. არა, იმიტომ არ შეშინებია, რომ ბოლო წუთებში ტანჯვის გადატანა მოუხდებოდა. გადაწყვიტა, გაემორცინა ცლა, გაეზომა დახრჩობისათვის სპირო დრო. და აი, მსუბუქი ლავის შემდეგ თავდავიწყებას მიეცა. ამასაც თუ გადალახავდა, უეჭველად მიეახლებოდა სიკვდილს. თვლი უსწორა საათის ისრებს და დაინახა, რომ ჰკირთათმენა წუთსა და 20 წამს გრძელდებოდა მხოლოდ. ფანჯარას უკუნი სიბნელე მისწოლოდა. ამ სიბნელეში მამლის მკვეთრი ყვილი გაისმა.

45. Divan

„Divan“-მა ერთხელ კიდევ გაუღვია მიოვლეშილი სული. ეს იყო მისთვის უტნობი „ლომასალური გოეთე“. იგი ზედადა გოეთეს, რომელიც მშვიდად იდგა კეთილისა და ბორბტის მიღმა და გრძნობდა შურს, სასოწარკვეთილებასათან მომტყნავს. პოეტი გოეთე მის თვალში ჰრისტეტზე მალდა იდგა. ამ პიეტის სულში არა მარტო აკროპოლი და გოლოთა თავსდებოდა, არამედ იქვე ხარობდა ვარდებიც არაბეთისა... ო, რომ ჰყოფნოდა ძალა მის კვალზე ვლის! ბოლომდე ჩაიკეთა „Divan“-ი და, საშინელი მღელვარებისაგან დამცხრალმა შეიხიზლა საკუთარი

აკუბაგავა
ცხომრება იფიოტისა

თავი — დაბადებული ცხოვრების საკუთრ-
სად.

46. სიცრუე

სიძის თვითმკვლელობამ მას უეცარი დარ-
ტყმა აგვმა. ახლა ღის ოჯახზეც უნდა ეზრუნა.
მომავალი, ყოველ შემთხვევაში მისთვის, და-
ბნედილი იყო მიმწუხრივით. იგი გრძნობდა
რალაც სიახლოვეს გულგრილ დაცინვასთან
— თავისსავე სულიერ გამოფიტვას რომ ამა-
სხრებდა (საკუთარი ცოდვანი და სისუსტენი
ბოლომდე ჰქონდა გაცნობიერებული) და
ძველებურად კითხულობდა სხვადასხვა წიგ-
ნებს. მაგრამ რუსოს „აღსარებაც“ გმირუ-
ლი სიკრუთით იყო სავსე. კიდევ უფრო
მეტად ეს „ახალ ცხოვრებაზე“ ითქმოდა.
არასოდეს შეხვედრია ისეთ ეშმაკსა და
ფლიდს, როგორც „ახალი ცხოვრების“ გმირი
იყო. მხოლოდ ფრანსუა ვიიონმა აუღლევა
სული. მის ლექსთა შორის ერთს წააწყდა,
რომელსაც „მშვენიერი ხარი“ ერქვა.

სახარბელის მოძლიერდნე ვიიონის სა-
ხემ სიზმრებში დაუწყო გამოცხადება. რამ-
დენჯერ მოსდომებია მასაც, მსგავსად ვიიონ-
ისა, მთლად ფსკერზე დასულიყო! მაგრამ
ცხოვრების ვითარება არ აძლევდა საშუალებ-
ბას და არც ფიზიკური ძალა შესწევდა საამი-
სო. ნელიად სუსტდებოდა — კენწეროდან
ხმობაშეპარული ხესავით, ოდესღაც ჩონთან
სეფეტმა რომ იხალა...

47. ცაცხლთან თამაზი

ქალს სახე ისე უტიციკიმებდა, თითქოს ღი-
ლის შვის სხივი ათინათდაო თხელ ყინულზე.
იგი შეეთვისა ამ ქალს, თუმც სიყვარულს
კი ვეღარ გრძნობდა. მეტიც: თითი არ დაუ-
კარებია მისი სხეულისათვის.

— ოცნებობთ სიკვდილზე?

— დიახ... არა, სიკვდილზე კი არ ვოცნე-
ბობ, სიცოცხლემ მომაბუზრა თავი.

ამ საუბრის შემდეგ მათ ერთად სიკვდილი
გააღწყვიტეს.

— პლატონური თვითმკვლელობა; ხომ
ასეა?

— ორმაგი პლატონური თვითმკვლელობა.

იგი გააოცა საკუთარმა სიმშვიდემ.

48. სიკვდილი

არ მომკვდარან. იგი კმაყოფილებას განიც-
დიდა, რომ აქამდე თითიც არ დაეკარებინა
ქალის სხეულისათვის. ქალიც ზოგჯერ ისე
იქცეოდა, თითქო მათ შორის განსაკუთრე-
ბული არაფერი მომხდარიყო. მეტიც, სა-
წამლაიანი ფლაკონი მისცა და უთხრა: „რა-
კილა ესა გაქვს, ძლიერები ვარ“.

და მართლაც, ქალმა გამოუღვიძა ერთ-
მარე სული. იგი იჯდა დაწულ საკარბაჭოზე
უყურებდა მუხის ახლადგამოტანილ ფო-
ტოებს და ფიქრობდა იმ სიმშვიდეზე, სიკვი-
ლი რომ მოუტანდა.

49. გედის ფიტული

როცა უქანასკნელი ძალაც ამოეწურა, გა-
დაწყვიტა ავტობიოგრაფიის დაწერა ეცად-
ნა. მაგრამ, საუბრით მოულოდნელად, ეს
იოლი არ აღმოჩნდა. იმიტომ, რომ მას აქამომ-
ღი შემორჩა პატივმოყვარეობა, სეპტიკონ-
ში და ანდარიზიანობა. და სწორედ ამის გამო
ეზიზღებოდა საკუთარი თავი. მეორეს მხრივ,
ვერც იმ აზრს იშორებდა: „თუ ადამიანებს
ძირისძირობამდე გავაშვილებთ, ყველა ჩემ-
ნიერი აღმოჩნდება“. მზად იყო ეფიქრა, რომ
სათაური „პოეზია და სინამდვილე“ ყველა
ავტობიოგრაფიას გამოადგებოდა სათაურად.
ისიც ცხადი იყო, რომ მხატვრული ნაწარმო-
ები სულაც არ აძლევებდა ყველა მკითხვე-
ლის სულს. მისი ნაწერები გამოძახილს
ჰპოვებდა მხოლოდ ახლოდგმულთა შორის, იმათ
სულში, ვინც დაახლოებით მისდაგვარად იცხ-
ოვრა.

აი, ამნაირად იყო განწყობილი. და სწორედ
ამიტომ გადაწყვიტა მოკლედ დაეწერა თავი-
სი „პოეზია და სინამდვილე“.

როცა „ცხოვრება იდიოტისა“ მოათავა, შე-
მთხვევით, მეძველმანის დუქანში გედის ფი-
ტულს წააწყდა. გედი თავიწეული იდგა, ხო-
ლო მისი გაყვითლებული ფრთები ჩრჩილს-
გან იყო დაქმული. იგი უნებლიეთ დაუფიქრ-
ლ- მთელ თავის ცხოვრებას და იგრძნო,
ყელში როგორ ერთდროულად აწვებოდა
ცრემლი და სიცილი. წინ მხოლოდ შემოი-
ლობა ან თვითმკვლელობა ელოდა. მარტოდ-
მარტო მიმავალმა დაბინდულ ქუჩაში, გადა-
წყვიტა, მოთმინებით დალოდებოდა ბელს,
რომელიც მის მოსამთობად მოვიდოდა.

50. ბავშვი

ერთ-ერთი მისი ამხანაგი შეიშალა. ამ ამ-
ხანაგის მიმართ იგი ყოველთვის ერთგვი
სიახლოვეს გრძნობდა. ეგ ალბათ იმიტომ,
რომ მთელი არსებით, მეტად, ვიდრე სხვა,
განიცილია მის მარტოობას — მარტოობას,
რომელსაც მხიარულების ნიღბად ფარავდა.
იმის შემდეგ, რაც ამხანაგი ქუტუხე გადავი-
და, რამდენჯერმე ინახულა იგი.

1. გოეთეს წიგნი

აკუსტაგავა

ცნობრება ილიოტინსა

— მე და შენ ბოროტმა დემონმა დაგვი-
მორჩილა. „საუკუნის დასასრულის“ ბოროტ-
მა დემონმა! — ეუბნებოდა ამხანაგი ხმადაბ-
ლა. ორი-სამი დღის შემდეგ კი, სეირნობისას,
ვარდის ფურცლებს დაუწყო ჭამა.

როცა იგი საავადმყოფოში მოათავსეს, ტე-
რაკოტის ბიუსტი გაახსენდა, ოდესღაც რომ
აქუქეს. ეს იყო ბიუსტი შეშლილი ამხანაგის
საყვარელი მწერლისა, რომელმაც „რევიზო-
რი“ დაწერა. მან გაიხსენა, რომ გოგოლიც
შეშლილი გარდაიკვალა და რაღაც დამონე-
ბელი ძალის გარღვეული ზემოქმედება იგრძე-
ნო.

სახეებით ძალაგამოცილიმა რადიგეს¹ სიკ-
ვლის წინა სიტყვები წაიკითხა და ერთხელ
კიდევ ჩაესმა ღმერთების სიცილი. „ღვთის
ჯარისკაცები მომეახლნენ წასაყვანად“...
გულდაგულ ცდილობდა საკუთარ ცრურწმე-
ნებსა და სენტიმენტალობასთან ბრძოლას.

¹ რადიგე — მწერალია.

მაგრამ მალე ყოველგვარი ბრძოლა ფიზიკე-
რად აუტანელი შეიქნა. „საუკუნის დასასრუ-
ლის“ ბოროტმა დემონმა, მართლაც, მთლი-
ანად დათრგუნა იგი. უნებლიე შური იგრძნო
შუა საუკუნეთა ადამიანების მიმართ, რომლე-
ბიც ღვთის იმედით სულდგმულობდნენ.
ღვთის რწმენა, ღვთის თაყვანებით სულდგმუ-
ლობა მას აღარაფრით აღარ შეეძლო. თუნ-
დაც იმ ღვთისა, ვან კოქტოს რომ სწამდა.

51. დამარცხება

კალმიანი ხელი უთრთოდა. უმწეო ბავშვი-
ვით ცინგლმა დაუწყო დენა. გონება ნათე-
ლი ჰქონდა მხოლოდ გამოღვიძების შემდეგ,
დაძინებას კი უამრავი ვერონალის მიღებით
ახერხებდა. და გონებასაც სულ რაღაც ნახე-
ვარი ან ერთი საათით თუ უბრუნდებოდა
ჩვეული ძალა. აუწყველ და ამოუხაპავ სიბ-
ნელეში მიიზღაზნებოდა დრო. თითქო წვრილ
მახვილზე იყო დაყრდნობილი, რომელსაც
აღესილი პირი გადასტეხოდა.

თარგმნა თეიმურაზ გალღაფერიძემ.





ოდისეა

VIII

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, საწოლიდან წამოდგა სიწმინდით ძალბოსილი ალკინოე. ადგა ციხეთა შემშუსვრელი ოდისევსიც. ღვთაებრივი ალკინოე ფეაქელთა საფიხნოსაყენ წარუძღვა ოდი-სევსს, იქ, სადაც ხომალდების სადგომი იყო. სტუმარი და მასპინძელი წმინდად გასიპუ-ქებიზე ჩამოსხდნენ ერთმეორის გვერდით. ამ დროს ალკინოეს უკვირან მაყენდ ვარდასაბულა ათინა პალადა უბან-უბან დადიოდა და ფეა-კილოა წარჩინებულთ ასე მოუწოდებდა:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ციკარი“, № 3, 4, 5.

— ფეაქელთა ღირსეულ წინამძღვარო და მეტრენო! საფიხნოსაყენ იჩქარეთ, რომ საყუ-თარი თვალთ იხილოთ ალკინოესთან სტუმრე-ბული, ზღვათა გადამლახველი, სახითა და ანა-გებით ღვთისდარი უცხოელი.

ასე აქეზებდა ფეაქელებს ათინა და თეი-თეულ მათგანს ცნობის წადილს უღვივებდა. მოედანზე მალეღვე მოიყარეს თავი წარჩინე-ბულმა ფეაქელებმა და თავთავიანთ მერხებზე ჩამოსხდნენ. ვანციფრებთ შეპყურებდნენ ისი-ნი ლერტეს სახელოვან ძეს. ღვთაებრივი მშვენებით შეემოსა ათინას ოდისევსის მხარ-ბეჭი და სახის ნაკეთები, ახოვანება შეემატე-ბინა, რომ ფეაქელებს უფრო მეტად მოსწო-ნებოდათ და კეთილი თვალთ შეეხედნათ მის-

თვის, რაკი მასპინძლებს სტუმრის გამოცდა ეწადოთ ასპარეზობასა და ორთაბრძოლაში. საფიხვნოში შეკრებილ ფეაკელთა ზელადებს ასე მიმართა ალკინოემ, მათმა მბრძანებელმა:

— ფეაკელთა ღირსეული წინამძღვარნო და მებრძენო! გულისნადები მინდა გავდიხლოთ: ჩემი სტუმარია ეს კაცი, თუმცა არ ვიცი ვინ არის, ან საიდან მოხვდა ჩვენს კუნძულზე — აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან. სამშობლოში დაბრუნების შეეძლება იგი. უნდა შევწვიოთ გასაჭირში მყოფს, რადგან არავის ახსოვს, — ჩემს სახლში სტუმრებულის ვედრებისათვის ყური არ გვეთხოვებინოს. ამიტომ გეტყვი: ახლადგებულ ზღვისუნახავი ხომალდი ჩაუშვით ზღვაში, ერგას ორი ნადივი მუხლავაური შეარჩიეთ, ხოლო შემდეგ სწრაფადვე მობრუნდით უკან, რომ ჩემს სასახლეში პურობისათვის მოვემზადოთ. ჩინებულნი, დღეს ჩემი სტუმრები ხართ, უარს ნუ მტყუებით! ყველა კვერთხისმპყრობელ ბასილეს ვაბატეებ ნადიმზე, რომ უცხოელს საკადრისი პატივი მივაგოთ. ჩვენთანვე იქნება მომღერალი დემოდოკე, დაე, ღვთაებრივი ნიჭით ცხებულმა ლხენით ავიგვიღოთ.

ალკინოემ სიტყვა მოამთავრა და სასახლისკენ წარუძღვა ფეაკელთა წარჩინებულებს. მანდატურმა ღვთაებრივი მომღერლის მოსახმობად აფრინა კაცი. ერგას ორი რჩეული მუხლავაურიც გაგზავნეს უნაყოფო ზღვის პირას შეაფერდიანი ხომალდის წყალში ჩასაშვებად, მათ ნიჩბები მჭიდროდ დაუმავრეს ხომალდს, ანმა აღმართეს და ზედ იალქანი ჩამოაბნეს, რომ ყოველმხრივ აღკაზნული, ღუზაზე მდგარი ხომალდი გასამგზავრებლად მხალ ყოფილიყო. შემდეგ ყველამ თავი მოიყარა ფეაკელთა მბრძანებლის სასახლეში. ხანდაზმულ და ახალგაზრდა სტუმრებს აევსოთ უკვე ალკინოეს სასახლის კარიბჭე და ვალავანი. წვეულთათვის თორმეტი ცხვარი, რვა ეშვიანი ტახი და ორი მრუდფეხებზიანი ხარი დაეკვლევინებინა ალკინოეს.

უხვად გაწყობილ სუფრას ის-ის იყო უსხლებოდნენ მობატყებულნი, როდესაც დარბაზში სათაყვანებელ მომღერალ დემოდოკეს შემოუძღვა მანდატური. ავი და კეთილი ხვედრი თანაბრად დაანათლა დემოდოკეს მუხამ: თვალისჩინის დავსების სანაცვლოდ სიმღერის ნიჭი მოემადლებინა მისთვის. პონტონოემ დედაბოძთან ვერცხლის სამსჭვალაიან საკარცხლულზე დასვა იგი და თავითი ტუბილხოვანი ფორმინგი ჩამოუღიდა, რომ უსინათლოს ადვილად ჩამოეღო საკრავი. წინ ტაბლა გაუწყო პურ-ღვინით, რათა ნებისაებრ ესვა და ეჭამა.

სმა-ჰამით გული რა იჭერეს მენადიმებმა, მუხისგან შთავონებულმა მომღერალმა სიმღერა წამოიწყო გამირებზე, რომელთა დიდება ცას მისწვდომოდა: გაიხსენა, თუ როგორ წაეკიდნენ ერთმანეთს სამსხვერპლო ნადიმზე ოდი-

სეისი და აქილეისი. ავამემნონს ველში უხაროდა მათი წაყიდება, რადგან სწორედ მაშინ თანაბარ განსაცდელს უშმადებდა ტროელებსა და დანაულებს ყოვლისმძელ ზეგის: პითიის სამისნოში შესულ ავამემნონს ამ შუღლის კეთილად ახლომა უწინასწარმეტყველა აპოლონმა. ამზე რომ მღეროდა ღვთაებრივი მომღერალი, ოდისეეს ცრემლი მოერია და ძლიერი მკლავით ძოწისფერი მოსასხამი აიფარა სახეზე, — ერცხინებოდა, თვალცრემლიანი დახახვანდა ფეაკელმა.

როგორც კი დადუმდა დემოდოკე, მან უჩუმრად მოიწურა ცრემლები, მოსასხამი მოიშორა სახიდან და ორყურთიანი თასით ღვინო დაუღვარა ღმერთებს. მაგრამ, როცა ფეაკელი დიდებულების თხოვნით დემოდოკემ კვლავ წამოიწყო სიმღერა, ოდისეესმა ისევ აიფარა მოსასხამი თვალებზე და ატრიადა. ასე უშმადად მრავალტარქული თანამეინახებელი თავის მშურარებას, სანამ ალკინოეს მახვილმა მჭერამ არ შენიშნა მის თვალზე ცრემლი. მაშინ ამ ამბით გულშეძრულმა ალკინოემ ასეთი სიტყვა უთხრა ზღვისმოყვარულ თვისტომთ:

— ფეაკელთა წინამძღვარნო და მებრძენო! ნადიმით ხომ ვიჭერეთ გული და ლხინის დამამშვენებელი ხმატკიბილი სიმღერაც მოვისმინეთ. დაეტოვოთ ახლა დარბაზი და ასპარეზობა გაემართოთ, რომ შინადაბრუნებულმა უცხოელმა უამბოს თავისიანებს, თუ რაოდენ აღემატებოდა ყველას კრივიში, ჭიდაობაში, სირბილსა და ხტომაში!

ეს თქვა ალკინოემ და ფეაკელთა დიდებულებს დარბაზიდან გაუძღვა. მანდატურმა ტუბილხოვანი ფორმინგი კვლავ დედაბოძზე დაკიდა, უსინათლო მომღერალი გარეთ გამოიყვანა და ყველანი ერთად ასპარეზობის საყურებლად გაემართნენ.

ურიცხვი ხალხი მოაწყდა მოედანს. ძალგულოვანი ჰაბუტები უკვე გამზადებულიყვნენ საასპარეზოდ. მოედანზე გამოვიდნენ აკრონეოსი, ოკიალე და ელატრევსი; ნაუტრევსი, არიმენეოსი, ანქიალე და ერეტრევსი, პონტეოსი, პროტეოსი, თოონი, ანაბესინეოსი და ანფილე; მათ მიჰყვნენ კაცთამშუსერელი არესის შესაგვანი ვერიალე და ფეაკელ ჰაბუტთა შორის ლაოდამანტი შემდეგ ულაშაზესი ნავბოლიდე; წამოდგა აკრეთვე საზღვრავანი ალკინოეს სამი ძე — თვალტანადობით გამორჩეული ლაოდამანტი, ჰალიონი და ლეთისდარი კლიტენეოსი. ჰაბუტები ჯერ სირბილში უნდა გაჯიბრებოდნენ ურთიერთს. ისინი ნიშნავებთან ჩამწყრივდნენ, შემდეგ ერთბაშად მოწყდნენ ადგილს და მტვერი ააყენეს გზაზე. ყველას მკვირცხლმა კლიტენეოსმა აჯობა: მან ერთი უტყვიანით ჩამოიტოვა დანარ-

კომაროსი
ოქინსა

ჩენები. ჭიდაობაში მიტოვებმა მკლავმაგარმა
ვერიალემ დაჯანა, ხტომაში კისკასმა ამფილემ
გამარჯვა, ბადროს ტურცინაში — ელატრესმა,
ხოლო კრივში ტოლი ვერვინ დაუდო ლოდ-
მანტს, ალკინოეს პირმშვენიერ ძეს.

შეჯიბრებითა და ორთაბრძოლით გული რა
იჭერეს, თავშეყრილ ხალხს ასე მიმართა ლა-
დამანტმა:

— თანამომენო! მოუდ ვკითხოთ ჩვენს
უტხოვლო, ემარჯვება თუ არა ასპარეზობა?
მხარეუქიანი, მკლავდინიერი და წვიგმაგარი
ჩანს და ხანდაზმულიც არ უნდა იყოს, თუმცა
ეტყობა, დიდი ტანჯვა-წვივლება გადაუტანია გზა-
ში. ხომ იცით, კაცს ისე არაფერი გამოსწორავს
ლონეს, როგორც ზღვის ზურგზე ხეტიალი.

ლაოდამანტს ასეთი სიტყვა შეაგება ვერია-
ლემ:

— სწორს ამბობ, ლაოდამანტ! მაშ, მიდი და
თავად შენ გამოიწვიე უტხოვლი.

ლაოდამანტმაც არ დაყოვნა, მოედანზე გა-
ვიდა და ასე მიმართა ოდისევსს:

— ძვირფასო სტუმარო, მარჯვე მოსაპარე-
ზედ გამოიყურები! არაფერი ისე არ ასახელებს
ვაკაცს, როგორც ფეხთა სიმარტე და მკლავის
ძალა! მაშ, გამოდი, უტყოფარე კემანის დიდი
ღრო აღარ გრჩება სამშობლოში გამგზავრებამ-
დე — ხომალდი წყალშია უტყვე ჩაშვებული და
ნიჩბონებშიც მზად არიან.

— რატომ დამცინი, ლაოდამანტ? — მიუგო
გულმიხმვდურმა ოდისევსმა ჭაბუქს. — ვანა
ასპარეზობის თავი მაქვს ახლა? გული ჩამწყვე-
ტია ვარამით და თქვენს შორის მჯდარს სახ-
ლეულზე ფეჭი არ მსაყვენიშ. ამასდა გუდღერი
ერსა და ერისმთავარს — მალე გამისტუმროთ
სამშობლოში.

ამის გამგონე ვერიალემ ბირში მიახალა ოდი-
სევსს:

— ეჭვ, უტხოვლო, ჩაუქობისა არაფერი
გცხია. შენ უფრო იმ გულჯაბან ვაჭარს მაგო-
ნებ, ანგარებით შეპყრობილი დღენიდავ იმა-
ზე რომ ზრუნავს, რა სარგებელი ნახოს, როგორ
დატვირთოს ხომალდი საქონლით და გამდღ-
რებულმა მშვიდობით როგორ მიადწიოს თავის
წვეყანას. ვერა, ვაუკაცობას ვერ დაიჩემებ!

წყრომით ახედა ვერიალეს გულამდგრეულმა
ოდისევსმა:

— უღრისი სიტყვა დაგცდა, ჭაბუქო! კად-
ნიერი ვინმე უნდა იყოს ღმერთები ყველაზე
ერთნაირად არ დაიბერტყაყენ კალთას. ერთბა-
შად როლი აქვს ყველას მომადლებული მჭევრ-
მეტყველება, გონიერება და ახოვანება. კაცთა-
გან ზოგი თუმცა თვალტანადობით ვერ დაიკ-
ვეხნის, მაგრამ გონიერებითა და ენამშეობით
გამოირჩევა. თანამოქალაქენი შეფერდინვით
შესტკერიან მას და ღვთის საყდრის პატივს
დებენ. ზოგი კი, სახითა და ანაგებით ღმერთ-
შემოსილი, შენებრ სიტყვამკლეა და თავჯარანი.

აკი შენც ღვთისდარი მშვენიებითა ხარ შემეყ-
ლი, მაგრამ სიტყვა არ მოგდევს და გულისმულს
ვრონელოცა ხარ. გული ამიძღვრია შენა თავ-

ხედობაში არ გეგონოს, ასპარეზობის უმეცარი
ვიყო, როგორც წყნად მოჩინებ! ჭაბუქობაში,
როცა გული მერჩოდა და მუხლიც მომდევდა,
ჩემს სწორებში ტოლს არ ვიღებდი. ახლა რაღა
ვარ, ომგარდახდილსა და ზღვაზე ნათრევს ვანი
მიმეწურა, მაგრამ რაკი მომაყივნე და უკმეხი
სიტყვით გამოიწვიე, ვაყურებივინც სიერს!

ეს თქვა და მოედანზე გამოვიდა მრავალ-
ნაციად ოდისევსი. მოსასხამი არც კი ვაღუგვლია,
ისე დაავლო ხელი ყველაზე დიდ ბადროს, ძლი-
ერად მოიქნია მკლავი და სტყორცა. ქვის ბად-
რომ ზუსტებით გადაუტროლა თავზე შიშისაგან
გატრუნულ ფეაქლებს და გადასცილდა მოსა-
პარეზება ყველა სანიშნოს.

მოკვდების სახით გამოცხადებულმა ათინამ
მონიშნა ის აღგილო, სადაც ოდისევსის მიერ
გატყორცნილი ბადრო დაეცა. შემდეგ მობრუ-
ნდა და ახარა ოდისევსს:

— ბრმაც კი ვაარჩევს შენს ნიშანს, უტხოვ-
ლო! შენზე შორს არც ერთ ფეაქლს არ უსრო-
ლია ბადრო. გამარჯვება შენია, გიხაროდეს!

გული მოეფონა ოდისევსს, ვეითომოსურნე
კაცი რომ დანახა ამ უტხო კუნძულზე. გულ-
მოცემულმა ქაილით მიმართა ფეაქლებს:

— ჰეი, ახალ-უხლებნო, გამოდი და ტყო-
რცნეთ ბადრო! თუ ჩემს სანიშნომდე მიაწევთ,
გამოვალ და უფრო შორს გადავისვრი. სათი-
თაოდ გამოდი ყველანი და რაშიც გინდათ შე-
მეჯიბრეთ — გინდ კრივში, გინდ ჭიდაობაში,
გინდაც სირბილში. არაფერში უკან არ დავი-
ხე, რაკი გამაგლისეთ. მარტოოდენ ლოდ-
მანტს ვერ გამოვიწვიე, რადგან მისი სტუმარი
ვარ. მხოლოდ უგუნური, ხებრე კაცი თუ გამო-
იწვიეს სასაპარეზოდ სტუმართმოყვარე მასპინ-
ძელს. თავს შეირბინე და საქმესაც გაიფუ-
ქებს ასეთი კაცი. ლაოდამანტს გარდა არავის
შეგებუბები: ყველასთან მზადა ვარ ორთაბრძო-
ლისათვის! რა ვაგმარდობს მეტყვით, ვაწაფუ-
ლი რომ არ ვიყო? მშვილდის ხმაზემაც კარ-
ვად ვიცი; ისე მოგქმამა, მტრის გულის განსა-
წონად ვასროლილ ჩემს ისარს ვერავისმა დაას-
წროს! ერთადერთი ფილოქტეტე მჯობნიდა,
როცა ილიონის მისადგომებთან მშვილდითნი-
ბაში ვევიბრებოდით ერთმანეთს აქავდლინი. რაკ
შეგებება ძველებს, ჰერაკლესა და ექალიელ ვე-
რიტოსს, მათთან შეჯიბრებას ვერც ვაგებედავ-
დი. ისინი ხომ თავად ღმერთებსაც ეტყობოდ-
ნენ ზოგჯერ! ვანა ამისთვის არ დასაჯა ვერი-
ტოსი აპოლონმა და სახელუღთა შორის მშვიდი
სიბერე აღარ აღირსა, რაკი მშვილდფიცხელი
ღმერთის ჯობინება მოინდომა? სხვების არ ვი-
ცი, მაგრამ ჩემი ნასროლი უტხო ისარს ვადაუს-
წრებს. მხოლოდ ისარბლში ვერ შევეჯიბრებები
ფეაქლებს: მეშინია, მუხლმა არ მიმტყუნოს, —

მეღვარე ზღვაზე ხანგრძლივი თრევით მოლა-
ლული ვარ.

მა გაეყმითათ სასაპარეზოდ თავშეყრილ
ფეკეტებს. ოდისევისის საპასუხოდ მხოლოდ
აღვირთემ დასძრა სიტყვა:

— ღირსეული კაცი უხამური არაფერი
გეადრებია ჩვენთვის! მხოლოდ შენი სიძველე
გინდობდა საჩინო გეყ. შეურაცხმყოფელს
პასუხი მიაგე და შენი ღირსება დაიცავი.
ჭუთამთოფელი ვეღარავინ გაყადრებს აუგს.
ახლა კი ერთ რასმე გეტყვი, კარგად გამოგონე,
რომ სახლელულთა შორის ტკბილად მონადიმემ
შენს კეთილშობილ თვისტომთ უამბო, რითა
გართ გაფორჩულნი და რა მოგემაღლა მაღალ-
მა ზეგმა ძველთაგანვე ფეკეტებს. კრივისა და
ჭიღობაში პირველთავე სერ დევიქანდით, მგე-
რამ ზეგოასრობასა და სირბილში ვერავინ შეგ-
ვედრება. გვიყვარს ნადიმობა, სიმღერა და ცეკ-
ვა-თამაში, ახალთახალი სასოხელი, ნელთბილი
აბაზანები და რბილი სარეცელი. ამა, ფეკეტთა
შორის უჩრეულენსო, ვუჩვენით ვეგოასრობ ჩვე-
ნი ხელოვანება როყვასა და ფერხულში მოარ-
თეთ ღმომოდეს ტკბილხოვანი ფორმინგი,
რომელიც ალბათ დარბაზში ჰქილია საღმე.

მანდატურმა ბრძანებისამებრ ერისმთავრის
სასახლეს მიამურა ფორმინგის მოსატანად. თავ-
შეყრილ ხალხს გამოეყო სასაპარეზო საქმის
მოთადარიგედ არჩეული ცხრა კაცი, საროყე-
ლი მთედანი ვაჭმინდეს და მოაწორეს. ამასო-
ბაში მანდატურმა ფორმინგი მორთავა ღმომოდ-
ეს და იგი მოედნის შუაგულში გამოვიდა. მომ-
ღერალს გარს შემოეყარნენ როყვაში დახელოვ-
ნებულო, ახლადშედრებულო ყმაწვილები. მათ
მკვირცხლად ათამაშეს ფეხები ერთ ადგილზე
და ამ სიმკვირცხლემ გააოგნა მრავლისმნახველი
ოღისევისი.

ღმომოდოკემ ხუთხალიან ფორმინგს ჩამოქ-
რა თითები და საამური ხმით დაამღერა. ომში-
მზარტეს არესისა და ტურფავკირგვინიანი აფ-
როიდტეს სიყვარულზე მღეროდა იგი...

...მას ჟამსა შინა იდუმალ შეიყარა ღვთაებ-
რივი წყვილი ჰეფესტოს სასახლეში. ღიღძალი
საჩქურით მონიდარა არესმა მშვენიერი ქალ-
ღმერთის გული და შემდეგ შემბალა ჰეფესტოს
სარეცელი. მალღითმორულმა ჰელიოსმა თვლი
შეასწრო, როგორ შეეყენენ გამიჯნურებულნი
ურთერთს და სასწრაფოდ ამცნო მოტყუებულ
მეუღლეს. ეს შეურაცხი ამბავი რა მოისმინა,
საჭედლოში შევარდა შურისგებით აღვსილი
ჰეფესტო, ქურა გაახურა და გაავებულმა გამოს-
ქვდა ობობას ქსელისებრ გამჭვირაველ სამანქა-
ნური ბადე. ჰერზოს კოჭიდან ჩამოუშვა თავად
ნეტარი ღმერთებისთვისაც უხილავი, წმიდად
ნაჭედი ქსელი და მიჯნურთა თვლის ასახვე-
ვად თავის უსაყვარლეს, კეთილნაგებ ქალაქის-
კენ გაემართა ლემნოსს. ამაოდ არ უთვალთვა-
ლებდა არესი შორეულ კუნძულზე გამგზავრე-

ბულ მქედელს. გულისტემით აღბრულმა საჩ-
ქაროდ მიამურა მის სახლს, სადაც ოლიმპოდან
ახლადჩამოსული ტურფავკირგვინიანი აფრო-
დიტე ელოდებოდა. ვნებამორეულმა ხელი ჩას-
ქიდა ქალღმერთს და უჩრეულა: საყვარელო,
ვიდრე ჰეფესტო შინ არ არის, დროს ნუ დე-
კარგავთ. დაეწვეთ და სიყვარულით ვიჯეროთ
გშო.

დაწენენ თუ არა, ფოლხვად ჩამოშვებულო
ბადე აწრიალდა, ცრთბამად შეიჭრა და შიგ მო-
იმწყვედა მიჯნურები. ჯაჭვის ქსელში გახვეულ-
ნი უმაღლე მიხედნენ, რომ გასაქცივი გზა მოჭ-
რილი ჰქონდათ, რომ ჰეფესტოს ბადეს ვერ და-
უძებრებოდნენ.

შუაგზიდან სწრაფადე მობრუნდა ლემნოსს.
მიმავალი მქედელი. გამძვინვარებული ჰეფესტო
სასახლის კარებში ჩადვა და საზარელი, ხაფი
ხმით დაიყვირა, ისე რომ ოლიმპოს მისწვდე-
ნობა მისი ძახილი:

— ზეგსო — მამაჩემო და ნეტარი ღმერ-
თებო! მოდით და ნახეთ ეს სამარცხენო, უმს-
გავისი საქმე! გამუღმებით მლაღატობს მე,
კოჟლს, თავხედ არესზე გამიჯნურებული აფრო-
დიტე, ზეგისი ასული. მერე რა, რომ ფეხებ-
ლონიერი და წვივლამაზია არესი, ხოლო მე ფე-
ხებმონგრეული ვუშობივარ მამაჩემს? სულა
არ დავბადებულებე ნეტა! მოდით და ნახეთ,
როგორ გადაფსევნიან ერთმანეთს! გული ბოლ-
მით მეყვება ამის შემყურეს, მაგრამ ვეჭვ, ღიღ-
ხანს გააყვეს ჩემს სარეცელზე ნებავრობის ხა-
ლისი. რაც უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, ბადე-
ში გაბმულებს მალე გაუქრებთ გულისტემი და
წადიერება. ასე ვამყოფებ, ვიდრე მამაჩემი არ-
ღამიბრუნებს ურვადს, ამ ურცხვი ქალისთვის
რომ გადავუხადე. ლამაზია აფროდიტე, მაგრამ
აეხორცი და სულწასული!

ასე ჩიოდა კოჟლი ჰეფესტო. რიგრიგობით
მოადგნენ ოლიმპოელი ღვთაებრივი მქედელი
სპილენძისღვრბლიან სასახლეს: მოვიდა მიწის-
მწყეველი პოსეიდიონი, მოვიდა დოვლათის
მწყელობელი ჰერმესი, მოვიდა მშვილდოსანი
აპოლონიც. კდემამოსილი ქალღმერთები კი
ოლიმპოდ დარჩნენ. სასახლეში რა შევიდნენ და
ოსტატურად დაგებული მახე იხილეს, გულია-
ნად ახარხარდნენ უზრუნველი ღმერთები. ასე,
მახილისიტყვაობდნენ ლაღი ოლიმპოელი ერთ-
მანეთში: უყეთურ საქმეს მოკლე ფეხი აქვსო,
ხედავი, ფეხმოკლე ჰეფესტო გრძელფეხება-
არესს წასწვდა, კოჟლმა ფეხმარდი დაიჭირაო.
აჲ ზღოსო არესმა საზღაური ჰეფესტოს სარეცე-
ლის შებღალვისთვის!

ახლა ცებერად მოღიმარმა აპოლონმა გადა-
ულაპარავა ჰერმესს:

— გამოტყდი, ჰერმეს, დაწვებოდი ოქროვანი

კომეროსი
ოღისმა

აფროდიტესთან, თუნდაც არცის მსგავსად გაბმულიყვი ჰეფესტოს ბაღეში?

ლომლითვე უპასუხა არგუსის მკვლელმა:

— ჰეფესტოს სამკეტ ბაღეშიც რომ გავეხვიო და ყველა ღმერთისა და ქალღმერთის სასაცილო გავხედ, მინც არ ვიტყვი უარს ოქროვან აფროდიტესთან სარეცელში ნებღივრობაზე!

ეს თქვა და ერთხმად ახარბარდნენ ლაღნებიერი ღმერთები. მხოლოდ პოსეიდონს არ გაუხსნია წარბი, გულმოდგინედ თხოვდა ჰეფესტოს: გაუშვი არსი და თადედაღ დაგიღვები, რომ უკლებლოვ დაგიბრუნდეა ურვადის საზღაური, ღმერთების წინაშე რაც მოითხოვეო წვლან.

— არა, — მიუბრუნდა მიწისმრეველს ჰეფესტო. — უკადრისს ნუ ითხოვ ჩემგან, პოსეიდონ! არ ეგების უნდო კაცის გამოსარჩლება. ზისლა მოვთხოვო ურვადის საზღაური, განთავსი-ფეღვებულმა არესმა პირი რომ მიშალოს? არ ცხრებოდა არესისთვის თავგამოდებული მისეიდონი:

— უკეთუ გიმტყუნებს არსი და თავს დაიძვრენს საზღაურისგან, მენდე, მე თვითონ გადავიხდი დაიბრებულს.

ამ სიტყვაზე უარი ვეღარ უთხრა მიწისმრეველს და ჰეფესტომ ახსნა ბაღე. შეება რა იგრძენს, საწოლიდან წამოიჭრნენ არსი და აფროდიტე და სწრაფად განშორდნენ იქაურობას. არესმა თრავიას მიმართა, ხოლო მომზიბლავად მოლომარმა აფროდიტემ კვიბროსს მიამურა. იქ, წმინდა ქალაქში, საკურთხეველთან ქარიტებმა განზანეს, ტანი ამბროზიული ზეთით დაუხილეს და ამოდსახილველი სამოსელით შემოსეს ქალღმერთი.

ამას მდეროდა დიდებამოსილი მომღერალი. ჩემნდა ქცეულიყო სიმღერით ვულდამტებარი ოდისევსი. სულგანაბლნი უსმენდნენ დემოდოკეს თვისტომნი, ზღვათაზღაზავი, ივავიმიუწვდომელი ფეაკელი ნიჩბოსნები.

შემდგომ ამისა აღკინომე უბრძანა ჰაიოსსა და ლაოდამანტს, საითთაოდ გამოსულიყვენს საროკველად. მით ტოლი არ ჰყავდათ ფეაკელთა შორის. ვაბუეებმა ხელთ იპურეს ოსტატი პოლიბონის ნახელავი წითელი ბურთი. ერთი რომ ზეატორცნიდა, მეორე მიწაზე ფეხდაუყარებლად, ჰაერშივე იეგრდა ბურთს. მერე გარსმოჭარულთა ტაშისცემით გახურებულნი რიგრიგობით მოკყვენს როკვას. ირგველივ გაისმოდა ხალხის ყიყინა და თივილ-ხივილი.

— აღტაცებულმა ოდისევსმა სიტყვა ჰკადრა აღკინოვს:

— ზელშიფეო, ქვეყნიერთა შორის უმჯობესო, მართალი ვიბრძანებია: როკვაში უპირველესნი ყოფილხართ! ვხედავ ამას და გაოცება მიპყრობს!

დიდად ემა ერისმთავარს უტყვევლის სტიტყა და ასე მოუწოდა ქვეშევრდომს:

— ფეაკელთა წინამძღვარნო და მებრტენო გულისხმიერი კაცი ყოფილა ჩვენი სტუმარი. მოდით, მასმინდლის წესისამებრ პატივი ვცეთ და საჩუქრები ვუძღვნათ. თორმეტი ბასილევსი მართეს ჩვენს ქვეყანას, ხოლო მეცმეტე თავად მე გახლავართ. დაე, თვითეულმა ჩვენგანმა თითო ახალთახალი სამოსი და ქიტონი მიართვას და თითო ოქროს ტალანტი უძღვნას უტხოვსო. ახლავე მოვუტანით ყველაფერი ეს, რომ გამხიარულებული წამობრძანდეს სერობაზე. შენ კი, ევრიალე, რაკი წვლან უკმეხი სიტყვით გავგინაწყენი სტუმარი, გამართებს, მხოლოდ საჩუქრით კი არა, სიტყვითაც გამოისყვიღ მის წინაშე დანაშაულს.

ერთხმად მოიწონეს ერისმთავრის რჩევა. ბასილევებმა საჩქაროდ გავზანეს მანდატურნი ძღვენის მოსაღებად; თავის მხრივ, ევრიალემ ასეთი სიტყვა ჰკადრა აღკინოვს:

— ერისმთავარო, ქვეყნიერთა შორის უმჯობესო! შხადა ვარ უტხოვლის გულის მოსაგებად გავიღო ევრცხისვადიანი ბრინჯაოს სატევარი, სპილენძო მინიარკეთილნი ქარქაშითურთ. ძვირფასია და უტხოვ ნახელავი ეს სატევარი!

ეს თქვა და ვერცხლისვადიანი სატევარი მიართვა ოდისევსს:

— ძვირფასო სტუმარო! ქარსაც წაუღია ჩემი წვლანდელი სიტყვები! ღმერთების შეწყენით მალე გენახოს შენი მეუღლე და მამაპაეული მიწა. ეგკაროს ზღვის ზურგზე უგზო-უკვილო ზეტიალი!

— შენ გებარებ, ევრიალე! — უპასუხა ევრიალეს ენამეკერმა ოდისევსმა. — წყლობა ნუ მოვიშლონ უკვდავმა ღმერთებმა! არასოდეს დავნებოდეს ეს ორღესული სატევარი, ბოდისის მოხდით რომ მომართვი!

ეს უთხრა და ნაჩუქარი მახვილი მხარბილევ გადაიკიდა.

მზე ჩასვლად იყო მიდრეკილი, როცა მანდატურებმა ბასილევსების საჩუქრებიც მოიტანეს. საჩუქრები შემდეგ აღკინოვს სასახლეში წაღეს, სადაც ერისმთავრის შეილებმა დედის წინაშე მოაქუნეს. ამასობაში აღკინოვც მობრძანდა სტუმრებთან ერთად. ყველანი მაღალ საეარცხულზე დასხდნენ. ფეაკელთა მბრძანებელი მიუბრუნდა დედოფალ არეთას და უთხრა:

— დედაკაცო, მოატანინე საუკეთესო სკივრი, რომ უტხოვლის საჩუქრები შივ ჩავალავით. უბრძანე, საბანაოდ წყალი გაუტეხონ, რათა ტანგახალსებულმა გულწებიერად მოიხილოს კეთილშობილ ფეაკელთა ძღვენი, ხოლო შემდეგ ინახით მჭდარმა ღვინის სმითა და სიმღერით გაიხაროს გული. ჩემდათავად, სტუმრისათვის ჩემი უტხოვანაქედი ოქროს თასი მიბოყებია. მინდა, ვახსოვდე და მარბდე მი-

გონებდეს, როცა ამ თასით ზევსა და სხვა ღმერთებს ზედაშეს დაუღერის ხოლმე!

ართამ უბრძანა შიშუნეარებს სამფება ზედაღარზე ქვაბი შეედგათ და წყალი ვაეცხელენებინათ. მათ შემა მოიტანეს, წყლით სავსე ქვაბი ზედაღარზე შემოდგეს და ცეცხლი შეუწითეს. ამასობაში დედოფალმა სტუმარს სკივრში ჩაიშალა ძვირფასი საჩუქრები: ფეაკელთაგან მოძღვნილი მასოსელი და ოქრო-ვერცხლი, ხოლო თავის მხრე, მოსახსამი და ნატიფადნაქსოვი ქიტონი. საქმეს რომ მორჩა ასე გააფრთხილა ოდისევსი: ახლა შენი ხელით დახურე სკივრი და თასებიდან მაგარად შეჰკარი, რომ გზავი არავინ ვაგებხნას, როცა ხომალდზე ღრმა ძილით დაგვიძინება.

ოდისევსმა სახურავი მთარგო სკივრს, ღვედები შემოუჭირა და ცირცესაგან ნასწავლი საიდუმლო ნასკვით ვანასკა. მერე ვამახდებულ აბახანაში შეიყვანა მეექვსევემ სტუმარი. ცხელი წყლის დანახვაზე საამისაგან გული აუჩქროლდა ოდისევსს: მას შემდეგ, რაც თამაშვენიერი კალიფოსს კუნძული დასტოვა, ცხელი წყლით ტანი არ დებანა მრავალბრძელს. იქ კი, ნიშვასთან, ღმერთების საკადრის ფუფუნებაში იყო. მონაქალბება დაბანეს და ნელსაცხებლით დაუზილეს ტანი, მხრებზე მოსახსამი მოასხეს და ახალ ქიტონში გამოწყობილმა ოდისევსმა პირდაპირ მონადიმეთა დარბაზს მიამურა. კარის სვეტთან ღვთივადმშენებული ნაწივადი დაუფარავი აღტაცებით შეეგება ოდისევსს:

— მობრძანდი, სტუმარო! ვაგახსენდები ალბათ სამშობლოში! განა მე არ უნდა მიმადლოდე სიცოცხლეს?

— ო, დიდსულოვანი ალიკონეს ასულო! — უბასუხა ოდისევსმა. — მგარვეინავი ზევსისა და მისი მეუღლის ჰერას წყალობით თუკი ოდესმე მოვესწარი სამშობლოში დაბრუნებას, მარად შენი მლოცველი ვიქნები. შენა ხარ ჩემი მხსნელი და გადამრჩენელი!

ეს თქვა და ალიკონეს გვერდით, მისთვის განკუთვნილ საკარცხულში ჩაჯდა. სუფრაზე ხორცი უკვე დაენაწილებინათ და ღვინო განეზავებინათ. ამ დროს მანდატურმა ფეაკელმა სათაყვანებელი მომღერალი დემოდოკე შემოიყვანა და შენადიმეთა შორის დედაბოთან დასვა. ოდისევსმა მოიხმო მესტუმრე, თავის არჩივს — თეთრეშვიანი ტახის სუკს — მსუქანი ნაჭერი ჩამოაჭრა და სთხოვა დემოდოკესთვის მიერთშია იგი: გულნადღლიანი სტუმრისგან მოკითხვა გადაეცი და მიართვი ეს მწვადლი! ქვეყნითრთაგან ყველაზე მეტად აედები იმსახურებენ თაყვანისცემას, რადგან თავად მუხამ უბოძა მათ ეს ნიჭი. ყოველთა შორის მომღერალთა მოღვაძე ეთნევათო ღმერთებს.

მესტუმრემ ხორცის მსუქანი ნაჭერი მიართვა გმირ დემოდოკეს. აედმა მადლი მოახსენა

სტუმარს. მეინახენი სმაჰამას შეუდგენენ. სმაჰამით გული რა იჭერეს, ოდისევსმა ასე მიმართა დემოდოკეს:

— მოკვდავთა შორის უპირველეს კაცად მიმჩინება, დემოდოკე! არ ვიცი ვინ მოგამალა სიმღერის ნიჭი, ზევსის ასულმა მუხამ თუ თავად ვერცხლისმშვიდილსამა აპოლონმა, — მაგრამ კარად კი მღერი აქველთა ქველ საქმეებზე. თითქოს მონაწილე ყოფილიყავ თვითმზივდილისაგან მოვესმინოს მათი ამბავი. მაშ, განაგრძე შენი სიმღერა და გვიამბე, როგორ ვაკეთა ათინას შემწეობით ეპეოსმა ხის ჰუნე, როგორ ჩასხა იმ ჰუნეში მრავალბრძელმა ოდისევსმა ილიონის შემუსკრელი მეომრები და შემდეგ, როგორ შეიყვანა იგი ტროას ციხე-გალავანში. თუკი ყოველივეს გამოწველილივით მიამბობ, შენი კეთილმზხებელი ვიქნები მრავადამს. ასე ეტყვი. მართლაც ღვთაებრივი ნიჭით ცხებული ყოფილა-მითქვი ფეაკელთა სახელგანთქმული მომღერალი!

ოდისევსი დადუმდა და ღმერთებისაგან შთაგონებულმა აედმა წამოიწყა სიმღერა... იგი მღეროდა, თუ როგორ წაუტოვა კარგე, ცეცხლი არგოსელებმა, როგორ ჩასხდნენ ღრამეტელიან ხომალდებში და ზღვაში შესცურეს. ხის ჰუნეში კი ამ დროს გატვრენილი იჯდა, ოდისევსი თანამებრძოლებთან ერთად. სულსწრაფმა ტროელებმა ხის ჰუნე ილიონის ციხე-გალავანში შეათრეს. ხალხი გარსშემოგვარა, უტო ნაგებობას და უთავბოლო ყყავა ატეხა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას: ერთნი ამბობდნენ, ვაგაბოთი ეს ფურტოო ხის ჰუნე, ზოგნი — კლდეზე ავართითო და იქიდან უფსკრულში გადავუძახოთო, სხვანი — ილიონის მოედანზე დადგათო ღმერთების შესავდურებელ მსხერბარად. ბოლოს ამ უქანასეულე აზრზე შეთანხმდნენ. დაღუბვა ეწერათ, თუკი ქალაქი კარიბჭეს გაუღებდა ამ საბედისწერო ხის ჰუნეს, რომელშიც ტროას შემმუსკრელი, არგოსელივან ურჩეულებსი მეომრები ისხდნენ.

შემდეგ დემოდოკე შოჰყვა იმ ამბავს, თუ როგორ გამოქრნენ ცხენის მუცლიდან აქველნი და როგორ დაერეგნენ ტროელებს. ომის ღმერთითი ვაგეშებულმა ოდისევსმა ღვთისმადარ მენელაოსთან ერთად ღვიგობის სახლს მიამურა, სასტიკი ბრძოლით შეება მას და ათინას შემწეობით კიდევაც გაიმარჯვა.

ამას მღეროდა ღვთაებრივი დემოდოკე... ოდისევსს დარდი შემოაწვა გულზე, წამწამთაგან ცხარე კრემლი წყვინდა. ისე გულმდღერად ტირიდა მრავალბრძელ გმირი, როგორც ცოლი იტირებდა თვისტომთა დასაცავად ქალაქის კარიბჭესთან დაეცემულ საყვარელ ქმარს.

კომპაროსი
ოქლისა

ზხოლოდ გამპირანხა ალინოემ შენიშნა ოლი-
სევის თვალზე ცრემლი, და იმავე წამსვე ასე
შინაირთა ზღვისმოყვარულ თვისტომებს:

— ისინეთ ჩემი სიტყვა, ფეაკეთა წინა-
მძღვარნი და მებრძონი! დროა შეეშვას დიმი-
დოკე ფორმინგზე მღერას. ყველას არ უხა-
რებს გულს წარსულ დროთა მოგონება. მას
შემდეგ, რაც ნადიმად დაესხედით და ღვათ-
ებრავი აედი ფრამინგე! სიმღერით შეგვეაქ-
ეცება, ჩვენს ძვირფას სტუმარს არ შეუწყვე-
ტია სულთქმა-ტირილი. დიდი რამ საქმუნავი
აქვს ალბათ უცხოელს. მოამთავროს დემოდო-
კემ სიმღერა, უმჯობესია — სტუმარი და მას-
პინძელი ერთობლივ ვიმშებდეთ და ვიხარებ-
დეთ. საპატიო უცხოელის გასასტუმრებლად
მზადაა ყველაფერი — კეთილი გულით მიძღ-
ვნილი საჩუქრები სცივრში აწყვია, ხოლო
სრულად აღკაზმული ზომადი ზღვის ნაზი-
რზე ელოდება, რადგან კაცთაგან ყოველი,
უკეთეს მოწყალე გული უძგერს მკერდში, ძმად
იგულეებს შემწობის მახვეწარ სტუმარს.

ეს თქვა და ოდისევეს მიუბრუნდა ალი-
ნოე:

— ნუ მოგვერიდები, გავიხსენი გული, გა-
გვიხილე შენი ზეაშიადი — შენთვისეე უმჯო-
ბესია! მანამდე კი, მოზოლებსგან მონიჭებუ-
ლი შენი სახელი გვამცნე — რას გეძახიან ან
როგორ იწოდები თვისტომთა შორის. ავი
დღის მუცილიდან შობილს — ავსა თუ კარგს,

— კაცთა წესისამებრ სახელი ჰქვია? მერე
ისიკ გვითხარი, საიდანა ხარ, რომელი ქვეყ-
ნიდან, რომ ვიცოდეთ ის ადგილი, საითყენაც
გვზი უნდა აიღოს ჩვენმა ხომალდმა. ფეა-
კელებს ზომ სხვათა მსგავსად, ხომალდებზე
საქე და მესაქე არ გვიყენია! მგზავრის
ზეაშიადის მეცნაური, უნაყოფო ზღვის ნის-
ლითა და ბურთი შებურთი ჩვენი ზო-
მალდები თავად იგნებენ გზას უცხოელთა
შორეული ქალაქებისა და ნაყოფიერი ნაპირე-
ბისაყენ. დალუპვის შიში არ ახლავთ მათ,
არც ზღვის ბობოქარ ტალღებს ეშევიან, თუმ-
ცაღა კურთხეული მამიჩემის, ნავზითოესგან
გამიგონია — გულისწყრომით ავისილა თურ-
მე ჩვენდა მომართ პოკილონი სწორედ
ღმის გამო, რომ შინ მშვიდობით ვაბრუნებთ
ზოლმე გზადაკარგულ მოგზაურთ. ასეთი რამეც
უქვემს ნავზითოეს: ერთხელაც იქნება, უკუ-
მოქცეულ ფეაკელ მეზღვაურებს პაქქუში
უღსკრული შთანთქავს და ჩვენს ქალაქს ერთ
უზარმაზარ კლდეს ააფარებსო. ასე იქნისწარ-
მეტყველა მოხუცებულმა და ვინ იცის, ახდე-
შა თუ არა მისი ნათქვამი. დაე, ღმერთების
ნებისაებრ გადაწყვიტეს! ახლა კი, წერილად
გვიამბე, უცხოელა, საიდან მოდიხარ, როგორ
დაგბნა გზა, რა ქვეყნები მოვიღვია ან რა
ჭურის ხალხი გინახავს — ავი თუ სამართლი-
ანი, გულმხეცი თუ სტუმართმოყვარე, უღვთო

თუ ღვთისნიერი? ისიკ გავვიხილე, რამა ავი-
ტირა ან რაზე მოსთქვამდი წელან, როცა მდგომარე-
სელთა და ტროელთა ხედვრზე მღეროდნენ ჩვე-
ნი აედი? ღმერთების განჩინებით ავი იმიტო-
მაც დაიღვინენ გმირულად, რომ თათბიდან
თათბაში სიმღერებად გადასულიყო მათი ამ-
ბავი! იქნებ სახლიაკი ვინმე დაველუხა ილიო-
ნის ბუკემთან, ან იქნებ ლომგული სიძე და
ქველი სიმამრი, რომლებიც ღვიძლი ნათესა-
ვების შემდეგ უახლოესად მიგეაჩნია? ანდა,
ეგების ძმასავით გამორჩეული, საყვარელი
მეგობარი მოვაცილეს, ქირაში გამოცდილი და
შენთვის თავგადაღებული?

ასე მიუთო ალინოეს მრავალტანჯულმა ოლი-
სევეს:

— ო, ხელმწიფეო, კაცთა შორის გამორჩე-
ული დემოდოკესთანა ღვათებრივი ნიჭით ცხე-
ბული აედის მისმენა დიდად სასიამოვნოა; ან
იმას რა სჯობს, როცა მთელი საბრძანებუ-
ლი ილხენს და იშვებს, როცა აედის სიმღე-
რით გულდამტკბარი მონადამენი რიგისამებრ
უსხედან უხვი პურმარით გაწყობილ სუფრას,
ხოლო მწვინი თაფლები უტებესი დღვინთა ურკა-
ბენ მათ ოქროცურვილ თასებს. მეთნევა ღვრიად
ამგვარი ყოფა! მაგრამ რაკილა ისურვე, გაამ-
ბობ ჩემს თავგადასავალს, თუმცა უფრო მწა-
რედ ამარტრებს გადახსნადი ჭირის მოგონე-
ბა. არკი ვიცის რითი დავიწყო, როგორ მო-
ვაბა თავი და ბოლო ჩემს ამბავს: ბევრჯერ მო-
ბრუნებულა რისხვით ცის ბორბალი ჩემს
უბედურ თავზე. უწინარეს ყოვლისა, ვინაზობს
გავიმხილე ჩემსი, რომ იცოდეთ შევდელს კადა-
რჩენილი, თქვენს ჭერს შეფარებული კაცის
სახელი: ლაერტეს ძე ვარ მე, ოდისევესი, ცბი-
ერებითა და მოხერხებით კაცთა შორის გამო-
რჩეული, მკვიდრი და მფლობელი შორისთა-
ჩინარი ითაკისა, საიდანაც ნერიტონის ტყით-
დაბურული მწვერვალი ამაყად გადაჰყურებს
მახლობელ კუნძულებს — სამეს, დულიონის-
სა და ტყინა ზაკინთოსს. ფიცხელკლავიანია
ითაკე, — ფიცხი და გულმგარი ვაქციების
სამშობლო. არსად მინახავს და არც შეგულე-
ბა ჩემს მამულზე უფრო ტბილი ქვეყანა.
ამაოდ ცდილობდა ტურფა კალიფოს ქმრად
დავეტოვებინე თავის მღვიმეში. ამაოდვე სუ-
რდა ქმრად გავეხადე ციბერ ცირცეს, აიას
მბრძანებულს. მაგრამ უკვდავებმა ვერ მიღ-
რიეს ჩემი გული, რადგან მამულზე და სახ-
იულზე მედრფასი არა არის რა ამქვეყნად
კაცისათვის, თუნდაც რომ სვინანდ და უზრუნ-
ველად ატარებდეს წუთისოფელს მათგან მო-
შორებულთ.

ახლა კი გაიმბობ, რა ძნელბედობა დამატე-
ხა ზეესმა ჩემს ცრემლდათხეულ გზაზე. ილიო-
ნიდან ქაბობრბალამ კიკონების მხარეს, ის-
მაროსში გავგერიყა. ქალაქი დაეაქციეთ და გავ-
წყვიტეთ მისი მკვიდრნი. დიაცინი ტყვედ წამო-



ვასხით და დიდძალი ალაფი თანხარად გავიყავით, გულნაკლული არავინ დაგვრჩენია. ვერაგზით დავარწმუნე თანამებრძოლნი, სწრაფადვე გავცლოდით იქაურობას. უგუნურებმა უამრავი ცეხარი და რქადაგრიხი ძირობები დაკლეს და უღარდლად შეეჭვივდნენ ღვინოს. ამისობაში უკუქცეულმა კიკონებმა თანამომემთ უხმეს, — ახლომახლო მრავლად სახლობდნენ მხედრობაში გაწაფული კიკონები, რომლებიც თუ გავიარდებოდა, ქვეითადაც კარგად იბრძოდნენ. მოდგნენ და მოდგნენ კიკონები, ადრეულ გაზაფხულზე ამოხეთქილი ფოთლებივით ურიცხვნი. მაშინ კი მივხვდით ზედკრულად, რა განსაცდელს გვიმზადებდა ღვინო.

ღილიდან შუადღემდე შედგარად ვუმკლავდებოდით გარსმოჭარულ კიკონებს, ხოლო როცა მზე შუბის ტარს გადასცდა, უკუვიქციით დამაშვრალნი. თვითელი ხომალდიდან ექვს-ექვსი მიმივდ შექურთვილი აქაველი დამეშვრალნი და მშურებულები დეადეკით გზას, და თუმცა საყვარელი მეგობრები დავკარგეთ, გულში გვიხაროდა, რომ უმეტესნი დავაურჩით სიკვდილს. მანამდე არ დავგარით ხომალდები, სანამ კიკონებთან ბრძოლაში დაღუპულ ყველა ჩვენს ამხანაგს სამ-სამჯერ არ ვუყვივდით სახელდებით.

ნაპირს რა გავცდით, ღრუბელთბატონმა ზევსმა მიქვივარე ბორეასი დააძგერა ჩვენს ხომალდებს. შავმა ღრუბლებმა მოკვარანეს ცარგვალი და უკუნეთი დამე ჩამოეშვა ზღვასა და ხმელზე. კონტრადრეკილი ხომალდები ფიციხლად მიამობდნენ ტალღებს, მაგრამ ქარიშხალი აფრებს კვიფხარულად. შეშინებულებმა იალქნები დაუფშვით და ხომალდები ნაპირზე ავართიეთ.

მთელი ორი დღე-ღამე სასოწარკვეთილნი და ილაგაწყვეტილნი ვეყარნით ქვიშაინ ნაპირზე. მესამე დღეს, როცა თამაშენიერი ეოსი აღმოხდა, ანძებიც კვლავ აღმართეთ და იალქნები გავშალეთ. ზურგჭარმა დაბერა და მესაქეებმა ზღვაში გაიყვანეს ხომალდი. ამჯერად მშვიდობით მივალწვდით მშობლიურ ნაპირებს, რომ მალეას კონცხთან მიახლოებულთ კვლავ ბორეასი არ წამოგვეწოდა და ზღვის დღვასა და ქარიშხალს კითვრასაგან არ უკუვიქციეთ. ცხრა დღედაღამე ასე მიმოგვარებვდა თევზმრავალ ზღვაზე მიქვივარე ქაბობობლა.

მეათე დღეს ბალახიქამია ლოტოფაგების ქვეყანას მივადექით. ხმელთზე გადმოსულებმა სასამელო წყალა მუვიმარავეთ, სახელდახელოდ წავისაუხმეთ და ზედ ღვინოც დავაყოფეთ. შემდეგ სამი გამოცდილი კაცი შევარჩიე და კუნძულის დასაზვერად გავცხადე, რომ გავგოთ რითი საზრობობდნენ ამ ქვეყნის მკვიდრნი. მშვიდობიანი ლოტოფაგები გულლიად შეხვდნენ ჩვენიანებს, ავი არაფერი

განუზრახავთ, მხოლოდ ლოტოსი შესთავაზეს საჭმელად. თაფლივით ტკბილი ლოტოსი იგემეს, თავი დაავიწყდათ და ამბის გასაგებად წარგზავნილებმა უკან მობრუნებაც კი აღარ ინდომეს. დაავიწყდათ ვინ იყვნენ და რა გზას ადგნენ. ერთიდა სურდა — ლოტოფაგებთან დარჩენილიყვენ და გული მოეჭკრებინათ სურნელოვანი ლოტოსის ჭაბით. მაგრამ ძალით მოვითარი უკან, აბლავებულნი მაგრად შეეკოვე და ღრმამუცლიანი ხომალდნი ჩაყვარე-დანარჩენებიც სასწრაფოთ ამოვრეკე ხომალდებზე, რომ მათაც არ ევემნათ ლოტოსი და ცნობადაკარგულებს სამშობლოში დაბრუნებაზე ხელი არ აუღოთ. ნიჩბებს მივუსხედით, ავაქაფეთ ღვინისფერი ზღვა და გულსევდიანნი გავშორდით საბედისწერიო ნაპირს.

ხანი რა გამოხდა, მივადექით ქედმაღალი და უსამართლო ციკლოპების ქვეყანას. უცდავთა წყალობის იმდით ცხოვრობენ უზრუნველი ციკლოპები: არც ინახებენ და არც თესვენ, იმასდა სჯერდებიან, რასაც უშრომელად აღმოაცენებს ზევისი წმიდა ნაღვართი მორწყული მათი ქვეყნის მადლიანი მიწა: ქერსა და ხორბალს, მძიმე მტვერებით დახუნდულ ვაზებს. ოღონდ ეგაა, საფიხვო არ.ციანი და სამართალი არ ახლავს მათ ყოფას. მალალი მთის მღვიმეებსა და გამოქვაბულებს შეკველდებიან ციკლოპები, განუსჯელად ბატონობენ თავიანი ცოლსებელზე და სხვისი არა ენაღვლებათ რა. იქვე, შორიახლო ერთი ტყიანი და უკაცრიელი კუნძულია, სადაც გარეთის არვენი დაუდით ციკლოპებს. მათაა მწვერვალებისა და უღრანების მუხაზე მოინდირეს ფეხი არასოდეს დაუდგამს ამ კუნძულზე. უხნავ-უთესკეულია დასაბამიდან ეს მიწა.

ციკლოპებს არა ჰყავთ ხომალდები და არც ხომალდის ხუროები. არასოდეს გასულენ ზღვაში და სხვათა მსგავსად არ მოუხილავთ ხალხმრავალი ქალაქები, რომ ესწავლათ უცხოთაგან თვიათი პოხიერი მიწის დამუშავება: აყვავდებოდა მაშინ მათი კუნძული, მუსყუნი მიწა უხვ მოსავლს მოიტანდა, მზიანი ფერდობები თვალუწყდენელი ზვრებით მოიფინებოდა.

ერთი მშვენიერი ყურე აკრავს მათ კუნძულს. მყუდრო ნაღმისადგომთან დაყენებულ ხომალდს არც ღუზა სჭირდება და არც ნაპირზე მისამეული ბაიერები. მიაყენებ ხომალდს და ეგრევე მიატოვებ, სანამ ზურგჭარი არ დაუბერავს. მღვიმედან მოწინწარე გამჭვირავლე ნაქადული ერთვის ყურეს და შტომრავალი ჭადრები აკრავს გარს. აი, ამ ყურეში შუალამისას შემოუძღვა ჩვენს ხომალდებს რომელიღაც ღმე-

აომპროსო
 ოღისნა

რთი, არაფერი ჩანდა, ზრქელ ნისლსა და ბურუსს მოეცვა არემარე. ღრუბლით მოგზავნილ ციდან აღარ გვინათებდა მთვარე, და ვიდრე კიონმშენიერი ხომალდები ნაპირს არ მიადგენ, ჩვენ არც კუნძული დაგვინახავს და არც ზღვის მოქცევა შეგვინახავს. საჩქაროდ დამკვთვ აფრები, ხომალდიდან ჩამოქვეითილი და ნათელი ელისი მოლოდინში ძილს მიეციეთ თავი.

როგორც კი ახლადმოხილმა ეოსმა ვარდისფრად ირიტრავა, უცხო სანახავი წარმოგვიდგა თვალწინ: წველიამაზი ნიშნებით ფერდობებზე ახვანს მოურევბოდნენ, რათა ჩვენთვის საზრდელი გაეჩინათ. მშვილდისრები და გრძელბუნჯიანი შუბები მოვიმარჯვეთ და ხოცვა დაუწყვეთ ღმერთებისაგან ნაწყლობეზე არეც. თორმეტი ხომალდიდან თვითეულს ცხრა-ცხრა თხა ერთა წილად, მე კი ერთმა ათი თხა დავინარჩუნე. მთელი დღე, მზის მიდრეკამდე, ეკამდით ხორცს და წითელ ღვინოს შევექცეოდით. კიკონების დაქვეული ქალაქიდან წამოდებული ამ ტყბილი ღვინოს სავე მქონდა ქოცოები. ასე ვისხედით და თან ციკლოპების გამოქვაბულებიდან ამდგარ კვამლს ვაღვანებდით თვალს; მათი თხების კიენიც გვესმოდა. ამასობაში მზე ჩაესვენა და სიერა ჩამოდა. გულმაძრებმა მშვიდად მივიძინეთ ზღვის ნაპირზე.

გათენდა თუ არა, თანამგზავრები საბჭოლ შევარე და სიტყვით მივმართე:

— ერთგული მეგობრებო! თქვენ აქ დამელოდეთ, ვიდრე მე ჩემი ხომალდით კუნძულს დაგზვერავდე და აქაურთა ასავალ-დასავალს შევიტოვებდე. მინდა გავიგო, რა ხალხი ცხოვრობს აქ — ველური და უსამართლო, თუ სტუმართმოყვარე და ღვთისწიერი.

სათქმელს მოვარი და ხომალდზე ავედი. ნიჩბოსნებმა სწრაფად ააქაფეს ღვინისფერი ზღვა. სულ მალე ნაპირთან ახლოს დაფნის ხეებით შემურული ვეებერთელა გამოქვაბული დავინახეთ. უზარმაზარი ყორთი, ფიჭვითა და მუხით შემორავულ ეზოში თხებისა და ცხვრის ფარა ბოეირობდა. აქ ცხოვრობდა და მარტოდმარტო მწყემსავდა თავის ფარას მევბა და დევაცი. თავკერძა და ურჯულო ვინმე. კაცს არცა ჰგავდა პურისმუამულს, ტყით დაბურული მწვერვალისვით აღმართული ეს მთავაცი.

თანამგზავრებს ვუბრძანე, ხომალდისთვის ედარაწათ, მე კი თორმეტი გამოჩრეული კაციონ ხმელეთზე გადავედი და ორიოდ ტყი წითელი ღვინო წავიძღვანე თან. ეს ღვინო აპოლონის ქურთუმმა, ევანთეუსიანთ მარონმა მიძღვნა. ისმაროსში, ნათელსხვიოსანი აპოლონის დაბურულ ჰალაში ცხოვრობდა იგი. იმის გამო, რომ მისი ცოლ-შვილი და თავად იგიც დავეინდე ჩვენგან იავაყყოფილ ქალაქში, სხვა საჩუქრებიც მომართვა მადლიერმა ქურთუმმა:

შვილი ტალანტი ბაჯალო თქორ, წმინდავერტლის მშენიერი ლავიანი და თორმეტსართულიანი ტბილი, განუხვებელი, ღვთაებრივი ღმერთის ხმელეთაგან ერთგული მუდღლისა და მუქუნანის ვარადა არაგინ უწყოლა ამ სასწულეებრივი ღვინის ამბავი. ოცილ წყალშიც რომ ვაგეზავებინათ ეს ღვინო, სავეს ლავინიდან ისეთი საამური სურნელება ვადმოფრქვეოდა, რომ კაცთავანი ძნელად თუ შეიკავებდა თავს სმისაგან. სწორედ ამ ღვინით სავეს მოზრდელი ტყი და ერთი ხალთა სავალი წავიტანე თან, თუმცა გული მგერანობდა, რომ ურჯუტა და უქალღიო მივცაქავს შევარებოდი.

გამოქვაბულს მალე მივადექით, მაგრამ მისი პატრონი იქ არ დაგვიხვდა, — სამოვარზე გაეკრევა თავისი პოხილი ფარა. ქვაბში შესულნი განცივდებოთ ვათვალეერბდით იქაურობას: წნული ძობნები ყველურის ვეებერთელა თავებს დაეზნიეთ, ტანები და სარქულები პირთამდე მოყრილიყო შრატით. თიგნები და ბატენები ბაუნობდნენ ბაკებში. ცალ-ცალკე შეემწყვედა ისინი პატრონის: ცალკერძ უფრისნი, ცალკერძ საშუალნი, ცალკერძ ახლადმოგებულნი.

თანამგზავრები მეხვეწებოდნენ, წავილთ ყველი, ბატენები ვავირეყო და სწრაფმავალი ხომალდებით აქაურობას ვავეცალოთო. ყური არ ვათხოვე მეგობართა რჩევას, აჯობებდა კი დამეჭრებინა მათთვის. მაგარამ გულათ მეწადა, ქვაბის პატრონის ნახვა — ვინალო უხვად ემასინძლა და ღიდის ჩუქებით გამოვესტუმრებინე. რა ვიცოდ, საშინელი დღე რომ დაადგებოდათ ჩემს ძვირფას მეგობრებს!

ზეთისხილის სურნელოვანი რტოებით ცეცხლი ვავაჩაღეთ, უქდავ ღმერთებს მსხვერპლი შევწვიეთ, თავდავ დავენაყრდით და ლოდინი დაუწყვეთ მასპინძლს.

როგორც იქნა, მოვიდა ციკლოპი. ერთი იღლია შემა და ჭოყარი მოიტანა და ქვაბის შესასვლელთან ზათით დაჰყარა. გული ვადა-გვიქანდა ამ ხმაურს და თავზარდაცემულნი გამოქვაბულის სიღრმეში მივიმალენით. მან შინით შემოვრეკა თავისი პოხილი ფარა, ეერძები და ვაცივ ბარეთ დასტოვა. ხოლო ნერბები და ნეხვები ბაკებში მუყარა მოსაწყველად მერე აიღო ერთი უზარმაზარი ლლდი, ოცდაორი უღელი ხარი რომ ვერ დასძრავდა ადგილიდან. და ქვაბის შესასვლელს ადვარა. მარჯვედ დაწველა თხა და ცხვარი და აბურთებული თიგნები ძუძუზე მიუშვა. მერე კვეთი ჩაუკიდა ბოკონში დაგროვებულ რქეს, სწრაფად ამოიყვანა ყველი, ვუნდა-ვუნდა ჩააწყო ძობნებში. ხოლო დარჩენილი რქე ვახშამად ვადაინახა. ამ საქმესაც მორჩა, ცეცხლს დაანთო და რა შეგვინიშნა, ხაფი ხმით დაგვძახა:

— ვინანი ხართ და საიდან მოთრეულხართ? საქმე კავთ რამე თუ იმ მეკობრეთა მსგავსად

საკვაციოდ დაეხეტებით, რომლებიც საკუთარ თავსაც საფრთხეში იგდებენ და სხვებისთვისაც ზიანი მოაქვთ?

დიკარგინა მთაკაცმა და საცოდავეებს შიშისაგან გული ვადაგებებუნდა. ზარგანხილმა მხნობა მოვიკრიფე და პასუხი შევაგებე:

— აქველები ვართ ჩვენი ტროადან წამოსულთ გზა-კვალი დაგვიბნია მძვინვარე ქარებმა ზვირთმარავლ ზღვაზე. ალბათ ზევსმა ინება ასე, რომ შრობილიერ ნაპირებამდე ვერ მიგვეღწია. ატრევის ძის, აგამემნონის, სახელოვანი მეომრები გახლავართ, იმ აგამემნონისა, რომლის დიდებამ ზეცას უწია, რომელმაც მოწასთან გაასწორა ილიონის ციხე-ვაღვანი და მესარი გაველო მის მკვიდრთ. აწ ფერხქვეშ გვიარდებით და გემუდარებით, შეგვიფარო გზა-დაკარგულნი და სტუმარმასპინძლობის წესისამებრ საბოძარი გვიბოძო! გვირდიბოდეს ღმერთებისა, ღმერთთა შესაგვანო, შენი მაცედრებელნი ვართ! ვახსოვდეს, თავად სტუმართმოყვარე ზევსია მახვეწართა და ყარბითა ქომავი!

ამის თქმა იყო და შეუბრალებელი სიტყვით დაგვიყვია ბუმბერაზმა:

— ან რევენი ხარ ან გადათიელი ვინმე! კარვად ვერ გიცენივართ, თუ ღმერთების სახელით მაშინებ! ჩვენ, ციკლოპები, არას დაგიღვეთ ფარისმპყრობელ ზევსსა და სხვა უკუდავებს, რადგან მათზე აღმატებულნი ვართ! მტრადაც რომ გადაგიკიდოს. სტუმართმოყვარე ზევსი, თუკი მოვისურვე, არ დაგინდობ არც შენ და არც შენს ამხანაგებს. ის გირჩენია მითხრა, სად გიყვინა კეთილნახელავი ხომალდი, შორს თუ ახლო-მახლო სადმე? — ჩაძიებით მკითხებოდა, გამოტეხა უნდოდა ჩემი, მაგრამ მრავალნაყადი ვიყავ და ვერ მომალდრია. პასუხად თვალთმაქცური სიტყვა შევაგებე: მიწისმარყველმა პოსეიდონმა შენი კუნძულის კლდოვან ნაპირებს შეაღწეა და ნაფოტებად გვიქცია-მეთქი ხომალდი. ჩვენ კი მწარე სიკვდილს გადაარჩენილნი ეუნძულზე გამოგვრიყავითქი.

პასუხიც არ მალისსა, ისე დაიძრა ადგილიდან ის გულმხეცი, ხელი სტაცა ორ ჩვენთაგანს, ლუკევიზით დაანარცხა მიწაზე და ტვინი დაანთხვინა იმ უბედურთ. მათი სისხლით მოიწყო მთელი გამოქვაბული. დაანაუწუა ციკლოპმა კაცის ხორცი და ვახშამი მოიზადა. მერე დამშვეული ლომივით ეცა საკმელს: ერთიანად შესანსლა ხორცი და შიგნეული, ძვალიც არ დაუტოვებია. ამ უღვლოთ საქმით შეტყფუნებულბმა ტირილით შევღადღეთ ზევსს.

კაცის ხორცით ამოყაროლ უშველებელ სტომავში ციკლოპმა ახლადმოველოლი რძე ჩაითქინა, იყვე, ცხვრის გვერდით ვაიზხლართა და ზგინინა ამოუშვა. მინდოდა, მიეხვდომოდი და შიგ ღვიძლში მეტყებინა მახვილი იმ ურ-

ჯუქისათვის, მაგრამ თავი დავიოკე, გამოქვაბულში გამომწყვდელულებს ხომ სასტიკი სიცილი მოგველოდა: მშობი-მწყურვალნი უნდა დავხოცილიყავით — ვინდა გადაავიგებდა იმ უზარმაზარ ლოდს, გამოქვაბულის კარს რომ ეფარა? სასოწარკვეთილებს რული არ მოგვიკარებია თვალზე, გულისკანაკალით ველოდით ეოსის გამოჩენას.

როგორც კი ახლადმოხილმა ეოსმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, ციკლოპი აღდა, ცეცხლი გააჩაღა, ჭიქანსასვე ფარა მიოწველა და აბოჟირებულ კრავები ძუძუზე მიუშვა. დილის საქმეს რა მორჩა, საუზმედ კიდევ ორი თანამგზავრი შეგვივამა, ფარა გარეკა და ისე მსუბუქად მოადგა უზარმაზარი ლოდი გამოქვაბულს, თითქოს კოვობისთვის სარტყელი დეხვროს, მერე სტენითა და ყივინით გადენა პოხილი ფარა საძოვარზე.

გამოკეტილში ვიჯექ და ვფიქრობდი, რა მელონა, როგორ მეძია შერი გულმხეც ციკლოპზე. ნეტა თუ შემეწეოდა ათინა ამ საქმეში? ბოლოს ასეთი რამ მოვისახრე: ბაკთან გასახზობად ეგდო ჯერ კიდევ ნედლი ზეთისხილის ვიეებერთელა კეტი. ფართე, ოცინჩინარი ხომალდის ანძად გამოდგებოდა იმსივრძე და იმსისხო იყო. კაცის სიმაღლეზე გადავჯერეინე ეს კეტი თანამგზავრებს და ვუბრახე, წმინდად გაეთალათ. მერე წავსახე, ცეცხლზე მოვუწვი თავი და ბაკებთან დახვავებულ დრემლაში დავფალია. ბოლოს წილი ვყარეთ, — ვის უნდა ეტყერებინა ციკლოპისთვის თვალში წვეტარნი კეტი. წილი სწორედ იმ ოთხ კაცს შეხვდა, რომელნიც ყველაზე მეტად მიმიდებოდნენ. მიხუთეთ კი თავად მე ვიყავი.

სალამოს მოვიდა ციკლოპი და მოდენა ხშირმატყლიანი ფარა. ამჯერად, თითქოს გულმა უჯრძნო თუ დაიომინა შთაავიგონო, მთელი ფარა უცლოლივ შემოიყვინა გამოქვაბულში და უზარმაზარი ლოდი კვლავ მოაყუდა შემოსასვლელს. თხა და ცხვარი დაწველა და აბოჟირებული თიენები ძუძუზე მიუშვა. ამ საქმეს რა მორჩა, კიდევ ორი ამხანავი შეგვივამა. მანშიდრო ვიხლეთე, წითელი ღვინით სავსე კაოხა გაუწყოდა და ვუთხარი:

— კაცის ხორციით ხომ იჯერე გული, ახლავს ღვინოც ვასინჯე და ნახე, რა საუცხოო სასამელი გვექონია ხომალდზე. კიდევ მოკარბივეთუ დამინდობ და აქედან ვამიშვებ. ნუ იქნები ეგრე ვულსასტიკი, თორემ კაცთავანი ვეღარავინ გაბედავს შენთან სტუმრობას!

სასმის დასაცლა ციკლოპმა, ღვინო მომიწონა და კიდევ მოხოვა:

— აბა, ერთიც ჩამომისხი და შენი სახელიც მოთხარი, რომ სამაგიერო საჩუქრით გული ვა-

**აომეროსი
ოღისმა**



გიხარო. ნოყიერია ზევისს წმინდა ნაღვართი მორწყული ჩვენი მიწა და ღვინოც უხვად მოგვდის, მაგრამ შენი ღვინო ნექტარია და ამბროზის ნაწურსა ჰგავს.

კიდევ მივართვი წითელი ღვინით ავსილი კათა. ზღინზედ სამეგრე შესვა აპოლონის ქურუმისაგან ნაოძივე ღვინო, და როცა უგუნურს სასმელი მოეკიდა, მომავთუნებელი სიტყვა შეგაბარე: ჩემს სახელს კითხულობდი წოდან, — სახელს გეტყვი, ოღონდ დაბრუნებული საჩუქარი მომეცი-მეთქი. ა რ ვ ი ნ მქვია სახელად, დედამა, მეგობარნი და თვისტომნი ასე შეძახიან-მეთქი.

პასუხად ეს მომიგო უწყალო ციკლობა, ჯერ ყველა შენს მეგობარს შეგეშამ და ბოლოს შენ, ჩემო ა რ ვ ი ნ. აი, ჩემს საჩუქარო!

ღვინით გაღვშილი ციკლობი ერთბაშად მოწყდა და პირქვე გაიშლართა. მხოლოდღა ძილმა მოთარგუნა გულმეცი. კისერმოღრეცილი იწვა და ღვინოსთან ერთად კაცის მოუნელებელ ზორცს ანთხევდა. კერა დაშინვე ლადარში შევდევნი გასახურებლად და მეგობრები გავამხნევე, რომ შიშს არ დედედღებინა და ვადამწყვეტ წუთში არ ემტყუნათ ჩემთვის. ხე თუმცა ნედლი იყო, მალე გავარგარდა, კიდევ ცოტაც და, ალი მოედებოდა. მაგრამ ღვეღვიდან გამოვიდა, რომელიდაც დიდი დამოწმისგან გამხნეებული ამხანაგებიც მხარში ამომიდგნენ და შემართული კეტი ერთობლივ ვაჭაყეთ თვალში ციკლობას. ძელს ზემოდან მთელი ძალით დავაწეე და ბურღივით დავატრიალე. ასე ბურღავს ზოლმე სხვათა დახმარებით ხომალდის სურო გემბანის სქელ ფიცარს. ჩვენც ასე ვუბურღავეთ ერთადერთი თვალს, მერღე სისხლმა არ იფეთქა გამსკლარი ქუთუთოდან. წარბი და წამწამები ერთიანად მოეწევა და გავარგარებულმა წვეტმა შიშინით გაუხეთქა თვალის ფუცა. ციკლობის თვალში ჩაბურღული კეტის წვერი ისე შიშინებდა, როგორც ცივ წყალში საწრთობად ჩაშვებული გავარგარებული მახვილი.

საზარდად შეპღრილა ციკლობა და გამოქვავულმაც ბანი მისცა. ჩვენ კი მისი ღრიალისგან გაყრუებულნი, გამოქვავულის ნაბრუნებში მივიმალენით. ტკივილისაგან ვაცოფებულმა კეტი თვალადან ამოიძრა, შორს მიისისროლა და მძეინვარე ხმით დაუწყო ძახილი ციკლობებს, რომლებიც ქართან მწვერვალებზე ცხოვრობდნენ გამოქვავებულში. ძახილზე საჩქაროდ მოცვიდნენ თანამომენი და ამბავი ჰკითხეს:

— რა მოგვიდა, პოლიფემე, რა გაღრიალეს? რატომ დავგიფრთხე ნეტარი ძილი? ცხვარი ხომ არ მოგტაცეს? ოქნებ ძალით მოგერია ვინმე ან ცბიერებით მოგაღორეს?

— ძალით ვინ მომერეოდა! არცინ, არცინ მღუპავს ცბიერებით! — შეპღლაოდა გამწარებული პოლიფემე.

— მამ, რაკი არის შეუქირებებიარ, რაღა გაყ-

ვირებს, უხედურო? ჰკუას ვადამცდარხარ და ვინ არის ჩანს, აგრე უხედაბია ზევსს, ვინ წაუტყმის ნებას? ის გირჩევიან, მამა-უფალს, პოსედონს, შეავედრო თავი!

თქვეს და წავიდნენ. მე კი გულში მეცივნებოდა, ასე ადივლად რომ მოვლორე ბრძივი პოლიფემე.

თვალდავსებულმა ციკლობმა ხელის ფათურით მიავნო გასასვლელს, ქვაბზე მიყუდებული უზარაზარი ლოდი ვადაგორა და იქვე ჩამოქდა, რომ ფარასთან ერთად ჩვენც არ გავებარებოთ. პოლიფემეს მეც თავისავით ბრძივი და უგუნური ეგვრენ. მაგრამ ხომ უნდა ვეცხსნა თავი აშკარა სიკვდილისგან? ბევრი ფქერის დრო არცა ვერჩებოდა: ვანსაცდელი კარს ვეაღდა. ბოლის ასეთი რამ მოგიფიქრე: ფარაში გამოვარჩიე დიდი, შავმატყლიანი ვერძები, პოლიფემეს საწოლს ეყერი გამოვაცალე და სამ-სამი ვერძი ერთმანეთს ვადავაბი. სამთაგან შეაღას თითო ჩემი ამხანაგი ამოვაცარი მუცელზე, რომ ვერძებს პოლიფემის იღუბალ ვაყუყუათ ისინი გამოქვავებულდნ. ჩემთვის ერთი გრძელბეწვიანი, ზორბა ერკემალი ავირჩიე, ზურგზე მოვაჯექი და მის გრძელ მატყს ჩაბლატუქებული ნელ-ნელა ჩამოვცურდი, რომ როგორღე მუცლის ქვეშ მოვცურდი. ამნაირად გამხადებულნი ველოდით ეოსის გამოჩენას.

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფრად ირიარაჟა, საძოვარს მონატრული ფარა გამოქვავულის კარს მიავსდა. ბაყებში მოუწყვლავი ნეწვეები აბლავდნენ. ტკივილით გულშედონებული, თვალდავსილი მათი პატრონი კართან იქდა და თვითველ ყოჩხსა და ვაცს ზურგზე ხელსმოსმით სინჯავდა. რა იცოდა იმ ბრძეინმა, რომ მათ მუცელზე აკრული ჩემი ამხანაგები რიგრიგობით სტოვებდნენ გამოქვავულს! სულ ბოლოს საყუთარი ბეწვითა და ჩემით დამძიმებული ერკემალი დინჯად მიადგა ქვაბის ვასასვლელი. განსაცდელს ვიყავ მიწურული, გული გამალეებით მიცემდა. ზურგზე ხელი ვადაუსვა და ასეთი სიტყვებით მიეფერა პოლიფემეცხვარს:

— ჩემო კეთილო ერკემალო! არასოდეს გჩვევია ფარის კულში ჩანჩალი. წინმავალი იყავ ყოველთვის და შინაც პირველი ბრუნდებოდი საძოვრიდან. ახლა რა დავემართა, უკანასკნელი რომ სტოვებ გამოქვავულს? ალბათ შენი თვალდამრეტელი პატრონი გებრალუბა... ა რ ვ ი ნ არის ჩემი თვალის დამსვები და დამლუბელი: ღვინით დამიბნულა გონება და თვლი გამომთხარა. მაგრამ ვფიცავ, არვის ცოცხალს არ ვავუშვებ! ნეტავ ნომ მტყუოდი, ხად იმალევა ჩემი მოსისხლე, რომ უხალ ქვაბის კედელზე მიმესხმევიზნინა მისთვის ტვინი! მწარე სიკვდილს იპოვინდა ამ გამოქვავულში ის არაკაცია ა რ ვ ი ნ და მეც გულზე მომეწვებოდა!



ასე მიეფერა ყოჩის და გამოქვაბულიდან გაუშვა. საჩხებს ვაცვლით თუ არა, ყოჩის ჩამოვეხსენი, ვერძების მუცელზე ამოკრული ამხანაგებიც გამოვხსენი და ყველამ ერთად ხომალდები-საყენ გაეირეკეთ პობილი ფარა. მშვიდობით მოზარუნებულეს სიხარულით შეგვევიტუნენ თანამგზავრები. დაღუპულთა ამბავი რა შეიტყვეს, გულმდღურად ატირდნენ. მაგრამ წარბით ვაინიშნე, ხმა გაემინდათ და ხშირმატყლიანი ფარა სასწრაფოდ აერეკათ ხომალდებზე. ისინი რიგისამებრ მიუსხდნენ სანიჩბო რიკულუბს და ღონივრად ააქაფეს ღვინისფერი ზღვა. ხმის საწყირის არ ვიყავით ვაშორებულნი, რომ გულმოცემულმა ქაღილით შევძახე ციკლობა:

— ექვე, გულმზეცო პოლიფემე! არც ისე ვაბანი ყოფილა ის კაცი, ამხანაგები რომ შეუქამე გამოქვაბულში! რა გევონა, შეგრჩებოდა ეს უგვიანო საქმე? ავი გიზღეს კიდევ სამაგიერო ზეეს-მა და სხვა ღმერთებმა სტუმრების შექმნასათვის! ჩემი ძახილი რა მისწვდა, ვაგვეტლმა ციკლობამ უზარმაზარ კლდეს თავი წაატეხა და ჩემსკენ გამოტყორცნა. ვეებერთელა ლოდმა კინალამ ანბა მოსტეხა ხომალდს, სიგრძე გადღურა თავზე და მის წინ დგარილით ჩაშვადე წყალში. ლოდისგან აღმართულმა ტალღამ ნაპირისაკენ უქუაქუა ხომალდი. იმწამსვე ხელი ვტაცე ერთ ღიდ ძელს და ნაპირს მიმდგარი ხომალდი კვლავ ზღვაში შევაბრუნე. თანამგზავრებს გული გავუმარე და ამქარა ხიფათს რომ გადღერჩნოდით, ვუბრძანე, მთელი ძალით დასწოლოდნენ ნიჩბებს.

როცა წინანდელზე ორჯერ უფრო შორს გავედით, გულმა არ მომიბინა და ისევ შეევძახე ციკლობა. შეშფოთებული თანამგზავრები გარს-შემომხევიდნენ და ჩემს დოკებს ცდილობდნენ: ნუ შავობ, უარესად ნუ ახელავ იმ გულმხეტს! მომადინებ, მისგან გამოტყორცნილმა ლოდმა ნაპირისკენ გავკრიყა და კინალამ დაგვღუპა? თუ კიდევ შემოესმა ჩვენი ხმა, ისევ დაგვაწებს კლდის ნაგელეს, ხომალდს დაგვიშვებს და ჩვენი ერთიანად გავგუქვავს!

ასე მფრთხილებდნენ, მაგრამ შეუთავიარი გული არ დამიცხრა, გაშვებულმა ერთხელ კიდევ შევძახე ციკლობა:

— პოლიფემე, თუ ვინმე კაცთავანმა გკითხოს, ვინ დაავიკო თვალიო, — უთხარი, ქალაქთა შემმუსვრელმა, ლაერტეს ძემ, ითაკელმა ოდი-სეესმა გამოითხარა-თქო თვალი!

— ვაჰმე! — შეღრიალა ციკლობმა, — როგორ ამხნა ძელოთავანე ნაწინსწარმეტყველები ერთ ღროს აქ ცხოვრობდა მისინი ტყეულმონი, კაცი ბრგე და ახოვანი; თავისი წუთისოფელი ზეეს შორის მისნობაში გაატარა. სწორედ იმან მიწინასწარმეტყველა — ვინმე ოდისგვი დაგვიტყობს თვალს. მე ზედშავს მეგონა, ღიდმშვენიერ, ახოვანსა და ჩემებურ ჯანთან კაცს შევეყ-

რებოდი, მაგრამ, ვაგლახ! უღონო და უსახურმა. ჭრუა არაკაცმა ღვინით დამიბნელა გონება და მუხანათურად დამიფსო თვალისჩინი! დაბრუნდი, ითაკელი, დაბრუნდი! უხვად დავსაჩუქრებ და სამშობლოში დაბრუნებასაც გიმშველი. პოსიელონს გამოვიხოვ შეწევნას, რომ მშვიდობით დაგაბრუნოს შინ. მე ხომ მისი საყვარელი ძე ვარ, და თუ ინება, თვალსაც გამამრთოლებს. მის გარდა არვის შეუძლია ჩემი განსჯერება, არც უკვდავს და არც მოკვდავთასაც ვისმე.

— უმაღლე მე მოვისობო მოითაცხეს და პადესს გავისტუმრებ, ვიდრე რომელიმე ღმერთი, თუნდაც პოსიელონი, გაგიმრთოლებს თვალს!

უქანასკნელად ეს მივაძახე ციკლობა. მან ხელი მისწვდა ციკლობას და პადესს შევძალადე პოსიელონს:

— მისმინე მიწისმრეველო პოსიელონ, შეკულულებიანო! უკეთუ ქეშმარტიად ძე ვარ შენი და გეამყება ჩემი მამობა, ნუ დაბარუნებ სამშობლოში ქალაქთა შემმუსვრელი ითაკელი ოდისეესს. ხოლო თუკი მაინც უწერია მამაპაბეულ მიწაზე დაბრუნება, კეთილნაგებ სახლში შინაურთა და მეგობართა შორის ვახარებ, დაე, დაბრუნდეს სხვისი ხომალდით, ყველა მეგობარი დაკარგოს, ხოლო შინ მისული საკუთარ სახლში ხიფათს ვადაეყაროს!

ასე ვეცდებოდა პოლიფემე პოსიელონს და მას მისწვდა ციკლობის ღაღადისი. ვეღრება რამოასრულა, ხელი წამოავლო უზარმაზარ ლოდს, მძლავრად მოიქნია და ჩვესკენ გამოტყორცნა. ლოდმა კინალამ დაგვიმხსვრია საპე და იქვე, ხომალდის კიხოსთან დაინთქა ზღვაში. აზვირთებულმა წყალმა უქან ვაგვაქანა. ასე მივღწეით იმ ნაპირს, სადაც კეთილნაგები ხომალდები გვეყვნა. ჩვენს თანამგზავრებს ლოდისისგან გული შეპლანებოდათ. ხომალდები საჩქაროდ მიეყვინეთ ქვიშიან ნაპირს და ხმელთზე გავმოვიდით. მოტაცებული ფარა თანაწორად ვავიყავით, რომ გული არავის დასწყვეტოდა, მაგრამ ჩემი მხსნელი ერკემალი ერთგულმა მეგობრებმა წილის გარეშე მე მარგუნეს. ღრუბელთმეულე ზეეს დაფუკალი იგი, მაგრამ შეწიფილი მსხვერპლი არ მიიღო კრონიონმა, რომელსაც აღრევე ჰქონია გადაწყვეტილი, თანამგზავრებთურთ დაეღუპა ყველა ჩვენი ხომალდი.

მთელი დღე, მზის ჩასვლამდე გქამდით ცხვრის ხორცსა და სურნელოვან ღვინოს შევექცეოდით. როცა მზე მიდრკა და სიღამე ჩამოწვა, იქვე ნაპირზე მივიძინეთ უღრტივინელად.

როგორც კი ახალშობილმა ეოსმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, თანამგზავრებს ეუბრძანე, აეხსნათ ბაგირები და სანიჩბო რიკულუბს მისხდომოდნენ. ნაღვლიანნი გავშორდით ციკლობათა კუნძულს, მეგობართა დაღუპვით გულმოკლულნი, მაგრამ გახარებულნი იმით, რომ თავად დაღვარჩით.

ძველბირძულადნე თარგმნეს **სურბა კიკნაქამე, თაბავ ჩანეკალმა.**
გაგრძელება იქნება



ბივი თაჰვაქი

რაიკომის მდივანი

იმ დღით ზევირეალდ თოვდა, სუსხიანი ქარიც უბერავდა. თოვლის ფანტელი ეფინებოდა მკერდგაღლილ მიწას; რაიკომის შენობის მეორე სართულის ფართო აივანსა და ფანჯრებს ფარფატით ეცემოდა და აღნებოდა.

რევაზ ბზიშვილმა სარკმლიდან გადათეთრებულ მუცლის გადახედა: გაზაფხულის პირიამოვნა — ახლა თოვლი წამალივით შეერგება მიწას და მოსავალიც კარგი იქნებაო.

ტელეფონმა დაარქა. რევაზმა ყურმილი ააღო. სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საგაზაფხულო თესვის საკითხზე მოახსენა, ყველა წვრილმანი გავითვალისწინეთ და ვფიქრობთ, ეს სამუშაო, რაც შეიძლება, სწრაფად და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ.

ყურმილი დაღო. კაბინეტში მდივანი ქალი შემოვიდა, — რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ რედაქტორს გივი ცერაძეს უნდა თქვენთან შემოსვლაო.

— გაზეთის მორიგ ნომერს ვამზადებთ და, კარგი იქნება, ახალი ხუთწლედის პერსპექტივებსა და ჩვენი რაიონის კომუნისტების ამოცანებზე წეროლს თუ დაგიწერო, — სთხოვა გივიმ.

— ამაღამ დაწერ, — უთხრა, კედლის საათს ახედა და ელექტრონის დილაკს თითი დააკირა! კაბინეტში მდივანი ქალი შემოვიდა...

— დროა დავიწყოთ რაიკომის ბიუროს სხდომა. სთხოვეთ ბიუროს წევრებს.

დღის წესრიგის პირველი საკითხი იყო კომუნისტური პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღება.

სამუშაო ტანის კაცი შემოვიდა. მას პარტიუროს მდივანი შემოყვა. კაბინეტში ერთ

წამს სიჩუმე ჩამოწვა. პარტიუროს მდივანმა დამსწრეთ „საქსოფლტექნიკის“ ტყვიების განყოფილების მუშაკი გიორგი ტერტერაშვილი გააღწო...

— ამჟამად რაზე მუშაობთ, ამხანაგო ტერტერაშვილო? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა.

— მშენებლობაზე, ამხანაგო მდივანო.

— რა განათლება გაქვთ?

— უმაღლესი!

— ფაკულტეტი?

— საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეზღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი დავამთავრე...

— მერე, ასე უხლთ სამაგიეროს ხალხს, რაიონს? თქვეს სწავლა-განათლებაზე იციოთ რამდენი სახსრები დაიხარჯა? თქვენ კი მშენებლობას მიაშურეთ. ზომ შეგიძლიათ რომელიმე საპკოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადას ჩაუდგეთ სათავეში და ინსტიტუტში მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოთ, რაიონის სახელოვანი მეზღელე ან მევენახე გახდეთ... რას იტყვიან ბიუროს წევრები. არის ღირსი მივიღოთ ასეთი კაცი პარტიაში?

— ჩემი აზრით, ნაადრევია ამხანაგ ტერტერაშვილის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღება. მივცეთ საშუალება, შრომაში თავი გამოიჩინოს, დაიმსახუროს, — თქვა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა შალვა ლოლაძემ.

— მე ვფიქრობ, გადავდოთ ეს საკითხი, — დაუშატა რაიკომისკომის თავმჯდომარემ ბაგრატ გოციბოძემ.

— სწორია, გადავდოთ, — თქვა დინჯად რევაზმა...

კაბინეტში ახლა ქალოშვილი შემოვიდა. ლამაზი, ხორბლისფერი სახე და ძალზე მეტყველი თვალები ჰქონდა. რევაზმა სახელი და გვარი ჰკითხა.



— ნანული ფინდიშვილი, — მიუგო ქალი-შვილმა.

— ფლავის კოლმეურნეობიდან, არა?

— დიახ, ამხანაგო მდივანო!

— რაზე მუშაობთ?

— შარშან ფიზიკურად ვმუშაობდი, წელს კომპანინერი მინდა ვავხდე და მოსავლის აღებაში დავეხმარო ჩვენს კოლმეურნეობას!

— ეს კარგად გადაიწყვეტიათ — სწავლაზე რას ფიქრობთ?

— მინდა დაუსწრებლად მივიღო უმაღლესი აგრონომიული განათლება.

— მდივანმა ბიუროს წევრებს გადახედა და თქვა:

— მივიღოთ პარტიის წევრობის კანდიდატად, მგერა, პირობას არ ვატყობ...

პარტიის წევრებად და წევრობის კანდიდატებად მისაღებად ცალ-ცალკე შემოყავდათ რაიონის მოწინავე, წარჩინებული ადამიანები: ვარაიანის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ქსენია ხუციშვილი, მესამე სამშენებლო ტრესტის ახალგაზრდა ინჟინერი გულნახ თუშიშვილი, ავტოამწის მძღოლი თენგიზ ნონაშვილი და სხვები...

— მოდის ახალი შევსება! ესენი უთუოდ ასახელებენ ჩვენს რაიონს ახალ, მეცხრე ხუთწლიანში, — თქვა რევაზმა და დღის წესრიგის მეორე საკითხზე — კადრების დამატკეციბის საკითხზე გადავიდა. შემდეგ მდივან ქალს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი ვანეთარების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მოწვეული ამხანაგები შემოსულაყვნენ. მალე ოთახი ხალხით გაიჟვდა. ვის არ ნახავდით აქ: კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორებს, მეცხოველეობის ფერმის გამგეებს, ზოოტექნიკოსებს, აგრონომებსა და ბრიგადარებს...

ინფორმაციით პარტიის რაიონის მდივანი — შალვა ხუციშვილი გამოვიდა. საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა ამხანაგებმაც. გადაწყდა: მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაღებლად განამტკიცონ საკვები ბაზა, მეტი ფართობი გამოყონ სასილოსე კულტურებისათვის, გააუმჯობესონ პირუტყვის მოვლა-პატრონობა...

— ხომ არავინ მელოდება? — იკითხა რევაზმა.

— ერთი მოხუცი ქალაი, ქვანჯრელიდან ვართ.

— შემოვიდეს, — თქვა და წამოდგა.

ოთახში ხნიერი ქალი შემოვიდა. რევანი მიეგება, ხელი ჩამოართვა და დივანი შესთავაზა — დაბრძანდითო.

— რა დროს დაჯდომია, შვილო, მეჩქარება, დალაბებამდე სოფელში უნდა მივიდე...

— რაზე მუშუხებულხარ, დედი?

— ისეთი კი არაფერია, მაგრამ ჩემთვის

დღიი რამეა: ცოტა პრემია მერგებოდა და ჩვენმა თავმჯდომარემ უარი მითხრა, შრომის დღეების სავალდებულო მინიმუმი არ შეგისრულებიაო...

— ნთუ მართლა? — გაიოცა რევაზმა.

— რა ექნა შვილო, ბიჭები ომში დამედუნენ, შვილიშვილების შემყურელა ვარ... ვენაცვალე იმათ, კარგები არიან, არც იციან, თქვენთან რომ წამოვიდე...

რევაზმა მანქანის მძღოლი გამოიძახა და უთხრა, მოხუცი თავის სოფელში წაიყვანეო. თვითონ კი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ტელეფონით ელაპარაკა, დატქვა: საინტერესოა, რა მინიმუმს თხვო ღრებდ მოხუც ქალს, სად ამოიკითხე ასეთი კანონიო...

რევაზმა ყურმილი რომ დაღო, მისდაუნებურად ხსოვნაში ერთი შემთხვევა ამოტივტივდა: მიღებზე მივიდა ქალი. ის ქალი ქმარმა აღდე მიატოვა, ერთადერთი შვილი გაზარდა და ისიც ფრონტზე დაედუა. ხშირად ავალმყოფობდა. ამის გამო თბილისში, ნთუ-საგებთან ცხოვრობდა. მახლმა კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე აღძრა საქმე, საკრიმინამო ნაკვეთი ჩამოართვიოთ. ფორმალურად თითქოსდა ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ მდივანი სხვანაირად მიუდგა ამ საკითხს. სასწრაფოდ დაუთავიერდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— ვიცი, რომ არ შეიძლება, მაგრამ იმ ქალს კი არა, მის ფრონტზე დაღუპულ შვილს დაეუტოვოთო. იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, შშობელი დედა ნათესავებთან ხომ არ დაიწყებდა სიარულსო.

რაიკომის მდივანთან ყოველდღიურად მოდიან მშობლები — რალც სკირდებათ, რალც აწუხებთ... რევანის სიტყვას, რჩევა-დარიგებას მათთვის ოქროს ფასი აქვს, ისიც ყოველთვის შზადაა ყურადღებით მოუსმინოს თვითველ მათგანს, მოთმინებით ეძიოს ადამიანის გულის გასაღები...

სოფელ ციციავანთკარში ახალი გზის გაყვანა ვადაწყვიტეს. რევანს საკოლმეურნეობათაშორისო მევენახეობის დირექტორმა საზოგადოებრივი მეცხოვერებს — პეტრე ციციავს ვერაფერი მოუხერხებ, ერთი პატარა ფარდული უდგას, ვერ დაიყოლიე, ვერ ავალბინე, იქნებ თქვენ დავეხმაროთო...

რაიკომის მდივანი ავიდა ციციავანთკარში, ინახულა პეტრე, მოიკითხა და დინჯად უთხრა:

— ახლა ბრაზობ, გზას რომ გაეყვანო ჩვენზე უფრო სწრაფად ვაგებხარდება. ხომ ვახსოვს, რა ამბავი იყო წყალსადენის გაყვანისას. ათეულ წლობით ლიახვის მარცხენა სანაპიროს სოფლები უწყლოდ იყვნენ, გვეგონა,

გივი თაყაიძე
რამკომის მდივანი

რომ მდინარის წყლით იოლად გავიდოდით. ახლა? აბა ერთი სცადე და გადაეკეტე წყალი? შენ პირველი განაწყენდები. რაღაც ორი მეტრი მიწის გულისათვის ენიანობ, მშენებლებს გუნებას უფუძეებ, შენვან, ჩემო პეტრე, ნამდვილად არ მოველოდი ამას...

პეტრეს ხმა არ გაუტია. გულში კი ნანობდა: ასეთი რამ როგორ მომივლიდაო. რევაზი დღემშვიდობა, პეტრეს ღმილით გააყოლა თვალი რაიკომის მდივანს...

მისრიალებს მანქანა გზატკეცილზე. თვალწინ გარბიან ახალი ორსართულიანი სახლები, ბალები და ველმინდვრები. გამოჩნდა მშობლიური სოფელი ატენი. აქ ვაძარა ყმაფილკაცობის წლები. მამა ადრე გარდაეცვალა, მცირეწლოვანი შვილების აღზრდა დედამ ითავა. მძიმე იყო დედის ზვედრი, თავად ზომ დასვენებულს ვერ ნახავდით, შვილებსაც შრომის სიყვარულს უღვივებდა...

— ნინო, არ ვარგა ასე, ბავშვებს ავენებს ამდენი შრომა, — ეტყოდა კარის მეზობელი.

— შრომა კი არა, აღამიანს უსაქმურობა კლავს, შენი ჭირიმე, ყოველგვარი სივალახისათვის უსაქმურობა. ვენაცვალე ჩემს ბიჭებს: იბოლტეს, რეზოს, ირაკლის — რა მეშველებოდა, ესენი რომ გამარჯენი არ იყვნენ. სკოლაშიც კარგად სწავლობენ და შრომაშიც დაუზარელი არიან.

თვალსა და ხელს შუა ვარბოდა დრო. რევაზი იზრდებოდა. სოფლის გოგო-ბიჭებთან ძალზე ამხანაგური, მეგობრული და გაბედული იყო, ამიტომ უყვარდათ და პატივს სცემდნენ თანატოლები...

— რევაზ, ამ აღიდებულ მდინარეს გასცურავ? — ჰკითხა ერთხელ შოთა ლოთეშვილმა და თვალეში მიაჩერდა. რევაზმა მდინარეს გადახედა. ფაფარაყრილი ტანა დაჭრილი ვეფხვიანი ღმუოდა...

— შენ? — კითხვა შეუბრუნა რევაზმა.

— მეშინია, თორემ...
— გეშინია რა, დაიხრჩობი, მეტი რაღა მოგივა...

მდინარის პირას თანატოლები მოგროვდნენ. მათ შორის რევაზის ბიძაშვილი ისაყი იყო...

— რევაზ, არ გაბედო, შენი ჭირიმე! — თვალტრემიანი ევედრებოდა ისაყი. არ დაუტყრა, ტანსაცმელი გაიხადა და მდინარეში გადაეშვა. ბიჭები იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ ტალღებთან მორკინალს. მდინარე მხარულით გადასცურა და გადმოსცურა.

გაოცებული ნინო საღამოს ეუბნებოდა შვილს:

— თუ დედა გიყვარს, აღარ გაბედო, შვილო, არ დამღუპო...

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, გადაწყვიტა ინჟინერი გამზდარიყო, მაგრამ სამამულო ომმა შეუშალა ხელი. ალექსი ბზიშვილის ოჯახიდან სამი ვაჟიკი გაეშურა საშობლოს

დასაცავად. ირაკლი გვირის სიყვლილით დედა ქერჩის მისადგომებთან. იპოლიტე და რევაზი გამარჯვებულნი დაუბრუნდნენ სოფელს...

მას შემდეგ რა დიდი დრო გავიდა! მეოთხედ საუკუნეზე მეტა რევაზი ხელმძღვანელ კომპაგენიურლ და პარტიულ სამუშაოზეა. უკვე მერვე წელია, რაიონის კომუნისტების წინამძღოლია. მშრომლებს უყვარს რევაზი და ისიც სულს არ იშურებს მათთვის...

...მეფრინველობის ფაბრიკაც გამოჩნდა. მეფრინველეობის ფაბრიკაში მივიდა თუ არა, დირექტორი ბესარიონ მერაბიშვილი მოიკითხა, ფაბრიკა ერთად დაათვალურეს. ყველგან სანიშნუო წესრიგი იყო. თერახალათიანი მეფრინველე ქალები თავს დასტრიალებდნენ ახალგაზოგიელ წიწილებს. აქ, შრომის ყველა პარცესი, დაწყებული საყვების მიწოდებით და დამთავრებულ კვერცხის აღებით, მექანიზებულია. ფაბრიკამ სამ წელიწადში მთლიანად აანაზღაურა დანახარჯები და ახლა დიდ მოგებას იძლევა...

— ახლა საით? — ჰკითხა მძლოლმა რევაზს, როცა ფაბრიკიდან გამოვიდნენ.

— ჯერ მემბისტენოის საკოლმეურნეობათა-შრომის სასაბურე მეურნეობა ვნახოთ და შემდეგ ტინისხიდის საჯიმე-სანაშენე მეურნეობა...
რევაზი ფიქრმა წაიღო: ეს სასაბურე მეურნეობა მისი თაოსნობით მოეწყო. ბევრს მამინ არ სჯეროდა — ჩვენს პირობებში ასეთი რამ შეუძლებელია, აქაური მიწაც არ ვარგა სამაგისოლო.

მარტოდმარტოს, ცხადია, ასეთი დიდი საქმის გაკეთება არ შეეძლო. მან გაიყოლა ადამიანები და საქმეც წყაროს თვალისით წავიდა...

„ნამდვილად დიდი გვირობა გამოიჩინეს ჩვენი რაიონის მშრომელებმა“, — გაიფიქრა რევაზმა და კმაყოფილებით მოაგოო თვალის მიდამოს. ღრუბლიანი დღე იდგა. გზაშარახე იშვიათად თუ გაივილიდა ვინმე. სასაბურე მეურნეობის წინ მანქანიდან გადმოვიდა, მეურნეობის დირექტორი ფრიდონ ქოიდაე ვეგება, სათაურის კარი გაღო და შეუძევა. რაიკომის მდივანი ბოსტნეულის მოსავლით დაინტერესდა:

— მარტო ამ სეზონში 400 ტონა ბოსტნეულს მივიღებთ, ამხანაგო მდივანო, — მიუგო ფრიდონმა და თან დაუმატა. — პამიდორი ისე იზრდება, თვითელი ორას გრამს იწონის. კიტრის მოსავალიც კარგია.

— აბა, თქვენ იცით, ბოსტნეული უხვად სჭირდება ქალაქს, ჩვენს მუშათა კლასს, თანაც იაფი, გესმის იაფი!

რაც მართალია მართალია, ამ ბოლო წლებში სწორად მისი ინიციატივით გორის რაიონში საქმაოდ მოვიდა ფეხი საკოლმეურნეობათაშრომის. მეურნეობებმა. კოლმეურნეები

დარწმუნდნენ, რომ ეს მეურნეობები ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისა...

სწორედ ამ გზით გადაწყდა რაიონში რძის წარმოების პრობლემაც. ტინისხიდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე მეურნეობაში რაიკომის მდივანი მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მაჩვენებლებით დაინტერესდა. წინსვლის მაჩვენებლები და მოწინავე მწველავები დაუსახელეს. შემდეგ სიტყვა პირუტყვის კვებაზე, წონასა და მოვლა-პატრონობაზე ჩამოვარდა...

რაიკომში რომ დაბრუნდა, უკვე დაღამებული იყო. სამუშაო კაბინეტში შევიდა და მაგდასთან დაჯდა. სიჩუმე იგრძნო. ადგა, ფანჯარა გააღო. უყვარს საღამოობით აქ მუშაობა, იშვიათად თუ დარეკავს ტელეფონის ზარი, მომსვლელებიც შედარებით ცოტაა. ამ დროს თავისუფლად შეუძლია ნაფიქრ-ნაზარევი ქაღალდზე გადაიტანოს, ბლოკნოტში ჩანაწერები გააკეთოს, მანქანაზე გადაბეჭდილი საკანდიდატო დისერტაცია ყურადღებით წაიკითხოს და კორექტურა გაასწოროს. რევაზი განათლებით აგრონომია, ამიტომაც ასე იზიდავს სოფლის მეურნეობა...

მაგრამ დრო? დრო ხომ ძალზე მცირე აქვს? მისთვის ყოველ დღეს ახალ-ახალი საფიქრალი და საზრუნავი მოაქვს. ადამიანებთან მუშაობა დიდ ენერჯიას მოითხოვს, ახალი ამოცანებისა და პრობლემების გადასაჭრელად სულიერი დაძაბვაა საჭირო და ისიც მზადაა თუ გინდ რამდენიმე წლით შეიმეიკიროს საკუთარი სიცოცხლე, ოღონდ დიდი მიზანდასახულობა გიანხორციელებდეს...

ტელეფონის ზარმა გაიწვიალა. რევაზმა ყურმილი აიღო. მეუღლის ხმა იცნო. — მო-

ვლივარ, თამარ, მოვდივარ, ხომ მშვიდობაა, რაო, მარინე არ იძინებს ჩემს მოსვლამდე? არა უშავს, დღეს გაკეთილები შენ ჩაგაბაროს, — უთხრა დიმილით მეუღლეს, პალტო ჩაიკვა, ქუდი დაიხურა და შინსაკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა. ოთხი შვილის მამაა რევაზი. ოთხი ერთიმეორეზე მშვენიერი გოგონებისა. მიაბიჯებს რევაზ ბზიშვილი და თითქოს ყურში ჩაესმის კოლმეურნე გლეხის მიერ გულთ ნათქვამი სიტყვები: «კაცური კაცია ჩვენი მდივანი, დაილოცოს მავის გამზრდელი დედაო». ეს კი იმას ნიშნავს, რომ რევაზმა შეძლო პარტიის დიდი ნიშნავს, გამართლება, დიხახე, შესძლო!

იმ დამეს დიდხანს არ დაეძინა. პარტიის 24-ე ყრილობის გახსნამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩებოდა. იგი ხომ კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის დელეგატად აირჩიეს და ცოტა საფიქრალი როდი ჰქონდა. რევაზი ყრილობაზე თავის მეგობრებს — მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებს შეხვდება, სასარგებლოა მათთან გულგანა საუბარი, აზრთა გაზიარება.

უთენია ადგა; საწერ მაგიდას მიუჯდა, უბის წიგნაკი გადაშალა და რაიონის წინსვლის მაჩვენებელი ციფრები მიიხედავით აიკინდა...

ყრილობის მუშაობის დღეები, გულთბილი შეხვედრები, ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და განვითარების ახალი მიჯნები და დაუვიწყარი წუთიც!..

ყრილობის სასახლეში, ჩვენი ქვეყნის სხვა წარჩინებულ ადამიანთა შორის, მისი გვარიც დაასახელეს — საბჭოთა კავშირის უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რევაზ ბზიშვილს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა...





პირა გვიჩინოთ

„აპანთოტ უპი რვენ-რენი სეპარი“

ბრიგოლ აბაშიძის თხზულებათა პირველი ტომის გამო

ყოველ მწერალს, მით უფრო პოეტს, უდკა-
ბა ხანი, როცა ცხოვრების შფოთიან მორევს
დროებით უნდა გეცალოს და მშვიდად გა-
ხედოს განვლილ გზას, თვითონვე შეაფასოს
ნამოღვაწარი, თვითონვე გამოარჩიოს საკუ-
თარი გზნებით ანთებული შუქი ეროვნული
მწერლობის წმინდა ტაძარში, თვითონვე ჩაა-
ქროს მბეუტავი სანთელი, ვერც ვეღარავის რომ
ათბობს და ვერც გზას უნათებს. სულსწრაფ-
ნი აღრე ელტიან ამას, ხშირად მათ უფრო
საკუთარი ჭადის წარმოჩენა სურთ, ვიდრე
შუქისა. ზოგნი საერთოდ ვერ იცლიან, ან
არ იცლიან ამისათვის და მთლიანად სხვას,
უფრო ღრის მიანდობენ თავისი ნამოღვაწა-
რის შერჩევას. თუ მწერალს ზომიერება შეი-
ძლება ურჩიოს კაცმა, ალბათ ამ და ამაღვარ
საქმეში.

გრიგოლ აბაშიძემაც ეტყობა ამ მიხნით გა-
ხედა განვლილ გზას. ამის შედეგად, მკითხვე-
ლმა უკვე მიიღო მისი თხზულების სამტომე-
ულის პირველი ტომი, სადაც ლექსები, პოე-
მები და პიესებია თავმოყრილი. ზოგი რამ,
რასაც თვითონ პოეტმა გამოუტანა განაჩე-
ნი, აქ აღარაა დაბეჭდილი. არცთუ იშვიათია,
როცა ლექსი, თუნდაც თავის დროზე მეტად
ეფექტური და გახმაურებული, მის წარმომშობ
კონკრეტულ ფაქტსა და მოვლენაზე ბევრად
ღიღხანს ვერა ძლებს. და ბედნიერია ის მწე-
რალი, ვინც კიუტად არ ცდილობს ხელოვ-
ნურად გაუხანგრძლივოს სიცოცხლე ასეთ
ლექსს, ვისაც შეუძლია შეეღიოს მას. გრი-
გოლ აბაშიძემ, როგორც ჩანს, თავისი პოეზი-
იდან მნიშვნელოვნად თუ საყურადღებოდ
მხოლოდ ესა სცნო, რაც ამ ტომში შეიტანა.
მკითხველმაც დღეს ამით უნდა იმსჯელოს მის
პოეტურ სახეზე.

რა ლამაზი და მაცთური თეორიებიც არ

უნდა არსებობდეს პოეზიის კრიტიკიუმების
დასადგენად, ყველაზე უტყუარი მაინც ის „მარ-
ტივი“ მოსაზრებაა, რომ ჭეშმარიტად კარგი
ლექსის პირველი გამოსარჩევი საშუალება
მკითხველთა ინტერესი და სიყვარულია. ისიც
ხდება ხოლმე, როცა საეჭვო ღირსების ლექ-
სი, რაღაც მოდის გამო, გარკვეულ მომენტე-
ბში იზიდავს მკითხველს, მაგრამ, მოგვესენე-
ბათ, ყოველგვარი მოდა საერთოდ, და მით უმე-
ტეს ჩვენს დროში, თითქმის კოსმიური სისა-
რადით იცვლება. არც ისაა გამოირცხელი,
რომ ჭეშმარიტი პოეტური შთაგონების ნაყო-
ფმა, თავისი მხატვრული აზრისა და გრძნობის
სირთულით, თუ ფორმის უჩვეულობის წყა-
ლობით ერთბაშად ვერ მიიქციოს საერთო
ყურადღება, მაგრამ გამონაკლისთა გამო ხელი
როდი უნდა ავიღოთ იმ ტრადიციულ და გავ-
რცელებულ მოსაზრებაზე, რომ ლექსის აე-
კარგის განმსაზღვრელი მისი საზოგადოებრივი
მნიშვნელობაა, ეს კი მკითხველთა ფართო მა-
სების ინტერესის ვარაუდზე უბრალოდ წარმო-
უდგენელია. მით უმეტეს, ახლა ჩვენი ყურად-
ღება გრიგოლ აბაშიძის პოეზიისაკენაა მი-
მართული, მას კი არასოდეს დასტყობია სენად
ქცეული მოღერი ვატაცებების კვალად და არც
ფორმისეული სიხალე თუ სირთულე აღმარ-
თვია გადაულახავ ზღუდვად მკითხველებისაკენ
მიმავალ გზაზე.

გრიგოლ აბაშიძე უკვე სამ ათეულ წელზე
მეტია, რაც ქართულ მწერლობაში მოვიდა და
მას შემდეგ მუდამ ინტენსიური შემოქმედები-
თი ცხოვრებით ცხოვრობს. მკითხველს კარ-
გად ახსოვს მისი ლექსებით განცდილი მლე-
ფარება. ეს მღელვარება მხოლოდ და მხო-
ლოდ პოეტის მიერ გამხეილ გრძნობათა და
ფიქრთა შედეგი იყო. მას არასოდეს გაუფიქრ-
ებია თავისი მკითხველი ახალი და ორიგინა-

ღერი ფორმის ძიებით. ახლაც, როცა გრიგოლ აბაშიძის თხზულებათა პირველ ტომს ვკითხულობთ, თითქმის ცხადი უნდა გახდეს, რომ მისი ლექსი (და ბევრ დავსემინო, პოემაც) თავისი ფორმით ტრადიციულია, მშვიდად ერწყმის და აგრძელებს ქართულ კლასიკურ პოეზიას.

დღეს, მსოფლიო პოეზიაში და ჩვენშიც თავისუფალი ლექსით ვატყვიან ხანაში. როცა რითმას, მეტრასაც და რიტმსაც, ასე ვაბედულად ეპყრობიან, ზოგს შეიძლება საჩოთიროდ ჩაესმას ტრადიციულობის ხანგასმა. მაგრამ, ჭერ ერთი, კაცს რომ თქვას, თავისუფალ ლექსსაც აქვს თავისი ტრადიციები, ის არ არის ჩვენი თანამედროვე პოეტების მიგნება, და მეორეც, იგი თავის საუკეთესო გამოხატულებაში (მის მოვალედ ვადაშქველვების შემოქმედება არც ღირს მოსახსენებლად) არ უარყოფს და, თუ გნებავთ, ვერც უარყოფს, დღესდღეობით მაინც, ლექსის იმ ტრადიციულ ფორმას, რომელიც კლასიკურმა პოეზიამ დავეიცოვა მემკვიდრეობად. მასსოვს, როცა მარგარიტა ალიგერის წერილში წაიკითხებ, ბირის პასტერნაკის პოეზია ფორმით სავეტიო ტრადიციულია. ერთაშად მეუცხვო ამ ერთი უაღრესად თანამედროვე პოეტის მიმართ თქმული ეს სიტყვები. მაგრამ ეს ხომ მართლაც ასეა. და განა ამ „აღმოჩენის“ შემდეგ ნაკლებად გვეთითოლებს პასტერნაკის სულთან ზიარება? ბოლოს და ბოლოს, ლექსის ფორმას მკითხველი უფრო მოგვიანებით ამჩნევს და უყოფს. თავიდან, ერთაშად მას მხოლოდ ის აზრის და გრძნობა იპყრობს, რაც პოეტურ სიტყვას მოაქვს მასთან. და თუ ლექსი თანამედროვეობის სულით ფეოქავს, თუ იგი ქეშმარიტი პოეტური გზნებითაა შთავლინებული, თანაბრად მშენიერიც მისი ყოველგვარი ფორმა, უფრო რომ მიესადაგება ავტორის განწყობილებას, მაქსიმალური სიმკვეთრით რომ გამოხატავინებს სათქმელს.

ძველთაშველი ქეშმარიტებაა, რომ პოეზიის მთელი ძალა და მიზნობლობა მის მრავალფეროვანებაშიცაა, უფრო მეტიც, თითოეული პოეტური ფრაზის, პოეტური სახის განუმეორებლობაშია. პოეზია აღსარებაა, თუმცა აღმინათა სიხარულიცა და მწუხარებაც ბევრწელად მსგავსი მიზეზებითაა გამოწვეული, მაინც ყველა თავისებურად განიცდის, თავისებურად გამოხატავს მათ. ყველა თავისი სიტყვებით ამბობს აღსარებას, მით უმეტეს — პოეტი.

ეს არ გამოირიცხავს პოეტების არც სულიერ ნათესაობას, არც პოეტურ ინდივიდუალობათა პირობით დაჯგუფებას. ასეთი დაჯგუფება მკვლევართა მიერ საკუთარი შრომის გასაღებლებლად მოგონილი ზამ არ არის. შემოქმედებითი ნათესაობა და ერთგვაროვნება, სწორედ ერთგვაროვნება და არა ერთფერო-

ვნება (ეს უქანასენელი ქეშმარიტი პოეზიის სფეროს არც განეუთვნება), მართლაც ცხადადაა შესაძინევი. ამ მიზეზითვე ლაპარაკობენ ლექსის სახებზე, რაც უკვე თავისთავად შემყრებლობითი ცნებაა.

ზოგი პოეტური სახე და ლექსი მრავალმნიშვნელოვანია, რაც უფრო მეტს კითხულობ, მით უფრო სხვაგვარად, სხვა ნიუანსით იგებ, ათას ფერებში ავლირავს, თუმცა განწყობილება ერთია მასში, ზოგი კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთმნიშვნელოვანია. ზოგ მკითხველს უფრო ერთი სახის ლექსი მოსწონს, ზოგა — მეორე სახისა. ეს სავეტიო გასაგები. ზოგი კი მხოლოდ ერთ მათგანს მიირჩევს პოეზიის კეთონობად და სხვას ქედმალღურად გასცერის. ამას კი ვეღარ გავიზიარებთ. დღეს თითქოს მეტი მორტფილურათუ პოეტურ სახებებსა და ქეშმარიტებათ სავე ლექსს უნდა ჰყავდეს, აზრისა და გრძნობის ქარბუქს რომ დაგეიტრილებს სულში, დიდხანს რომ ჩავაფიქრებს საკუთარ ემოციებში გასარევევად. მაგრამ, აღბათ, იშვიათად მოიძებნება ქართველი, ვინც აკაცის „განთიადს“ ყოველთვის დიდი შინაგანი თრთოლეუთ, როგორც ძველად იტყოდნენ, საზარებასაგით არ კითხულობდეს, მუხედავად იმისა, რომ რამდენიც არ უნდა ვიკითხოთ იგი, მხოლოდ ერთ აზრს, ერთ სიყვარულს, ერთ ხატებას, ერთ განწყობილებას ამოვიკითხავთ მასში. იგი სადა, ნათელია, ამასთანავე, მას აზრისა და გრძნობის დიდი სიღრმეები აქვს.

გრიგოლ აბაშიძის პოეტური ბუნებაც სწორედ ამგვარ ლექსში ჰპოვებს თავის ყველაზე უშუალო გამოხატულებას. პოეტი აქცე უფრო მეტ შემოქმედებით სიხალევეს კლასიკურ რეალისტურ პოეზიათან ჰპოვებს, ვიდრე მეოცე საუკუნის მოდერნიზმთან (ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით). ქეშმარიტი პოეზიის ერთი მტკიცე და შეუვალი თვისება გრიგოლ აბაშიძემ, როგორც თვითონ ვევიხვალს, სიყრმიდანვე შეისმინა და იწამა, კერძოდ ის,

„რომ სიღრმე არის ფუჟე ნამდივლი ძალის, მშვენების და სიდიადის.“

ამ სიღრმეების გამოხატავად მისთვის უფრო ორგანული გამჭვირვალე, სადა ლექსი აღმოჩნდა, სადაც პოეტსა და მკითხველს შორის უმოკლესი გზა მიგნებული, სადაც ყოველი მხატვრული აზრის სიღრმე შედარებით ადვილი ჩასაწვდომია, რადგან სინათლე ჩასდევს მას.

გრიგოლ აბაშიძისათვის მშობლიური მწერლობის ტრადიციები და თავისი ხალხის ისტორიული წარსული საკუთარი შემოქმედების

გზარამ გვიარფითელი
„აკანთოთ შუში ჩხინ ჩხინი ხვედრი“...



მათი ცხელბული წყაროა, სიღრმად ერთ მთლიან ეროვნულ სულთან ერთად მისი პოეზიის მრავალი თემა და მოტივიც იღებს სათავეს. ამიტომაცაა, რომ პოეტის შვირა ასე ხშირად და დაფიქრებითა მიპყრობილი უკან, წარსულსაკენ, სიღრმად იწყება ქართული ეროვნული სულის ფორმირება. პოეტის შემოქმედება იმდენად ორგანულადაა შერწყმული წმინდა და ძლიერად მფეთქებ ტრადიციებთან, რომ ხშირად ლექსში მანძილი წარსულსა და აწყმოს შორის განზიარება წარმოიქმნება. პოეტის ერთიანობის იდეის კიდევ უფრო მეტად გამოხატვის მიზნით. „შენ აქ ახლო ხარ, არ ხარ ზღაპარი“ — ასე მიმართავს პოეტი უძველესი საუკუნეების სიღრმედან გამოხმობილ ძეგლებს პიტაგორის აზრებს. თუმცა შეიძლება წლით დაავიანდა, კოხტაგორის გმირებისათვის რომ მოეწყო, მას, განიხილავდნენ შეთქმულთა ერთგულს, დიდი და ცხოველი მამულიშვილთა გრძნობის წყალობით, სრული უფლება აქვს ასე მიმართოს საქართველოსათვის წამებული:

„მაგრამ არ არის დრო გამოიშველი
მათთვის, ვინც იყო ქვეყნის ერთგული,
მე თქვენს ლანდებთან მოვალ შიშველი,
არაოფნის უამსაჲ თქვენთან შეთქმული.
რომ თქვენებრ მწვავედს მზე თქვენი
მწველი,
თქვენებრ მეხვიოს მზეზე ფუტკარი,
რომ ვთქვა: წამს ჰგავდა შეიდასი წელი,
მოველ, წამებას მეც მოვუსწარი!“
(„შვიდასი წელი“).

გრიგოლ აბაშიძის პოეზიის ლირიკული გმირისათვის თანაბრად ახლოა წარსულიცა და მომავალიც, როდესაც საქმე ეროვნული სულის უკვდავებას, ხალხის ისტორიული თავგანწირვით მოპოვებული სიეთისა და სიმშვიდის დაცვას, სამშობლოს ნათელ დღეს ეხება. და თუ იგი „შვიდასი წელი“ კოხტაგორის შეთქმულების მოხიარუ და მონაწილე იყო, „ანდერსნაგეში“ მომავალი საუკუნეების თანამემამულე ჰპირდება თანადგომას, თუკი ამას სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს. პოეტი კვშმარტივ მოქალაქეობრივი გრძნობით სავსე სიტყვებით მიმართავს მათ, ვინც მომავალი მემკვიდრეა ყველა იმ ისტორიული მონაპოვრისა, რაც ხალხის ბრძოლითა და შრომითაა შექმნილი:

„მე ხიდი ვიყავ, —
წინა კაცი მუდამ ხილია, —
შენ გაიარე და მას შემდეგ
ნაღმით სავსე ვარ...
ჩემი თაობის ნაოცნებარს თუ გაჰყვიან,
თუ იფიქრებენ ერთი წამით
უკანახევას, —

იფიქრებს ხიდი,
მოალაღებ კაცის მხოველი,
ეამგადახულის,
ძველთა ძველის ამოსადგებად,
საუკუნეებს ვაღმომლახავს
და რკინის ხელით
ჩემი თაობა
შენს ძახილზე გამოცხადდება“.

ეს ხიდი წარსულსა და მომავალთან გრიგოლ აბაშიძეს იმიტომ არა აქვს გადებული, რომ დროისა და ეპოქის მნიშვნელობას თუნდაც რამდენადმე ამცირებდეს, ან ვერა გრძნობდეს. მისი ლექსის ტრადიციულ ფორმაში მხოლოდ თანამედროვე პოეტის გულისფეთქვა იამის, დღევანდელი ადამიანის აზრი, ფიქრი და განცდაა გამოხატული, ისევე, როგორც მის შემოქმედებაში ისტორიული წარსული მხოლოდ თანამედროვეის თვალთა დანახული და განცდილი.

როდესაც გრიგოლ აბაშიძე მწერლობაში მოვიდა, ლიტერატურული ცხოვრება უკვე დაწყებული იყო. ქართულ პოეზიას უკვე გაველო ის რთული ლაბირინთი, რომელიც მეოცე საუკუნის პირველმა ათეულმა წლებმა დახლართეს. უკვე მიეკვლია იმ ნათელი გზისათვის, რაც მისი განახლებისა და განვითარების ყოველი მოწადინისათვის ერთადერთი იყო. ამიტომაც გრიგოლ აბაშიძის წინაშე არ მცოთ მტკენეულად. უბრალოდ სულაც არ მდგარა არაერთი ქართველი პოეტისათვის თავის დროზე თავსატეხი პრობლემა ახალი ცხოვრების მიღებისა თუ არმიღებისა. არც სხვადასხვა პოეტურ სკოლათა ქიშკასა და ქეშმარიტი პოეზიის ძიებას მოუქანცავს და გაუცდენია იგი. ამ თვალსაზრისით ძირითადი და უმნიშვნელოვანესი უკვე ნათელი და გარკვეული იყო. ამიტომაც, ახალი ცხოვრებით აღზრდილი ადვრთვანებაცა და სიამაყის გრძნობაც ასე გულწრფელად, უშუალოდაა გამოხატული გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაში. მისი პოეზია აღორძინებული, თავი-უფალი, განახლებული საქართველოს ხილვით შთაგონებული ხალხისიანი სიმღერაა. პოეტი არც ცდილობს ამ იმედისა და სიხარულის შეფარვას, გრძნობათა დათქვას და მიუღი ხმით გვიჩხელს სიყვარულსაც და აღფრთოვანებასაც, რასაც მის გულში დაუსადგურებია:

„მე განვიცადე მაჲა და ფეთქვა
დღეების დიად გარდატეხათა,
როგორ შემემლო ლექსად არ მეთქვა,
არ მემღერა და არ დამეხატა.

გულს ეს მიხარებს, უფრო არა ვარ,
ჩემს გაზაფხულსაც ჰყვანან მერცხლები,
მე ჩემი დროის ძლიერ ქაჩაჯანს
არც ჩამოვრჩები, არც გავეცლები“.
(„როგორ შემეღილო“).

პოეტს ამ სიხარულს კიდევ უფრო მძაფრად განაცდევინებს ის ისტორიული გზა, მისმა ერმა რომ გამოიარა. თავისი ღრობის ქარავნის ერთგული ბედუნი უკან იმიტომაც იხედება, რომ ვანელიო გზის საბედისწერო ფათერავები, ჩამოტოვებული განსაცდელი ახლა უკვე მხოლოდ იმედიაში გზით გამოწვეული სიხარულით აართოლებულ გულს მერტლედვარებებს ანიჭებს. პოეტის თვლი უმეტესად ამ კონტრასტული დაპირისპირებით აღიქვამს ქართველი კაცის მიერ ბნელი და პირქუში საუკუნეების მანძილზე სიცოცხლის წყურვილთა ჭიუტად გამოვლილ გზას, რამაც იგი გადარჩენილ მოიყვანა („უჭარბის ნანგრევებზე“, „უღე“, „შეშლილი ხარი“, „მონაპირე რაიომებს“, „ფოლადის სიმღერა“). ამ მკვეთრი დაპირისპირების ერთი საუკეთესო მხატვრული გამოხატულებაა ლექსი „შეშლილი ხარი“, სადაც (და ბევრგან სხვაგანაც) ქართული ეახი არსებითად ქართული სულის სიმბოლოდაა მინიშნებული:

„თემურ, შენ იყავ შეშლილი ხარი,
შენს ნაძოვარზე ბალახიც გახმა,
იმდენი ჩეხე, იმდენი თხარე,
რომ უკვლა მხარე მოიკცა თახმა.“

შენ მთელი ქვეყნის მპყრობელი გახდი,
ხალხები სისხლას ზღვებს რომ შერიე,
მოსხე, დაამხე მრავალი ტახტი,
მხოლოდ ქართულ ვაზს ვერ მოერიე.

რამდენჯერ ჰყავე, რამდენჯერ თხარე,
სიღრმეში ჩაჰყე, ფეხიც ეძიე,
მაინც ვერ მოსხე პატარა მხარე,
პატარა ვაზი მაინც ვერ ძლიე.

ახლა სადა ხარ, წამოდექ, შეხე,
ცხენდაცხენ ვისლა დაადევნები,
ასჯერ რომ დასწვი, ასჯერ რომ სჩეხე,
ისე დაუხხამს ვაზებს მტევნები...

თემურ, შენ იყავ შეშლილი ხარი,
შენს ნაძოვარზე ბალახიც გახმა,
შენ მაინც გძლია ევანის მხარემ,
შენ მაინც გძლია ქართველმა ხალხმა!“

პოეტი მძაფრად განიცდის ტრაგიზმს, რაც თანა სდევდა ამ გადარჩენის ძნელი ბრძოლის გზას, რასაც შეეწირა სამცხელი გოლიათი. კაცისოდენა ხმდელი რომ ჰქონია. სახლისოდენა — საწინაელები და მტრისაგან შეზღუდვებილი ძლივს ჩატეულა ს:მარეში („სამცხის სამარხზე“). რამაც სახალწლო თოვლითი თბილი მტკვარი არგუნა სასაფლოდ თავგანწირული მკეიხოვნეებს („შვილა მეციხოვნეა“). ამ ბრძოლის ეამს აფნა ქართველს „ნოსტეს მთებზე“ ცივი და მკაცრი“ ნოსტეს პატრონის დევნილი სულის კვალი და ვეღარ მიავნო იმ ადგილს. „სად გაძლენ მიწით თვალები სა-

ცრის, სად ჩალბენ მისნი მხარნი ფართონა“ („ნოსტეს ღრუბელი“). დიდ მოურავზე ნაყლებ ტრაგიკული ბედი არც უკან მობრუნებულ ულუ დაეთის ხელა წილად, ვისაც „აღირ ნოელის ქართლში არავინ“, ვინც „გაპირლია ყველა ნუგეში, წააგო ყველა სანაპლონი“ და ახლა მხოლოდ ტბილ ზმანებებში ჰპოვებს წამიერ ნეტარებას („ულუ დაეთის დაბრუნება“). დიდი მამულიშვილების წმინდა სისხლით არის მორწყული ის გზა, რომელზეც გამოიარა სამშვიდობოსკენ ქართველმა ხალხმა, „ვიცა შენგა უნდოდა არხის და არხის ნაცვლად ციხე აშენა“ („უჭარბის ნანგრევებზე“). ამ მძიმე, ტრაგიკული, ტანჯვის გზის პოეტური ხილვის შემდეგ დღეს აღორძინებული და ბედნიერი საქართველოს მკვიდრის გული კიდევ უფრო მეტი მღელვარებით უმგერს იმ რწმენითა და იმედით:

„რომ მკვდრებით აღმდგარ ქართულ
ვენახებს
ქართველთა სისხლი აღარ შეღებავს,
რომ უკვდავება რასაც ხელს ახლებს,
იგი არასდროს გადაშენდება!“
(„ახალშენი“).

მშობელი მიწისა და ერის „დიდების საწყისის“ შემსწრე პოეტს სიძულვილის ნაცვლად ახლა მხოლოდ სიყვარული მოსძალდება:

„მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს,
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის,
მიწა ჰვამს ყველა ჭალაღვინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის“.
(„თბილისი“).

გაპარტახებული ქართლის მგონებებს, ნანგრევთა შორის გაბნობ რომ მოსთქვამდნენ, გულისითა სწადადით სიხარულის სიმღერა ეთქვათ, მაგრამ მელსად მხოლოდ ნაღველი ჰქონდათ, რადგან „ქართლის დაქცევას ხელდავდნენ მუღამ, და ვერ უმღერეს ქართლის ვენებას“. გულწრფელია პოეტის სურვილი, რომ „სიმღერა ჩვენ ეთქვათ მათი სათქმელიც“. და მართლაც, ახალი ცხოვრების, შენებისა და შემოქმედების ეპოქის სადიდებელ სიმღერად ისინი გრიგოლ აბაშიძის პოეზია.

„ოღონე აულ ექონდეს ხილვა ნათელი“, — ეს სურვილი და ოცნება კვებავს გრიგოლ აბაშიძის პოეტურ ფანტაზიას. ეს ნათელი ხილვები ავსებენ მას სიამაფით, „უთვალავ განათა“ მფლობელია. ან კიდევ მწიფე „პურის უნად“ აგრძობინებენ თავს და ამ ხალისიანი განწყობილებით „აუცებელი პოეტიც ჰპირდება. მუითხელს, „რომ სანამ ვცხოვრობ, ოცნებით ვიფრენ და ეს სიმღერა არ გათავდება“.

შურამ გეგარდინთელი
„აბანათოთ შუში ჩხენ ჩხენი ხმოდრი“...



და მაინც, მიუხედავად ამ ახდენილი ოცნებებით სავსე ცხოვრებისა, იმედისა და რწმენისა, სულიერი სიმხნევისა, უღრუბლო დღის მოლოდინისა, მიუხედავად ამ ამღვრებელი სულისა, გრივლო აბაშიძე არ არის ერთგანწყობილებიანი პოეტი. თუმცა მის ლექსებში თითქმის არა ჩანს კვალი ადამიანის სულის მღრღნელი ათასგვარი დაეჭვებისა, დაუქმაცხოვრებლობის გრძნობისა, იმედგაცრუებისა, პოეტისათვის მიიწვ არ არის უცხო შინაგანი წუხილი და სევდიანი განცდაც. აქ არ ვგულისხმობ „იმ შორი მთების სიმაღლისა და სიმშვიდის სევდას“, რაც შეუცნობლად გადმოედება პოეტს, არც ღრმა დრამატიზმით სავსე ისტორიული რეალიების გახსენებით გამოწვეულ წუხილს. უფრო საინტერესო თვით პოეტის ცხოვრებასთან უშუალო შეხებით აღძრული სულიერი შემოთხებაა. ეს განწყობილება კი, ალბათ, ყველა ჭეშმარიტი პოეტისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. პოეტი ხომ ცხოვრების მდინარებას ზემოდან არ დასცქერის მხოლოდ, მის სიღრმეებშიც იხედება. ყოველ, თუნდაც მშვიდ და სანდო მდინარესაც კი აქვს თავისი ფონიკა და მორვეიც. გლუვი და კლდოვანი ფსკერი, მღვრიე და ანკარა ადგილები, აქვს მის მიერ აბინიებული ჭალებიცა და მის მიერვე დატბორილი ჭაობებიც. ეს ყველაფერი კი შეუძლებელია არ იწვევდეს მთავარი განწყობილების დროებით დაღიწყებას, მეტ-ნაკლებ სულიერ შემოთხებას, ცხოვრების ავარჯზე კიდევ ერთხელ ღრმად ჩაფიქრების სურვილს. თუ ცხოვრებაზე ღრმად ჩაფიქრების შემდეგ ეს ერთბაშად მოძალებული სევდა ან წუხილი გაძლიერდა, პოეტის შემოქმედების მთავარ განწყობილებადაც კი იქცევა. თუკი იგი სწრაფწარმავალი აღმოჩნდება, მეტი სინათლე მიეცემა ცხოვრების ხალისიან ხილვას, მეტად გადაედება მკითხველს იმედიანი განწყობილება.

გრივლო აბაშიძის პოეზიაში ამ სულიერ შემოთხებასაც და ადამიანურ სევდასაც, შეიძლება ითქვას, ერთი სათავე აქვს, თუმცა ყველასათვის ნაცნობი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი განცდა კვებავს, რომ „საწუთრო იგავითუწვდომელი ძლივს არის თვისი ერთი მოსწრება“. ადამიანის ერთი მთავარი საწუხარი, — „ეაი, რომ თურმე ჩემი დროც მიდის და შეჩერება არ შემიძლია...“ — გრივლო აბაშიძისაც ხშირად ურღვევს სულიერ მყუდროებას და ღრმად აფიქრებს ამ პრობლემაზე („საწუთრო იგავითუწვდომელი...“ „წერებები“, „შემოდგომა“, „განმეორდება“, „ვღვავარ, ვიგონებ...“). პოეტი გულწრფელია მაშინაც, როცა სევდით მისჩერება ტრატებ-შემომხმარ ხეხილს, რომელთაც „შემოპარიათ სიცივე ბინდის“, და მაშინაც, როცა იმ ერთადერთ სწორ პასუხს გვთავაზობს ამ პრობ-

ლემაზე, რამაც დააძლევინა ადამიანს განსჯისა და დაძაბე შიში:

„როდემდის
ბოლოს წყდება ყოველი,
რაგინდ ოცნებით გრძელ გზას ხატავდე.
ეგ შენი წილი წუთისოფელიც
ერთ შემოდგომას უნდა გათავადეს.“

შენც ამ წესრიგის რგოლი ხარ მხოლოდ
და ქვეყნის ბრუნვა ქების ღირსია, —
თუ განახლებას არა აქვს ბოლო
და დასასრულიც დასაწყისია...“
(„შემოდგომა“)

პოეტს სხვა ლექსში უფრო პირდაპირ და აშკარად აქვს გამოხატული სიცოცხლის გადარჩენის რწმენაცა და გზაც:

„გაქრა,
რომ ფეხვებს წლები არ უშლის
ისე იფეთქონ მწვანი ულორტბად...
ლექსში,
შვილებში
და სიყვარულში
ჩვენი სიცოცხლე განმეორდება.“
(„განმეორდება“).

სწორედ ეს ღრმა ადამიანური რწმენა იმისა, რომ „მართლა უსასრულოა ქვეყნად სიცოცხლე და სილამაზე“, პოეტს აძლევს სიყვარულის ძალას, უმძაფრებს მოვალეობის გრძნობას ერისა და შთამომავლობის წინაშე, აღაფრთოვანებს მოქმედების, სიკეთის წყურვილით, აფიქრებინებს, რომ ყოველი ჩვენთაგანის ვალია „ავანთოთ შეუქი ჩვენ-ჩვენი ხვედრა“, ისევე, როგორც „ჩვენამდის ენთო სხვების სანთელი“. გრივლო აბაშიძის პოეზია სავსეა სიყვარულით, სიყვარულით მთისა და ველისადმი, ჩანჩქერისა და ყვავილისადმი, ვაზისა და ტაძრისადმი, წინაპრისა და თანამედროვისადმი, მეგობრისა და საერთოდ ადამიანისადმი, ყველასა და ყველაფრისადმი, რასაც კი სიცოცხლის და სილამაზის დღი ასვია. მაგრამ ყველაზე ძლიერი, დაუოკებელი სიყვარულის საგანი მისთვის მაინც სამშობლო და სატრფოა. პოეტი არც აქ დალატობს ეროვნული მწერლობის ტრადიციებს. მართლაც, საერთოდ წარმოუდგენელია მწერალი, ვისაც ეს გრძნობა თუნდაც თუნდაც მაინც ჰქონდეს მოდუნებული. ქართულად პოეტს კი, ისტორიულ გამოცემათა გამო, ყოველთვის გამაფრებელი ჰქონდა ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა სამშობლოს მიმართ, ჩვენს მწერლობაში საუკეთესო ლექსებიც, არ შევცდები თუ ვიტყვი, სწორედ ამ გრძნობათა მოზღვაების შედეგადაა გულთან აღმოხმადარი. ქართულ პოეზიას არაერთი ბრწყინვალე ლექსი გააჩნია, სადაც ეს სიყვარული მოქალაქეობრივ მოვალეობის ღრმა გრძნობით, ომბიხიანად თუ სინ-



აზიოთა გაცხადებული. ამიტომაც, დღეს პოეტოსათვის თითქოს უფრო ძნელი უნდა იყოს საყუთარი გრძნობის ორიგინალურად და შთამბეჭდავად გამოხატვა. მაგრამ კემშარიტი, უკიდევანო სიყვარული იმდენად ძლიერი და შთამავგონებელია, რომ პოეტის საუკეთესო ლექსში იღვრება. ასეა გრიგოლ აბაშიძისთანაც; ერთი ლექსებიც სამშობლოზე, საქართველოზე ერთი საუკეთესოა პოეტის შემოქმედებაში/ ამ ლექსებში ამოვიკითხავთ პოეტის მიერ მიჯნურვით გამოხედილ გრძნობას:

**„მისი ხატება, როგორც ლამპარი
მინათებს გზას და თან დავატარებ.“**
(„თვითონ არ ვიცი...“).

თავისი ქვეყნისადმი აქვს ნათქვამი პოეტს ყველაზე თბილი და ნაზი სიტყვებიც:

**„რა პატარაა სამშობლო ჩვენი —
ნიავის ერთი ჩამოქრალბება.“**
(„ფიჭრის უსწრაფესს“).

საქართველოსვე ეკუთვნის პოეტის დაღადი-სით განღობილი გრძნობა ლექსში „ოქროს ვენახი“:

**„უქრობი შუქით შემოსილს გებდავ,
შენი მზის ჩასვლა ნუმც დაღენახოს,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო.“**

**მწეც მიყვარს,
ჩრდილიც ამ მთაგორების,
მდინარეების ჩქარი დინებაც,
ჩემი სიმღერის და შთავგონების
შენ ხარ ფეხვიც და დავგორგვიწებაც.**

**შენ ჩემთვის მწე ხარ ამომავალი,
სულის სიმალღევ, გულის ნათელი,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო.**

**და როცა ქრძალვით შენს ქებას ვებდავ,
გულის ძაფებს მსურს ხელი შევაბო,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო.“**

სამშობლოსადმი სიყვარულის ამ მრავალ-მხრივი გამოქანავების ვაჟკაცური დავეირგვი-ნებაა გულიდან აღმომზღადარი სიტყვები:

**„და თუ სიცოცხლით ვერა გარგე რა,
სიკვდილი კიდევ ჭერ ჩემს ხელთ არი.“**
(„ვ დ გ ა ვ ა რ , ვ ი გ ო ნ ე ბ...“).

როდესაც ასე ერთად თავმოყრილად ვეც-ნობით გრიგოლ აბაშიძის ლირიკას, ვფიქრობ. მისი ერთი დამახასიათებელი თვისება კიდევ უფრო ცხადად უნდა იყოს საგრძნობი. ეკრძოდ ის, რომ პოეტი ლექსების დიდ ნაწილში სათქმელის ეპიკური გამოხატვისა-

კე უფრო იჩენს მიდრეკილებას. გრიგოლ აბაშიძეს გააჩნია ისეთი საუკეთესო ნიმუშები წმინდა ლირიკისა, როგორიცაა „ფიჭრის“ უსწრაფესი მიქრიან დღენი“, „ერთი მუღარა“, „ატენში“, საყოველთაოდ ცნობილი მისი სატრფიალო ლექსი „ჭოგთახათუნი“ თუ სხვა, მაგრამ მეტწილად იგი უფრო ეგრეთვოდებულ ი „მომთხრობელობითი“ თუ „სიუჟეტური“ ლექსის ოსტატია. ზოგს ისეთი ლექსი მოსწონს, სადაც აზრი იმდენად არის შერწყმული და ჩაქსოვილი პოეტურ სახეებში, რომ მისი სხვა სიტყვებით გადმოცემა უბრალოდ შეუძლებელია. ეს აზრი თვით ამ პოეტური სახეებითვე შეიძლება მოვიდეს მხოლოდ, იმდენად კი არ უნდა გავიგო, რამდენადაც იგრძნო და მიხვდე. მაგრამ კლასიკურ და თანამედროვე პოეზიას მრავლად გააჩნია სწორედ ისეთი ხასიათის ლექსებიც, სადაც ეპიკური საწყისი სჭარბობს. ამასვე უკავშირდება კიდევ ერთი შესამჩნევი გარემოება, რომ გრიგოლ აბაშიძე, თუ შეიძლება აე ითქვას, უფრო პოეტი-ფერმწერია, ვიდრე პოეტი-მუსიკოსი. ეს ყველაფერი მხოლოდ პოეტის ბუნებრივი მიდრეკილებით, მისი სულის წყობით შეიძლება აიხსნას და აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ის საყოველთაოდ ცნობილი კემშარიტე-ბა, რომ მრავალფეროვნება ყველგან და ყველაფერში, უპირველესად კი პოეზიაშია აღუცილებელი. ესაა მისი სიძლიერისა და სილამაზის განმსაზღვრელი.

ზუნებრივია, ასეთი მიდრეკილებით პოეტს შეუძლებელი იყო არ მიემართა პოეტური ეპოსისათვის. ეს მართლაც თავიდანვე ასე მოხდა და გრიგოლ აბაშიძემ თითქმის ერთდროულად მიიქცია მკითხველის ყურადღება თავისი ლექსებითაც და პოემებითაც. უფრო მოგვიანებით კი, როგორც ეს ქართულ, და არა მარტო ქართველ მკითხველს, კარვად მოეხსენება, მწერალმა რამდენიმე რომანი და პიესა შესძინა ქართულ მწერლობას.

თხზულებათა პირველ ტომში დაბეჭდილია პოემები: „შავი ქალაქის გაზაფხული“ (თავე-ბი პოემებიდან), „გრიგოლ მეექვსე“, „ძღუ-ვის ქელი“ და „ზარზმის ზმანება“.

„შავი ქალაქის გაზაფხული“ გრიგოლ აბაშიძის პირველი პოემაა, პოეტური ეპოსის პირველი მოსინჯეა. შეიძლება ამიტომაც არა ჰგავს იგი მის მომდევნო პოემებს, სადაც უფრო აშკარად გამოიკვეთა ის გზა, რომელიც საბოლოოდ ირჩია მწერალმა. ის გარემოება, რომ ავტორმა თხზულებათა ტომში ამ პოემი-დან მხოლოდ თავები შეიტანა, ალბათ იმი-თაც უნდა აიხსნას, რომ იგი თავიდანვე ერთ-გვარი ფრაგმენტულობით იყო დაღდასმული

გურამ ბავრღითილი

„პანსონით შუში ჩვენ ჩვენნი ხვედრი...“

და დღეს მთლიანი სახით უქმარობის გრძნობას თვით ავტორშიც იწყევს. „შვიდი ქალაქის გაზაფხული“ მხოლოდ იმით არ არის საინტერესო, რომ მას თავის დროზე საკმარის რეზონანსი ჰქონდა თემატიკისა თუ მხატვრული ღირსებების წყალობით. დღეს მას უფრო ის მნიშვნელობა აქვს, რომ ავტორის რომეტიკული გზის გარკვევაში გვეხმარება. როგორც თვით ამ თხზულებათა პირველ ტომში გამოქვეყნებული თავებიდანაც ჩანს, მასში საქმიან ძლიერი იყო ლირიკული ნაკადი და საინტერესო იყო, რა ვადასძლევდა, რა გახდებოდა განმსაზღვრელი გრივალ აბაშიძის პოეტური ეპოსისა. ლირიკული პოემისავე ერთგვარი მისწრაფება უკვე იმთავითვე შესამჩნევად იყო ქართულ პოეზიაში, მაგრამ გრივალ აბაშიძის შემდგომში შემოქმედებამ ცხადყო, რომ მან ქართული კლასიკური პოემის ტრადიციები ირჩია და სწორედ ამ გზას ვაპყვად „გიორგი მეექვსეშიც“, „ძღვეის ქედშიც“, „ზარზმის ზანებაშიც“.

გრივალ აბაშიძის დეაწლი ქართული საბჭოთა პოემის განვითარებაში უთუოდ მნიშვნელოვანია. ამას უფრო თვალსაჩინოსა ხდის ის გარემოება, რომ მაშინ, როცა მისი პოემები იწერებოდა და განსაკუთრებით კი მომდევნო წლებში, კარგა ხანს უჭირდა ამ ენარს ქართულ მწერლობაში.

„გიორგი მეექვსეშიც“, „ძღვეის ქედშიც“, და „შეიძლება ითქვას „ზარზმის ზანებაშიც“ დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მათგანი შორეული წარსულის სურათებს გვიცოცხლებს, მომდევნო ორი კი უშუალოდ სამამულო ომის თემაზეა დაწერილი, ყველა ეს პოემა საბჭოთა ადამიანში ღრმა პატრიოტულ გრძნობას აღვივებს და თავისი ამ პათოსით უაღრესად თანამედროვე იყო და არის. მაგრამ მარტო ეს როდია მათი ღირსება. გმირების ცოცხლად გამოკვეთილი სახეები, მძაფრი დრამატიზმი, მოქმედების ფსიქოლოგიური და ეთიკური მოტივირება, სიუჟეტის დინამიური განვითარება, თხრობის ექსპრესიულობა და ბევრი სხვა ღირსება ამ პოემებს მხატვრულად საინტერესო მოვლენად ხდის და მნიშვნელოვან ადგილს მიუჩნის ქართული საბჭოთა პოემის განვითარებაში.

გრივალ აბაშიძის თხზულებათა პირველ ტომში დაბეჭდილია აგრეთვე პიესა „მოგზაურობა სამ დროში“ და დრამატული პოემა „დედა“. უნდა ითქვას რომ თავის დრამატულ ნაწარმოებებში გრივალ აბაშიძე თავმად ექსპერიმენტებს მიმართავს და უაღრესად საინტერესოა ჩანაფიქრი მწერლისა. პიესაში ახალგაზრდა მხატვარი მართლაც მოგზაურობს

სამ დროში. იგი უქმყოფილია აწყობილ ხან ვარდასული ეპოქის ხელოვანის ბედი. შურს, ხან — მომავლისა და აი, მას აუტყუებს ნატურა, წარსულშიც იმოგზაურებს, შინაგულშიც და ბოლოს სანატრელი გაუხდება ის დრო, რომელიც ვერ დაფასა. იგი მიხვდება, რომ მისი ადგილი სწორედ იმ თანამედროვეობაშია, საიდანაც აპირებდა გაქცევას, დრამატული პოემა სიუჟეტის თვალსაზრისით უფრო ტრადიციულია, ისტორიულ-პატრიოტული ხასიათისაა. იგი თბილისის პირველ აღმშენებლებსა და დამპყრობლების წინააღმდეგ მათ ბრძოლებზე მოგვითხრობს, მაგრამ ორთავე პიესას აერთიანებს პირობითობა და სიმბოლიკა, რაც მარტო ლიტერატურულად კი არ ხდის მათ საინტერესოს, არამედ სცენური განსახიერების თვალსაზრისითაც. სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოხერხდა ამ პიესების შესაფერ მხატვრულ დონეზე გასცენოტება. პირველი ცდები არცთუ წარმატებით დამთავრდა, მაგრამ, ჯერ ერთი. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ქართული თეატრი მოუძებნის მათ შესაფერ სცენურ სიკოცხლებს, ეს მათ ლიტერატურულ ღირსებას ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს. პიესაცა და დრამატული პოემაც თანამედროვე ქართული დრამატურგის საუკეთესო ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება.

და ბოლოს, აქვეა დაბეჭდილი გრივალ აბაშიძის საბავშვო ლექსები, რომელთაგან თავისი ვრცელი სიუჟეტით გამოირჩევა „რუსთავის მერცხლები“ და „ნაბოლარა წყვილი“. თხრობის პასადაც, რაც საერთოდ ახასიათებს პოეტს, კიდევ უფრო მეტად სწორედ საბავშვო ლექსებს ესადაგება.

რა შეიძლება ითქვას გრივალ აბაშიძის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემასთან დაკავშირებით? რომ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ მწერლობაში? ეს თავისთავად ცხადია. ქართველი მკითხველი ამ გამოცემაზედ კარგად იცნობდა მის ლექსებსაც, პოემებსაც, დრამატურგისაც და ყოველი შეხვედრა ამ საინტერესო მწერალთან სასიამოვნოა. ისიც ცხადია, რომ ყოველივე ამან ერთ ტომში შეკრებილია, უფრო თვალწინადაც გამოაჩინა გრივალ აბაშიძე, როგორც პოეტი და დრამატურგი, მაგრამ მთავარი მიზეზი ისაა, რომ ამ გამოცემით მოხდა პირველი გადარჩევა გრივალ აბაშიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და ავტორიც უფრო დაწმენდილი პოეტური სახით წარმოვივლიდა. თხზულებათა სამტომეულის დანარჩენი ორი ტომის გამოსვლის შემდეგ სრულად გამოიკვეთება გრივალ აბაშიძის მწერლობის პორტრეტი და მაშინ ალბათ უფრო ვრცელი და საფუძვლიანი საუბარი გეპარებებს მისი შემოქმედების შესახებ.



დრო და პროექტი

დიდხანს ვეტრიალებ ამ საკმაოდ მოზრდილ წიგნს. მერამდენედ კითხულობ თავიდან ბოლომდე, მერე ისევ ბოლოდან ვფურცლავ, ცალკეულ ლექსებს ვინიშნავ, სტრიქონებს ვსინჯავ, ვაკვირდები და ვფიქრობ. აღამიანი, რომელსაც ვიგნობ პირადად, ამ წიგნში ცხოვრობს. აქ გაცილებით უფრო ღრმად შეიძლება მისი სულიერი თვისებების გაგება, აქ გამხელილია ყველაფერი ის, რასაც ყოველდღიურობაში ვერ დაინახავ, რაც იღუმალია, ინტიმურია, თავისთავადი. მინდა ზუსტად მივანო პოეტის სახეს, მართკონტურები კი არა, მთავარი შტრიხები დავიჭირო. ვფურცლავ ლექსებს წიგნს და ვფიქრობ, რაღაც მანამდე უცნობი სიფრთხილე შემომეპარა. ეს იმიტომ კი არა, თითქოს ამ წიგნის ავტორზე საქებარი სიტყვის თქმა ჭირადეს, ან რაიმე საკბილოს ვეძებდე. არა. მინდა ვიყო ზუსტი, უფრო სწორად — მართალი. რადგან სიზუსტეც ყოველთვის სიმართლეს არ ნიშნავს. ეს შოთა ნიშნაინიძის პირველი მოზრდილი კრებულია. აქ შეუყრებიან ის საუკეთესო, რაც ნამდვილ პოეზიაში მორჩნე-ვია, რაც თავის ადრინდელ წიგნებში მნიშვნელოვანი, საგულისხმო ეგულება. ადრე ამ ლექსების უმრავლესობა წამოიკითხავს. ზოგი მეხსიერებაში ჩამრჩენია, ზოგიც დამიკარგავს. ეს თავმოყრა, საგულდაგულო დაკამება ცხოვრებაში და პოეზიაში განვლილი წლებისა, არ არის მექანიკური პროცესი. იგი რაღაც გარკვეული პერიოდის დამთავრებას და ახალი, უცნობი სიმაღლეებისკენ ღრმად მოსწავებს. ესაა შესვენების, წამიერი შეყოვნების ეპი, როცა ერთი მოზრდილი წიგნი შენს უკან დახურული ერთი მწვანე ჭიშკარია. ამიტომ უნდა ითქვას სათქმელი დაფიქრებულად. ამას მოითხოვს პოეტის წიგნის პირუთენელი პატივისცემა.

უპირველეს კითხვაზე დრომ გასცა პასუხი:

შოთა ნიშნაინიძე ქვემოთადაც პოეტია. იგი ჭიშკრად, ენერგიულად მოპყვებოდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, დღითიდღე, მარცვალ-მარცვალ ხდებოდა დაგროვების ეს თითქმის უჩინარი პროცესი. ამიტომ, რასაც ქვემოთ ვიტყვი, ეს იქნება დიალოგი პოეტთან, დიალოგი, რომელიც გულისხმობს მისი პოეზიით დაინტერესებულ მკითხველსაც...

პირველი შთაბეჭდილება. ცოტა არ იყოს, მახნვეს. ეს ზეაწეული შემახიბო, აღტაცებული აღამიანის წრეგადასული სიხარული მეცნობა. ისე კი ნურავინ გაივებს, თითქოს აქ ადრინდელი პოეტებისაგან რამე უთავბოლოდ, ერთი ხელის დაკვირთ იყოს წამოღებული. შ. ნიშნაინიძე ასეთ გულუბრყვილო „დამსესხებლებს“ არ ეკუთვნის. ეს უფრო შინაგანი ნათესაობაა, სულიერი სიახლოვე იმ პოეტებთან, რომელიც მას უყვარს, მოსწონს, რომლის ხმა და კილო მახლობელია მისთვის. „ღრობდნენ ხევსურნი... და ზორბა ხინკლები პეშვიდან სხლტე-ბოდნენ, როგორც თხის ჯიქნები, დაჩეხილ ცხვირპირზე ეფინათ ხაზაში, ავეცითს პირდაპირ ისხამდნენ ხაზაში“. ღონიერად ნათქვამი სტრიქონებია, ნახატში ტემპერამენტია, მკაფიო მონასმები იკრძნობა. იქნებ ეს ლექსი „ხევსურა“ გიგო გაბაშვილის ფერწერულ ტილოს „მოთვრალ ხევსურს“ შეგნებულად გულისხმობდეს?

მე არც ის მაგიწყდება, თუ სად იწყება ყოველი პოეტი საქართველოში. ჩვენ ხშირად დავადგებით ხოლმე უკვე მრავალიაგან განვლილ გზებსა და ბილიკებს, იმ ციხე-კოშკებს განციფრებით შევაჩერდებით, რომელსაც ჩვენამდე არა ერთი და ორი შესჩერებია, იმ სიმღერებს მზავურადებთ, რომელთაც ჩვენამდე ბევრი მოხიბლულა, და, ბუნებრივია, პირველი ერთნაირი მამულის განცდაა, განცდა საოცარი, ფესვებისა და წინაპრის გრძნობა, ამ

საკვირველი ქვეყნის შვილობით თავბრუდახ-
ვა, სიამაყე და ყელში მოწოლილი სიმღერის
სტრევილი. „ცვრიან ბალახში თუ ფეხშიშველ-
ად გაიარე, რაა მამული...“ ამგვარ ლექსებში
მეტწაყვალად საყოველთო ვარაუდებიან. აქ
ძნელია მევეთრად განსხვავდეთ მით უმეტეს მა-
შინ, როცა ეს პირველი ყრუანტელი მამულის
გრძნობისა, სტიქია, შენზე ბატონობს, ყოფინად
ქცული. ძნელია დააოკო ეს მოძალბებული ვენ-
ბა. ზუსტი, შენგებური ყალიბი მოუნახო მას.
ამიტომ ასე ხშირად, ზოგჯერ მოამბეზრებლად
ჰკავს ერთმანეთს საქართველოზე დაწერილი
ლექსები. ოღონდ ნიუს მაინც თავისი გააქვს და
ამგვარ ლექსებშიც შოთა ნიშნინიძე პოულობს
შოთა ნიშნინიძეს:

შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ნუგეში,
ვაზის ვენახი და ქვის ვენახი.
მადლი შენს ძირებს, სათოფურებში
და სიმღერებში რომ შეგვიჩაჩე...
შენ ხარ ვენახი, ამოხეთქილი
ჩვენი სულიდან,
ძვლიდან,
ხორციდან...

(„შენ ხარ ვენახი“).

სათოფურებში შენახული სიმღერების გაკო-
ნება მხოლოდ პოეტს შეუძლია, თუმცა ამგვარ
ლექსებშიც იგი იოლად ვამეტებს ხოლმე
„ყავლავასულ ბიბლიას“, ფრთიან სიტყვას რი-
ტორიული შეძახილით ცვლის, მაგრამ ისე ღო-
ნიერად მოიგონებს ფაზას, თითქოს ელვა გაჩ-
ნდა ლექსში. შ. ნიშნინიძეს უყვარს ეს ლე-
ონიძისეული ღონიერი შეძახილები, ბუბუნა,
ქრიაშული, მის ღირავულ ეტიუდებში ხან
„ოდელა დელა“ მოტივზე მხიარული სიმღე-
რის მისი, ხან იალღლებზე გაოგნებული ხარის
გამოჩნდება და ხან კიდევ ვეფხის „ტანიდან
დგება აზიის სიციხე ზმორებით“. ეს გრძნობა-
ქარბობის, სიყვარულით ეგზალტირების და
მარად ვაქცაქურის ტრადიციული გამოხატვა.
„ოთახში ვეფხის ტყაყე მიგია და ღამე მძინავს
ვეფხის სიზმრებით“. ამ ჭანსალი, ეპიკურული
ძალმოსილებით გამსქვალული ლექსების ლე-
იტმოტივია. „ცოხე-ტაძრები ცად ასულან ლოც-
ვა-ვერებდალ“. „წვეს ვეფხის ტყაყე საქართვე-
ლოს მზის წილხედომილი, თავს დადგომია
იღბლუხი ზელაპყობილი“, „თრთის ვენახები...
თრთის ყანები... თრთის გალავნები... თრთის
საფლავეები წმინდანების და ფელავნების...“
„გადამთილი აქ ავჩეხე მეზერემ, მეზოგმა, აქ
ჩავევლისე გადამსხვერუელ ციხის ხერხემალს“.
დაიხ, ეს ყველაფერი ხალხის ისტორიის, მისი
უკვლავი სულის განცდა-დანახვის ტრადიცი-
იდან მოდის. ოღონდ ამ ტრადიციას დასაძრახი-
სი არაფერი აქვს. აქ განცდილია ციხე-კოშკე-
ბის უხმო ყოფინა, ხავსქვეშ დარჩენილი წარსუ-
ლის ტკივილები და უბერებლობის, უტეხე-

ლობის, უკვადების რწმენა. განცდილია წიხ-
„ხავსად, ღუმილად, ტილყავებდალ და ბუბუნ-
ებად“. ესაა ვაქცაქური შეგრძნება იმის რწმენაში,
თონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა, დაგი-
ლეწია მთელი, მაგრამ ვერ ავიღია“. და ამო-
ღიან საფლავებიდან მეზრებები და მეციხოვნე-
ები, წიგნის გადამწერი ბერები ფაციფუცობენ
ბნელ საყენებში, სიტყვას და ხმაღს მინდობილი
ხალხი მომადიის აებდით საუკუნეებს. არ შე-
ძლებდა ამ ლექსებში თვისებრივად ახალი გზენ-
ბა არ ამოცინო, გზენბა პატრიოტი პოეტისა,
რომელსაც „ტანთ აცვია ძველიბერიოთ სა-
მოსელის ქვეშ ჯავვის პერანგია“.

თავისთავად სამშობლოს სიყვარულის მტკი-
ცება უტიფრობა იქნებოდა ისტორიის ტკივი-
ლიანი განცდის გარეშე. შ. ნიშნინიძის ამ ლექ-
სებში ტკივილებიც არის და ტკივილებ-
თან ვაქცაქურა შებრბოლებაც. ესაა
ტრავიული წარსულის ჭრილობების
საკუთარ სხეულზე შეგულება. ეს ცხრა მისი
ქმობა და სამას არაველთა მესამასერთედ
სიკვდილი. ეს თემა შოთა ნიშნინიძისათვის
მუდმივია და მყარი. პავლე ინგოროყვისა და
კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილ ლექ-
სებშიც იგი ისევე სამშობლოს ფანტასტიკური
სიყვარულის გრძელ ამბავს უტრიალებს, ოღონდ
ახალი ფერებისა და ინტონაციების პოვნას ცდი-
ლობს.

შ. ნიშნინიძის პირველი შთაბეჭდილებები
სოფლიდან მოდის. მისი ბავშვობის მოგონე-
ბებს ეთნოგრაფიული ლოკალიც ემჩნევა. ომე-
რეთის მდინარეებთან და გზებთან არის ღრმად
დაკავშირებული. იგი ენბრძვის იოლად ნათქვამს,
ხშირად იმპროვიზებს თევზივით სლიქვ ფრა-
ზას და თავის ბავშვობას განუმეორებელი გულ-
წრფელობით ეხება. ამ ციკლის ლექსებში პო-
ეტი ზედმიწევნით უშუალოა და „ბონდოიას“
გადაძახილით დარღვეულ მისი სოფლის მყუდ-
როებაში ხალხურ ხილვებს, ზღაპრებს, იგავეებს
დახარბებული ბავშვი ჩნდება:

„სიკბამეის ქალა გაიჩეხა, დარჩა მხოლოდია
ნაფოტი,
ბავშვობის შიშო და სიხარულო, მეხის
ფულუროდან გამოლი.
ქინეებმა გამტყვარილი მეწისქვილი დაიჭირეს
და გაპარესს,
მისი წისქვილი და ყაბალახი ცხენებს
გამობავს ფაფარზე...
ნიკორა ბოსტინიდან მომამღაღლებს, ჩემი
წარღუნამღელი ღეთაება,
გუთანს ეწევა და მიბუღრაობს დევების
წარმოთქმულ ტეპადალ,
მისი გუშინდელი გუთნისდიდა, მისი
გუშინდელი მეზერე ვარი,
და ჩემი ბავშვობის ბილიკები რქებზე
ბაწარვივთ ეხვევა.

ანათებს ელვა მარჯნის ტყეებს,
ქედებს ცარცოვნებს, —
შენ ზღვის ფსკერზედაც, სიკვდილშიაოც
ვხედავ, აზროვნებ!
ფსკერზე მარბია სიიღუმლოს ვერ გამეტებით
ხზოს ტყავის მძივე გრაგნილები,
პერგამენტები.

ანძის ნატეხი,
ხმლის ნატეხი,
გუთნის ნატეხი,
ყვირის, ადექი, ო, ადექი,
გაეყო, ადექი,
გაეექცე სიკვდილს — ყრუ დედაბერის
კბილებმოცვეთილს,
გადაიხსენი, ამოდულდი და აღმოცენდი.

ამგვარი დილოგი გამოუღის კიდევ. აქ იჩენს თავს მისთვის ორგანული პათოსი, სულიერი სიჯანსაღე და დაუოკებლობა. ამიტომ „ილიადის“ მთარგმნელზე, მიქელ ანჯელოს მოსე წინასწარმეტყველსა და უოლტ უიტმენზე დაწერილ ლექსებში მისი პოეტური ტონი თუ პოზა მართალი და ბუნებრივია:

და სიჩუმეში თითქოს ექოს მაძიებლები,
მიჭიხინებენ სტრიქონები, როგორც
ზებრები.
ვალაფრენენ ოკეანის წეროს მწკრივებად,
წერო თუ სიტყვა თავის მიზანს შეეწირება.
სამხრეთელები ქოქოსივით ხლეჩენ იმ
სიტყვებს
და სვამენ, როგორც მაგრილებელ საამო
სითხეს.
კორძიან სიტყვებს კენძებოვით აგუზგუზებენ
ესკიმოსებში და ტუნგუსებში,
მე ის ბწყარები მიწვიერი და ღვთაებრივი
დამიტებია იმერეთში ტაროებოვით.

პოეტური აზროვნებისკენ მიბრუნება არ არის მოდური ინტელექტუალობით თავმოწონება. პირიქით, ეს უხდება მის „მძიმე სტრიქონებს“, ტემპს, ზეაწულ ტონს. დროს მოაქვს სრულიად ახალი თემები და განწყობილებები. შ. ნიშნინაძის ლექსებსაც მაშინ ემჩნევა ქეშ-მარიტი სიახლე, როცა დროს უსმენს, მისი კარნახით წერს. აქ ფართო გასაქანს პოულობს მისი პიროვნების დრამატული ბუნება, მძაფრი შინაგანი რეფლექსია მოჭარბებული სიხარულის სპირიტუალიზმის სევდასა და ფიქრის ამტვავებებს. აქედან ვხედავ სულიერი ცხოვრების მრავალფეროვანი გამოხატვის სასურველ ტენდენციას. მის ლექსებში გაბატონებული მაგორული ტონი და სისხლჭარბობა („ტანში მზის სხივი ჩამიფუტკარდა, ჩამიქვირითდა...“ როგორც ქვის ძარღვი ამოხეთქოს წყალმა, ბალახმა, ისე აღმავანო სიხარულმა და გამალა...“) იცვლება ჩვენი საუკუნის უდიდეს დრამაზე — ომზე შემოფოთებული ფიქრებზე. „წამოდგებიან და-

მარბული ჯარისკაცები, შეუღლებიან მიღწეულ ბულ სახლ-კარის ძებნას...“, „თქვენი ძველი სურათები, თითქოს არაფერია, გადიდებულს სურათებს...“ თიდან ჩემად გადმოგვეკრიან...“ ასე იწყება ფიქრი იმაზე, ვისაც პქვია: „პირველდღესე დაცემულები და უფრო მეტად დაღუპულნი უკანასკნელ დღეს...“ არც თუ ისე იშვიათია თემის ორიგინალური შემოტრიალება. მძაფრად შთამბეჭდავი მეტაფორის შექმნა. რამდენადაც მიამიტური პოეტური თქმა: „მე მინდა, ყველა ჩემი სტრიქონი ომს წაეუქრო ყველზე მარყუქად“ („მობეტიალე ჩემები“), იმდენად კონკრეტული „ჯარისკაციური ჩემების“ მეტაფორული გააზრებით იქმნება ომის შემზარავი სურათი. აღბათ ბევრს უნახავს ვერეშაგინის ცნობილი სურათი „ომის აპოთეოზი“, — გორად დახვედებული თავის ქალედი. არანაკლებ შემზარავია უცხო ჯარისკაცთა ჩემებში, გამოხატული თანამედროვე ომის აპოთეოზი:

როგორც კალია ნათეს ქალაქებს
შეესგევა და გააჩანავებს,
შეესგევიან სოფლებს, ქალაქებს,
ჩემები...
ჩემები...
ჩემები...
მიწა ერთიან მოიღრუბლება
და ერთიანად გადიჭვენება,
ვალამტერევენ მიწის ხერხემალს
ჩემები...
ჩემები...
ჩემები...
და ილოთებენ, იბრაზუნებენ
და ავცილებენ უცხო ცეკვებით...
სენს დასტოვებენ განუქრინებელს
ჩემები...
ჩემები...
ჩემები...

არა მარტო რიტმულ-ინტონაციური თავისებურებანი, არამედ ომის სურათის ვრცელი ბატალიების გარეშე გამოხატვა კონკრეტული დეტალით, უადრესად ეფექტური და ემოციურაა. ამავე თემის თავისებური გახსნა პოეტმა სხვა ლექსში („სიჩუმე“) სიჩუმისა და სიშველის წყურვილით გამოხატა. „ეკლესიათა ქანდაკებათა მრავლისმეტყველი დიდი სიჩუმე...“ „სიჩუმე არა მოშვერილ ლულის, სიჩუმე როგორც დიდი სიკეთე...“ „დიდი სიჩუმე — ფიქრის დობილი, როცა ზღვისპირად ტანგახდილები ვზვიართ მე და მზე ზურგმიყრდნობილი...“ „მოფიქრებელია ბუნებისაგან ნაბოძებ სილაბაზედ, როცა ადამიანი გრძნობს ამქვეყნიური არსებობის უმალეს ნეტარებას. ამგვარი განწყობილებანი შ. ნიშნინაძის ლექსებში არ მოასწავებს მჭკრეტელი და პასიური ხულის ინტრეტლობას, ავადმოყოფურ ლტოლვას უმოძრა-

ობისკენ. „დედაბუნებაც, სიჩუმე მასეი“, ჩვენი შფოთიანი საუკუნის ქართველებში გავლილი კაცის ამოაბილია.

შ. ნიშნინაიძე თავისი ბავშვობიდან მოდის, იმ პირველ შთაბეჭდილებებშია ვახვეული მისი პოეტური შთაგონება, თუმცა მკაცრად შემოსაზღვრულ ეთნოგრაფიულ ლოკალს არ ცნობს, მაინც იმერეთია მისი მთავარი ფერებისა და ხმების დედა. იგი შეგნებულად იცავს ქართულ პოეზიაში პოლიფონიის პრინციპს და მიელტვის მელოდიათა ნაირფერობას. ზოგჯერ ეს მელოდებები „კაფე-თესეს“ და „ოდელა-დელას“ მარტოე ხალხურ მოტივს გულისხმობს, ზოგჯერ თვით პოეტის მიერ სმენით მიცემულ რიტმებს. მას ასეთი ლექსიც აქვს „რიტმები“.

„რიტმებით მოთესილი მინდვრები“, მხოლოდ პოეტის სმენას აღვიძებს. მოქნეული ბადის ფართქალს, სტვირს, ციხე-ტაძრებს, მაჩუბებს, ცხენების ჭენებას, თუ ფრინველთა გალობას, ყველაფერს თავისი რიტმი აქვსო, ამბობს.

შ. ნიშნინაიძე სიტყვაზე შეყვარებული კაცია. ფეროვან და ხმიან სიტყვებზე მონადირე კაცად წარმოუდგენია პოეტი. „ერთ დღესაც ეინით ატყდება გული და სიტყვად ქცევას მონდომებს მაშინ ყოველი“. ამგვარი საბედისწერო აღტყინება, როგორც იტყოდა ლადო ასათიანი, მას მოსვენებას არ აძლევს. ამიტომ ყოველ მის მომდევნო ლექსს ატყვია მოუსვენარი მიეზის კვალი. პოეტი, ცხოვრებაზე შეყვარებული კაცი უნდა იყოს და ეს სიყვარული არასოდეს არ უნდა გაუთავდეს. ამ სიყვარულის სათავედ შ. ნიშნინაიძეს ბავშვობა და სოფელი ეგულეზა. იქნებ ამგვარ მიბრუნებაში პირველყოფილ სიწმინდესთან ქვეცნობიერად თანამედროვე ცივილიზაციის ზოგიერთი უარყოფითი მხარე იგრძნობოდეს? ამ თვალაზრისს არა აქვს მკა-

ფოინტელექტუალური გამოკვეთილობა, მაგრამ იგი მაინც ნავულისხმევია სოფლის უმწიკველო პეიზაჟებისა და ბავშვობის შეურყენელ შთაბეჭდილებებში. ეს რწმენა ბუნებისა ღრმად შინაგანი რამ არის მისთვის და ზოგჯერ თავისებური მიამიტობა მაინც გვხვბლავს თავისი სტიქიური უშუალობით:

ო, ბონდის ხილო, აქედან ვხედავ
გავლილი გზების სიგრძე-სიგანეს.
რომ დავბერდები, ამოვალ შენთან
და ბავშვობაში ვადაძიყვანე.

ჩვენმა დრომ, კიბერნეტიკული მანქანებისა და ატომური რეაქტორების დრომ პარადოქსალურად წარმოშვა სრულიად საწინააღმდეგო ზღაპრების სამყაროსკენ პოეტური ლტოლვა. მათემატიკას და თანამედროვე ფიზიკას დაუფლებული დიდი ფრანგი კაცი ანტუან დე სენტ ექზიუპერი თვითმფრინავის საქვსთან ფიქრობდა „პატარა პრინცზე“. იქ, ვარსკვლავებთან სიახლოვეს, მოტორის გუგუნში დაიბადა საოცარი ზღაპარი მოზრდილთათვის. შ. ნიშნინაიძეს ქალაქური გარემოს სურათები ნაკლებ იზიდავს და მისთვის მატარებლის თუ თვითმფრინავის ჰმაზე დამფრთხალი ბუნება ისევ რჩება პოეზიის ამოუშრეტელ სავანტურად. აკი წერს კიდევ: „ჩვენში ისეთი ადგილი ვიცი, ისეთი ვიცი ტყე და გორები, სადაც ყოველი კუნჭული მიწის დანაღმულია მეტაფორებით“-ო. მისი პირველი მოზრდილი კრებული ამიტომაც გვიწერავს პოეტისადმი რწმენას და პატივისცემას. რაც შეეხება ხარვეზებს, ისინიც განსაზღვრავენ პოეტის შინაგანი უკმარისობის გრძნობას მისი ცხოვრების მეორე მოზრდილ წიგნის შესაქმნელად...





ჯანსუღ ღვინჯილი

«ს ა მ ხ რ ე თ ი»

ვახტანგ ჯავახაძის ლექსები კარგა ხანია ყურადღებას იქცევს ფრიად საინტერესო პოეტური თვისებებით. ლიტერატურის ასპარეზზე გამოსვლის დღიდან მკითხველის წარმოდგენაში იგი ცოცხლობს, როგორც თავისთავად, ორიგინალური ხელწერის მფლობელი. პოეტი ყოველთვის გაბედულად მიიღოდა შემოქმედებით რისკზე. საკუთარი ვნებათაღელვისა და განწყობილებების გამოსახატავად იგი მუდამ ესწრაფოდა ორიგინალურ, სხვებისაგან გამოჩენულ ფორმას. ზოგჯერ მკითხველთან მიპქონდა როგორც შინაგანად სრულყოფილი, ასევე ექსპერიმენტული ნიშნებით აღბეჭდილი ლექსები. საფუძველი ორივე შემთხვევაში საკუთარი პოეტური ფორმის ძიებაა, ამიტომ ხელის მოცარვასაც და დადებით შედეგსაც ამ გზაზე მუდამ ახლავს განსაკუთრებული ინტერესი. ფაქტია, რომ მისი წიგნები ხელში აღებისას ყოველთვის იბადება რაიმე საყურადღებო მოლოდინის გრძნობა და ეს გრძნობა არ გვიტყუნდება ხოლმე.

ვახტანგ ჯავახაძის ახალ წიგნს „სამხრეთი“ თავიდან ბოლომდე გასდევს პოეტისათვის ნიშანდობლივი ძიების მომენტი, როგორც აზრის, ასევე ფორმის ასპექტში. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წიგნებისაგან განსხვავებით პოეტის ახალი წიგნი მეტი ინტენსივობით ესწრაფვის საკუთარი პოეტური აზროვნების დამკვიდრებას. ჩვენ ვამბობთ მეტი ინტენსივობით-თქო, იმიტომ, რომ ორიგინალურ ხელწერაზე ზრუნვა პოეტის ერთ-ერთ შემოქმედებით ამოცანად, გარკვეული დოზით, ამ წიგნშიც რჩება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კარგად მოფიქრებული სახე წიგნისა, მისი შინაგანი სტრუქტურა. წიგნის საერთო განწყობილება საოცრად მოლიანი. ლექსიდან ლექსში გადადის ის საერთო ნაკადი, მდინარეა პოე-

ტური აზრისა, რომელიც განსაზღვრავს ავტორის პოზიციას, მის დამოკიდებულებას თანამედროვე მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან. წიგნის საერთო განწყობილების გამოსახატავად შეიძლება რომელიმე ერთი ლექსის მოყვანა:

ატომისა და ნეილონის საუკუნეში
გზები გაიხსნა

უძნელესი და ურთულესი,
და მიკროსკოპით საძებარი ვახდა ნუგეში
ატომისა და ნეილონის საუკუნეში.
ატომისა და ნეილონის საუკუნეში
აღამიანი

შეუმჩნევლად
ვახდა უხეშო.

თანდათან კარგავს მოთმინების უნარს
იობი.

ძალიან ხშირად

ელაფება ტყუილი მართალს,
გულგრილად ცხოვრობს

უფრო მყაცრი კაცობრიობა:
მღებავი — ღებავს,
მხატვარი — ხატავს.

ვახტანგ ჯავახაძის ლექსების ახალ წიგნში თანამედროვეობის შეგრძნებაა ყველაზე ხელშესახები. ეს განცდა წიგნის წაითხვის შემდეგ საერთო შთაბეჭდილებად ჩნდება. ეს არის წიგნის უპირველესი ღირსებაც. როდესაც ჩვენი ინტერესების სამყარო მზად არის დღევანდელი დღის ვნებათაღელვის წიაღში ტრიალისათვის — ეს თავისთავად ნიშნავს ნიჭის სწორ მიმართებას.

შეიძლება არაფერი ისე არ ესაჭიროებოდეს დღეს ქართულ პოეტურ კულტურას, როგორც საუკუნის არსებითი ვნებათაღელვის შეგრძნება. ამიტომ, არის თუ არა პოეტური ფორმა

იმ დიდი ამოცანის შესატყვისი, რომელიც ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებითი გზის არჩევანია, ის მაინც რჩება საყურადღებო, მნიშვნელოვან მოვლენად. თანამედროვეობის ცნებას პოეზიის მისამართით მიიღე ესაჭიროება მეტი დახატვა. იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც ამ მაღალ ენებას გარეგნულ, ზედაპირულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებს ამოფარებენ ზოლზე. ასეთ დროს ღარიბდება არა მარტო პოეზია, სინამდვილად, არამედ თანამედროვეობის პოეტისი ზემოქმედების უნარიც. იგი უფერულდება და უბრალოვდება. პოეტური ალღოს დანიშნულებაა, პირველ რიგში, დღევანდლობის სახელის ქვეშ მოქცეული მოვლენების ურცხვ ფორმაში ახსებითი ნიშნებისა და თავისი განწყობილება მისით განსაზღვროს. ეს არ არის მარტივი ამოცანა. ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებითი ძიება სწორედ გზა არის თანამედროვეობის არსებითი ნიშნებისაკენ. ეს ერთგვარი ბძობლაა სულში მოკარულ ურიცხვ ვანცლასთან, რომელიც მის პოეტურ განწყობის განაპირობებს. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ვახტანგ ჯავახიძე არსებითიდან არაარსებობაზე გადაიტანს ხოლმე თავის ყურადღებას და მისი სტრიქონების ზემოქმედების წრე ამ დროს შესამჩნევად ვიწროვდება. როდესაც ვკითხულობთ ლექსს „ეს დღეც გათენდა“, თავისთავად შეუმჩნევლად გრძელდება ფიქრი ყოველ დიდ მოვლენაზე, რომელიც კაცობრიობის ენებათაღვლევას სხვა მიმართულებას აძლევს დღეს, ხოლო პოეტურ აზრს — ლამაზი ჩაფიქრების, ლამაზი სევდისა და ლამაზი აღფრთოვანების მიზეზს. გრძელდება ფიქრი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულების შედეგზე, არსზე, დამაფიქრებელ პარადოქსებზე. პოეტის მხრივ ამ ლექსში მოვლენების წილის ნამდვილი სიღრმეა აქტუელი, ადამიანთა სამყაროს შინაგანი სრულყოფის დაუსრულებელი პროცესი, დიდი სიმაღლეებისაკენ სწრაფვა და წვდომის სიხარული მაინც ვერ ანელებს ჩვენში წარმავლობის შესატყვის მარადიულ სევდას:

ეს დღეც გათენდა,
მთვარეს ფეხი დაადგა კაცმა...

აქ კი
ცოდნებით დამიძებულ დედამიწაზე
სამნახევარი მილიარდი კაცობრიობის
თისლწინ,
ეს უკვე
მერამდნე წელიწადია,
ნელა,
მზესავით
იძირება ოკეანეში
ათასხუთასი წლის ზომადღი —

ვენეცია.

ესე აღადგენს პოეტური ალღო შინაგან გა-

ნუკრელ კავშირს; ერთი შეხედვით მარტივად მოფიქრებულ ლექსში, ადამიანთა სასიცოცხლო პროცესების მომენტებს შორის.

მაგრამ როდესაც ვკითხულობთ ლექსს „სამოდკათხუმეთი ცხენით“, სწრაფად ღარიბდება თანამედროვეობის შეგრძნება ჩვენს თავში. ლექსის ფრაგმენტულ ბუნებასთან ჩვენი არაფერი გვაქვს სადაო. ფრაგმენტულია ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი ლექსიც, მაგრამ მისი შინაგანი სრულყოფა ჩვენში „გრძელდება“, რადგან ის ყოველგვარ პირობას შეიცავს ამ შემდგომი სრულყოფისათვის. რაც შეეხება ლექსს „სამოდკათხუმეთი ცხენით“, მასში გადმოცემულია პოეტური სულის მხოლოდ ზედაპირული შეხება სინამდვილესთან. ლექსის თემა იმდენად წვრილმანია, რომ იგი ვერასოდეს იქცევა ლექსის საგნად: მასში პოეტის შინაგანი დამოკიდებულება არაა ასახული. ეს ჩვეულებრივი, ყველასათვის ცნობილი, უმარტივესი რეალობაა, რომლის მხოლოდღა ფიგურალური თქმით პოეტებიზირება უშუალებელია.

სამოდკათხუმეთი ცხენით
მიველი ბეტონის სახლთან,
ლიფტმა

გავჯაქროლა
ზევით

ლიფტმა

მიგვიყვანა
სადაც,

ზარი

დაირეკა
ორგან

ორად

გადაიხსნა
სხენენ...

ქვევით გველოდება „ვოლგა“ —
სამოდკათხუმეთი ცხენი.

რა თქმა უნდა, ამავე თემის პოეზიის საგნად ქცევა შესაძლებელია, მაგრამ პირველ რიგში პოეტური სულის განწყობა მოვლენისადმი აქცევს ასეთ თემებს მხატვრული ღირებულება სინამდვილედ. ასეთი ლექსები გვგვდება ვახტანგ ჯავახიძის ლექსების წიგნში, მაგრამ კრებულს მთლიანობაში ღრმად გაგებელი თანამედროვეობის გრძნობა განსაზღვრავს და არა მსგავსი ლექსები. და თუ მათზე ყურადღებას ვამახვილებთ, ეს იმიტომ, რომ ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებითი გზა სერიოზული გზაა და მან ამ გზაზე უარი უნდა უთხრას მსგავს განწყობებს.

ვახტანგ ჯავახიძე უშუალოა პოეტური ფორ-

ჯანსუღ ლეონილია
„სამხრეთი“



მის მიმართ. სარეცენზიო წიგნში თითქმის არ მოიპოვება ლექსი, რომელშიც საღებავი ვან-ზრახ იყოს გამოქვებული, მაგრამ პოეტი არც თუ იშვიათად მერყეობს გაუბრალოებასა და კემპარიტი ფორმის გრძნობას შორის. თანამედროვეობის შეგრძნება იმდენად დიდ ყურადღებას იმსახურებს მისი პოეტური ბუნებისაგან, რომ ზოგჯერ ფორმა ეწირება სათქმელს: სათქმელი ატარს მხატვრული წონისაგან განთავისუფლებული მიპქვეს მკითხველამდე, და თუ ლექსის გავლენის სფერო საკმაოდ ვრცელია, ეს უპირველესად ლექსის მართალი აზრის დამსახურებაა და არა მისი ესთეტიკური ფუნქციისა:

ეს არის ომი,
სისხლისმღვრელი,
ხანგრძლივი ომი,
სასტიკი,
სამკვდრო-სასიცოცხლო,
დაუნდობელი,

ერთ მხარეს დგანან:
სერვანტესის დედა და დები,
ვან გოგის ძმა და საყაბის უმცროსი ბიჭი,
დეკაბრისტების ცოლები და პუშკინის
ძიძა,
არმსტრონგისა და გავარინის ამხანაგები...
მეორე მხარეს ერთსულვინად
ჩასაფრებულან...

ჭრისტეს მოწაფე, აბელის ძმა,
მეფისტოფელი.
ოქლამვილის ნათლიმამა, ჰამლეტის ბიძა,
პეროსტრატე და ნერონი და სალიერი და
ჯორდანო ბრუნოს ქალათი და ლორკას
ქალათი...

გრძელდება ომი,
სისხლისმღვრელი,
სასტიკი ომი.

მაგრამ ვახტანგ ჯავახიძის პოეზია მეტ წონასა და განსაზღვრულობას იძენს სწორედ ამ სათქმელისადმი ყურადღების გადატანით. თუ სრულყოფა ლექსისა მისთვის ჯერ კიდევ შემოქმედებითი პროცესია და არა შედეგი, ამაში არაფერია უარყოფითი. მხატვრული სრულყოფით აღბეჭდილი მისი არაერთი ლექსი ახსოვს მკითხველს, მაგრამ მათ არ ახლდა ის დიდი აზრობრივი დანიშნულება, რომლისკენაც სარეცენზიო კრებულში სწრაფაა შეიძინება. ვარდა ამისა, ვახტანგ ჯავახიძე მაინც შეუდის ზოგჯერ მისთვის ნიშანდობლივი ორიგინალური ხელწერის აზარტში. არაიშვიათად იყენებს ოგი ქვეტექსტს, როგორც საშუალებას არა მთავარი აზრის შესანიღბავად, არამედ სათქმელისადმი ესთეტიკური ფუნქციის მისანიჭებლად: ლექსები: „ბევრი რამ ხდება საოცარი ამ ქვეყანაზე“, „იღვანე ღმერთი და მამაკაცის ცრემლებს წონიდა“, „მე კარგად მახსოვს“.

„ვერ გაიტყუა სულმა სხელი“, „მე ჩიტის ბედს ყოველთვის წმურდა“, „მუსიკა მაინც არას მუსიკა“, „ძალიან ჰავდა მამამის ბავშვი“, „ვეებერთელა სახლებს იქით“, „ვაგზალში ერთ უცნობი დადის“ ამ ნიმუშებით არის აღბეჭდილი, განსაზღვრული. თანამედროვე პოეტისა და თანამედროვე ადამიანის სათქმელი არსით ერთია, განსხვავება გამოხატვის ფორმისა და ამიტომ ძირითადი ყურადღების ამ მომენტზე გადატანა ვახტანგ ჯავახიძის სიტყვის ელტურას ბევრ საგულესხმომ ღირსებას სძენს.

„სამხრეთი“ განწყობა მთლიანია, მაგრამ თემები, რომლებიც პოეტის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, საოცრად განსხვავდებიან თავიანთი არსით ერთმანეთისაგან. მთავარი თემა მაინც თანამედროვე ადამიანის სულიერი მდგომარეობაა. წიგნის ძირითადი ნაწილი ამ ზოგად პრობლემას უჭირავს, მაგრამ იგი ბუნებრივად იერთებს სხვადასხვა მიმართებით განსაზღვრულ თემებს.

ვახტანგ ჯავახიძე ლექსების წიგნში „სამხრეთი“ ცდილობს კიდევ უფრო გაათავისუფლოს სტრიქონი სამკულბოსაგან, დატუგოს მას მხოლოდ პოეტური ზემოქმედების პირველადი უნარი — გამოხატავდეს სტრიქონი ამაღლებულ, განსაკუთრებულ განწყობას სულისას. თავისუფალი სტრიქონის არჩევანმა პოეტი მაიყვანა არაერთ სასიამოვნო შედეგამდე, თუმცა ამ მომენტს თან გასდევს ხელისშეკრავის დამადასტურებელი არა ერთი ნაწარმოები. ეს ბუნებრივი შედეგია. პოეტის არჩევანი არ არის შემთხვევითი მოვლენა. თავისუფალი სტრიქონი ითვლება ყველსზე თანამედროვე პოეტური ფორმის გრძნობად. იგი ტრადიციულს წიალიდან გამოიმდინარე საოცრად კანონზომიერი ფაზაა. თითქმის მთელი წიგნი ვახტანგ ჯავახიძისა თავისუფალ სტრიქონისა დაფუნებულია.

არის სათქმელი, რომელსაც თავისუფალი სტრიქონი აუცილებელ ფორმად ესახება. მისი სხვაგვარად გამოხატვა თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ ზოგჯერ თავისუფალი სტრიქონი ხელოვნურ ფორმად იქცევა, რადგან დღესაც პოეტური სულის გაცხადება არცთუ იშვიათად ტრადიციულად გაგებული სტრიქონის შინაგან სტრუქტურას მოითხოვს ფორმად. შეიძლება ამ აზრის ნათელყოფა ყოველთვის უხსნელი დარჩეს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მშვენიერების განცდა აქვს დაკარგული თავისუფალი სტრიქონებით გადმოცემულ ამ ღრმა აზრს:

საღლაც
ახლოა ბედნიერება,
ისე ახლოა ბედნიერება,
რომ შეიძლება
ბედნიერებას

ღები წამოჭრან უბედურებმა,
სადღაც ახლოა უბედურება,
ისე ახლოა უბედურება,
რომ შეიძლება

უბედურებას
შებლით შესაკდნენ ბედნიერები.
სადღაც ბედნიერება,
სადღაც ბედნიერება,
სადღაც ბედნიერება...
ახლოა უბედურება...

ვახტანგ ჯავახიძის ამ ახალი კრებულის მთავარი ნიშანი მაინც პოეტური აზრის თავისთავადობაა. პოეტური აზრის პრიმატი, რომელიც წიგნში ესოდენ შესამჩნევია, ჩვენ დადებით, წინაგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩინა ვახტანგ ჯავახიძისათვის მხოლოდ იმ ვახარებით, რომ ამ ფაქტორს პოეტი წერას კულტურის ფაზიდან გაყავს და სერიოზული მასშტაბების წინაშე აყენებს. ლექსი „მხოლოდ პურისთვის დადის ყოველდღე ყურადღებას იქცევს არა თავისი მხატვრული ღონით, არამედ აზრობრივი დატვირთულობით. ლექსის თემა შეიძლება ახალი არ იყოს, არც აზრია განსაკუთრებული სიღრმის, მაგრამ პოეტის პოზიცია — არსებითი მოვლენებით დაინტერესება, ერთგვარი სიცხადება შემოქმედებითი გზისა. ლექსი „ნუ დავპირდებით ბავშვებს სამოთხეს“ — თავისი ბუნებით ძალიან ახლოს დგას დიდაქტიკურ ნაწარმოებთან. პოეტი პრინციპულად თმობს უნარს სიტყვის მხატვრული სამოსელის ფლორისას, რადგან მისთვის პრინციპად იქცა ყოველ არსში ახალი შინაარსი და აზრი აღმოაჩინოს, სხვა საკითხია, რამდენად ახალი თვისობრივი ფუნქცია გააჩნია მის მიერ მიგნებულ აზრს, მაგრამ ის ეტყობა, რომ პოეტის ყურადღება ნაქსიმალურად აქვთ არის მიმართული:

ნუ დავპირდებით ბავშვებს სამოთხეს,
ნუ დავპირდებით მიწიერ ცოდვებს,
ვინც დაეცემა,
თვითონ წაშოდგეს,
ყველას

თავისი იმედი ჰქონდეს.
წაიღოს თავის წილი იმედი,
და მიადწიოს აღსავლის კართან,
გზას ნუ გაიკვლევს
სხვა რაიმეთი,
თავისი წილი იმედის გარდა.
უკვე დაიწყო ზღუხული ცბეობი,
და უშორესი გზაა წყარომდე...
წავიდა...
ღრთობილად გაუღვი ხელი,
თუ დაეცემა,
თვითონ წაშოდგეს.

არც ვახტანგ ჯავახიძის ლექსების ამ წიგნის მიმართ აღსანიშნავი ერთი რამა: თავისთავადი პოეტური აზრის დამკვიდრება ავტორის მიზ-

ნად აქვს დასახული. ეს შემოქმედებითი სიმწიფის მუქუქებელია, რადგან განსხვავებული დამოკიდებულება ყოველი მოვლენისადმი, სულოერი განწყობის რაც შეიძლება ახალი ასპექტით გაცხადება აუცილებელია ორიგინალური ხმის დადგენისათვის, საკუთარი პოზიციის განსაზღვრისათვის. პოეტური ფორმის გრძობამ ამიტომაც გააღინაველა უყანა პლანზე ამ წიგნში. არ შეიძლება პოეტური ფორმის გრძობა არ შეერწყას ამ თავისთავად გზას თანდათან. რაც შეეხება წიგნს „სამხრეთი“, მისი მთლიანობა უნდა განისაზღვროს პოეტური აზრის თავისთავადობის მომენტით.

მაგრამ პოეტური ფორმის გრძობა ზოგჯერ დგას სასურველ სიმაღლეზე, და სწორედ ისეთი ნებისმიერი თემების მიმართ რომლებიც შედარებით განხვ დგანან თავიანთი შინაარსით, ვალატიონისადმი მიძღვნილი ლექსი გადმოსცემს დიდი პოეტის სულის უკმარისობის გრძობას, დიდ ენებათაღელვას, ყოველის წამლუკავ შინაგან ენერგიას, გადმოსცემს სიმაღლეების წყურვილს და სულიერ განწყობას, რომელიც გენიალური შემოქმედის მთავონებელი ბუნების თვისებაა:

არ დაუხვდაც
არასოდეს
სხვისთვის ზემოდან,
რომ იცინოდეს,
საჩუქებში ვერ ეტეოდა,
საკუთარ კოშკში გამომწყვდეულს
ჰგავდა ფეოდალს,
თუ არ ეძინა
კედლებს შორის ვერ ეტეოდა,
მაინც
ბოლომდე გაიტანა მძიმე ლელო და...
ისე სუნთქავდა
ტანსაცმელში. ვერ ეტეოდა,
ბოლოს,
როდესაც მარტო დარჩა თავის დემონთან,
ვეებერთელა
სამარეშიც
ვერ ეტეოდა.

რა თქმა უნდა, ამ ლექსს ვალატიონის ბუნების სრულად გაცხადების პრეტენზია არ აქვს, მაგრამ მინიშნება ამ ბუნებაზე ნათელი სტრიქონებით მიიღწევა.

ვახტანგ ჯავახიძის ლექსების წიგნი „სამხრეთი“ ამ ძირითადი ნიშნებით არის აღბეჭდილი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ღრუბლები, რომელიც კეშმარტ შემოქმედებით ძიებას ნიჭიერი პოეტის ხელში მოჰყოლია შედეგად. არ შეიძლება სადავო, საკამათო არ გავაჩინდეთ ავტორთან. იგი ამისათვისაც იძლევა საკმარის საფუძველს, და სწორედ ამიტომ, მთლიანობაში აღებული, ფასებული და ანგარიშგასაწევი წიგნია „სამხრეთი“.

გუგამ ბათიაშვილი

« რ ო მ ე ნ ა »

ჩვენ რატომღაც მიეჩვიეთ იმას, რომ პოეტის ყოველი წიგნი მის შემოქმედებით გამარჯვებულ, მისი შემოქმედებითი ხაზის შემდგომ გაგრძელებად (ეს გაგრძელებაც უთუოდ გამარჯვებით გვირგვინდება) მივიჩნით. ადამიანი ბეჭდავს თბუთმეტ, ზოგჯერ ოც წიგნსაც კი, და ჩვენ ეაცხადებით, რომ მან ახალ ზღვარს მიაღწია, ახალი ზღუდე დაიპყრო და ასე შემდეგ. რამდენი ზღვარი, ზღუდე არსებობს, რომ ადამიანი პოეტი გახდეს?

ჩვენ ძალიან იშვიათად ვლაპარაკობთ იმაზე, თუ სად უღალატა პოეტმა საკუთარ თავს, სად გადაუხვია იმ გზიდან, რომელზეც უნდა ევლო. ან კიდევ პირიქით — იქნებ სწორედ უკანასკნელ წიგნებში მიაგნო თავის თავს, იბოვა თავისი თემი.

აი, ახლახან მორის ფოცხიშვილმა ლექსებას ახალი წიგნი გამოსცა. ეს წიგნი უღარესად საინტერესო უნდა იყოს ლიტერატურული სამყაროსათვის. იგი ჩვენში ინტერესს ჰბადებს პოეტის ნიჭის ახალი გამოვლინებითა და ამჟვე დროს იმით, რომ ამ პატარა წიგნში ძალზე ბევრია სუსტი ლექსი. იმდენად ბევრი, რომ საჭიროა ვიკამათოთ პოეტთან. საჭიროა ვილაპარაკოთ წიგნის ავსა და კარგზე, ვფიქრობ, ეს გაცილებით საინტერესო და საჭიროა, ვიდრე ამ წიგნიდან ბევრი კარგი, შესანიშნავი სტრიქონის ამოწერა და პოეტის ქებათა ქება.

მორის ფოცხიშვილის, როგორც პოეტის, პოპულარობა დღითიდღე იზრდება საქართველოში. იგი უყვართ, მის ლექსებს კითხულობენ გატაცებით, სწავლობენ ზეპირად, უბის წიგნაკში იწერენ და, უფრო მეტიც — მღერაინ. პოეტისათვის ამაზე მეტი ჭილდო და აღიარება არც შეიძლება არსებობდეს. მე ეს პოპულარობა და პოეტისადმი ასეთი სიყვარული სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიმაჩნია, რად-

გან მორის ფოცხიშვილის პოეტურ აზროვნებაში სწორედ უკანასკნელ წლებში მოხდა უმნიშვნელოვანესი ძვრები. პოეტმა ძალიან ბევრი რამ გარდაქმნა თავის შემოქმედებით ყოფაში. გამოაღიანა თავისი ნიჭისა და შთაგონების სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის უცნობი შრეები. და აი, სწორედ ამ პროცესში კრიტიკა არაფერს ამბობს. დუმს სწორედ მაშინ, როცა უნდა შეესრულებინა თავისი ფუნქცია, ჩარეულიყო პოეტის შემოქმედებით ყოფაში და ეთამაშნა კატალიზატორის როლი პოეტის არსებაში ახალი პრობლემების მომწიფების საქმეში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მორის ფოცხიშვილმა საინტერესო წიგნი შესთავაზა მკითხველს. ეს არის პოეტისა და რწმენის ურთიერთკავშირის შესახებ დაწერილი წიგნი.

რწმენა შეგება ადამიანთა. უკანასკნელ ხანს კი ამ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები ძალზე იშვიათია. იქნებ ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ჩვენი ყოფის ეს ასპექტი თავისთავად იგულისხმება, რომ იგი უკამათოდ არსებობს და ღია კარზე დაკაჟუნება ბევრს უჩებრულად მიაჩნია?

ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რაც მორის ფოცხიშვილის ლექსების ახალი წიგნისადმი („რწმენა“) გამოიჩინა მკითხველმა. „რწმენამ“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მ. ფოცხიშვილი ჩვენი მკითხველის საყვარელი პოეტია.

მორის ფოცხიშვილი რწმენას აღიქვამს, როგორც ადამიანის ძლიერებისა და სიმძალის დასაყრდენს. იგი წერს რწმენის მოპოვების სიხარულზე. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ უქმარობის გრძნობას ბადებს ის, რომ პოეტი მძაფრად არ გვაგაგრძნობინებს რწმენის დაკარგვის დრამას, უფრო სწორედ,

თავს არიდებს მას. მთავარი და მნიშვნელოვანი კი მაინც ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში მ. ფოცხიშვილის განსჯა და ფიქრი შინაგანი სიმართლითაა აღბეჭდილი. პოეტი გვიმტყავნებს თავის საიდუმლოს, თავის აღსარებას ამბობს, როცა რწმენას მიმართავს: „შენა ხარ ჩემი სიყრმის მეგობრი, შენა ხარ ჩემი თავდავიწყება“-ო, წიგნში ამ ლექსს მოსდევს ლექსი „მიზანი“, რომელშიც გაცხადებულია პოეტის გულის ფიქრი.

„რწმენის“ ორი პირველი ლექსის თემატიკა უკვე თავისთავად განსაზღვრავს წიგნის პათოსს, მის სულისკვეთებას. ეს ლექსები რწმენასა და მიზანზეა დაწერილი. პოეტს აღელვებს სწორედ ის, რაც საჭიროა საზოგადოებრიობისათვის. რაც სადღეისოდ მტკივნეული და არსებითია. მაგრამ ამ ლექსებს აკლიათ თანამედროვე ადამიანის პოზიცია: აქ მხედველობაში გვაქვს ის პოზიცია, რომელიც პოეტმა გამოამტკიცა წიგნის სხვა ჩინებულ ლექსებში. („ლაზიერის გამბიტი“, „ხოკო“, „მეზალის მკრატელი“, „გამოთხოვება“, „კომუნისტების ბალადა“, „თევზები“, „მათემატიკური ბალადა“ და მრავალი სხვა). ის ფაქტი, რომ პოეტი ამ თემებზე წერს, უკვე განსაზღვრავს მისი ინტერესების სფეროს, გვიჩვენებს იმას, რომ პოეტი განწყობილია იფიქროს ადამიანის როლსა და დანიშნულებაზე, იფიქროს და წეროს იმაზე, რაც მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენთაგანისათვის.

ამავე დროს მორის ფოცხიშვილისათვის უცხო როდია ქართული პოეზიის ე. წ. ტრადიციული თემები. ერთ-ერთ ლექსში „დაბრუნება“ იგი სულ სხვა კუთხით წარმოგვიჩენს პატრიოტიზმის თემას. ლექსების ამ წიგნში ვერსად იპოვით ამომახილებს, რომლებიც რატომღაც მამულის სიყვარულს უნდა გამოხატავდნენ, წიგნში არის ერთი პატარა ლექსი „დაბრუნება“, ამ ლექსში ჩინებულად გამოიხატა პოეტისა და მამულის ურთიერთდამოკიდებულება. აქ არ არის აღწერილი სამშობლოს ბრწყინვალე პეიზაჟი, არც მისი ისტორიაა მოხსენიებული. ლექსში უბრალოდ გამომქვანებულია ფიქრები იმ ადამიანისა, რომელიც კარგა ხანია სამშობლოში არ ყოფილა. რაც უფრო მეტი განზოგადებული სახით წარმოვიდგენთ ამ ლექსს. უფრო ენოციური და შთამბეჭდავითაა.

მორის ფოცხიშვილის შემოქმედებაში თანდათან მთავრდება ისეთი ლექსები, რომლებშიც ზოგჯერ პარადოქსული, ალოგიკური, მაგრამ ცხოვრებისეული სურათებია წარმოსახული. ამ ლექსებში პოეტი მიმართავს მწარე ირონიის ხერხს და გვესაუბრება ნიღაბფარგბულ ადამიანებზე:

აი, ამ კაცმა რაღაცა იცის,
მწაოდ იცინის და არაფერს იმჩნევს,
უღარდელ ციყვივით
ნამკვებთან იცდის
და გრივალ-ქარში აგროვებს გირჩებს...
აი, ამ კაცმა რაღაცა იცის,
მაგრამ არავის არ ანდობს ფიქრებს.
იცინის მხოლოდ...
აი, ამ კაცმა
სულ არაფერი არ იცის იქნება...

მაგრამ ეს ირონია უმტკივნეულო როდია. აქ არის შინაგანი პროტესტი იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც უღარდელი ციყვივით იცლიან ნამკვებთან და გრივალ-ქარსაც კი საკუთარი სურვილისამებრ იყენებენ. შესაძლოა, ეს ძალზე შორეული ასოციაცია იყოს, მაგრამ მაინც გვეჩვენება, რომ ამ ლექსებში ერთგვარი გამოძახილი ჰყოფა იმ თემამ, რომელიც მორის ფოცხიშვილის ადრინდელ წიგნში მესულ ლექსში „კაცი, რომელიც ფიქრობს“ იყო მიზანშეწონილი:

მე კი ვღვაჯარ და ვუცდი
რას იტყვის
კაცი, რომელიც ფიქრობს.

პოეტი ახლაც განაგრძობს იმ თემების დამუშავებას, რომელიც ადრევე აწუხებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თემა შემთხვევით არ მოხვედრილა მისი ინტერესების რკალში. მორის ფოცხიშვილი მართლ ადამიანთა სათნოებაზე, მათს კეთილ საქმეებზე კი არ ფიქრობს, არამედ მონვენებით სიბრძნისა და სიკეთეზეც. ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში ამბობს: „ღღეს ანუ ვხედავ ყველაფერს მე და ხვალ იქნებ სულ სხვა ლექსები ვწერო“, ჩვენ იმითმ გაიხსენეთ ეს სტრიქონები, რომ, ვფიქრობთ. სწორედ წინა წიგნში დაიწყო და ამ წიგნში ნებულბობს გამოკვეთილ სახეს „ხვალ დასაწერი ლექსები“.

ვფიქრობთ, მორის ფოცხიშვილის პოეტური აზროვნება სწორედ ამ მიმართულებით მიდის და სწორედ ამ ხასიათის — ცხოვრების მჭკრეტელობითი აღწერილობის ხაზით უნდა ჰპოვოს მისმა პოეზიამ შემდეგი სრულყოფა. სრულყოფა, რადგან წიგნში ამ ხასიათის სუსტი ლექსებიცაა. ამ ლექსებს აკლიათ ნათელი გააზრება და პოეტური ოსტატობა. შემოხსენებულ კარგ ლექსებს შორის გენამტყებათ ასეთი სტრიქონები:

გურამ ბათიაშვილი
„რწმენა“



წილია გამოამტკრებს კვერცხს, როგორც დილეგს, და ფილტვებს აივებს ასით. —
 აისის
 კვალდაკვალ
 ივლის და
 ირბენს
 თავისუფლება და ხალისი.

გარდა იმისა, რომ „აისი“ და „ხალისი“ ვერაფერი რითმებია, პოეტი იმეორებს სხვა ლექსში მინაგნებსაც:

ზუცა საკლასო დაფაა ძველი,
 მთავარე — თეთრი ცარცია მელა.

მწუხროში შუქს ეძებს იმედის ფესვი,
 როგორც იმედის ნამცეცს თბითინა,
 ფიქრია ჩემი ღუმლის კვერცხი,
 მე ვეტყვ ამ კვერცხს და
 მზისკენ მივფრინავ.

ამ სტრიქონებით გამოწვეული უქმარობის გრძნობა, მით უმეტეს თვალსაჩინოა, როცა ამით გვერდით ვკითხულობთ ჩინებულ ლექსებს. აქ ციტატებს არ მოვიშველებით, რადგან გვეუბრებიართ მათს სიჭარბეს. ვინც ამ წიგნს გადამოსის, უთუოდ დამეთანხმება, რომ კარგი ლექსების შერჩევა არც ისე ძნელია, მაგრამ ახლა ჩვენ პოეტის კარგა და ცუდ ლექსებზე როდი გვაქვს ლაპარაკი.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ სად უფრო კარგად იკვეთება მორის ფოცხიშვილის პოეტური ხმა — იქ, სადაც იგი წერს წმინდა პოეტურ თემებზე, როცა ცდილობს დაგვანახოს თავისი პირადული, თუ იქ, სადაც ავირდება აღამიანთა ყოფას და ცდილობს შექმნას ფილოსოფიურად გააზრებული ლექსები. ვფიქრობთ, მორის ფოცხიშვილი მამინ გამოდის სიტყვასთან ბრძოლაში გამარჯვებული, როცა ცხოვრების მშველი მკვრეტელის პოზიცია უჩირავს და ზეაწეული აღმავრენით კი არ უმღერას ყოფას, არამედ დაღინჯებული განმსჯელის თვლით. გვიამბობს ცხოვრების ავსა და კარგზე, გვესაუბრება სიკეთესა და ბოროტებაზე.

ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიშველიოთ სტრიქონები მორის ფოცხიშვილის ლექსებიდან, მაგრამ ჭერ გვინდა გავიხსენოთ პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების ერთი მომენტი.

მორის ფოცხიშვილი, გარდა იმისა, რომ პოეტია, გატაცებული ხატავს კიდევ. ხოლო მხატვრობა შემოქმედების ის დარგია, რომე-

ლიც შემოქმედებითი ექსტაზის გარდა დაძვრებას რბელს, დინჯ შრომას მოითხოვს. აქ საჭიროა დღეებისა და თვეების განმავლობაში ასწონდისწონო, განსკურთო დასახატი ნატურის თვისებები: ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ მორის ფოცხიშვილმა — პოეტმა ბევრი რამ ისწავლა მორის ფოცხიშვილი-მხატურისაგან. უწინარეს ყოვლისა — კი ცხოვრების დიდი ქვერტა. იგი ცდილობს ყოფას უფუროს ისე, როგორც შენელებულად ნაჩვენებ კინოფირს და მის არსებაში შეამჩნიოს არა საერთო, ზოგადი, არამედ კონკრეტული. მხატვრობიდან მან არ წამოიღო პეიზაჟის ხატვის საიდუმლოება. მან წამოიღო ის, რაც მთავარია — არსი. მხატვრულად განსაზოვადებული არსი ცხოვრებისა, მისთვის პოეზიაა მთავარი, იგი მხატვრობასაც პოეტის თვლით შესცქერის და ცდილობს მხატვრობიდან პოეზიაში მიიტანოს რაღაც, გახადოს იგი პოეზიის საკუთრება, და არა პიროქით.

ამ მოსაზრების წამოყენების უფლებას გვაძლევს სწორედ ის, რომ მორის ფოცხიშვილის ორ უქანასწულ წიგნში სწორედ ამ ბუნების პოეზია ვითარდება, პოეტი ამ მიმართულებით მდღის უმთავრესად და საკმაოდ კარგ ლექსებსაც სთავაზობს მკითხველს.

შემონახუნებ ლექსებთან შედარებით ნეტო სიმძლავრე. ცხოვრებისეული მომენტების განზოვადება შკაფიოდ იგრძნობა პოეტის სტრიქონებში:

სიცოცხლე უფრო მსაფრდება, სანჩო!
 დღემდე ბრძენს ახლა რა გემართება. სანჩო!
 ვირი ამტანობით აღარ ფასდება, სანჩო,
 აღამიანი კი პირდაპირობით სანჩო!
 („გამოთხოვება“)

ხეები ჩნდებიან მიწაზე ყვებით,
 მღეროან ესტრადაზე ახალ სიმღერებს.
 ძეღ კასრში ჭდება ვიდაც დებილი
 და ბრძენ დიოგენს ანასიერებს.
 („კომედიანტების ბალადა“)

ნუთუ იმდენად ტკბილია სული,
 ნუთუ იმდენად კმაყოფილია
 თავის ცხოვრებით
 ეს ნავეის ხოჭო.

გაიგებს თუ არა ჩემი ფეხის ხმა.
 თავს არ იზოვავს და ისე გარბის
 სიბინძურისკენ და სიმყარალისკენ,
 როგორმე სიკვდილს რომ ვაღაურჩეს
 და არსებობა გაიხანგრძლივოს.
 ნუთუ იმდენად ტკბილია სული?

(„ხოჭო“)

ამ სტრიქონებში გამოხატული პოეტის უკანასკნელი წლების მისწრაფებები — ღრმად ჩაუკვირდეს ყოფას, ფიქრთანად შეხედოს მას, და გულწრფელად თქვას ის, რაც აწუხებს. აქ შესაძლოა უცებ მოგვეჩვენოს კიდევ, რომ მორის ფოცხიშვილს, როგორც პოეტს, აინტერესებს ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური მხარეები, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი მაინც ის არის, რომ რაზეც არ უნდა წერდეს მორის ფოცხიშვილი, რა პრობლემებსაც არ უნდა ხსნიდეს, ყოველთვის იგრძნობა პოეტის კეთილი თვალი და გული. მისი პოეტური მუზა ძალიან ჰგავს იმ ნაზ ყვავილს, რომლის შესახებაც თვითონვე წერს („ეგზომ კეთილი, აღერსიანი, ამ თოვლიან გზებს როგორ შემორჩი, ნაზ ყვავილო?“, სი-

კეთე პოეტის მთავარი თემაა. უფრო ზუსტად ამოსავალი წერტილი საგნის აღწერისას თუ მოვლენის წარმოსახვისას. იგი ამ განწყობილებით წერს ცხოვრების მტირალა თოჯინებსა თუ ყოველს გამქარაწყლებელ და დამამევიდრებელ დროზეც.

თავისთავად ის ფაქტი, რომ მორის ფოცხიშვილის წიგნში შესულია სრულიად ახლებური ლექსები, ძალიან ბევრს ნიშნავს. პოეტის შემოქმედება ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო სახის მიღებისაგან, იქნებ არც იყოს ესოდენ საჭირო ეს საბოლოო სახე, პოეზიისათვის ძიება და გზაა შემოქმედებითი სიცოცხლის მთავარი ნიშანი. იგი გვიჩვენებს, რომ პოეტს ჯერ კიდევ ღიღი გზა აქვს წინ.





სოსო სიგუა

«ქ ა ხ ი ლ ი»

(რძეო ამაშუკელი, ლემსაბი, თბილისი, 1970 წ.).

უქანსკენელი წლების ქართულ პოეზიაში თანდათანობით პოპულარული ხდება ლექსის ის ფორმა, რომლის სტრუქტურა განმარცხვლია ამ ენარის სპეციფიკური ნიშნებისაგან (იგულისხმება ვერლობრი — თავისუფალი ლექსი), რითაც ჩვენს სინამდვილეშიც ხორციელდება ახლებური გაახრებებით აღდგენა სინკრეტული ხასიათის პოეზიისა.

რეზო ამაშუკელის ლექსები არაა ასეთი მკვეთრი ტენდენციის მატარებელი. ვერსიფიკაციის თვალსაზრისით პოეტი რაიმე სიახლესა და ორიგინალურს არ ვეთავაზობს, მაგრამ მის მხატვრულ სტილს გააჩნია ისეთი თავისებურებანი, რომელთა მეოხეობით შესაძლებელია ლიტერატურული შტამისაგან თავის დაღწევა და პოეტური სიტყვის მანამდე უცნობი ინტონაციით აქდერება, საკუთარი ნაგრძნობისა და განცდილის ემოციური ფორმით ჩამოყალიბება.

რ. ამაშუკელის ლექსებისათვის ნიშნულია სათქმელის მოქცევა მედიტაციურ ფორმაში, ლირიული მონოლოგის სახით შექმნა განწყობილებისა და ამ მონოლოგისათვის ინტელექტუალური გაახრების მიჩეება. ნიშნულია თავის შეიძლება მოვიტანოთ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი: „...მთელი ზამთარი ისე გავიდა“, სადაც პოეტმა ლირიკული დადალით გაგვანდო გარდასული ზამთრის დღეების მელანქოლია, როცა მოიხსნა ნიღაბი და საკუთარი სული მღელვარება სიტყვაში გააცხადა.

პოეტის ლექსების ემოციური მხარე შექმნილია უფრო ცალკეული მხატვრული სახეების ძლიერი დატირითვის შედეგად, ვიდრე სახეობრივი სისტემის ლოგოკური კავშირით. მასთვის მომეტებულად ფასეულია ე. წ. ორნამენტული სტილის მძაფრი ფერადობით აღსავსე

ფრაზა, რომელშიც კონდენსირდება უმთარესი განცდა და ლირიზმის ცენტრიც აშკარად აქ გადმოღის:

ჩემო პატარა კლეოპატრა,
ამ მრუმე ღამეს,
ისევ აყმუვლდა ძე მგელივით
ხსენება შენი.

(...ჩემო პატარა...)

მოზოჩილდენდნ ლანდები შორი
აწკრიალებულ ბროლით და ღვინით:
— ქალაქში დადის ღამაში კორი
თმაშეღებელი ცეცხლისფერ ინი.

(...მთელი ზამთარი...)

პოეტი აშკარად ერიდება გაცვეთილი, ლიტერატურაში ოდითგანვე დაკანონებული მანერით მხატვრულ სახეთა ჩამოყალიბებას, ამიტომაც იშვიათია მის კრებულში მარტივი, გაიოლებული, საუკუნეთა მანძილზე გაცვეთილი ფრაზა. მისი ლექსები აქვლანებენ ნათესაობას მოდერნისტული სკოლების მიერ მოტანილი მხატვრული სახის აგების ტექნიკისადმი, თუმცა ეს მომენტი აქ არაა შესრულებული მათთვის ჩვეული მელოდოური სრულყოფითა და ინტონაციური სიწმინდით:

და მზის მამალი სამყაროში
წითლად ყოიდა...
და ცოდვით სავსე ავგაროზი
მკეოდზე მტკიოდა...

(...ეს იყო წინათ...),

იაგუნდებში მთელმარ თითებით
ქოთნებში ახალ ყვეილებს დაჩგავით.
(„ღამშეიდობება“).

თვალ-მარგალიტი
დახლზე დაყრილი
ხან-ალ-ხალილის ბაზრის ყაყანი
მოგონებაში ჩამრჩა გათხრილი,
როგორც თურქული იატაკანი.

(„ალექსანდრია“).

მხატვრულ სახეთა გადახალისების ეს პროცესი ქართული პოეზიისათვის საერთო მოვლენადაა ქვეული. მაგრამ რ. ამაშუველს მასში გამოარჩევს ესთეტიკობამდე მისული ფაქიზი გრძობა ფრაზისა, ზუსტი მხატვრული ტაქტი და კარგი გემოვნება.

რეზო ამაშუველის ლირიკაში არ დომინირებს მელოდის პრინციპი. მისი ლექსი არაა ნარნარა და მუსიკალურად გამჭვირვალე, მაგრამ ყურდნობა მკვეთრად აქცენტირებულ, გამოკვეთილ სალექსო რიტმს, რომელიც ინარჩუნებს პოეტისთვის შესაძლებლობას მიმავალი რაფინირებისა. ამ ფაქტის რეალური გამოვლენა თავისუფალი ლირიკული სუნთქვა, რომელიც არ ქუცმაცდება სტრიქონებსა და სტროფებში და ერთი მთლიანი, უწყვეტი განწყობილების წარმომთქმელ ფაქტორად ყალიბდება („ძახილი“, „ალექსანდრია“, „ბაზილიკა“, „...ეს იყო წინათ...“). ამის საფუძველზე წარმოიშობა ლექსის სიტუაციური ლირიზმი, რომელიც, ამოგვის სახით, ხშირად ერთ პოეტურ თქმაში შენივთდება. ამიტომაც მისი მინორული ლექსებიც უფრო თრთიან და ცახცახებენ, ვიდრე აბრეშუმისღარ სამაო შიხილს გამოაცემენ („ბაზილიკა“, „მარტობა“, „წერილი ბაიასადმი“).

რ. ამაშუველის ლირიკაში შეინიშნება ორი ემოციური ნაკადი: წმინდა ლირიკული (მაგ. „სლავა“) და დეკლამაციური („პოეტს და ვეკაკას“) ელერადობისა. ამგვარი გამოიყენით ჩვენ არ ვცდილობთ ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს რომელიმე მათგანი უფრო მომგებია და ესთეტიკურად ფასეული იყოს (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლექსის ინტონაციური გასაღები, თორემ ხარისხის განსაზღვრისათვის სტილური დაყოფა კრიტერიუმის ძიების მართლოდენ წინარე პერიოდია). მაგრამ ზოგჯერ ორივე ინტონაციური საწყისი გავრთიანდება და რთული ტონალობის ნაწარმოები წარმოიშობა („ძახილი“), რაც განწყობილებათა ცვლებადობის რიტმული გამომვლენებაა, ვახშიანება მხატვრული ქმნილების ემოციურ-ლოგიკური წყობისა.

განწყობილებისა და რიტმული ელერადობის ნაირგვარი ვარიაციები სრულფასოვნად გამოჩნდა სხვადასხვა თემატური შინაარსის შემცველ ლექსებში, რამდენადაც ყოველი თემა მატარებელია სპეციფიკურ არსისა და შესაბამისად მათი პოეტური დღენაცია განსხვავებული განწყობის დამტევი.

კრებულში თემატური სიხლის გრძობას

წვევს ერთი ჯგუფის, თუ შეიძლება ითქვას, „ალექსანდრიული ციკლის“ ლექსები, რომელიც პოეტს ევკიბტში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების კარნახით დაუწერია.

ლექსების ეს რკალი არაა ტრადიციულად შესრულებული, როგორც შეიძლება ბევრ ტურისტს მოსვლოდა და მის შემოქმედებაში აღნიშნულ თემატიკას ზედპირულობისა და ფაქტის ფიქსირების მნიშვნელობადა შერჩენოდა. ამ ლექსებშიც შეიმჩნევა ეგზოტიკური გატაცების მამბილელი სახეები („და ჰქძეს კერტებს გიკოცინა ჰრელი გეულები“, „ელ ტახირი“, „პოეტლ-პოლტონი“, „მიიზლანება უდაბნოში მწვანე ნილოსი“, ხეფრენი და ავგპ, ხეფრენი ნილოსისი“). მაგრამ ეს მომენტი არ ქმნის ნამდვილ პათოსს. ძირითადი არის პოეტის მიერ პატრიოტულად განცდილი წარსულის დღეა სინამდვილის კოშმარი: დიდის თანამედროვე ქართველი პირამიდებს შორის და ეტებს იმ აღმართა ძვლებს, რომლებიც მოსწყვიტეს დედასაქართველოს, მამულქებად აქციეს და უცხო ხალხებისათვის სისხლი დაანთხვინეს, ხოლო მათ გასახარებლად ერთი ტვიფარი ან მოკლე წარწერა არსდა შეინახეს. მცირე ხალხის უდაბნოებში გადნეული ქართული სულის მოსაძებნად და მოსანახად მოსულა აქ, პირამიდების ჩრდილში, ქართველი პოეტი. მაგრამ ყოველივე უმოწყალოდ გადაშლილია და გადარეცხილი. ქეშმარიტების ეს გულსიმოძველი შეშეშება წამოაძახებს მწარე სიმატლეს პოეტს:

საით გამქარა
თქვენი ძალა,
თქვენი დიდება,
ნიჭი და ვნება
სხვის მიწაზე უხვად ნახარჯი?
და მახსენდება საქართველო
ასე უღმერთოდ,
ასე წვეთ-წვეთად
დაყრდული მამულქებად...
ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ,
რადგან თავი
იმთავითვე წაგებული გაქვს...
(„მამულქების სასაფლაო“).

რ. ამაშუველი ნაღვლიანად გახელილი თვალებით გაკყურებს ამ „სისხლისგერ ზამბახებსა“ და „ციხურ მეჩეთებს“ და ემწუხრება, რომ ქართული სისხლით მორწყული მიწა არ ინახავს „შოიით მოსული“ უცხოელების ხსოვნას. მაგრამ სწამს პოეტური გუმანით:

ისკანდრია!...
ისკანდრია!...

სოსო სიგუა
„ძახილი“

დღეს შენი მტერი
ჩემი მტერია,
თუ მტერი ბევრჯერ ვერ მოგერიო,
იმ სისხლში ჩემი სისხლიც ერია!

კაიროს მიწასთან მიახლოებისას პოეტის აღ-
ლომ იგრძნო, რომ რაღაც შეუცნობელისა და
ბუნდოვანის წინაშე იდგა. ამიტომაც მიმარ-
თავს მხურვალე გულისძვრებით უფროს თანა-
მოკალმეს ი. აბაშიძეს, რომელმაც მთელის სიმ-
ძავრით გამოხატა შორს გადახვეწილი პატრი-
ოტის სულიერი ვეება:

იქ,
კაიროში,
ფეხზე იდგა; სამი ქართულ
და
მშობელ მიწას ახსენებდა
შენი სახელით.

(„იქ, კაიროში...“).

პატრიოტული შემართება თან ახლავს ისტო-
რიულ თემატიკაზე დაწერილ ლექსებს („ერეკ-
ლესი ოთახში“), ქმნის მთავარ პათოსს მიძღ-
ვნილი შინაარსის ნაწარმოებებში („წერილი“,
„პოეტს და ვეაკაცს“) და ინტიმური რკალის
ლორიკისაც ასეთივე მტკიცე გრძნობებით
მსჯელობავს („წერილი ბაიასადში“... „დამშვიდო-
ბება“), რომელშიც ჩანს პოეტი — პიროვნება
თავისი წამიერი თუ მარადეამული ვნებითა და
გატაცებებით.

ლექსი „მთელი ზამთარი“ გამოირჩევა მხატვ-
რულ სახეთა რთულ სტრუქტურული წყობით,
რომელშიც მონოლოგის საშუალებით გახსნი-
ლია პოეტის მღელვარე შინაგანი სამყარო.
მასში ვერს ერთიანი, ნაწარმოების აზრობრი-
ვად შემკრავი ძაფის პოვნა. აქ პოეტი ასოცი-
აციურ ხერხით ქმნის კომპოზიციურ ჩარჩო-
ს, რომელიც, თავის მხრივ, ხსნის ინტელექტუალუ-
რი არსების მრავალწინაგოვან სულიერ სფე-
როს.

ამაღლეებლად და კემშარიტი ლირიკული სი-
ფრთხილით არის გამოხატული დედამშვიდური
სიყვარული ლექსში „ეს იყო წინათ“. პოეტს
შეგნებულად აქვს არჩეული ადრესატისადმი
მიმართვის უშუალო ფორმა, სადაც მოხსნილია
საკითხი წერის ასოციაციური მანერისა და
რთული მხატვრული აზროვნებისა. ამ შემთხვე-
ვაში თვით ლირიკული მიმართვის ობიექტი ---
დედა — აძლედა პოეტს ბიძგს, ასე მოქცეუ-
ლიყო, ვინაიდან უსაყვარლესი ადამიანისადმი
მხოლოდ პირდაპირი და გულწრფელი მიმარ-
თებით წარმოშობდა მხატვრულ სიმართლეს.
მინორული განწყობილება, ჩემი მეღალტო-
ლია და მარტოობის შეგრძნება ასაზრდოვებს
ლექსებს „ზღვა“, „მარტოობა“, „დამშვიდობე-
ბა“, „ბაზილიკა“. სხვადასხვა საგანზე დაწერი-
ლი ეს ნაწარმოებები არ განსხვავდებიან ერთ-
მანეთისაგან ინტონაციური მრავალსახეობით.

მათში ელავს ლირიკული განცდის სიციხეცოცხლე
და სინატივე:

და მე მიყვარდით ხუთი წლის მერეც
იმავე განცდით და აღტაცებით. („ზღვა“).

იმ ღამეს თოვდა, თოვდა და თოვდა
და შენ გეძინა სიცივით დაღლილს,
გარშემო ცივი სინათლე კრთოდა
და ივსებოდა სიხუმიით სასლ.
(„მარტოობა“).

ნეტა რა ჰქვია ამ ბაზილიკას —
დალაქულს ანწლის მწიფე მარცვლებით?
ვაღიხარა მთებზე ირიზად
დაისი მყუდრო ფერისცვალებით.
(„ბაზილიკა“).

ლექსში „დამშვიდობება“ საუცხოო ლირიკუ-
ლი განწყობის შემომატანია მიმართვის ფორმა
„თქვენ“:

ძველ დღეებს ნულარ გაუტრისდებით,
რადგან წარსული თქვენ ისე არ გგავთ,
იაგუნდებში მთელეშარ თითებში
ქოთნებში ახალ ყვავილებს დარგავთ.

ეს ოთხსტრიქონიანი ლექსი გაშლილია ჯვა-
რდინი რითმის პრინციპით, რომელშიც მონა-
ცვლობენ პირველივე ტაქეებიდან მოკიდებუ-
ლი სარიტმი ერთეულები ბოლომდე, რაც ნა-
წარმოებს უნარჩუნებს მთლიან ინტონაციურ
განწყობილებას.

დატეხილი მეტრითა და რიტმული მრავალ-
ფეროვნებითაა სავსე ლექსი „თოვს“:

შენს თმებს
ველური ვარდისა და
მთის თაფლის სურნელი აქვს.
ცოტა შეიფერთხე დარდისაგან,
მაგაშიც ეშხი ურევია.

საერთოდ, რ. აბაშუკელის ინტიმური შინა-
არსის ლექსებს ახასიათებს ფაქიზი სიტყვიერი
ფაქტურა, ლირიკული სინაზე და რიტმული სი-
მსუბუქე.

არც ერთ მხატვრული ნაწარმოები არ შეიძ-
ლება აბსოლუტურად დაზღვეული იყოს ლაფ-
სუნებისაგან. ამ მხრივ, ცხადია, არც რ. აბა-
შუკელის ეს კრებულია გამონაკლისი. მასში
შეიძლება წაეაწყდეთ არათანაბარი პოეტური
ძალით დაწერილ ადგილებს, ზოგჯერ ბუნდო-
ვან თუ ზედმეტი ემპირილიზმით აღბეჭდილ
სტრიქონებს („წითელ კრამიტზე ისხდნენ მტრე-
დები გალუღუნებულ ლურჯ ჩიჩახებდალ“, „და
სტრიქონს, როგორც დასაკლავ მოხვედრს, ისევე
მოუფერებს კისერს ბლაკილით“). მაგრამ პოეტი
საზოგადოდ უფრო მკაცრი ესთეტიკის შობაქ-
დილებას ტოვებს, რომელიც თანაბარი გულის-
ყურით ცდილობს ყოველი სტრიქონის გარან-
დავზე.



საქართველოს
მწიგნობართა
კავშირი

ერთადერთი ლექსი, რომელიც ამ საერთო კალაპოტიდან ამოვარდნილია და სუსტ ნაწარმობად ჩაითვლება, არის „იყალბოს მუხლზე დავყარდი“, რის მიზეზიც უნდა იყოს პოეტის ცდა ხალხური ლექსის ინტონაციასთან მიახლოვება. ვინაიდან მისი ლექსის ფორმა არ არის დაყრდნობილი ხალხური პოეზიის ძირებზე, უფრო რთული და ინტელექტუალური ბუნებისაა, ვიდრე გამკვირვალე და მელოდიური, ამიტომაც ნახავი ესთეტიკურად სრულყოფილი ვერ აღმოჩნდა:

კეტარს ლაწეს ცრემლი დავორდა,
ნეკრეს — ღიმილის დარია,
უგამკვირვალეს აკორდად
ქარმა დრუბელი არია.

გამოჩნდა თეთრი ქალაი —
ორწევა ალვის ტანია,
მითხრა სალაში მწყაზარი,
შერით აღივსო სხვანია.

შინაარსობრივადაც პოეტს ეგზოტიკის ტყვეობაში მოექცა.

რეზო ამაშუცელის წინამდებარე კრებულში შესულია ლირიკული პოემა „ძახილი“, რომელსაც მიენჭა საქართველოს ლენინური კომპარტიის პრემია. ნაწარმოები დაწერილია ურათმო და დატეხილი 14 მარცვლოვანი მეტრით.

„ძახილი“ ლირიკული პოემის ენარს მიეკუთვნება ამ ცნების თანამედროვე ლიტერატურული გაგებით. მას არ გააჩნია ფაბულური სიუჟეტი, თუმცა რაღაც გამაერთიანებელი კომპონენტის ვარჯე იგი იქნებოდა გრძელი, მოსაწყენი ლექსი. ამიტომაც ასეთ კონკრეტულ ვითარებაში არ კმარა ლირიკული ვაწყობის თუნდაც მალალოკურტი კრისტალაზება. პოემა მიჩნეულია ეპიკის ენარად და თვით უაღრესი ლირიკული ელერადობის დროსაც მას შერჩენილი აქვს სახეცვლილი ფორმა, რაც გულისხმობს ფაბულის, როგორც თავისთავადი კომპონენტის კვდომას. მაგრამ მის გარდაქმვას კომპოზიციურ ჩარჩოდ, რომელიც ზღუდავს პოეტის თავისუფლებას და გარკვეულ უალოში მოაქცევს მას. ამ დროს სიუჟეტი არის თემის ასოციაციური გაშლა, რითაც მოიხსნება ფაბულის აუცილებელი საჭიროება. თემა თავისთავებზე მოიცავს სიუჟეტს, ამდენად მათი ლიტერატურული გაგება იდენტურობამდეა დასული.

რ. ამაშუცელის პოემაში სიუჟეტი ვითარდება თვით ავტორის ცხოვრების მაგალითზე, რო-

მელიც აყვანილია ზოგადის დონემდე. ისე რომ ავტორის „მე“ მოიცავს არა მარტო მის პიროვნებას, არამედ ავტუცველებს იმ თემის კომპაქვირების ტიპს, რომელმაც ქვეყნიერებას მთორე მსოფლიო ომის დროს შეხება და გულით ატარა საპოთა ხალხის კრილობანი.

ამ კომპოზიციურ ჩარჩოშია მოქცეული პოემის მდინარება. მასში წამიერად ანათებენ ფრაგმენტები სამამულო ომის დღეებიდან, ხალაე ინტიმური და პატრიოტული მოტივები მონაცვლოებენ.

პოემა ოთხ ნაწილად იყოფა. პირველი და მეოთხე ნაწილები წარმოადგენენ ერთგვარ პროლოგ-ეპილოგს. მათში ისახება და გადმოიცემა ავტორის კონცეფცია, ხოლო უმთავრესი ნაწილები ემსახურება წარმოჩენილი იდეის მხატვრულ მოტივირებას.

შესანიშნავადაა პოეტის მიერ მიგნებული ადამიანის არსებაში გრძნობათა გავლიების მომენტი:

მოულოდნელად
შევაჩნე ქალის ნაკვთები,
გაჩერდა წვიმა
და ვიგრძენი უცნობი მტრობა...
მერე დაიწყო სიყვარული,
როგორც კორიდა,
და ხარხარებდა ჩემს თვალებში
წითელი ფერი...

ანალოგიური ექსპრესიული მანერითაა დახატული წარსულის დღეთა ფრაგმენტები:

და ახორბილი კალოები
მოქრილ თავებს,
აღმოსავლური აღმასების
ბოროტი ელვა...
და მე მესმოდა
საქართველოს შორი გოდება —
გადაჩხილი ვენახების
მარადი სევდა..

პოეტის მიერ აქცენტი გადატანილია კომპაქვირების არსებაში პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მისი ხასიათის ფორმირებაზე, ხოლო სათაური ელერს როგორც გადაძახება დღევანდელი დღის ადამიანის მომავალი თაობების კომპივირებისადმი.

ეს მოქალაქეობრივი პათოსი, თანამედროვეობის მძაფრი ალლო, თანამედროვე ადამიანთა ენებების და განცდების მაღალი ხელოვნებით გამოხატვა ლექსების 33 კრებულს ანიჭებს მომხიბვლოვან და განსაზღვრავს მის ქვემარტ მხატვრულ ღირსებებს.



რეპუ სირაპი

„რას ერთხელ ცხოვლად სულ დაეჩნდების“...

ეს წერილი დაიწერა არა იმდენად სპეციალურ-რი ლიტერატურული განხილვის მიზნით, რამდენ-დაც იმ მოქალაქეობრივი მოვალეობის საპასუხოდ, რომ საერთო საზოგადოებრივი კმაყოფილება გამოითქვას, როცა ჩვენს ბავშვებს მა-ღალი ლიტერატურა ექმნებათ.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორია ითვლებოდეს მხოლოდ „საბავშვო ლიტერატურად“ ის, რაც ქვეშარბიტი და მაღალი ლიტერატურაა, თუნდაც სწორედ ბავშვთა მხატვრულ სამყაროს წარმოგვიჩენდეს. თუ ეს საკითხი საკამათო იქნება, ჩვენ უარყოფითი თვალსაზრისის მომხრეთა შორის ვირჩევდით ყოფნას. ე. ი. ვთვლით, რომ არსებობა ერთი საზომი ქვეშარბიტი ლიტერატურისა და მეორე ლიტერატურა არ შეიძლება იყოს მხოლოდ „საბავშვო ლიტერატურა“. ხოლო ის, რაც ვერ უძლებს ასეთ შეფასებას, თვით ბავშვთთვისაც კი რჩება ოდენ „საღალატო და სამღერეულად“.

ასეთი უნდა იყოს პრინციპი. პრინციპი კი ერთია, ხოლო მისი განხორციელების ფორმები — სხვადასხვა. ეს სხვადასხვაობა ღირსებით მერტნაკლებობას როდღე ნიშნავს. ცნობილია ფორმითაც და შინაარსითაც სრულიად „არასაბავშვო“ ლიტერატურა, რომელსაც სწორედ ბავშვობა-სიყმაწვილეში ვეცნობით. მეორეს მხრივ, არსებობს, ასე ვთქვათ, ორპლანიანი ნაწარმოებები (მსგავსნი, მაგალითად, „რობინზონ კრუზოსი“), რომელთა წაკითხვა „ორ სიბრტყეზე“ შეიძლება: ადრეულ ასაკში იკითხება, ერთი სთავადასავლო, ხოლო შემდეგში კი ხდება მისი „ფილოსოფიური აზრით“ წაკითხვა. ასეთ ნაწარმოებში პირველ პლანად შეიძლება იყოს ზღაპრული და ზღაპრულთან მიახლოებული სინამდვილე.

ამ სახის ლიტერატურას განეკუთვნება რეპუზ ინანიშვილის მოთხრობათა კრებული —

„სად ცხოვრობს მოხუცი მეზღაპრე“. მასში შედის მრავალი მცირე ზღაპარი და მოთხრობა. მართლაცადა, ძნელდება მათი ურთიერთ-გამორჩევა: უმეტესად არ ჩანს, სად თავდება სინამდვილე და სად იწყება ზღაპარი.

აქ წარმოდგენილი ზღაპრული სამყაროს ბავშვებობა თავისებური პოეტურობაში გამოიხატება. ეს სინამდვილე ბავშვებისათვის ხელოვნურად აგებული სათამაშო მოდელი როდღა იგი სერიოზული ბავშვური ოცნებითაა შექმნილი. ესა თავისებური მსჯავარი „მოზრდილთა სინამდვილეზე“, მაშასადამე, ერთგვარი პოეტური სწრაფვა ირეალური სინამდვილისაკენ, იმ სინამდვილისაკენ, რომელიც მოზრდილებსათვის სათბოლოდ დაკარგულია და ცოცხლობს მხოლოდ ბავშვურ წარმოდგენებში. მწერლის პოზიციის პოეტურობა სწორედ იმ თავისებურ ნაღველში მუდგანდება, რომ რაც არსებობს ფიქრში, არ შეიძლება იყოს სინამდვილეში.

ასეთი ღრმა ქვეტექსტით შეუძლია დატვირთოს რ. ინანიშვილის ბავშვთათვის ყოფითი შინაარსით გასააზრებელი ერთი უბრალო ზამთრის სურათი, როცა პატარა ბიჭი ტყისპირთან ელოდება დედას, რომელიც სხვა ქალბთთან ერთად ფინხისათვის წასულა. ბიჭი ებრძვის ყინვას. ქალბთიც მოპრუნდნენ. ილა (პატარა ბიჭი) ამბობს: „ყინულის პაპას უნდოდა გავეყინე, მაგრამ ვერაფერი დამაკლო. ჰეჰეი, ყინულის პაპაჰ! ამა მიყურე, როგორი ბიჭი ვარ, ყინულის პაპაჰ!“

ქალბთმა კიდევ უფრო გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ეტყობოდათ, არასოდეს ენახათ ყინულის პაპა. რა ყინულის პაპა, რის ყინულის პაპა, რეებს ლაპარაკობს ეს ბიჭიო. მაგრამ რას ვიზამთ! ისინი ხომ უბრალო კოლმეურნე ქალბთ იყვნენ და ვაგონებითაჰ არ გაეგონათ, რომ დიდებს არასოდეს არ ეჩვენე-



თა ასეთი რამეები თავიანთი ნამდვილი სახით აღდგები მარტო სუსხს გრძნობენ, ყინულის პაპას კა ვერ ხედავენ“.

გასაკვიბია, რომ დიდები ვერ გრძნობენ ყინულის პაპის ილუზიის სპირიტობას, მაგრამ მათ უნდა იგრძნონ ამ ილუზიის სიღამაზე. სხვა რომ არაფერი, თვით ბავშვური არსებობა შეცლებლობით ითხოვს ირწმუნონ ასეთი ხილვის რეალურობა. მარტოცაა, მაშინ კი ვინც არ აღუქვრებდა ამ ილუზიის „რეალურობას“ პატარა ილას, როცა დილით დახვდა ყინულის პაპის საჩუქარი — ფანჯრის მინაზე მიხატული „პირველი ქოჩორა ხე აღმასის ციმციმა ვარსკვლავებით აღსავსე ზღაპრული ტყისა, რომლის მსგავსი რამ აქამდე არავის ენახა ქვეყანაზე“.

რ. ინანიშვილი ცხადად გვიჩვენებს ერთ რაიმესაც: ბავშვები იდეალურ სამყაროს ქმნიან იმისათვის, რომ ეს მშვენიერებები მოსავს სინამდვილეს, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ამალუბებს მას. ამ მხრივ, ბავშვთა ფანტაზია თვითთა თვისებური ხელოვნება, რამდენადაც მათ შეუძლიათ გამოწვანონ იცხოვრონ, ეს შექმნილი სინამდვილე მათთვის რეალობაზე უფრო მნიშვნელოვანია. რ. ინანიშვილი არ „შეფრავს“ პირობითი სინამდვილის შინაარსს. ბავშვებმა თვითონ იციან ამ სიმბოლიკის პირობითობა. სიმბოლიკური გაშუქვება ბავშვებისათვის ისეთივე მიმზიდველია, როგორც საზოგადოლო იდემალება მშვენიერებისა, რამდენადაც მშვენიერების გაშიშვლება მალე აქცევს ამოწურულად მისი ხილვისა და ვანცდის წაიღებს. ი. ბუნებრივიცაა. ყველა ზღაპარი რომ სინამდვილედ იქცეს, მაშინაც არ შეიძლება წარშალის მიმზიდველად ირეალურისა, შეუძლებელი, მაგრამ სასურველი იცნებებისა.

რ. ინანიშვილისათვის სამყაროს ბავშვური წარმოდგენა არის არა მხოლოდ ადამიანისათვის საბოლოოდ ასაკით დასაძლევია რამ, არამედ სამყაროს მოაზრების ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. ივლისსებება, რომ ასაკთან ერთად ადამიანი არა მხოლოდ იძენს ბევრ რამეს, ბევრ რამესაც ჰკარგავს. მაგალითად, ამ წარმოდგენებთან ერთად ჰკარგავს იმას, რაც პოეტური აზროვნების ერთ-ერთი სათავეა. ასეთ გათვალისწინებული საყურადღებო აზრი, რომ ბავშვი არა მხოლოდ ემზადება ცხოვრებისათვის, ის უკვე ცხოვრობს; მისი აზროვნების ფორმები საინტერესოა არა მხოლოდ სამეცნიეროდ, არამედ თავისთავად — როგორც თვითმყოფადი და განუყოფელი რამ.

როგორც უნდა ახერხებდეს მწერალი ბავშვებს ასწავლოს სერიოზული ფიქრი, ისე რომ თავს არ მოახვიოს არაბუნებრივად, არაბავშვური სერიოზულობით, თანაც ისე, რომ ეს არ იყოს მხოლოდ საბავშვო სიბრძნე და ეს ნაფიქრო შემდეგში, ასაკთან ერთად, მნიშვნელოვანი მიხედვების სა-

ფუძველი შეიქმნას. ამის განხორციელება მოთხოვნები „ნეხას სიკვდილი“ და „ცისარტყელა“. „მეიარაღის გოგონას ამბავი“ თუ „ოქროსი ყანა“. ამისავე განხორციელება, კერძოდ, — „გოგონა, რომელსაც ღამე შეუყვარდა“.

ეს იყო ჩვეულებრივი გოგონა, „მხოლოდ ზეაწუტულწამამებთანის ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ ჰქონდა გახლებლი, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ და ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა“. რაილა ის „ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა“, სხვაზე მეტად აფიქრებდა და განიცდიდა, რომ ქალაქში არ ჰქონდათ ნამდვილი ღამე. ქალაქში „როგორც კი ღამე დაიპირებს მოსვლას, აანთებენ მილონ ელნათურას და გააძევენ შუქს“. ამ გოგონას ღამის არც სიღამაზე ჰქონია შეცნობილი, „ღამის არც სიყვარულზე უფიქრია და არც სიძულვილზე“. ცხადია, არც შიში ჰქონია ღამისა, და ერთხელ, აკარაჯე რომ წაიყვანეს, ნათევების დიდ ტყეში მან იხილა ნამდვილი ღამე და ღამეთა ტყის სიღამაზე. მას შეუყვარდა ღამე. ღამის სიღამაზემ გოგონა გაიტაცა ტყის სიღრმეში. მას იზიდავდა იდემალება და სიღამაზე ღამისა, ხოლო ღამის შიში სრულად არ ჰქონდა. ამიტომ „მზარდადღელი“ ღამე ტყებოდა პატარა გოგონას მზერით, რომელსაც არ ეზარება იგი, არ ეშინია მისი“.

თვით ფაქტია ასეთი „ლიტერატურული მისალის“ მიგნება რ. ინანიშვილის მწერალური თვალთახედვის თვისობრიობას გვიჩვენებს. ეს „ლიტერატურული მისალა“ — ფაბულური ნაწილი ამ მოთხრობისა — აქ ქმნის ლირიკულ წინაპლას. მოთვარი მიიწეა სხვაა. მოთვარი ისაა, რომ რ. ინანიშვილი არ დაეკმაყოფილა ამ წარმტაცმა ლირიზმმა, რომელიც შეიძლება ერთი მოთხრობისათვის საკმაოდაც ჩათვლილიყო. მან მოახერხა მისალა აეგო ისე, რომ მას ყურადსაღები აზრობრივი სიღრმე შეეძინა. მარტოცაა, მრავალი აზრია მის ქვეტექსტში. ერთი, რომ მოუთმენელიაო, როცა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის დიდი პარამონია ირღვევა და უნდა ვეცადოთ, რომ ეს დავდლოთ ბუნებისაკენ მარადიული სწრაფვით. ბუნებაში, ცხოვრებისაგან განსხვავებით, ყველაფერი მშვენიერებთან არის მოსილი, თვით „ურაცყოფითი“ მოვლენებიც კი: ადამიანისათვის ისეთივე საჭიროა ჰქონდეს და განიცდიდეს ღამეს, როგორც საჭიროა შუის ნათელიო...

ფრად რიგიანი ფორმით და შესატყვისი პიეტური ამალეებულობით აქვს მოწოდებულ რ. ინანიშვილს ბავშვებში იმ ქალ-ვაჟური ინსტიტუტების შეუცნობელი გამოკრთომა, რაც შემდგომში ღირსებთ დაამშვენებს მათ ყმაწვილქალბაბასა და ჰუბუკობას. (სდილთავა ბიჭო

რეზა სირაძე
„რაც ერთხელ ცხოვრვად სულს დააჩნდებინა...“

და ცისფერებლებსაც გკონა" "ითითა ჩამო-
დისა". „შუშის ნამსხვრევები“).

რ. ინანიშვილი მოთხრობებს ხშირად ამთავ-
რებს წინარე შინაარსიდან უაღრესად დაშორე-
ბული ეპიზოდებით, რათა ასეთი უუხედელო
ბავშვობის ამბებს ზოგადი გააზრება მისცეს,
მისი მნიშვნელობა გეაგრძნობინოს მთელი შე-
მდეგდროინდელი ცხოვრების აზრით. მოგონ-
ებებს, თუნდაც მზიარულ ამბებს რომ აღდ-
გენენ, მაინც ერთგვარი პოეტური ნაღველი და-
ჰკრავს, რომ ის ბავშვური ბედნიერება სამუ-
დამოდ წვაიდა და მის შემდგომში ტოლფარდი
ვერა ენაცვლება რა. ხსოვნაში კი კვლავ
ბრწყინავს იგი ნათელი „ღამეულ უღებანოში
ჩარჩენილი შუშის ნამსხვრევებით“. ასეთი და-
ბოლოებებით მოთხრობები სცილდება საბავშ-
ვო შინაარსს.

მაგრამ ზოგჯერ ფსიქოლოგიური აღწერანი
ვერ აღის ლიტერატურულ სიმარტმდე (ასე-
თია, ეფიქრობთ, „თოვლი“ „აწენი კატაფშე-
ტა“), რადენადაც ფსიქოლოგიურ თუ მორა-
ლოურ პრობლემათა ნათელგეგნება თავისთავად
რადიან უუკვ ლიტერატურულ ფაქტს. ცდუნე-
ბის საფუძველი შეიძლება იყოს ის, რომ თით-
ქმის ყველა ამ გადმოცემული განცდა რეალურ-
ია, ცხოვრებისეულია. შეიძლება ავტორი
იმამოც ვეაჭერებდეს, რომ ჩვენთვისაც ნაც-
ნობია იგივე გრძობა — ნაცნობია სევდა, რო-
ცა სოფლის გზაზე აღარ დაგვხვედრია ბავშვო-
ნიდანვე თვალსმჩინეული ზე. თუმცა, არც ეს
არის საკმარისი. არსებობს ცხოვრებისეული
სიამართლე, მაგრამ არსებობს უმაღლესი ქეშ-
მართლება ლიტერატურისათვის — ესაა მხატ-
ვრული სიამართლე. ამ აუცილებელ სიამართლეს
თუ ვერ ეზიარა მოვლენა, იგი ლიტერატურულ
ფაქტად ვერ იქცევა.

ერთის მხრივ, ვასაგებია, რომ სწორედ
მწერლისათვის შინაგანად ახლოებულ ფაქტებს
(ასეთია ამ მოთხრობებში ვადმოცემული ამბე-
ბი) შეუძლია გამოეწვია „კეთილშობილური
ცდუნება“ — ადვილად ჩათვლილიყო, რომ
ასეთივე ახლოებელი იქნებოდა იგი მკითხველი-
სათვის. ისინი შეიძლება მართლაც საინტერ-
სო იყოს, მხოლოდ არა ლიტერატურულად.

აქვე აღენიშნავთ, რომ კრებულის აზრობრივ
და ემოციურ მთლიანობას არღვევს მოთხრობა
„რატომ ჰკამს სახედარი ჭალაღს“. ესაა ცნო-
ბის მთლიანი ზუამბის აგებობა: მთელი შინა-
არსი მოგონილია ისე, რომ მისგან გამომდინა-
რობდეს ამ ცხოველის დამახასიათებელი თე-
სისა. ესაა და ეს, ამ მოვლელის ერთი ახლებუ-
რი ვარიანტი და მასთან დაკავშირებული სწორ-
ხაზოვანი შეგონება წერა-კითხვის ცოდნის მნი-
შვნელობაზე არ ამშვენებს კრებულს.

ბუნების სურათების თავისთავად სილამაზი-
ბანცდასთან ერთად რ. ინანიშვილის მოთხრო-
ბებში ბუნებაზე ფიქრი ცხოვრების კანონზო-
ბერებობა ამოცნობის საშუალებადაა მიჩნეუ-

ლი. ამ მხრივ, ქართულ ლიტერატურაში მწე-
ლარი ტრადიციების არსებობა, გარკვეულ რე-
რით, ერთგვარ სიძნელეებსაც ქმნის: ახლებუ-
იერსახეების მონახვა, ბუნებრივია, რა-
ლებსა.

ბუნებაზე ფიქრმა ბოლოდროინდელ ლიტე-
რატურაში მნიშვნელობა ძლიერ იცვალა. ლი-
ტერატურული სიხალთიან აღბეჭდილი ბუნების
განცდა რ. ინანიშვილის მოთხრობებში, თუმცა
ძირითადად იგი აქვასეულ ბრინციებს მიეყუ-
ბა.

ერთ-ერთი ყველაზე „შაბლონური“, მყარ
მოდელო, რაც ბავშვების მხატვრულ წარმო-
სახვას ახასიათებს, ნებისმიერი მოვლენის გა-
დამიანურებება. ბავშვთა ცნობიერებაში შეტალ-
მცირობისგან სავანები შემოდიან, მაგრამ
მათი მნიშვნელობა ფრიალ მრავალგვარია. ასე-
თია ამ მოთხრობებშიაც ბავშვთა თვალთ დან-
ხული ბუნება.

გაადამიანურებული ბუნება რ. ინანიშვილის
ამ მოთხრობების, თუ შეიძლება ითქვას, ერთ
მუდმივო ლირიკული პერსონაჟია.

აქ ნახევარია, რომ როცა ხეები გაიგებენ,
იერ მიმხედარკართო აღამიანის პოეტურ ფიქ-
რებს. „დაირცხვენენ, როგორ ვერ უნდა მიმ-
ხედარკავით ამასო, შეიშუშუნებია და მიღ-
მის შეფიქნება, წერილი, წერილი ყინულბობს
მტკრევის სმა. ჩვენ ამას ნიავის გამოვლემებს
ვეძახით“ („დიდი ზამთარი“).

ან: „როცა ჰაერი მხარეს შეიცვლის, წისქვი-
ლის მხაერი მოაქვს“. ანდა: გამოჩნდება „კალა-
აყრილი სინივით აქრელებული მთვარე“. ამას
კი სხვა მოთხრობებიდან უკვეშორდება წარმო-
სახვა, რომ ეს სურათები ირეკლება ცისფერ
ტბაში, რადგანაც „ტბა სარუა ბუნებისა“.

ზოგჯერ სურათები ერთმანეთს ჰკავს, მაგრამ
მსგავსება ერთია და ეს თავისთავადობას როლი
უკარგავს მათ. „...ახლა კი ზამთარია, მართა-
ლია, თოვლი არ დევს, მაგრამ რომ-სამ დღეში
ალბათ ისიც მოვა. ტყუილად როდი უბერე-
ცივი ქვენა ჭარი, მიაგვერდღვალავებს ნასიმი-
რებში იწიოწოდ დამავალ ქათმებს, ბალანს
ღწეწავს გამხმარი, ცარიელ ყურბაღქცულ
ხბორებს. მიხუცები ამომბენ: ეს ჭარი ჩადგება
და თოვლიც მოვათ. ნეტამც ასე იქნება. ნე-
ტამც“ სხვაგან ეს მოვლენა თითქოს მთორღე-
ბა, თუმცა მისი მხატვრული სახე — არა: „დი-
დი ზამთარია... დიდი თოვლი დევს. დიდი ღამე
იწყება. ცის შვე კაბადონზე ვეებურთელა
მრგვალი მთვარე დგას და გაოცების ღიმილი
დასცქერის ყინვის თხელ ბურუსში დახვეულ
ტყეს“. ამ სურათებში აშკარად შეიგონება რ.
ინანიშვილისებელი ფერწერული გემოვნება და
საზოგადოდ ფერწერული ხატებისაკენ მიდრე-
კილება.

სრულიად ურთიერთგანსხვავებული სურათ-
ბი და აღწერანი გვაგრძნობინებენ ერთიან მხა-
ტრულ ხედვას: „ვენახების თავში გულაბების

დროიან ტრეტზე ფთავაფუთქით და წრიონით
სხევიან ჩხართვები. იმ გულაბების უკან, გაქ-
უცულ სერზე, არქული სიმშვიდით დაფამფა-
ლბენ ჭუჭყიანი, მატყლში ძურწაიარული
ცხერები. ძევის ძირში მიმჯდარა ნიბლა ესტა-
ტე და ვრაკის ჯოხს აჭრელებს ძალღმისათ-
ვის. ზემოდან, სერზე გადმომავალ გზაზე, გუ-
ღრებზედადებული სახედრები ჩამოდან, მო-
წვაკუნებენ ვედურების ბოლეს ხრიკი, ალაკ-
აუგ ლორლიან მიწაზე. ვასაგებია, რომ სტი-
ლური ეთიანობა ადვილად წარმოჩინდება
უკვე ზემომოყვანილ და ასეთ სურათს შორის:
- დილის გრილ ცაზე ჯაფარა ამოფრინდა, რბი-
ლად შემოუარა მალაი წიფლების ვარინდე-
ბულ კოროშს, ფრთები მომტვრეულივით აფა-
ეჭნა. ფეხები ჩაბოჭუნა, ხმელ როსზე დააპი-
რა დაჯიშა, მაგრამ უცებ ხეზე რაღაცა დაი-
ნახა, დაიჩხვლა, შემფთებელი ავარდა მალ-
და და გაფრინდა. როგორც ვიქვიით, ამით
შორის სტილისტური ერთიანობის შეგრძნობა
უფრო იოლია და მოსალოდნელიც. მაგრამ სა-
ეფროადღებია, რომ მკვითრად გამოხატული
იგივე პოეტური ხედვა ჩანს სრულიად განსხ-
ვავებულ აღწერაშიც: „ბაღში მილი გასკდა.
განთავისუფლებული წყალი გახარებულ შად-
რევიანად ავარდა ცაში, უნდოდა წასულიყო,
მალა, ძალიან მალა, მაგრამ ძალა არ ეყო,
წვეთებდა დაიშალა და ნიათგამოცილი დაე-
ნარცხა მიწას. მიწამ ხერება დაუწყო, მაგრამ
წვეთები არ დანებდნენ, გაგორდნენ, გამოგორ-
დნენ, შეერთდნენ, ქვეშორის გაძვრნენ, თუ-
ღალმართი იპოვეს და დაეშვენენ. ეს უკვე წვე-
თები კი არა, პატარა ნაკადული იყო“.

ზემომოყვანილი აღწერანი რ. ინანიშვილის
ენობრივი სტილის მალა ენოსებზედაც წარ-
მოგვიჩინეს. ვასაგებია, რომ ენობრივი ფენომე-
ნი არ არსებობს აზრის გარეშე. რ. ინანიშვი-
ლის მოთხრობების ენობრივი ფორმაც ავტორი-
სული მხატვრული სამყაროს ერთადერთ შე-
საძლებელ გამოხატულებად გვესახება და, მამა-
სადამე, აზრისა და ენის სტილისტური ურთა-
ერთშესატყვისობის, ვიტყვიდით ჩვენ, კლასი-
კურ სრულყოფილებას ეფხალოვებდით, მისი
მოთხრობების ენობრივ ფორმას დარბაისლური
სინატიფე და შინაგანი კულტურით ამალღებუ-
ლი სასიამოვნო სიმკაცრე ახლავს. რ. ინანი-
შვილის ენობრივი სტილი სისადავის ძლიერ-
ბის ცხადყოფაა. ამ თეოსაზრისით ვისთან და
ვისთან, მაგრამ ყველაზე მეტად იგი მაინც ახ-
ლოა „თვალდადური ქართული ჰუმანიკის“ ავტო-
რთან. შემდეგ სტილური კავშირები, ასევე წარ-
მოსახვის ნათესაობაც, ადის იკობ ჯორგება-
შვილიან და ეკავს პროზასთან. ესაა ქართული
მხატვრული ენის ისტორიაში საბასეულ ტრადი-
ციებთან წილნაყარი სტილი და, საზოგადოდ,
ერთ-ერთთ ფრიალ მართებელი გზა ქართული
მხატვრული ენის შემდგომი განვითარების
თვალსაზრისით. ეს საკითხი სპეციალური შეს-

წავლის ღრსია და ამით ჩვენი ლიტერატურათ-
მცოდნეობა ენობრივი სტილის სპეციალისტებ-
თან ერთად დიდ საქმეს გააკეთებდა. ლიტე-
რატურათმცოდნეობის არცერთ დარგს, თვით
ლიტერატურის ისტორიას, არა აქვს ყო ამაზე
დიდი დანიშნულება, რომ ხელი შეუწყოს ლი-
ტერატურის ხელოვნულ დღეს. მთელ მის მო-
ნაშთარს ბოლოსდაბოლოს საამისად აქვს ენ-
სი. რ. ინანიშვილის წარწერები ქართული ერ-
თელ კიდევ გვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი
შესაძლებლობანი აქვს თანამედროვე ეტაპზე
ჩვენს ენას. აი, თუნდაც ეს გვაძლევს საფუძ-
ველს დაისვას საკითხი, რომ ამ წიგნიდან შეი-
რჩეს ნაწარმოებები სკოლაში სასწავლოდ. მა-
თგან ბავშვები შეითვისებენ კაცადკაცურ თვი-
სებებს, კაი ქართულს და მალალ ლიტერატუ-
რულ გემოვნებას.

რ. ინანიშვილისათვის სრულიად შეუთავა-
ბელია ხელოვნური სტილური საშუალებებით
აზრის მნიშვნელობის გაზრდის მცდელობა. აქ
თვით აზრია პოეტური და იგი ეძებს და პოუ-
ლობს კიდევაც თავის ერთადერთ აუცილებელ
გამოხატულებას. მისი ნაწარმოებებისათვის
უცხოა ესთეტური მანერულობაც და პრო-
ვინციული „ამალღებულობაც“. პრინციპულად
მიღებელია ასეთი მწერლებისათვის ენობრივი
ნიშოლიზმი, რომელიც ბოლოსდაბოლოს პრო-
ვინციალური ლიტერატურული პოზია და სხვა
არაფერია.

ახლა „პირველსავე სიტყვასა მოვიღეთ“.
ელაპარაკობდით რ. ინანიშვილის ამ ნაწარმო-
ებების ამოვალბანაინაობაზე. ამის ერთი იერ-
სახეაა მოთხრობები იუმორისტულ-პორალის-
ტური წინაპლანით, რაც ვარკვეულ შემთხვევა-
ში მიღწეულია იმით, რომ აღწერილია ცხოვე-
ლები „შთაბეჭდილება“ ადამიანისა და ბუნების
ურთიერთობებზე, მსგავსად იმისა, რაც გვაქვს
„შვლის ნუქის ნაამბობში“ თუ ანდერსენის
ზღაპრებში.

ამ ხასიათისაა მოთხრობა „ტყის შვილები“.
ფრინველები ხედავენ სანადიროდ მომავალ პა-
ტარა ბიქს იჩოს. მას ჯერ კიდევ იმ დროიდან
იცნობენ, როცა შურდულით იკლბოდა ტყეს.
იჩოს მონადირეობა სისაცილოდ არ ყოფნის
საბა ჩხვირს. იგი მონადირეს დაანახებენ თავის
მეუღლეს თინოს. — „უყურე მაგ ცინგლიანსა,
მავასაც რომ თოფი აუღია! აი, მეხი კი დავა-
ყარე მაგის წარუტა დედასა, აჰა! იმ კარგი მა-
მის თოფი მაგას როგორ ჩაუფლო ხელში?“ —
ამბობს თინო. მეტრე ატყობინებენ შაშვებს,
ატყობინებენ ყველას. შაშვი ეკახის შვილა:
„შვილო მალხაზო, ვადაფრინდი აი მანდ, მლა-
შე წყალთან თბოლი ბაჟია ძოვს და უთხარი
გაერიდოს, სიდრთხილეს იაფი არ სტყვიან-თქო“.

რამაზ სირაძე

„რაც მართლად ცხოვრებად სულს დაჩანდობის“.

„მე ბიკს ჩვენზე მეტად ეშინია თავის თოფისა! — ჩაიღუღუნა რამა ჩხვიკმა. „...აი, რა ვუთხრა მავის დედასა — ბრაზობდა თებრო შაში, — ნეტავ რა ქილა-ქუციებს დაევსებს ჩვენი ქონ-ბორცითა ერთი ჭკუის მასწავლებელი უნდა იყოს ვინმე რომ...“ — ვილა დარჩა, შენ შემოგველოს ჩემი თავი, ამ ჩვენს ტყეში ეგეთი! თვედრე დათვი იყო ხოლმე ჩვენი ქომავი და ისიც შარშან გამოსალმა წუთისოფელს ბრუტინამა ესტატემ. — იმის ბიკისათვის რომ გვეთხოვა, აშლაუენსათვის?...“ „დაანებეთ თავი იმ დიდრიალა აშლაუენსაც და მეც ყმაწვილსაც. პატარა ბიკი, გაუშეთ გაიხაროს. ჩვენ მოვერიდეთ...“ — ამბობდა საბა ჩხვიკი. მაინც მივიდნენ აშლაუენსთან, ძლივს დაითანხმეს. აშლაუენმაც იჩის ის დღე აყარა, რამ მსოლიდნელი იყო. შემდეგ, „...კარგად იყავითო, და წავიდა თავისი გზით, როგორც ნამდვილ ვეჯაკს შეშვენის, ქებას თავი აარიდა“. „მხოლოდ საბა ჩხვიკი იჭდა ერთ ადგილას, მარტოღმარტო და დღუღუნებდა: უყვირო მაკათაც რალა! დიდი ვეჯაკობაა თითისოდენა ბაღის შეშინება! აბა მავისი მამა რომ მოკლა ბრუტინამა ესტატემ, ის შეაშინოს! აბა, ლევანა მონადირე შეაშინოს!..“

ჩვენ ამ მოთხრობიდან ადგილები გამოკარჩეთ იმ სხვადასხვა აზრთა მიხედვით, რომელიც მასშია განფენილი. ამით, ვფიქრობთ, საკითხების სპეციალური დანაწევრების გარეშედაც ნათელია ასეთი ნაწარმოების დიდი ღირებულება. აქ ერთმანეთს ერწყმის იუმორი და ჰუმანიზმი, ლირიზმი და ისევ — ლიბილშერეული ნაღველი ადამიანთა და ცხოველებს შორის „ხილნატეხილობის“ გამო. არსებითად ასეთივე ხასიათისაა ლირსებანი მოთხრობისა: „საკვირველი ამბავი ტყეში“.

იუმორი რ. ინანიშვილისა დარბაისლურია და გემოვნებით აღბეჭდილი. ეს როდია საკუთარ ენამოსწრებულობაში დარწმუნებული კაცის სახეზე მოუცილებელი მხიარულება. ესაა გონივრული ლიბილი, რომელიც ახლავს ცხოვრების კანონზომიერებებზე ფიქრს, თუკი ეს კანონზომიერება ულოგიკოდ ირღვევა.

ამ კრებულის მოთხრობებიდან გვრჩება ცალკეული პოეტური სახეები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელ მხატვრულ ერთეულებს წარმოადგენენ:

...„მზია რჩებოდნა მარტო, მარტო, თვალის უბებში ჩამსხდარი შავი, დიდი პეპლების ამა-რა“.

„პაპას და იაკოფას ტალახიანი ხელები განზე

ეკირათ და ასე იღებოდნენ ბებრულად, ზვორლად გვერდზეგადაქანებულები“.

ბოდნენ... ბებრულად გვერდზეგადაქანებულები“ — ესაა უკვე თემა მხატვრობისა. სადგენი პოეზიით აღსავსე წამის გარინდებაში.

სხვა შემთხვევაში ინდივიდუალური ხასიათი შეიძლება საკმაოდ გასაგები ხდებოდეს ერთი ასეთი შენიშვნით: „...ბიბოს არ უყვარს, სხვა ვინმე რომ ერევა მის ოცნებაში“.

შემდეგ, მერიადე ყვავილებს უცქეროდა, „ისინი თითქმის საყვარელი მეუღლის თვალებით იყურებოდნენ ლარნაციოდან“ (ფფიქრობთ, ამ სახეს ორიგინალობას არ უყარგავს მსგავსება „გველის მუამელის“ ხატთან: „ველებზე ბზინვენ ყვავილინ, თამარ დედოფლის თვალებში“. ვეჟა, საერთოდ, დიდ გავლენას ახდენს რ. ინანიშვილის სტილსა და აზროვნებაზე).

დამოუკიდებელ სახეობრივ ერთეულებს ქმნის ლირიზმით აღსილი სტრუქტურები: „ყველაფერს მოწყენილობის იერი დაჰკარავდა, ქუჩიდან შემოსულ ავტომობილის ხმაურსაც კი“.

...„კიდევ კარგი, რომ ღამე მალე მოდიოდა, ლიბილით, საიდუმლო ჩუჩრულ-შრილით აღსავსე ღამე“.

სხვა ღრმა განზოგადებებზე რომ აღიარებდეთ ვთქვათ, ამ მოთხრობათა ერთი დიდი მიზანია: გაიზარდონ მეოცნებე და სილაპაზის „აკარგის“ გამგები ბავშვები, ერთგვარად გულუბრყვილინიც, რამდენადაც მათ ცხოვრება მოჩვენებათ ცოტა უფრო კარგად, ვიდრე მისი ცოცხალი სიცოცხლე თავის მრავალწახნაგოვნებაში ეძლევა ადამიანს. მათი მიზანია, ეს ბავშვები იყენენ მეოცნებენი თუნდაც განყენებულ სიკეთეზე, რადგანაც ასეც რომ იყოს, ეს იქნება მსხვერპლი, რომელიც რჩეულთა ხვედრია, რამდენადაც ყველას როდი შეუძლია დავერც მოეთხოვება უფრო სიკეთეზე იფიქროს, ვიდრე ბოროტებაზე, როცა ისინი გვერდოგვერდ დგანან. დიდი ადამიანური სიკეთე და სილაპაზე რომ დაამჩნიოს ადამიანის სულს, — ესაა ამ მოთხრობათა ფრიალ რივიანად განხორციელებული მიზანდასახულობა და მათ ახლავს რწმენა, რომ თუ ეს იდეალები სწორად ყმაწვილობიდანვე ცხოვლად დაამჩნება ადამიანის სულს, კუშმარტიად წარუშლელი იქნება.

ყოველივე ამასთან ერთად, მაინც სურვილად რჩება რ. ინანიშვილმა თავის მკითხველს უფრო მეტეორად აჩვენოს არა მხოლოდ ის, თუ რა კარგია სიკეთის სიყვარული, არამედ ისიც თუ რაოდენ საძნელაა ეს, რამდენი დაბრკოლება ეთობება ასეთ მისწრაფებებს.



პაპი ბაქაძე

ქებაი და დიდებაი...

1888 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა აღმოაჩინა ადგილები მოინახულა. ეს მოგზაურობა მან აღწერა წიგნში «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае». ეს შრომა გამოქვეყნდა 1888 წელს «Провославный Палестинский сборник»-ის მეოთხე ტომის პირველ გამოშვებაში. ამ წიგნით გააცნო პირველად ალექსანდრე ცაგარელმა ქართულ საზოგადოებას ჰიმნი, რომელიც დღეს ცნობილია სახელით «ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ».

ამის მერე «ქებას» ტექსტი რამდენჯერმე დაიბეჭდა. 1959 წელს კი, აკაკი შანიძის რედაქციით, უძველესი თარგიდან (864 წელი) ქართული ხელნაწერი „სინური მრავალთავი“ გამოიცა. აქ დასტავებულია «ქებაჲც». ჰიმნის განხილვისას სწორედ ამ ტექსტით ვისარგებლებ. საჭიროებისდა მიხედვით კი სხვა გამოცემებსაც და ხელნაწერებსაც მოვიხველიებ.

ამ მცირე წინათქმის შემდეგ დავა ეპიქოპეაჲს შინაარსის გახსენებისა.

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდემდ მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე. და სახარებესა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან. და ახალმან ნინომ მოაქცია და ჰქლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიაჲ და მართაჲ. და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღეჲ. და სახარებესა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყვს ყოველად ოთხ ათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღეჲ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მის

თანავე დაფუძული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაათა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამელ წარმოგითხარ, ასი ესე წილი ანბანისაჲ.

როგორც მკითხველი ხედავს, სიმბოლიკით სავსე ბუნდოვანი ტექსტია. თუმცა ახლავ უნდა ითქვას, რომ ნისლოვანია ჰიმნის კონკრეტული მხატვრული სახეები, თორემ მისი საერთო შინაარსი და მიზანდასახულება ნათელია: ქართული ენა უფლის ენაჲ, სხვა ენებზე აღმატებული და უქეთესი, განკითხვის დღეს მესია ქართულად იმეტყველებს. ეს იმთავითვე აუგანმარტეს ალექსანდრე ცაგარელმა, კორნელი კეკელიძემ და პავლე ინგოროყვამ! და დიდხანია ცნობილია, ამდენად, ამჟამინდელი ამოცანა თითოეული სიმბოლოს შინაარსის ნათელყოფაჲ.

„ქებას“ სიმბოლიკა ორგვარია. ერთია ქრისტიანულ მწერლობაში მოხსენიებული პერსონაჲები — ლაზარე, ნინო, ელენე, მარიაჲ, მართა, დავით და მათე. მეორეა რიცხვები, რომელთაც საკრალური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული — ოთხი, ერთი, ათასი, ოთხი ათასი, ოთხმოცდაათოთხმეტი და ასი.

თითოეული სიმბოლო შემდეგგვარად იხსენიება ტექსტში:

1. ლაზარე: „და სახარებესა შინა ამას ენა ლაზარე ჰრქვან“.
2. ნინო: „და ახალმან ნინომ მოაქცია და ელენე მკლენე დედოფალმან. ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიაჲ და მართაჲ“.



3. დავით: „და ოთხისა დღისა მკუდარა ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ: წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“.
4. მათე: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათსა წილი ზის...“
5. ოთხი ერთი ათასი: „და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ: წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“.
6. ოთხი ათასი: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათსა წილი ზის, რომელი ასოა არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარავსა“.
7. ოთხმოცდაათოთხმეტი: „და საწაულად ესე აქუს: ოთხმოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მსოფლითგან დღესამომდე“.
8. ასი: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ასი ესე წილი ანბანისა“.

როგორც უკვე აღინიშნა, ჰიმნის დედააზრი მკაფიოა: ქართული ენა ქრისტეს ენაა. ამდენად, „ქებას“ ყველა მხატვრული სახე ამ ძირითადი დებულების ილუსტრირებას ემსახურება.

„ქებას“ პირველი სტრიქონი აზრობრივად ნათელია, ამდენად არც კომენტარებს საჭიროებს.

„ღამარხულ არს (=დაცულია) ენა ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად (=დასადასტურებლად), რაათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ამ სტრიქონებში სიტყვა „მისისა“ პავლე ინგვროსევიმ შეცვალა სიტყვით „მისისა“.2 პავლე ინგვროსევიან რედაქციით ზემორე ციტირებული სტრიქონები ასე იკითხება:

„ღამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად.

რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

მართალია, „მისისა“ გელისხმობა მესისას, მაგრამ შეცვლა მაინც არ ეგებოდა. ჭერ ერთა, ხელნაწერებში (Sin. 38, Sin. 6, Sin. 32/57) სრულყოფად გარკვევით წერია — „მისისა“. მეორეც, ეს კონიექტურა პირწმინდად ფორმალურ ნაიათს ატარებს, რაკი სიტყვების შეცვლა აზრს არ ცვლის. ორივე — „მისისა“ და „მესისა“ — ქრისტეს მიანიშნებს.

უფრო რთულად არის საქმე მომდევნო სტრიქონში:

„და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე (=დღემდე), და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქვან“.

რატომ ჰქვია ქართულ ენას სახარებაში ლაზარე? არც ალექსანდრე ცაგარელს და არც კორნელი კეკელიძეს ამ საკითხის გამო არაფერი უთქვამთ. პავლე ინგვროსევიმ კი იგი ასე გაიგო: „ქართული ენა — ეს არის ახალი ლაზარე ენათა შორის, რომელიც მკედრეთით აღდგება მეოთხე დღეს“.

ვინ იყო ლაზარე? იოანეს სახარების მეთერთმეტე თავი გვიამბობს: იერუსალიმის მახლობლად, თხუთმეტე უტყევანით დაცილებული, იყო დაბა ბეთანია. ბეთანიაში ცხოვრობდნენ ლაზარე და დაბა მონი მარიამ და მართა. ქრისტეს უყვარდა ისინი. მარიამი იყო იგი, ვინც ნელსაცხებელი სცხო უფალს და თმებით შეუწმინდა იესოს ფეხები. დებმა შეატყობინეს ქრისტეს: ვინც გიყვარდა, იგი ავად არისო. მაშინ ინება უფალმა ჰერიახანად წარძახება. მოწვევებმა გაფრთხილეს იესო: დიდს, ხანი არ გასულა მას მერე, რაც ებრაელები ჩაქოლვით გემუქრებოდნენ და კიდევ იქ მიხვალთო? მაშინ მოწვევებს ვე უთხრა მოძღვარმა: ვინც დღე დღე და, ვეებს არ წაიკარა, დღის სინათლე უნათებს გახს. წაიფორხილებს იგი, ვინც ღამით დადის, რამეთუ ბნელა ღამით. ვარდა ამისაო, დასინა მოძღვარმა, ლაზარემ, მეგობარმა ჩემმა, დაძინა და უნდა გავადვიმო. მოწვევებმა ვერ გაიგეს ქრისტეს ქარავმა და უმასუხეს: თუ დამძინა, გამოვანსადებო. იესომ მკაფიოდ აუხსენა: ლაზარე მოკვდა. მაშინ ქრისტე მოწვევებით უწვიდა ბეთანიას. ლაზარეს სახლიში ებრაელები შეკრებილიყვნენ, რათა ნუგეშით ეცათ მიცვალებულის დებისთვის. როგორც კი მართამ ქრისტეს მოზრძანება შეიტყო, გამოეგება სტუმარს და შესჩივლა: უფალო, აქ რომ ყოფნლყავ, ჩემი მამა არ მოკვდებოდაო. ქრისტემ ანუგეშა მართა: აღდგებოა შენი ძმა. იესომ ასარტულა დანაპირები, იგი მიიყვანეს ლაზარეს საფლავთან. საფლავს ლოდი ააცალეს და ბრძანა ქრისტემ: ლაზარე, გამოდი გარეთ. მკედლო ადგა და გამოვიდა. ლაზარეს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, ხოლო პირი — სუდარით შებურვილი. მოაკილეთ ესენი, თქვა უფალმა, მიეციეთ გზა, იარსო, ასე აღადგინა ლაზარე იესო ქრისტემ.

ასეთია ლაზარეს ამბავი. რატომ გაგახანეთ იგი ეგზომ ვრცლად? ამ იკავის არაი გაეცხადებულია მართასა და ქრისტეს დიალოგში.

იე სო: აღდგეს ძმამა შენი.

მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკანასკნელსა დღესა.

იესო: მე ვარ აღდგომამა და ცხოვრებამა.

რომელსა პრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-ეუდეს,
ცხონდესე. და ყოველი რომელი ცოცხალ არს
და პრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს? იგი უკუნი-
სამდე. გრწამსა ესე?

მართა: ჰე, უფალო, მრწამს, რამეთუ შენ
ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ მოშავალი სოფლად.

ე. ი. ქრისტე აღდგამა და ცხოვრებაჲ ვინც
წამებეს მას, მკვდარიც რომ იყოს გაყოცხლ-
დება, ხოლო ცოცხალი არასოდეს მოკედება,
ამდენად, „ქებაჲს“ ავტორი ქართული ენის ლა-
ხარესთან ვაიგევიებით ამბობს: თუკი მიცვალუ-
ბელი ლახარე მკვდრებით აღდგა იმიტომ, რომ
წამდა ქრისტად, როგორც სამყაროს მოშავალი,
ცხოვრება და აღდგომა, დაჩაგრული და დაწუ-
ნებული ქართული ენაც აღდგება-გაყოცხლდე-
ბა და მარადიულად იარსებებს, რამეთუ ქართუ-
ლი ენაც აღიარებს ქრისტეს მოძღვრებაჲს. ამას
ადასტურებს ჰიმნის ეს სიტყვებიც: „ამისთვის
ნის თახავე დაფლული სიუქდილითა ნათლის-
ლებისა მისისაჲთა“. რომელთა მიმართ გავ-
ზავნავ წერილში ჰველ მოციქული ასე გან-
მარტავს ნათლისღების საიდუმლოს:

„ახუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა — ესე
ნათელ-ვიდით ქრისტე იესუს მიერ, სიუქდი-
ლთა მისისა მიმართ ნათელ-ვიდით“

და თანა-დავფელნით მას ნათლის-ღებითა
ნით სიუქდილსა მისსა, რაჲთა, ვითარცა — იგი
აღდგა ქრისტე მკუდრებით დიდებითა მამისაჲ-
თა, ეგრეთცა ჩვენ ვახალღებითა ცხოვრებისაჲ-
თა ვიდოდით.

რამეთუ უკეთუ თანა-ნერგ ვეწმენით მსგავ-
სებასა მან სიუქდილსა მისისაჲთა, ეგრეთცა აღ-
დგომასა მას მისსა ვიყენით.

უკეთუ მოკუდეთ ქრისტეს თანა, ვერწამს,
რამეთუ მინ თანაცა ვცხოვნდეთ.

ესე უწყით, რამეთუ ქრისტე აღდგა მკვდრე-
თით. არღარა მოკუდეს, და სიუქდილი მის ზე-
და არღარა უფლობდეს. (რომელთა მიმართ
ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა ჰაულისი, თა-
ვი 6, მუხლები 3, 4, 5, 8, 9).

მამასადაჲმე, ვინც ქრისტეს მიერ ნათელილ
უფლის ზედის თანაზიარს ვაბრ: უფალთან
ერთად მოკედება, უფალთან ერთად აღდგება,
უფალთან ერთად იცოცხლებს მარადიულად,
რაკი მკვდრებით აღორძინებული ქრისტე არა-
სდროს მოკედება. ლახარემ (ე. ი. ქართულმა
ენამ) ქრისტეს ცხოვრების გზა ვაიმეორა: ცოც-
ხლობდა, მოკვდა, აღდგა. ეს აღდგომა კი მა-
რადიული არსებობის საწინდარია.

თუ ლახარე ორი ქალის მარიამისა და მარ-
თას საშუალებით უკავშირდება ქრისტეს, ქარ-
თული ენაც ორი ქალის ელენისა და ნინოს მე-
ოხებით აწყარებს ურთიერთობას ქრისტესთან.

„და ახალმან ნინო მოაქცია და მკლენე დე-
დოჟალმან, ე.ე არიან ორნი დანი, ვითარცა
მარიამ და მართაჲ“.

ამ სტიქიონებს კორნელი კეკელიძე ამრავალ
განმარტავდა: ქართული ენა „ისეთივე „მეგო-
ბარი“ ან თანაპრობა ბერძნულსა, როგორი
მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელ-
თაგან ერთმა უქადავა სახარება ქართველებს,
სოლო მეორემ ბერძნებს; ისინი „დებიჲ“, რო-
გორც მართა და მარიამი“.⁴

1924 წელს ჰიმნის ეს სტიქიონები ჰაველი ინ-
გოროცყვა არ აუხსნია. უბრალოდ დღევანდე-
ლი ქართულით გაიმეორა ისინი: „ქართველნი
ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია ორმა ქალ-
მა — ნინომ და ელენე დედოფალმა — და ესე-
ნი არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მარ-
თა“.⁵ მეტი, მოგვიანებით, კი დაწერა: „აღსა-
ნიშნავია, რომ მწერალი ქართულ ენასა და
ბერძნულ ენას ერთ სიმძლევად აყენებდა, აღნიშ-
ნავს, რომ ეს ორი ენა მეგობრებიან, რომ ამ
ორ ენას მფარველობს ორი დედა — ნინო,
ქართველთა განმანათლებელი და ელენე დედო-
ფალი, განმანათლებელი ბერძენთა; მწერლის
სიტყვით, ნინო და ელენე არიან ორნი მოყვა-
რული დანი, ისეთივე როგორც სახარებაში
მოხსენიებული მარიამ და მართა“.⁶

ასე არ უნდა იყოს. უნდა ცდებოდეს რო-
გორც კორნელი კეკელიძე, ისე ჰაველი ინგო-
როცვა. ჯერ ერთი, ბერძნული ენა არასად ჰიმნ-
ში არ იხსენიება. მეორეც, ქართული ენა „ქე-
ბაჲს“ ავტორს უფლის ენად მიაჩნია. ე. ი. მწე-
რალს უზომო პრეტენზია აქვს. რაკი ასეა, ბერ-
ძნულს ვერ შეადარებს ქართულს, რამეთუ არ-
სად თქვია, ბერძნულიც უფლის ენაა. ავ-
ტორის აზრით, ქართული ყველა სხვა ენაზე
უკეთესია და, ცხადია, მათ შორის, ბერძნულ-
ზეც. მესამეც, ელენე იყო დედა იმპერატორ
კონსტანტინე პირველისა და დედოფალი არა
მარტო ბიზანტიისა, არამედ მთელი რომის იმ-
პერიისა. ელენეს დროს რომის იმპერია ჯერ კა-
დედ მთლიანი იყო და ორად — აღმოსავლეთ და
დასავლეთ ნაწილებად — არ გაყოფი. ელენეს
დედოფლობისან ქრისტიანობა ოფიციალურად
გამოცხადდა რომის იმპერიაში სახელმწიფო რე-
ლიგიად. ამდენად, ელენე დედოფალი გახლდათ
რომის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის
განმანათლებელი და არა მარტო ბერძენისა.
ნაშ. რა მოხდა, რატომ იხსენიება ჰიმნში დე-
დოფალი ელენე? საქმე ის არის, რომ ქართ-
ველთა ქრისტეს რწმენად მოქცევის მონაწი-
ლეა ელენე დედოფალი. ამას ერთხმად აღნიშ-
ნავს ბიზანტიური და ქართული წყაროები.

სვიდამ ლექსიკონში წერია: „ელენე, დედო-
ფალი, დედა კონსტანტინე დიდისა... კონსტან-
ტინე დიდის დროს მონათლენე შინაგანი ინ-
დები, იბერები და არმენიელები“.⁷

ამასვე ამბობს გიორგი ამარტლოცი: „ამ ნე-

აბაპი ბაბარმა
„ამბაჲ და დიდაჲჲ



ტარი კონსტანტინეს დროს წმინდა ნათლისღება მიიღეს აგრეთვე შინაგანმა ინდებმა და იბერიელებმა. 8

ქართულ წყაროებში უფრო ვრცლად აისახა ელენე დედოფლისა და ნინოს ურთიერთობა. მას მერე, რაც კონსტანტინე კეისარმა ქრისტიანობა მიიღო, ელენე დედოფალი იერუსალიმს გაემგზავრა უფლის ღვრის ძებნად. როგორც „გამოჩინებაჲ ჯვარისაჲ“ გვიამბობს, ელენემ მართლაც იპოვნა ის ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს და გახდა პატიოსანი ჯვრის მფლობელი. სწორედ ამ ამბების დროს შეხვდნენ ერთმანეთს ნინო და ელენე. დედოფალს მოეწონა ტყვე ქალი. შეეყვარა იგი და საქართველოში გამოაგზავნა ქრისტიანობის საქადაგებლად. ნინომ პირნათლად შეისრულა ეს მისია. როცა ნინომ მეფე მირიანი და დედოფალი, ნანა დაარწმუნა, ქრისტიანობა უნდა იქმნათო, ეკლესიები ააშენა, ელენე დედოფალსა და იმპერატორ კონსტანტინეს წერილი აახლა და მღვდლები ითხოვა. საქართველოს გაქრისტიანება ფრიად ვაუხარდათ ელენესა და კონსტანტინეს. საქართველოში მღვდლებიც გამოგზავნეს და ელენე დედოფალმა მათ ორი წერილიც გამოატანა. ამ წერილებში იმპერატორისამ „სანატრელ უწოდა დედოფალსა ნანას, ხოლო ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედოფლად და თჳსსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“. 10

ასე უკავშირდება ელენე დედოფალი ნინო განმანათლებელსა და ქართულ ქრისტიანობას. ჰიმნის ავტორი აღტაცებულია, რომ ქართული ქრისტიანობის ერთერთი მოთავე უფლის ღვრის მფლობელი დედოფალია. ეს პიროვნება კი ნინოს თვისს სწორს და მოციქულთა სწორს უწოდებს. ამიტომ არიან ნინო და ელენე დები. ამრიგად, მარიამ-მართასა და ელენე-ნინოს ანალოგია ასეთ სახეს იღებს: ქრისტე მეგობარია ლაზარესი: „ამის შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა. ქრისტე ქართული ენის მეგობარად არის: „და მეგობარობდა ამისთვის თქუა“... ლაზარეს ორი დაჲ ჰყავს. ქართულ ენას ორი დაჲ ჰყავს. ეს ერთო ნიშნები ჰიმნის ავტორს უფლებას აძლევს ქართულ ენას ლაზარე უწოდოს.

ქართული ენის განდიდება „ქებაშიში“ მართკორედენ პანეგირიული შინაარსი არა აქვს. იგი ემსახურება რწმენის, სიმტკიცის, მომავლის იმედის აღდგენას. როგორც ჩანს, ჰიმნი ეროვნული და პოლიტიკური კრიზისის ეპოქაში იწერებოდა. ჰიმნს ერთგვარი კამათის, პაექრობის ელფეირიც დაჰკრავს. ერთი შეხედვით, ეს უკანაური და უსაბუთო აზრია. მაგრამ იგი მათქმებინა სტრუქტურაში:

„და მეგობრობდა ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა ექუდარი ამისთვის

თქუა დავით წინასწარმეტყველმაჲ, ვინაჲსაჲ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე.“

აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები არაზუსტად არის ციტირებული. 89-ე ფსალმუნში ასეა ნათქვამი: „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუათაჲ შენთა, უფალთ, ვითარცა გუმინდელი დღე, რომელი წარქდა და ვითარცა სასუმილაი ერთი დამესა შინა“. 11 რა, თვითნებურად დაამახინჯა ჰიმნის ავტორმა დავით წინასწარმეტყველის სიტყვები თუ რაღაც მისხს აქვს ამას? „ქებაში“ ავტორი იმეორებს ფიხან მუნის ლექსის პეტრე მოციქულისებულ პერიფრაზას: „ერთიშეცა ესე ნუ დაგავიწყდების, საყუარელთა, რამეთუ ერთი დღე უფლისა მიერ ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ (კათოლიკე ეპისტოლე წმინდისა მოციქულისა პეტრესი მიერე, თავი მესამე, მუხლი მერვე).

სად და რა პირობებში გაიხსენა პეტრე მოციქულმა დავით წინასწარმეტყველის სიტყვები? მერე კათოლიკე ეპისტოლელი პეტრე მოციქული აფრთხილებს მორწმუნეებს, ყური არ უგდოთო ურწმუნოთ. გაჩენილან მეციცხვიარნო, რომელნიც გულისთქმას აყოლილნი ცინიურად ახედებებუნო, სად არის აღთქმული მითრად მოსელა? შექმნის დღიდან დღემდე ხომ ყველაფერი უტევსლად არსებობსო? „და იტყუოდინან: სადა არს აღთქმაჲ იგი მოსლვისა მისისაჲ? რამეთუ ვინაჲთგან მამათა შეისუენეს. ყოველივე ესრეთ ჰვიეს დასაბამითგან დაბადებისაჲთ. აი, ამ ურწმუნოებას და მოუთმენართ ეუბნება პეტრე, უფლის ერთი დღე ათას წელს უდრისო. ამიტომ მოითმენება იქონიეთ და უღებება უფლის დღეცო. აღთქმის ასრულებას არ აყოვნებს ღმერთი, როგორც ეს ზოგიერთს ჰკონიაო. ჭე იცდისო თქვენსავე სასიკეთოდ, რამეთუ არ სურს არავის წარწყმედა. უნდა ყველამ მოინანიოს და მიეცესო საშუალება სასუფიველის დამკვიდრებისა. „არა ყოვნის უფალმან აღთქმისა მისგან, ვითარ — იგი ვეთმე და ყოვნებულად შეურაცხები, არამედ სულ-გრძელ არს თქუენთვის, რამეთუ არავის ჰნებავს წარწყმედაჲ, არამედ ყოველთა სინანულად მოსლგა“.

პეტრე მოციქულის დაზად, დავით წინასწარმეტყველის სიტყვების გახსენებით, „ქებაში“ ავტორიც მოუწოდებს ქართველ ურწმუნოებას: ქართული ენის აღორძინების დღეც დადგება, ოღონდ მოთმინებით უნდა ველოდოთ ამ დროს და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღმერთისათვის (ე. ი. მარადისობისათვის) ათასი წელი ერთი დღეა.

ქართველი ავტორი ამით არ კმაყოფილდება და დავით წინასწარმეტყველისებულ ლთაებრივი წულთაღრიცხვის განმარტებას სხვა მიზნითაც იხსენებს.

„და ხსარებასა შინა ქართულსა თავსა ხო-



ლო მათშია წილი ზის, რომელ ასოა არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარავსა. და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მქედარი...
 მათეს სახარება მართლაც ასე იწყება: „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისა“. მაგრამ ამ სტრიქონებს არაფერი აქვთ საერთო „ქებასა“ შინაარსთან. წილის ფართულ აზრს პავლე ინგოროყვაძე მიჰქვიცა ყუბრადღე და აღნიშნა, რომ „ავტორი ასეთსავე მისტრიტურ ჩვენებას ჰხედავს ქართული სახარების დასაწყისში; მხოლოდ ქართული სახარების თავშია წარწერილი ასო წ (წილი)“; „წ“ როგორც რიცხვი ნიშნავს ოთხი-ათასს. და რადგან საღმრთო წერილის სიტყვით — „წილი ათასი ვითარცა ერთი დღე“, მასთანადამე-ასო „წ“ (ე. ი. ოთხი ათასი) აქ ნიშნავს ოთხ დღეს; აქ არის დაფურული აზრი: იგი აღნიშნავს ლაზარეს, ოთხ დღის მძინარეს საფლავში და „ოთხისა დღისა მკვდარს...“¹² პავლე ინგოროყვაძე მართლაცაა: წილით „ქებასა“ ავტორი ისევ ლაზარეს გვასწავს. მაგრამ რა აზრი აქვს ოთხს და რაღა მინდობა მეთვთავე მეთვთავე აღდა ლაზარე? საქმე ის გახლავთ, რომ შესაძლებელია აღდგომის დღეა, ხოლო მეთვთავე დღე იმათი, ვინც ნათლისღებით უფალთან არის დაფურული. ყური დაუგდეთ, რას ამბობს თავად ქრისტე: „და მოკლან იგი (იესო — ა. ბ.), და შესამუაა დღესა აღდგეს“ (მათეს სახარება, თავი 17, მუსლი 23). შესაძლებელია აღორძინებული ღმერთი მეთვთავე დღეს აღადგინს მართალთა და მორწმუნეთა, „რამეთუ საგზავი ცოდვისაჲ სიკვდილი არს, ხოლო ნიჭი ღმრთისაჲ — ცხოვრება საუკუნო ქრისტეს იესოჲს მიერ უფლისა ჩვენისა“ (რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმინდა მოციქულისა პავლესი, თავი 6, მუსლი 23).

აქამდე ავად თუ კარვად გავიგებთ ჰიმნის სახეების ქვეტექსტი. მაგრამ ახლა მივადექი სტრიქონს, რომლის შინაარსი შეიძლება ბევრად დაბეჭდილი საიდუმლო აღმოჩნდა ჩემთვის.
 „და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა. და სასწულად (=ნიშნად) ესე აქუს: ოთხმოც და ათოთხმეტი წელი უმეტესა სხუთა ენათა ქრისტეს მოსლვითან ვიდრე დღესამომდე“.
 ჩემი დაკვირვებით, ჰიმნში რიცხვები ქარაგმულად აღნიშნავს სახარების ამა თუ იმ იგავს. ოთხი გვახსენებს ლაზარეს ამბავს, ერთი და ათასი — პეტრე მოციქულის ქადაგებას ურწმუნოთა და უნდოთა წინააღმდეგ, ოთხი ათასი ისევ ლაზარესთან გვაბრუნებს და ასე შემდეგ, რას უთითებს 94? კითხვა კითხვადვე რჩება.
 ალექსანდრე ცაგარელმა მაშინვე ეკვს თვალთ შეხედა ოთხმოცდაათოთხმეტს და გვერდით გაკვირვების ნიშანი მოუსვა. «Преимущество грузинского языка перед прочими язы-

ками писец видит в том, что грузинское летоисчисление продолжительнее летоисчисления других народов (греков) на 94 (Sin.)».¹³ ამით დაქაყმუნდა ალექსანდრე ცაგარელი და მისი ასწავნა-განმარტება აღარ უქდება. კონკრეტული კვლევა არ შეგებო ოთხმოცდაათოთხმეტის საკითხს. პავლე ინგოროყვაძე 1924 წელს არ დაუუკვებია ოთხმოცდაათოთხმეტს: „დასასრულ მისტიურ ჩვენებას ქართული ენის უპირატესობის შესახებ ავტორი ჰხედავს აკრებულ იმში, რომ ქართული წელთ-აღრიცხვა წინ უსწრებს ბერძნულს ოთხმოცდაათოთხმეტი წლით“, წერდა იგი.¹⁴

მაგრამ საქმე ასე არ არის. ჯერ ერთი, ჰიმნში ლაზარეა სხვა დღეებზე („უმეტეს სხუთა ენათა“) და არა მარტო ბერძნულზე; მეორეც, არცერთ ოფიციალურ წელთაღრიცხვას ქართული წინ არ უსწრებს ოთხმოცდაათოთხმეტით. ეგვიპტე კასარელის წელთაღრიცხვას ქართული აღემატება 406 წლით (5604-5198-406), პანდორე ალექსანდრიელისას — 112 წლით (5604-5492-112), ანთანე ალექსანდრიელისა და იულიოს აფრიკელისას — 104 წლით (5604-5500-104), ბიზანტიურს — 96 წლით (5604-5508-96); მესამეც, ჰიმნში ლაზარეა წელთაღრიცხვებზე არა ქვეყნის დასაბამითან, არამედ ქრისტეს მოსლვითან („ოთხმოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუთა ენათა ქრისტეს მოსლვითან ვიდრე დღესამომდე“).

თუნდაც დავუშვათ, რომ ქართული წელთაღრიცხვა მართლაც აღემატება რომელიმე წელთაღრიცხვას 94 წლით. მერე რა — რას ნიშნავს ეს, რატომ არის იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი, ქარაგმულად რას გვეუბნება ეს ფაქტი? პასუხი არ ჩანს. ალბათ იმან დააფორმა პავლე ინგოროყვაძე „ქებასა“. ახალ გამოცემაში 94 შეაკვლევინა 104-ით. ე. ი. იმ რიცხვით, რითაც სხვაობს ქართული და ანთანე ალექსანდრიელისა და იულიოს აფრიკელის წელთაღრიცხვანი.

„და სასწულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტეს სხუთა ენათა ქრისტეს მოსლვითან ვიდრე დღესამომდე“.¹⁵

პავლე ინგოროყვაძე ეს ასხნა იმით, რომ თითქოს ხელნაწერებში ეს ადგილი დაზიანებულია და ამდენად არსებობს სხვადასხვაგვარი წაკითხვის საშუალება.¹⁶ მაგრამ ხელნაწერებში რომ ასო-ასო ვარკვეულად წერია 94 (Sin. 38, Sin. 6, Sin. 32/57) ამრიგად საეკვოა შესწორების ამგვარი ასხნა. თუმცა საერთოდ შეცდომა გამოირიცხება არ არის, რადგან მხსნაკალა

აპაპი ბაპრაძე
 „მეზა და დიღობა

იოანე-ზოსიმე ვერ ყოფილა ჩინებული მოქართულე. კორნელი კეკელიძე წერს: „არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამასთანავე ისიც, რომ იოანე არ ყოფილა მაინცდამაინც ღრმად მცოდნე მისგან შექმებული ქართული ენისა: კლასიკური ნორმები ძველი ქართული ენისა მის მიერ გადაწერილ ძეგლებში საქმოდ შერყენილია: ტექსტი საესევა სხვადასხვაგვარი ვულგაროზიზმებითა სიტყვებითა ხშირად დამახინჯებულია: უქანასკნელი, შეიძლება, მისი თვალნახსი სიუსტიტოთა აიხსნებოდეს: ალბათ, გადაწერილის ის კარგად ვერ არჩევდა ტექსტს და ერთი სიტყვის არ ასოს მაგიერ მეორესა წერდა“.¹⁷

მართალია, ხელნაწერები არ იმდენა უფლებას შეეცვალოთ ოთხმოცდაათოთხმეტი ასოთხით, მაგრამ შეიძლება პავლე ინგოროყვა მაინც მართალი იყოს. არის შემთხვევები, როცა ინტელიცითა სჭობნის ფაქტს. ისიც ხდება: ინტელიცითი მიგნებულს მოკვირად ვერ დასაბუთებ. მაგრამ ამას გამო ინტელიცით ნაპოვნი ღირებულებას არ კარგავს. ამას იმტობო მოგახსენებთ, რომ 104-ს დიდი მცოდნეებილი ძალა აქვს. იგი მოგვანიშნებს მათეს სახარების ერთ იგავზე. მათეს სახარების მე-20 თავი გვიამბობს: ცის სასუფეველი ჰგავს სახლის პატრონს, სინამდლით რომ გამოვიდა მუშების დასაქირავებლად. მოვლამარავა მუშებს, დღემ ერთ ღრპაკანს მოგცემით და ვენახში გავზავნა სამუშაოდ. სამ საათზე გამოვიდა იგი და უქმად მღვარი აღამიანები დაინახა. მათაც უთხრა, წადით, იმუშავეთ ჩემ ვენახში და რაც სამართლიანად გერგებთ, მიიღებთ, ასე მოიქცა სახლის პატრონი ექვს. ცხრა და თერთმეტ საათზე ვინც უსაქმოდ ნახა, ყველა თავის ვენახში გავზავნა სამუშაოდ და უსაფერის ქირას შეპირდა. როცა დაღამდა, ვენახის პატრონმა მოუხმო, ეთსომოდვარს და უთხრა: მოუხმე მუშებს და ყველას მიეცე ქირის ფული, ოღონდ უქანასკნელით დაიწყე და პირველით დაამთავრეო. 11 საათზე მოსულმა დრაჰკანი მიიღო. ისზე მოსულთ ეგონათ, რაკი აღერ მოკედით, მეტ ფულს მივიღებთო, მაგრამ მათაც თითო დრაჰკანი ერგათ. იწყინეს ეს პირველებმა და ვენახის პატრონს შესჩივლეს: უქანასკნელ მოსულნი სულ ერთ საათს მუშაობდნენ და ისინი ჩვენ გავითანაბრე, ვინც მთელი დღე ვიმუშავეთ, სიცხე და ჭავა გადავიტანეთო. ვენახის პატრონმა მიუთხრო ერთ-ერთ მათგანს: მე არ მიწყენინებია შენთვის. მე ხომ მხოლოდ ერთი დრაჰკანი შეგპირდი მიიღე შენი და წადი. მე მსურს ამ უქანასკნელსაც ის მიეცე, რაც შენ. ნუთუ შემი ვენახის პატრონ-პატრონი არა ვარ? თუ შენ შურით აღივსე ჩემი სიკეთის გამო? იცოდ, „ესა რით იყვენ წინანი და უქანანი და უქანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მიერედნი რჩეულ“.

მათეს სახარების ამ იგავს IV საუკუნის სა-

ეკლესიო მოღვაწე ჰილარიუს პიკტავიელი ასე განმარტავდა: კაცობრიობას იმდენჯერ შეეძლება ღმერთმა აღტყმა, რამდენჯერაც ვენახში პატრონი გამოვიდა მუშების დასაქირავებლად. პირველი საათი ნიშნავს ნოესაღმ მიცემულ აღტყმას, მესამე — აბრამისაღმ, მეექვსე — მოსესაღმ, მეცხრე — დავითისა და წინასწარმეტყველებისაღმ, მეთერთმეტე კი გვაუწყებს ქრისტეს მოვლანებს, ჰილარიუს პიკტავიელი აზრით, სამყაროს არსებობის დრო უნდა დიუყოს 12 ნაწილად შესაბამისად დღის 12 საათისა. თითოეული ნაწილი კი 500 წელს შეესაბამება. ამრიგად, სამყაროს არსებობა ამ წულთაღრიცხვით ითვლის 6000 წელს (500×12=6000)¹⁸, რაკი სახარების იგავი მეთერთმეტე საათი აღნიშნავს ქრისტეს მოვლანებს, მაშინ, ჰილარიუსის თანახმად, იესო დაბადებულა 5500 წელს (500×11=5500). ქართული წულთაღრიცხვით კი ქრისტემდე სამყარო არსებობდა 5604 წელიწადს. 5604 კი სწორედ 104-ით აღემატება ჰილარიუსის გამოანგარიშებულ თარიღს (5634-5500=104). თუ ასეა, მაშინ 104 ქარავმულად გულსხმობს ვენახის პატრონის იგავს. იგავი კი დამცირებულთა და უქანასკნელთა აღუქვებას გვპირდება. უქანასკნელი პირველნი იქნებიანო, გვანუტყვებს იგი. „ქებაჲს“ ავტორიც ხომ ამას ამბობს: მართალია, დამცირებულნი და დავიწყებულნი ქართული ენა, მაგრამ პირველი იქნება. მეორედ მოსვლის ქამს ღმერთი ამ ერთ იმეტყველებს. ე. ი. ქართულად უქანასკნელიდან პირველი გახდება. ამას ისიც უნდა დაემატათ, რომ ჰილარიუსის აზრით, იგავში მოხსენებული უქანასკნელი, რომელიც პირველი შეიქმნება, ქრისტეა. ჰომის თანახმად კი დაწუნებულნი ქართული პირველი იმტობო გახდება, რომ იგი (ქართული) ქრისტეს ენაა.

შეიძლება ყველაფერი ეს ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ თავი შემოიძლია იმით დავიმშვიდო, რომ ჰუმარიტებისაყენ მიმავალი ასე გზიდან ერთი უღვარისი აღმოჩნდა. ესეც საქმეა, რაკი სხვები ამ მცდარი გზით არ ივლიან და ოთხმოცდაათოთხმეტის სიღმელოს ამოსახსნელად უფრო უტყუარ გასაღებს მოძებნიან.

მაშინდელი საქართველოს მესვეურებს ერთ-ვეული და პოლიტიკური აღორძინების აუცილებელ ფაქტორად ქართული ენა მიიჩნდათ. ამას უთუოდ და უთუმცოდ აღსტურებს გიორგი მერჩულეს ფორმულა — „ქართლად ფრიადი უტყუარაჲ აღორძინების, რომლისაცა შინა ქართულითა ენითა ქამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღსტურების“. ქართულმა ენამ საქართველოს ერთგულ ერთიანობის ბურჯის როლი რომ წარმატებით შეასრულოს, უნდა იწამო მისი ღვეთებრივი ბუნება. ამ იღვეთ განმსკვალულია არა მარტო „ქებაჲ და ღიღებჲა ქართულისა ენისაჲ“, არამედ სხვა ნაწარმოებებიც. კერძოდ ამ აზრის ანარეკლია „შოი-

სა და ევგარეს ცხოვრებაშიც“ და „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაშიც“.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოქცევის ორასი წლის გასვლის მერ ზეგარდმო ბრძანებით ჩვენში 13 ასურელი მამა ჩამოვიდა. ეს ღვთისმშობელმა უბრძანა იოანეს, 12 კაცი შეკრიბე და საქართველოში წაიღო. იოანემ უთხრა მოწაფეებს, ყველა თქვენთაგანი სახელს ქალაქზე დაეწერ, ტრამეზზე დაედებ, ღამე ვედრებაში გავათიოთ და დილით, რასაც ღმერთი გვიჩვენს, იაე მოვიქცეთო. სამი დღეღამე ილოცეს, მესამე დღეს უსისხლო მსხვერპლი შესწარეს ღვთაებას, უამის წირვა აასრულეს, წმიდა საიდუმლოს ეზიარნენ და კირიელისონი თქვეს. მაშინ ღვთის ანგელოსმა აიღო საკურთხეველი და 12 ქალაღი და იოანეს მისცა. ქალაღზე ეწერა სახელები: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე. ეს ასურელი მამები საქართველოში გამოემგზავრნენ. როცა საქართველოს საზღვრებს მოაღწიეს, კათალიკოსს ევლავიოსს ღამით უფლის ანგელოსი ეჩვენა და უთხრა: ღვთის მონა იოანე მოწაფეებითურთ მოდის, შეეგებე და შეიწყნარეო. კათალიკოსი ევლავიოს ასურელ მამებს შეეგება. ევლავიოსი იოანეს ქედზე მოხეზა და კეთილად მოზრძანება უსურვა. სტუმარი მასპინძლის ფერხთით დაეკა და ღმერთს მადლობა შეწირა, კათალიკოსის თაყვანისცემის ღირსი რომ გახდა. იოანესა და ევლავიოსს შორის საუბარი ქართულად მიმდინარეობდა. ამის გამო „ცხოვრების“ ავ-

ტორი გაკვირვებელი ამბობს: „ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოფილა და უბრალოდ ელაპარაკებელი“. თვადვე იძლევა პასუხს: „ემა, საკვრველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ აიღებ მაღიდებელთა შენთა“. 19 ქრისტეს შთავგონებით ქართულად ამეტყველდა კაცი, რომელსაც ქართული „არცა ოღეს ასმიოდა, არ თუ ესწავა“.

ასევე ღვთის შთავგონებით ალაპარაკდა ქართულად ექვთიმეც. მართალია, იგი ქართველი იყო, მაგრამ საბერძნეთში ხანგრძლივიად ყოფნის გამო თითქმის გადავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა და უჭირდა ქართულად საუბარი („მინად უბნობნ ქართულად...“). ერთხელ ექვთიმე მძიმედ ავად იყო. ავადმყოფს ღვთისმშობელი ეჩვენა და ჰკითხა: რა გტყვი, ექვთიმე? ავადმყოფმა უპასუხა: ვკვდები, დედოფალიო. მაშინ ღვთისმშობელმა ანუგეზა იგი: „არააჲ არს ენებაჲ შენ თანა, აღდებ, ნუ გეშინინ და ქართულად კსნილად უბნობდი“. ამ სიტყვების მერ ექვთიმე არა მარტო სრულიად განიკურნა, არამედ დიდებული ქართულშიაც ამეტყველდა: „მეირთვან დაუყენებლად, ვითარცა წყაროა აღმოდინ უწყმიდეს ყოველთა ქართველთასა“. 20

ასე მუსავდება არაბობის შემდეგ, ერთობლივი საქართველოს აღდგენის პერიოდში, ერთიანი და სერთო აზრი ქართული ენის ღვთაებრივი ბუნების შესახებ. ეს იღეა კი ყველაზე სრულად დამოხატული პიზნით „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

დამოწმებული ლიტერატურა

- 1 Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I, 1888 г., ст. 203—204.
- კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 წ., გვ. 147-148.
3. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. III, 1965 წ., გვ. 594.
- 2 პ. ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 211.
- 3 „კავკასიონი“, 1924 წ., № 1-2, გვ. 268.
- 4 კ. კეკელიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 147.
- 5 „კავკასიონი“, 1924 წ., № 1-2, გვ. 268.
- 6 პ. ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 594.
- 7 „გეორგიკა“, ტ. IV, ნაკვ. II, 1952 წ., გვ. 317.
- 8 იქვე, გვ. 311.
- 9 „სინური მრავალთავი“, 1959 წ.
- 10 „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტე-

- რატურის ძეგლები“, წიგნი I, 1964 წ., გვ. 83-85.
- 11 ფსალმუნნი, მ. შანიძის გამოცემა, 1960 წ.
- 12 „კავკასიონი“, 1924 წ., № 1-2, გვ. 268.
- 13 Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I, 1888 г., ст. 204.
- 14 „კავკასიონი“, 1924 წ., № 1-2, გვ. 268.
- 15 პ. ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 212.
- 16 იქვე, გვ. 213, 214.
- 17 კ. კეკელიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 148.
- 18 Богославские труды, 1968 წ., № 4. პროფ. ი. პოპოვის წერილი ჰილარიუს ბიქტავიელის შესახებ.
- 19 „სურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, 1955 წ., გვ. 82.
- 20 „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი II, 1967 წ., გვ. 61.





გაკიერ კვაჭილაშვილი

კომენტარი ზედეები არ არის

„მაინეს“ 1970 წლის მესამე წიგნში დაიბეჭდა ლ. ნანიტაშვილის წერილი — „სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი (1906—1910 წლებში)“. ავტორი განიხილავს დასაყვებელი პირის ჟურნალისტურ ნოღაქოქს ღ., ამასთანავე, ეხება სხვა პიროვნებებსაც, ყერძოდ, მ. ჭავახიშვილს. ლ. ნანიტაშვილის აზრით, მ. ჭავახიშვილი არ ყოფილა გაზეთ „გლეხის“ ფაქტიური რედაქტორ-გამომცემელი, მკვლევარები მას ამ საქმეს შეედიომით მიაწერენ. უფრო მეტიც, მ. ჭავახიშვილი არ ყოფილა „გლეხში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების ავტორი, ისინი ს. ფირცხალავას ეკუთვნისო. ლ. ნანიტაშვილი თავის სტატიას ამთავრებს გამარჯვებით გათამამებული კაცის ტონით: „ეფექტობოთ, კომენტარები ზედმეტია“. ვნახოთ, მართლა ზედმეტია კომენტარები?

მ. ჭავახიშვილს გაზეთ „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემლად ასახელებს ბევერი ჭართვეელი მკვლევარი — გიორგი ჯიბლაძე, შალვა რადიანი, დიმიტრი ბენაშვილი, გრიგოლ კაკიაშვილი, ჩვენ და სხვ. ასე რომ ეს აზრი საყოველთაოდ ცნობილი იყო და არის. მაგრამ დასახელებულ ავტორებს და, მითთან ერთად, ჩვენც მ. ჭავახიშვილის „ფიქტიურობა“ ან „ფაქტიურობა“ არსად გვისხედავს, რადგან ვეულისხმობდით, რომ ის იყო ნამდვილი რედაქტორი და არა მიჩვენებითი. ადრე ეს საკითხი სადავოდ არავის მიუჩენია და ამიტომ ჩვენც მტკიცებას არ შევდგომივართ, მაგრამ რაკი ახლა სადავოდ ხდინან, იძულებული ვხდებით ვამტკიცოთ.

ლ. ნანიტაშვილი თავის სტატიას იწყებს ა. აბრამიშვილის მიერ 1968 წელს გამოცემულ წიგნის („Грузинская периодика“ 1819—1917) წინასიტყვაობის დამოწმებით. იქ სწორად წერია, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც და სხვაგანაც,

ცენტურის თვალის ასახვევად, ჟურნალ-გაზეთების ფიქტიურ რედაქტორებად ხშირად იწვევდნენ შემთხვევით პირებს, რომელთაც ჟურნალისტიკასთან და ლიტერატურასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. როგორც ვთქვით, ეს დებულება სწორია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი ა. აბრამიშვილის აზრი არაა. ამიტომ მისი დამოწმება ზედმეტია. მთავარი მაინც ეს არაა. მთავარია ლ. ნანიტაშვილის მიერ ამ დებულების გამოყენების ხერხი, გნებათ, ტონი. „წინასიტყვაობიდან“ ლ. ნანიტაშვილს დიდი ამონაწერი მოაქვს. ჩვენ მხოლოდ პატარა ნაწყვეტს დავჭერდებით, რადგან ამით არაფერი იცვლება.

«...Нередко с такой же целью редакторами-издателями были подставные лица-сапожники, пекари и др...»

(მაცნე № 3, 1970 წ. გვ. 115). ციტატას რომ ამთავრებს, ლ. ნანიტაშვილი წერს: „ამ წინასიტყვაობიდან გამომდინარე, გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ 1906—1910 წლების რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის, კერძოდ, „გლეხის“, „მეწის“, „შხისა და ფასკენჯის“ რედაქტორ-გამომცემლებზე“. (იქვე) შევძევ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მ. ჭავახიშვილი იყო „გლეხის“ ფიქტიური რედაქტორი.

კირ ერიო, უხერხულია, ა. აბრამიშვილის ზოგადად სწორი აზრი კონკრეტულად მ. ჭავახიშვილს მიუყენოთ, რადგან იგი, როგორც ცნობილია, 1903, 1904, 1905 და 1906 წლებში უვეც ძალზე ცნობილი და მებრძოლი ჟურნალისტი იყო, გაზეთ „შრომის“, „ცნობის ფურცლისა“ და „ივერიის“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თანამშრომელი გახლდათ. უფრო მეტიც, ერთხანს (1904 წ.) იგი „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორიც კი იყო. ამაზე თვითონ მ. ჭავახიშვილი წერს: „...1904 წ. „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი გავხდი.



ოფიციალური რედაქტორი გ. ყიფშიძე ბანკნი მუშაობდა და თავის გაზეთს უკვე დაბეჭდილს კითხულობდა...¹ ცხადია, ასეთი პირი არ შეიძლება გამხდარიყო რომელიმე გაზეთის რედაქტორის «Подставное лицо», რადგან იგი არ იყო არც ხარაზი და არც ხაზაზი... აქ მ. ჭავჭავაძე იმ წლების შესახებ წერდა, რომ ყურნალისტიკაში მოღვაწეობდა ძალზე გამოცედა და იმ წლებში მხოლოდ მ მოთხრობის ფაქტს შეეძლო, მიეღო დრო ყურნალისტიკას მიჰქონდა. საკითხავია, ცნობილი და აქტიური ყურნალისტი მ. ჭავჭავაძე იყო, რომლის მოთხრობები და წერილები მანინე გამხდურად, რატომ უნდა გამხდარიყო გაზეთ «გლეხის» ფიქტიური რედაქტორი-გამოცემელი? ორი წლით ადრე ადამიანი, ივერიის² ფიქტიური რედაქტორიც კი იყო და მერე «გლეხს» ვეღარ გაუძღვებოდა? ეფიქრობთ, ეს კითხვა ლ. ნანიტაშვილსაც უნდა დაბაძვობო.

სტატიის ავტორი ჩვენ ვეცნაყვედურებს, რომ: «ტ. კენჭილაშვილს ნაშრომზე მუშაობისას ვამოყენებულ აქვს, გ. ბაქრაძის «ერთი პერიოდის ბიბლიოგრაფია», მაგრამ უყურადღებოდ სტოვებს მ. ადამაშვილის გვერდით გ. ბაქრაძის მიერ ნამდვილი რედაქტორად მოხსენებულ სამსონ ფირცხალავას...» («მაცნე» № 3, 1970 წ. გვ. 117). მართლაც, გ. ბაქრაძეს თავისი «ბიბლიოგრაფიაში» «გლეხის» ნამდვილ რედაქტორად ნახსენები ჰყავს სამსონ ფირცხალავა, მაგრამ ჩვენ ეს აზრი არ გავიზიარებთ, რადგან, მიუხედავად დიდად დამსახურებისა, გ. ბაქრაძეს ამ წიგნში აქვს სხვა ხარეუბები და უსწორობანი. მაგალითად, «გლეხის» უშუალო გაგრძელება «მიწას» გამოსვლას ის წყვეტს 1907 წელს, სინამდვილეში კი 1908 წელს ამ გაზეთის კიდევ ორი ნომერი გამოვიდა. ამაზე ა. აბრამიშვილი წერს:

В библиографии Г. А. Баградзе не указаны номера за 1908 г. Это привело его к ошибочному заключению, что газета была прекращена в 1907 г. и продолжением ее было «Ахали кvekana», выходящая в 1907-8 гг. Фактически «Ахали кvekana» прекратилась раньше, чем «Мица».¹

უფრო მეტიც, ზოგი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი ორგანო გ. ბაქრაძის «ბიბლიოგრაფიაში» საერთოდ არა არის შეტანილი. ამის მიუხედავად, წიგნის ავტორი დიდი მადლობის ღირსია. ჩვენ ვიცოდით, რომ გ. ბაქრაძის წიგნს ჰქონდა ხარეუბები და ყველაფერს ვერ დავუჯერებდით, მით უმეტეს, რომ ხელთ გვქონდა სხვა წიგნები საბუთები. ერთი სიტყვით, გ.

ბაქრაძის წიგნის შენიშვნა უყურადღებოდ არ დავვიტოვებთ, არამედ არ გავიზიარებთ, თუმცა არც გამოვადებებართ ავტორისადმი მორიდების გამო.

ლ. ნანიტაშვილს გადაწყვეტილი აქვს, რადაც არ უნდა დუჯდეს, დაამტიკოს, რომ «გლეხის» ფიქტიური რედაქტორი მაინცდამაინც ს. ფირცხალავა იყო, ხოლო მ. ჭავჭავაძე იგი — ფიქტიური. რას ემყარება ეს მტკიცება? «მიცნე» სტატიის ავტორს ჯერ მოაქვს თბილისის ეანდარმერიის სამმართველოს ერთი საბუთი, რომელშიც წერია:

«В 1906 году он (ჭავჭავაძე — ლ. ნ.) издавал в Тифлисе еженедельный журнал «Глехи» (крестьянин), причем № 1 означенного журнала вышел 22 июня, а в половине сентября за революционное направление журнал был закрыт, а Джавахов был привлечен к ответственности по 129 ст. уг. улож., но скрылся и до 1907 г. жил в Тифлисе, а затем выехал за границу».

(«მაცნე», გვ. 116). ამ საბუთის მიხედვით ცხადი ხდება, რომ «გლეხი» გამოუცია მ. ჭავჭავაძე, მაგრამ ლ. ნანიტაშვილს ეს ხელს არ აძლევს და ამიტომ ამ აზრს შემდეგნაირად ზღნის: «იმევე წლის ივნისში დავით ნახუციურიშვილმა, ჯერ კიდევ გაზეთის გამოსვლამდე, სთანადო ნებართვით რედაქტორობა გადასცა მიხეილ ადამაშვილს (ჭავჭავაძის)». იქვე, მესამე სტოლოში ლ. ნანიტაშვილი განმარტავს, რომ «ს. ფირცხალავა 1905 წ. 30. XII დან 1906 წ. 10. II-მდე დაპატიმრებული იყო და, ბუნებრივად, გაზეთის გამოცემის ნებართვას ვერ მიიღებდა (ლ. ნ.)». («მაცნე» № 3, 1970 წ. გვ. 116) მაგრამ ეს განმარტება საქმეს ვერ უნდა შეელოდეს, რადგან ს. ფირცხალავა თებერვლამდე ყოფილა დაპატიმრებული, ხოლო მ. ჭავჭავაძე ითხო თვის ზემდეც, ე. ი. ივნისში მიიღო «გლეხის» გამოცემის უფლება, როცა ს. ფირცხალავა უკვე თავისუფალი იყო, ე. ი. დაპატიმრება ხელს ვეღარ შეუშლიდა. მაშინ რატომ მას არ გადასცეს გაზეთის გამოცემის ნებართვა? ორში, ერთი: ან სტოლოში მოცემული განმარტება არაღმარებელია, ანდა საკითხი სრულიად სხვაგვარად უნდა აისინას. ეს საბუთიც ხომ მ. ჭავჭავაძის ასახელებს გამოცემლად. მაგრამ აქაც სიტყვა «ფიქტიური» არ არის ნახმარი, ხოლო ნანიტაშვილს სჭირდება ასეთი საბუთი, სადაც ეს სანატრელი სიტყვა გამოერება.

¹ А. Абрамишвили, «Грузинская периодика», Тбилиси, 1968 г., стр. 79.

ბარილ კვანცილაშვილი
კომენტარი ზეიშვიტს არ არის

¹ მ. ჭავჭავაძე, ტ. VI, 1964 წ., გვ. 483.

ასეთი საბუთიც აღმოჩნდა. ეს არის მ. ჯავახიშვილის ჩვენება, რომელიც მას მიუცია ხელისუფალთა წარმომადგენლისათვის: „...Я был только фиктивным редактором означенной газеты («გლეხი» — л. 5.) в редактировании которой я не принимал решительно никакого участия и не мог принимать, так как за время всей моей литературной деятельности, считая и время издания газеты «Глехи» я состоял одним из главных сотрудников самой умеренной из всех когда-либо существовавших на грузинском языке газет «Иверия»... Думаю, что одновременно я не мог работать в двух противоположных по направлению газетах...» («მოცემა» № 3, 1970 წ., გვ. 119. განა შეიძლება ამ ჩვენებას დავეყაროთ? რომელი ექვემდებარებული მისცემდა გულახველი ჩვენებას? ისინი ხომ ხელისუფალთა თვალისახვევას ცდილობდნენ ყოველთვის. გავისხენოთ თუნდაც 1832 წლის შეთქმულების მოწაწილთა ჩვენებები, განა მათ ყველაფერი ზუსტად უთხრებს ხელისუფალთ? ცნობილია, რომ ასეთი ჩვენებები გზის აბნევას, თავის დაქვემდებარებას ხელს და არა მარჯულთა თავის გაყოფას. მ. ჯავახიშვილის ეს ჩვენებაც ასე უნდა გავიგოთ.

გვაქვს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მ. ჯავახიშვილი „ფიქტიური“ არ იყო? უიკავებლად გვაქვს პირველ რიგში, უნდა დავანახოთ მ. ჯავახიშვილის ის წერილები, რომლებიც გაზეთ „გლეხში“ დაიბეჭდა, მაგრამ სანამ ამათ განვიხილავდეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ 1904, 1905, 1906 წლებში მ. ჯავახიშვილი გაზეთ „შრომისა“ „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“ აქვეყნებდა აუარებელ წერილს, რომელთა ცეცხლოვანი და შემტევი შინაარსი განცვიფრებას იწვევს, ამასთანავე ეს წერილები თემატიკით, სტილით, გზნებით — ყოველ მხრივ ძალზე ახლოს დგას „გლეხში“ დაბეჭდილ წერილებთან. ასე რომ „Самой умеренной“ გაზეთში თანამშრომლობა მ. ჯავახიშვილის ხელს არ უშლიდა ძალზე შემტევ გაზეთში ეთანამშრომლა. ანდა რა „ზომიერი“ იყო „ივერია“ 1905-1906 წლებში? ამ პერიოდში ეს გაზეთიც აშკარად იბრძოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ისეთი ფაქტით, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს.

„ჩვენება“ რომ განგებ აბნევს ხელისუფალთ და სიმატლეს არ შეიცავს, იქიდანაც ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილი სინამდვილეში არა მარტო დასახლებულ რამდენიმე გაზეთში ერთდროულად თანამშრომლობდა, არამედ კიდევ ერთი სხვა გაზეთის დაარსებასაც ცდილობდა. თუმცა ეს ცდა არ განხორციელდებულა, მაგრამ თვით ცდის ფაქტია საკულისხმო.

ლ. ნანიტაშვილი ამაზე არაფერს ამბობს, თუმცა ეს ფაქტი უნდა გაეთვალისწინებინათ მხედველობაში გვაქვს გაზეთ „გორუხის“ დაარსების ცდა. ამ საკითხზე საყურადღებო ცნობას ვეპყვდის დოქ. ნოდარ ტაბიძე, რომელიც თავის წერილში გვეუბნება, რომ საქ. ცენტრ. ისტ. არქივში მას მიუკვლევი ერთი საბუთი (წერილი საბუთი დასახლებულობის, რომლითაც ირკვევა, რომ მ. ჯავახიშვილს „1906 წლის 8 ივნისს განცხადებით მიემართავს თბილისის გუბერნატორისათვის და უთხოვნი ნებართვა, რომ თბილისში რუსულ ენაზე გამოეშვა ყოველდღიური გაზეთი „გორუხია“. ამ გაზეთის გამოცემის საკითხი დაღუბითად ვადაწყვეტილა, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი არ გამოსულა. ამის მიზეზად ნ. ტაბიძე თუმც „სიფრთხილით“, მაგრამ მზინდებდებდა ასახელებს: „...რედაქტორ-გამომცემლის უფლებათა შექმნის თაობაზე მოლაპარაკებას უარყოფდა დ. ნახუტრიშვილით და ამხადებდა კიდევ პირველი ნომრის მასალებს (ხაზი ჩვენია — ტ. კ.). ხელისუფლებამ და ნახუტრიშვილისა და მ. ჯავახიშვილის გარიგება 1906 წლის 21 ივნისს დაამტკიცა, მაშასადამე, მ. ჯავახიშვილმა უფრო ადრე მიიღო ქართული გაზეთის გამოცემის უფლება, ვიდრე რუსულისა, და 22 ივნისს დასტავა კიდევ პირველი ნომერი“. ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ნ. ტაბიძე ჯავახიშვილს მიიჩნევს „გლეხის“ ნამდვილ რედაქტორად, რადგან მასზე ამბობს, „ამხადებდა კიდევ პირველი ნომრის მასალებსო“, „დასტავა კიდევ პირველი ნომერი“ და ა. შ. ამას კი „ფიქტიური“ რედაქტორი არ იზამდა.

ცოტა ქვემოთ ნ. ტაბიძე წერს: „გლეხის“ გამოცემა ღირს შრომას მოითხოვდა. სარედაქციო მუშაობის მთელი სიმძიმე მ. ჯავახიშვილის მხრებზე გადადიოდა. ამიტომ მან ვერ მოახერხა „გორუხის“ გამოცემა. ორი გაზეთის ერთდროულად ხელმძღვანელობა მ. ჯავახიშვილს იმხანად ნამდვილად არ შეეძლო...“²

საინტერესოა ვიცოთხოთ, ლ. ნანიტაშვილმა ამ წერილს ვეგერი რად აუარა. აქ ხომ ნათლად ჩანს, რომ „სარედაქციო მუშაობის მთელი სიმძიმე მ. ჯავახიშვილის მხრებზე გადადიოდა“. განა ფიქტიური რედაქტორი თავს ასე დაიტვიტრავდა? საკითხისადმი ინტერესია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მოითხოვდა „მანენს“ ტატიის ავტორს ეს წერილი უყურადღებოდ არ დაეტოვებინა.

¹ გაზეთი „თბილისი“ № 123, 3 ივნისი, 1966 წ. ნ. ტაბიძე, „მ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის უცნობი ფურცელი“.

² გაზეთი „თბილისი“ № 113, 3 ივნისი, 1966 წ.



ლ. ნანიტაშვილი ემყარება ს. ფირცხალავას „ნოვონებთა ფურცლებს“, რომელიც ხელნაწერის სახით დატულია ლიტერატურის მუზეუმში. იგი ავტორს დაუწერია 1951 წელს და რამდენიმე რეველში გადაუთვრებია. ამ სახით მიუტანია და მუზეუმისათვის გადაუტანა შესანახად. იგი არასოდეს არსად გამოქვეყნებულა. ინახება ერთ ეგზემპლარად და მისი არსებობა მხოლოდ რამდენიმე კაცმა თუ იცის. აი აქედან მოაქვს „მაინეს“ სტატიის ავტორის ვრცელი ამონაწერები... ჩვენ მხოლოდ მთავარს ამოვიწერთ: „...რომ ცოტა დახმარება გამიწვია გლეხებისათვის და მიმეწოდებინა მდამბურ ხალხურ ენაზე საჭირო ცნობები, დავაარსე საგლეხო გაზეთი, სახელად „გლეხი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს“. აქ პირველ პირობა ნახმარი ზნა „დავთარსე“, ე. ი. ს. ფირცხალავა ამბობს, რომ მე დავაარსეო. „მოვონებთა ფურცლები“ შემდეგ გამოვეცემს გაზეთის შინაარსს და მერე ნათქვამია: „გლეხი“ გამოვიდა სულ შვიდი ნომერი. აღმინისტრაციამ დახურა და ათი დღის შემდეგ მე გამოვეცი საპაიეო რედაქტორი „მიწა“, რომლის მეთაური ამ სიტყვებით იწყებოდა: „ეიო გაზეთია „მიწა“? გლეხის, მიწისმუშა გლეხის...“ კიდევ მოვიტანე ერთ ამონაწერს იმ გრძელი ციტატებიდან: „გლუხ-მიწა“ რევოლუციის წარმოშობილი და სარევილუციო ორგანო იყო. ამ რევოლუციის 1904 წლიდან შენელება დაეტყო, რეაქცია გაძლიერდა: („მაინე“ № 3, 1970 წ. გვ. 122-123).

რა შვიდიღა ითქვას სამსონ ფირცხალავას „ნოვონებთა ფურცლებიდან“ მოტანილ ამ ამონაწერებზე?

პირველი ისაა, რომ ს. ფირცხალავა მ. ჯავახიშვილს არსად ასახელებს, არ ახსენებს. რატომ? აღსანიშნავია, რომ შემდეგ „მიწის“ გამოსვლის გამო მის ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემელს ასახელებს (ვრ. ტატიშვილი), რით უნდა აიხსნას ასეთი რამ? ჩვენაშორს, ამის ასხა ძნელი არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ „მოვონებთა ფურცლების“ დაწერის თარიღს (1951 წ.). მაშინ ხომ მ. ჯავახიშვილის ხსენება საერთოდ აკრძალული იყო. მუზეუმის თანაშრომელმა განაცხადა, რომ, იმდროინდელი წესის მიხედვით, თუ დოკუმენტში ნახსენები იქნებოდა აკრძალული გვარი, მუზეუმში დოკუმენტს არ მიიღებდა. იგულისხმება, რომ ს. ფირცხალავამ იცოდა ეს წესი, ან ვადაცეს ეს წესი და მოიქცა ამის შესაბამისად.

მეორე, ის გარემოება, რომ ს. ფირცხალავა ასახელებს „მიწისა“ და „მზის“ „ფიქტურ“ რედაქტორებს, ხოლო „გლეხის“ რედაქტორ მ. ჯავახიშვილს კი არა, ეგებ იმით აიხსენება,

რომ ს. ფირცხალავამ კარვად იცოდა, მ. ჯავახიშვილი „ფიქტური“ რომ არ ყოფილა? მესამე, ს. ფირცხალავას „მოვონებთა ფურცლებში“ შესამჩნევია სხვა შეცდომებიც, მაგალითად, ის ამბობს, რომ 1904 წლიდან რევოლუციის შენელება დაიწყო. ცნობილია, რომ ეს ასე არ ყოფილა. შესაძლოა, ყოველივე ეს აიხსნას იმ გარემოებით, რომ „ფურცლების“ დაწერისას მისი ავტორი უკვე საკმაოდ ხანდაზმული იყო და თანაც ჭანიტ ვატეხილი, რაც ემიგრაციაში ხანგრძლივმა ყოფნამ გამოიწვია.

რაც მთავარა, რატომ მაინცდამაინც უნდა დავუჭტორო ამ დოკუმენტს, რომელიც არსად დაბეჭდილა და თანაც ამდენ საეჭვოს შეიცავს, ხოლო საეჭვოთ უკუღმებუღვყოთ მ. ჯავახიშვილის ნათქვამი? იგი თავის „ავტობიოგრაფიაში“ ხომ ნათლად წერს (დაწერილია 1936 წ.). რომ გაზეთ „გლეხის“ რედაქტორი მე ვიყავიო. აი რა წერია ამ „ავტობიოგრაფიაში“: „—1906 წელს „გლეხის“ რედაქტორობისათვის სამართალში მიმიცეს. მე შევიცარიათ ვევიბარე“. ვანა აქ სადმე წერია ფიქტური რედაქტორობა?

არც ის უნდა დავევიწყდეს, რომ გაზეთ „გლეხის“ შვიდივე ნომერზე ხელს აწერს მ. აღამაშვილი (ე. ი. მ. ჯავახიშვილი) და არა ს. ფირცხალავა.

იქნებ ეს გარემოებანი არ კმარა? მაშინ მივმართო სხვა საბუთებს, რომლებიც ცნობებს გვაწვდიან გაზეთ „გლეხზე“.

გაზეთი „შრომა“ თავის 76-ე ნომერში (1906 წ. 8/21 ივლისს) წერდა: „6 ივლისს გენ. გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა კერძოული გაზეთი „გლეხი“, სტამბის ინსპექტორი მოვიდა „იდეალის“ სტამბაში, სადაც გაზეთი „გლეხი“ იმეჭდებოდა და მოითხოვა უკანასკნელი ნომრები...“ ეს ცნობა „შრომის“ მესამე გვერდზეა გაშვებული. იმავე გაზეთის იმავე ნომრის მეოთხე გვერდზე კი ვკითხულობთ პატარა შენიშვნას, რომლითაც ვიგებთ, რომ, საბედნიეროდ, „გლეხი“ მაშინ არ დაუხურავთ. ეს შენიშვნა გასლათ „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელსაც ხელს აწერს მ. აღამაშვილი. იგი წერს: „ნება მიბოძეთ თქვენს პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოეცხადო, რომ თბილისის გენ. გუბერნატორის დახურული გაზეთის „გლეხის“ რედაქცია ყოველ ღონეს მიიღებს და ხელის მომწერლებსა და მკითხველებს ასე თუ ისე დააკმაყოფილებს“. მართლაც, 13 ივლისს კვლავ გამოვიდა „გლეხი“ (№ 4). ე. ი. იკეტებოდა № 3-ის გა-

1 მ. ჯავახიშვილი, ტომი VI, 1964, წ. გვ. 487.

ბარბილ კვანაძე
კომენტარი ზედმიტომ არ არის

მო. საყურადღებოა, რომ ამ დღიდან „გლეხის“ რედაქცია აქტიურებს თავისი იდეების პროპაგანდას და გაზეთ „შრომაში“, 78-ე ნომრიდან მკაცრად აღიარებენ 96-ე ნომრამდე, თანმიმდევრულად თავსებებს განცხადებებს, რომელსაც ხელს აწერს „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელი მ. ალამაშვილი.

გაზეთი „შრომა“ მხოლოდ 1906 წ. 6 აგვისტოს, მეასე ნომერში ოფიციალურად აცხადებს: „გლეხის“ დაკეტვა. თბილისის სასამართლო პალატის პრაკტიკის დადგენილებით, სახალხო ყოველკვირეული გაზეთი „გლეხი“ შეჩერებულ იქნა საქმის გარჩევამდის. „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელს ბრალს სდებენ 128-ე და 129-ე მუხლის ძალით“. ხომ ცნობილია, რომ სწორედ ამ მუხლით მ. ჯავახიშვილი მის-სეპსის პასუხისმგებელი და რომ არ მიმალულიყო, მაკერი სასჯელი ელოდა.

ვფიქრობთ, „შრომაში“ მოთავსებული ყველა ცნობა, რაც აქ მოიხსენიება, „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელად მხოლოდ მ. ჯავახიშვილს ასახელებს. ეს ხდება იმავე დღეებში, როცა ერთმა რედაქციამ უდავოდ იცის მეორე გაზეთის რედაქტორი. ამიტომ ეს სარწმუნო უნდა იყოს.

ახლა მივმართოთ კიდევ სხვა დოკუმენტს. მწერლობა დავით კასრაძემ 1928 წელს, ნიკოლოზ მიწისმფლობელის დავალებით (მაშინ გამომცემლობის საქმეს ხელმძღვანელობდა), ინტერვიუ აიღო მიხეილ ჯავახიშვილისაგან. იგი იმავე 1928 წელს გამოქვეყნდა („ქართული მწერლობა“ № 8-9, 1928 წ.). შემდეგ კი შევიდა დ. კასრაძის წიგნში „ლიტერატურული პორტრეტები“, რომელიც საბჭოთა სეპარატივლის გამოსცა 1962 წელს (გვ. 163—187). ეს არის ძალზე საყურადღებო და ბევრისთვის უცნობი დოკუმენტი.

მეთხველის ყურადღებას შევაჩერებთ ორ გარემოებაზე:

1. ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა 1928 წელს, ე. ი. სამსონ ფირცხალაგას სიცოცხლეში.
 2. ზის ორი მწერალი, — მ. ჯავახიშვილი და დ. კასრაძე, — ერთმანეთს ესაუბრებიან, შეაჩვენებენ, უდასტურებენ და, ამგვარად, სინამდვილეს აღადგენენ. ამას ქვემოთ დავიხატავთ. მოვუჩვენებ ამონაწერს, რომელიც ყველაფერს აშკარას გახდის. დაიბეჭდა კასრაძის ერთ-ერთ შეკითხვაზე მ. ჯავახიშვილი უპასუხებს: „...დავარსებე ურნალო „გლეხი“. ეს იყო 1906 წელს, შენც უნდა ვახსოვდეს; შენი ლექსი „გლეხის“ დღიდან პირველ ნომერშივე მოვათავსე.“
- მასხოვს.. ისიც მახსოვს, ამ ახალი ეურნალის რამდენიმე ნომერი როგორ აიტანეთ ქუთაისში ნაცნობებში ვახავრცელებლად“. (გვ. 177).

გრძელ ამონაწერს რომ მოვერიდოთ, მოკლედ გადმოვცემთ: შემდეგ დავითი მიხეილს შეაჩვენებს, რომ სოფ. ქუთათში იმყოფებოდა

რედაქციისაგან დატუქსული გიორგი მაჩაბელი, რომელიც ეულს იმით იხიბდა, რომ შეჩერებულმა ვაზრდებს რევოლუციონარ სროლაში აცხადებდა შეება და სამიზნედ იყენებდა ნიკოლოზ მეორის სურათს. დავითმა მიხეილს ისიც შეახსენა, ისროლე, მაგრამ უხეიროდ და წარბი დაიხიანო.

რა შეიძლება ყოველივე ამის გამო ეოქათ? მ. ჯავახიშვილი დ. კასრაძეს პირდაპირ მიმართავს და ეუბნება: დავარსებე „გლეხი“. შენი პირველი ლექსი მის პირველ ნომერში მოვათავსებ. მიპეტეო ყურადღება ზმნებს „დავარსებე“, „მოუთავსებ“. ისინი პირველ პირსა ნახაირი, ე. ი. მე დავაარსეო, მე მოვათავსეო, — ამბობს მ. ჯავახიშვილი. იქვე მდომი დ. კასრაძე უდასტურებს, მეც მახსოვს და თვინე შეახსენებს სხვა დამატებით ეიზონებებს: სოფ. ქუთათში ასეცა „გლეხის“ გასაერთელებლად და იქაური თევადასავალი.

ვფიქრობთ, ეს ძალზე სარწმუნო ცნობა და მას ყველაზე ტენდენციურმა პროვინციამაც უნდა დაუჯეროს.

გადეშალოთ დასახელებული წიგნის მომდევნო გვერდი და იქ ამოვიკითხოთ მ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები:

„...დაუბრუნდეთ ისევ ჩემს ეურნალ „გლეხს“ (ხაზი ყველგან ჩვენია — ტ. კ.). „გლეხის“ ტირაჟი საოცრად იზრდებოდა და მალე ათასი ცალიდან შეიღო ათასზე ასტა. ეს არანაშეუი ამბავი იყო ჩვენი ეურნალ-გაზეთების გაერტელების იმდროინდელ ისტორიაში. ეურნალი მერვე ნომერზე მიმეკეტებს და სამართლში მიმცხვ. უკვე ხუმრობა აღარ იყო. რა აქცია მიმივე უპასუხებდა და შურისძიება დიდი იქნებოდა, ან დამხვრეტდნენ, ან გამაქამბირებდნენ. გაქცევა ჩემი პასპორტით ახლა უკვე შეუძლებელი შეიქმნა, სხვისი პასპორტით გაქცევა ვაშობნივ. ვაზენც ხუთმანეთიანი და ჩემი მეგობრის სახელით ავიღე საზღვარგარეთის პასპორტი.“

— ვინ იყო ასეთი თევაამეტებელი ადამიანი? (დ. კასრაძე).

— ჩვენი ანტიკვარო, ძველი ნივთების დიდი მოყვარული მიხეილ ლობჯანიძე...“ (გვ. 180). ამის შემდეგ მიხეილი ყუება, თუ საზღვარზე პასპორტების გასინჯვისას მას როგორ დაეიწყება „თავისი“ გვიარი (ე. ი. ლობჯანიძე) და რა ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შემდეგ ამბობს, რომ ეიზონი, რაც მე ვადამხდა, გამოვიყენე „კვაკი კვაპანტორაქში“, როცა კვაკი უტკოეში მივრდა და საზღვარზე პასპორტი მოსთხოვეს, მასაც ვეარი დაეიწყება და ეს რომ დავეშალა, მუწეობა მოიგონაო.

ამ ინტერვიუში ბევრი რამაა საინტერესო, მაგრამ ჩვენ ამჟამად მსჯელობის საგანს მივუდეთ.

ამონაწერიდან კიდევ ირყევა, რომ „გლეხი“ ისევ და ისევ მ. ჯავახიშვილისაა: დაუბრუნ-



დეთ ისევ ჩემს ყურნალ „გლეხს“, „მიმიკეტეს“. „სამართალში მიმიცეს“, „გაქცევა ვიმ-ჩინი“... ყოველივე ამას ამბობს მ. ჯავახიშვილი. აქ „ფიქტიური რედაქტორის“ ნათქვამს არაფერი წაგავს.

შეუძლებელია მწერალ დავით კასრაძეს თავის ინტერვიუში შეეტანა ისეთი რამ, რაც საინვესტიო მოეჩვენებოდა. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თუ მ. ჯავახიშვილი უწყობის იტყვოდა, კასრაძეს შეეძლო მოესმინა, მაგრამ არ დაეწერა და არ დაებეჭდა. მეორეც, თვითონ ხომ, თურმე, 1906 წლიდანვე იცნობდა მიხეილს, მის ლექსს ხომ სწორედ ჯავახიშვილს დაუბეჭდეს. მეერ ისინი ერთმანეთს შეხვედრიან ეგრობაშიც და ნაცნობობაც გაუგრძელებიათ. შემდეგ კი 1928 წელს, პირისპირ სხედან და საუბრობენ, ჯავახიშვილის ნათქვამს ადასტურებს კასრაძე, რომელიც თავის მხრივაც შეახსენებს ზოგ ეპიზოდს.

ფიქრობთ, ეშვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ „გლეხის“ ნამდვილი და არა „ფიქტიური“ რედაქტორი ყოფილა მ. ჯავახიშვილი.

ჩვენ არ გამოვიჩნებთ ს. ფირცხალავას აქტიურ ყურნალისტურ მოღვაწეობას საერთოდ, არც მისი ლეაქლის დაენინებას ვაპირებთ, მაგრამ რაც ზემოთ ითქვა, არც ამაზე შეიძლება თვალის დახუჭვა.

რაც შეეხება გ. ლასხიშვილის „მემუარებს“, რომელსაც ლ. ნანიტაშვილი აგრეთვე ემყარება, უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, ზოგი რამ იქვე საკრწმუნოდ არ მოხანა, რადგან, ალბათ, ეს წიგნი უმეტესად მეხსიერებაზე დაყრდნობით დაიწერა. ყოველ შემთხვევაში, „გლეხთან“ დაკავშირებული მოვლენა ასე მოხანა. ამას ადასტურებს „მემუარების“ წიგნის ის ეგზემპლარი, რომელიც მ. ჯავახიშვილს ხელთ ჰქონია და რომლის ფურცლების არეზე მ. ჯავახიშვილის ხელით არის გაკეთებული შენიშვნები, რაც შეიცავს გასწორებას. იქ აშკარად წერია, რომ „გლეხის“ რედაქტორი მე ვიყავიო. მაგრამ ამ მინაწერებზე ჩვენ სიტყვას არ გვაგრაძებოდით, რადგან მწერლის ქალიშვილს — ქეთევან ჯავახიშვილს გამოადებული იქნეს ვრცელი ნაშრომი, რომელიც ემყარება დოკუმენტურ მასალებსა და ამ საკითხების გარდა ბევრ სხვა რამესაც მოიცავს ექვემდებარებას, რომ მკითხველი მას მალე მიიღებს და მასში მრავალ საინტერესოს ამოიკითხავს. დასახლებული ნაშრომი ინახება მწერლის ოჯახში.

ახლა კი „გლეხში“ დაბეჭდილ წერილებზე. ლ. ნანიტაშვილი ფიქრობს, რაც მ. ჯავახიშვილის მისამართით, მის წერილებზე ითქვა ჩვენს წიგნში, ის ს. ფირცხალავას მისამართით უნდა შეიცივლოს. სხვა რომ არაფერი იქნებოდა, როგორღაც გაიოლებულად წარმოუდგენია მას ეს საქმე.

გადპრბით ვამბობთ, რომ მ. ჯავახიშვილს გა-

ზეთ „გლეხში“ გამოქვეყნებული აქვს მეტად მნიშვნელოვანი, გაზეთის მიმართულების კანონმდებელი წერილები. „ავტობიოგრაფიაში“ მ. ჯავახიშვილი მიუთითებს თავის ნაწარმოებებს, მათზე დაწერილ რეცენზიებს, კრიტიკულ წერილებს და შემდეგ აცხადებს, რომ „მოთხრობებისა და რომანების გარდა მრავალი წერილი დაწვეწერი. მაგალითისათვის ჩამოთვალის ნომრიდან ნომერში არის რუბრიკა „გლეხის წერილებს“, მიუთითებს „გლეხის“ № 2, 3, 4-ს.¹ ვიმეორებთ, აქ მხოლოდ ნაწილია ჩამოთვლილი და არა ყველა. ვენდით თუ არა მ. ჯავახიშვილს და დაუუჯვართ, რომ ეს წერილები მისია? ცდივრობთ, უნდა გენდოდ.

ვალავშალოთ ვაზეთ „გლეხის“ კომპლექტ და გნახოთ აღნიშნული ნომრები. იქ, მართლაც ნომრიდან ნომერში არის — რუბრიკა „გლეხის წერილები“ და მის ქვეშ სხვადასხვა ნომერში არის სხვადასხვა მასალა, რომლებზეც ყველგან ხელს აწერს „ქართული გლეხი“. ადვილი მოსახვედრია, რომ იგი არის მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმი (აღსანიშნავია, რომ მწერალი მაშინ ბევრ ფსევდონიმს იყენებდა. ამაზე ნაწილობრივ მაინც პასუხს იძლევა ჩვენი წიგნი). მაგრამ საქმე ამით როდენ მთავრდება. „გლეხის“ ფურცლებზე ჩვენ გვხვდება სხვა მასალებიც, რომლებზეც აგრეთვე ხელს აწერს „ქართული გლეხი“. გამოდის, რომ დასახლებულ ვაზეთში მ. ჯავახიშვილს მხოლოდ სამი წერილი კი არ ჰქონია (№№ 2, 3, 4-ში), არამედ სხვაც, მაგალითად, „სახელმწიფო და სათათბირო“, რომელიც ვაზეთის № 1-ში არის გამოქვეყნებული. სხვათა შორის, ვაზეთის მეოთხე ნომერში „გლეხის წერილების“ ავტორი წერს: „გლეხის“ პირველ ნომერში მე ვუამბე მკითხველებს მთავრობისა და სათათბაროს ბრძოლის ამბავი“. იმ პირველი ნომრის წერილს კი ხელს აწერს აგრეთვე „ქართული გლეხი“.

ეს მსჯელობა იმდენადაა საინტერესო, რომ, ჯერ ერთი, ირყევა მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმი. მეორეც, აშკარა ხდება, რომ მ. ჯავახიშვილი არა მარტო რედაქტორ-გამოცემლის პოზიციიდან ამოღეს ტონსა და მიმართულებას ვაზეთ „გლეხს“, არამედ — როგორც ავტორიც, რადგან სწორედ მისი წერილები გამოირჩევა პოლიტიკური შემართებით, სიმბაფრით, საკითხების რეკლუტადობით გადაპრბით. ეს ფაქტი ძალზე საყურადღებოა.

„გლეხის წერილების“ განხილვა ასეთ სურათის იძლევა.

ვაზეთს მეორე ნომერში დაბეჭდილი ვრცელი წერილი სათაურით „ამანანავო გლე-

¹ მ. ჯავახიშვილი, ტომი 6, 1964 წ. გვ. 490.

ბარბილ კახანილაშვილი
კომენტარი ზედმიტომ არ არის

ხებო“. ავტორი პირველ პირში ყვება, რომ ისიც გლუხის შვილია და კარგად იცის გლუხთა ცხოვრება, მათი ტანჯვა და ჯაფა. რუსეთში ესწავლებიდა და იქ ყოფნისას რუსი გლეხების ცხოვრებასაც კარგად ვიცევანიო (ვაიხსენს, რომ მ. ჯავახიშვილი სწავლობდა ყირიმის საბაღოსონ სისწავლებელში), ისინიც ისევე იტანჯებიან, როგორც ქართველი გლეხებიო: „რუსი და ქართველი გლეხები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან, ორივენი ერთ უღელში არიან შემბუღნი, ორივენი ერთთნარად იტანჯებიან მთავრობისაგან, მემამულეებისაგან, პოლიციისაგან, ყაზახ რუსებ-საგან“. ამას მოსდევს გლუხთა ცხოვრების დრო ანალოზი და მოწოდება, რომ თვალი უნდა ავახილოთ და ხმა ამოვიღოთ... „ჰმარა მიწათა! გვეყო ამოდენა ტანჯვა და წვალება! გვეყო ამოდენა უსამართლობა და ცარცვა-გლეჯა!...“

ასეთია პირველი წერილი, რომელიც „გლეხის წერილების“ სერიას განეკუთვნება ამ ეტაპში.

მომდევნო „გლეხის წერილების“ („გლეხი“ № 3) სათურია „მთავრობა“. ეს წერილი ლოგიკური ვაგრძელება წინა წერილისა. ამას თვით ავტორიც აღნიშნავს პირველივე სტრიქონიდან: „წინა წერილში მე ვთქვი, რომ მშრომელ გლეხობას ბევრი მჩავერდი ჰყავს მეოქო“. ამ შესავლის შემდეგ ავტორი დაწვრილებით განმარტავს, თუ როგორ ჩაგრავს მთავრობა და მისი ინსტიტუტები მშრომელ მისახლეობას. აქვე ნაჩვენებია გლეხთა შორის დიფერენციაციის პროცესი, რის შედეგადაც ზოგ მათგანს „ჩიბე გაუსქელებია და თავის მომჯეს სულს უხუთოვენ“.

ავტორის იერიში მიაქვს პოლიციაზე, ბოქაულზე, ჩაფარზე, გუბერნატორზე, მამასახლისზე. იგი აყენებს კითხვას: „რას აკეთებენ, ან ვის ემსახურებიან ეს მუქთახორა ავაზაკები?“ შემდეგ ამომწურავად უპასუხებს დასმულ საკითხზე, გვიჩვენებს, რომ ყოველი მათგანი მშრომელი ხალხის მტერია. ისინი წარმოადგენენ ძალადობის იარაღს მთავრობის ხელში და როცა დასჭირდება, მთავრობა მათ მიუხედავს ნშრომელებს.

წერილში მკაფიოდ არის გატარებული აზრი, რომ მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველი და მშრომელი გლეხებისა და მუშების მძარცველი. ერთი სიტყვით, ეს არის ძალზე გაბედული და მამხილებელი წერილი, სწორედ ამ წერილის გამო ხურადნენ ვაზთს, ავტორიც ამის გამო მისცეს სამართალში. მ. ჯავახიშვილმა ამ წერილის გამო განიცადა რეპრესია, როგორც რედაქტორმა და როგორც ავტორმა, ვანა ეს ფაქტიც ბევრს არ მეტყველებს?

ვეფქრობთ, აუცილებელი არ არის „გლეხის წერილების“ სერიაში მოცემულ წერილის განხილვა. ვიტყვით მხოლოდ იმისი ძალზე გაბედული, მებრძოლი ხასიათისა და მიზნად ისახევენ ხელისუფლების ძალადობის მხილვას, ჩაგრვის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მშრომელთა გამოღვივებას და ამოქმედებას.

„გლეხის“ № 4-ში, ვარდა „გლეხის წერილების“, გამოქვეყნებულია მ. ჯავახიშვილის კიდევ ერთი კორესპონდენცია, რომლის სათურია „ჯარი“ (ე. ი. ერთ ნომერში ორი წერილია ჩვენი მწერლისა). იგი მიმართულია მილიტარიზმის წინააღმდეგ. კორესპონდენცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დღეს დაწერილი იყოს. განსაკვირვებელია ავტორის პოზიციის ასეთი სისწორე; ჯარის შეფასება ძალადობის იარაღად, ვანარაღების მოთხოვნა და ა. შ. „ამჟამად თითქოს ყველა სახელმწიფოები თავით ფეხებამდე იარაღში სხედან. დიდი სახელმწიფოები ყველაზე მეტ ფულს ჯარზე ხარჯვენ. რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია წელიწადში ათას ექვსას მილიონ მანეთს ანდომებენ ჯარის შენახვას. ამოდენა ფული რომ თოფებისა და ზარბაზნების გაყვითების მაგივრად, ხალხს სწავლავს და განათლებავს დაეხარჯათ, დღეს ასეთი სიზნებე, გაუნათლებლობა, სიღატაკე და უსამართლობა აღარ იქნებოდა“. — წერს მ. ჯავახიშვილი. უნდა გავიხსენოთ, რომ ამავე თემაზე მ. ჯავახიშვილს გამოქვეყნებული ჰქონდა სხვა მასალაც („მილიტარიზმი“), ოღონდ სხვა გავითვალისწინოთ, აქ განხილულ კორესპონდენციას ხელს აწერს მადლი, რაც როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი იმდროინდელი ფსევდონიმა.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე „გლეხის წერილი“ და კორესპონდენცია, რაც, როგორც დაგრწმუნდით, უდავოდ მ. ჯავახიშვილისაა. მათი შინაარსი და მიმართულება მებრძოლური და რევოლუციონურია. ვაზეთის სულ 7 ნომერში ამდენივე დიდი მასალა ამ ავტორისა. ზოგ ნომერში ერთდროულად ორი მასალა ამჟარა ხდება. ასეთ ოდენობის, შინაარსისა და მიმართულების მქონე მასალების ავტორის მისამართით ჩვენ უფლება გვექონდა და გვაქვს გვეთქვა და ვთქვათ ის, რაც ჩვენს წიგნში მ. ჯავახიშვილის მიხედვით წერია და რომლის მიწერას ლ. ნანიაშვილი ს. ფირცხალასთვის ცდილობს. წარმოუდგენელია ასეთი სურვილი და მისი განხორციელების ცდაც.

ჩვენ დაბეჯითებით არსად გვითქვამს, რომ „გლეხის“ მოწინავეები უეჭველად მ. ჯავახიშვილისაა. ჩვენ მათ მალალი შეფასება მივუცით, რასაც ახლაც ვიმეორებთ იმის მიუხედავად, ვისიც არ უნდა იყოს ისინი. მაგრამ თუ დავუკვირდებით მათ შინაარსს, თემატიკას

ტონს, პოზიციას, წერის მანერას, დავრწმუნდებით, რომ მათში ძალზე ბევრია საერთო იმ წერილებთან, რომლებიც უდავოდ მ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის. ვიმეორებთ, ამ ვერაულის გამოთქმის საფუძველი უეჭველად გვაქვს. ვფიქრობთ, ეს ბუნებრივი იქნებოდა, რადგან რედაქტორ-გამომცემელს კალამიც უჭირდა და გულიც ერჩოდა საიმისოდ, რომ ასეთი მასალების დაწერა სხვისთვის არ მიენდო. ამას ისიც უნდა დავმატოთ, რომ „გლეხის“ მოწინავეები თავისი თემატიკით, შინაარსით სტილით, ტონით, სინტაქსით — ბევრი რამით ძალზე წააგავს იმ პერიოდის სხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებსაც მ. ჯავახიშვილის ხელის მოწერა ამშვენებს.

ახლა კი „გლეხში“ გამოქვეყნებული ერთი თარგმანის შესახებ. ეს არის ლიბკნეხტის „ობოზა და ბუზი“, რომლის თარგმანი მ. ჯავახიშვილს შეუსრულებია. იგი გაზეთში (№ 3) დაიბეჭდა „სახალხო არაკის“ სათაურით. ქვესათაურად კი ფრჩხილში ჩასმულია „თარგმანი“. სწორედ ამ მასალის გამოც, ისევე როგორც „მოთვრობის“ გამოც, პოლიცია-ჟანდარმერიამ განგაში ატეხა და მიეკეტა გაზეთი, რომელმაც ვაზედა ლიბკნეხტის ამ „საშიში“ მასალის გამოქვეყნება. ამავე მიზეზით მთარგმნელ მ. ჯავახიშვილს დაეძებდნენ, რათა შური ეძიათ. ამაზეც არსებობს სათანადო საბუთები. „გლეხის წერილების“, „სახელმწიფო და სათათბიროს“, „ჯარის“ და სხვა მსგავსი მასალების შინაარსი და სულისკვეთება ძალზე ახლოს იდგა „ობოზასა და ბუზის“ შინაარსსა და მიმართულებასთან.

ადრე ჩვენ არ ვეთქვამს, მაგრამ ახლა შეგვიძლია გამოთქვათ ვერაუდი, რომ რუსეთის ცხოვრების ამსახველი ქრონიკებიც, შესაძლოა, „გლეხში“ მ. ჯავახიშვილს მიჰყავდა. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ 1-2 წლის წინათ (1904-1905 წლებში) ამ ხასიათის მასალებს „ივერიანი“ სწორედ მ. ჯავახიშვილი უძღვებოდა.

ყველაფრიდან ცხადი ხდება, რომ მ. ჯავახიშვილი იყო „გლეხის“ არა მარტო ნამდვილი რედაქტორ-გამომცემელი, არამედ ამ გაზეთის წამყვანი პუბლიცისტიც, მიმართულების განმსაზღვრელი მასალების ავტორიც. ეს ყველაფერი ჩვენთვის ადრევე დღეაღვით ნათელი იყო, მაგრამ რაკი სადავო გახადეს, ჩვენც იძულებულნი ვავხდით, მკითხველისთვის ეჭვი გავგეფანტა.



აქრონა

ზიგა მახვილაძე

ფ ე ხ ბ უ რ თ ზ ე

(ნაწყვეტი მოთხრობიდან „ავაბოს“)

ყველა ბავშვი ღელავს, როცა მამასთან ერთად უნივერსიტეტის ვიტრინებს ათვალიერებს, ღელავს, ვიდრე მეოთხედის ბოლოს ნიშნების ფურცლებს გადაშლის და შიგ ჩაიხედავს, მაგრამ ვერაფერი ღელვა ვერ შეედრება ფეხბურთის გულშემატკივართა განცდებს სეზონის გახსნის წინ.

ეს სხვა გრძნობაა, ეს ნამდვილი გრიბია, რომელიც თანაბრად ედება ექიმს და ავადმყოფს, ღირქეთორსა და დამლაგებელს. მართალია, სეზონის გახსნის წინა დღეს გასტრონომიული მალაზიების თაროები არ იცლება, ღორი არ იცვლება და გოზინაყი არ მზადდება, მაგრამ, აბა სტადიონთან ჩაიარეთ, რა ამბავია, რა ხდება, რა ყოფამია ხალხი.

— ზედმეტი ბილეთი! — ეს ორი სიტყვა აკერია პირზე აქაურს თუ ჩამოსულს, ნაცნობსა თუ უცნობს. ერთი ზედმეტი ბილეთითა თვის გულშემატკივარი მზადაა პურ-მარილი გაკეშალოთ, დეიდაშვილი მოგათხოვოთ.

თადარიგის გულშემატკივარი სეზონის დამთავრებისთანავე ემზადება ახალი სეზონისათვის. ბევრიც ემზადებ, მაგრამ რა გამოვიდა, გუჟას მამა მოხსნეს.

ვიღებთ ახლა მილიციელთა დიდი რკალის მ.ღმა და ჩიტუბად მყვროდა, რომ ვინმეს ბილეთი გაუვარდებოდა ხელიდან.

უკვე ჩამოიარეს გუცამ და მამამისმა ფილიმონმა თავისი ძალღმთა გუცას მამასა და მის ძალზე მომავალში ალბათ იგავები დაიწყებდა, პოემები შეიქმნებდა: ფილიმონი ტარზანას კარაქიან პურს აუშვებს, თურქულ ყავას ალევინებს, ტელევიზორში იმ ფილმებსაც კი აუტრებიანებს, რომლის ნახვა თუქვსმეტ წლა-

მდე ბავშვთათვის მიზანშეწონილი არ არის, ბანს, ვარცხნის, ყოველ საღამოს ქალაქგარეთ სასეირნოდ დაჰყავს. ვაი მას, ვინც ტარზანას მრულე თვალით შეხედავს:

— რა გინდათ, რას ერჩით. ძალღმ არც იყვებოდა, არც იკბინებოდა, მეტი რა ქნას! — ბრდღენინავს ხოლმე ფილიმონი.

ახლა ტარზანასთვის პირი წვრილი თასმებრით აეკრა, თასმებში ფეხბურთის ბილეთი დაეტანებინა, ძალღმის გამოფენაზე დიდი ფიზიკური აღნაკობისთვის მიღებული ერთადერთი მედალი მკერდზე ჩამოეკიდნა მისთვის და ისე მოაბჯებდა, თითქმის მოხსნილი არ იყო.

ძალღის ბედი როგორ უნდა შეგუსრდეს კაცს. გუცასთვის მინდოდა ღამეძახნა, მამაშენს ზედმეტი ბილეთი ზომ არა აქვს-მეთქი, მაგრამ ფილიმონის მომერბდა.

— სულ იმას რომ მსაყვედურობ ჩემთან აღარ ჩამასდინარო, აბა, ხომ ჩამავიგედი! — ნოჰესმა უცებ ჩემი ხეცურთი ბიძის ავაბოს ხმა. მერჩინა მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი. ეს მე ვიღებდი ახლა მის წინ უპირო კაცი:

— მამაბიცი, ავაბო ბიძია, ტრაბახა გამოვდექი, მაგრამ რა უქნა. მხოლოდ ჩემი ბრალია, ვერ გიშოვე ფეხბურთის აბონიმენტი.

— ზახიყავ, ახლა თუ ვერ ვივაყვაციოთ, ტელევიზორში მავიწევებს ფეხბურთის ყურებში. ნუ გეშინის კაცავ, გაიმართე წელში, ნახევარი საათი კიდევ გეაქვს დრო!

ბორჯომის ქუჩას ჩაყვებით, აქეთ გეთხოვენ ზედმეტ ბილეთს; რა უნდა გეუქნა, ისევ

აბათუმის ქუჩაზე გადაინაცვლეთ და სად-
გურის მიმართულებით წავედით.

უცერად ჩვენს დირექტორსა და ზოია მას-
წავლებელს მოვეყარი თვალი. ჩემს მასწავლე-
ბელს ნაქსოვი თეთრი კაბა ეცვა, თურ, მა-
ლაქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარიყო და
აეთრი თავსაფარი წამოებურა.

— თეთრი ანგელოზი! — წამოცდა ავაბოს.
მერე ფეხბურთი დააიწყა და ზედმეტი ბი-
ლეითც.

მონარარებდა ჩემი ზოია მასწავლებელი,
ციურ ღიმილს აფრქვევდა ირგვლივ. დირექ-
ტორი უხერხულად გრძნობდა თავს, ყველა
მის ცოლს შეჰყურებდა. ლამაზ ცოლს არა-
სოდეს შევირთავ.

პირდაპირ ტრამეის ხაზზე გაშუშდა ავაბო
და თვალს ველარ აცილებდა ზოია მასწავლე-
ბელს. მე ხეს ამოვეფარე.

მოხდა საოცრება, ზედმეტი ბილეით ჩვენს
დირექტორს აღმოაჩნდა. ერთი კი შევასწარი
თვალი, ბილეთიანი ხელი როგორ ასწია მალ-
ლა და მერე ბრბომ ჩანთა იგი.

— ჰაი! — მოულოდნელად დაიძახა ავა-
ბონ, და სანამ ვონს მოვიდოდი, ალყაში ვი-
ქტურ შეიჭრა. ხელი ხანჯლის ტარზე ეყიდა;
ისე მომარობდა და ყვიროდა, თითქოს მით-
უღუესი თამაშობსო.

ამ ორობტრიალში ხეცუსტრის გამოჩენა იმ-
დენად მოულოდნელი იყო, რომ წრე თვა-
ლისდახამამებაში დაიშალა. გულშემატიკი-
რები დაფრთხნენ, შორიასლო შეჩერდნენ.
წიშით და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდ-
ნენ საეკენაოდ აღზევებულ ხეცუსტრს.

— როგორ დამასწრო, — ამოიოხრა ერთმა
გულშემატიკიარმა, — ბილეთის წვერზე ხელი
მქონდა უკვე მოკიდებული.

— წვერზე მქონდა მოკიდებულიო, — დას-
ცინა მეორემ, — ვერ მიხვდი, ხელი სპეცია-
ლურად რომ მოგაკიდებინეს? კინოს იღებენ.

— მართალია, ეს ქალი ან ბრძივტ ბარდოა,
ან სიღვანა პამპანინი, ან სოფი ლორენი, ან
გრეტა გარბო, ანდა თავი რომ მოიკლა რა
გვარი იყო ის ამერიკელი მსახიობი? ღმერთო
გამახსენე, ღმერთო გამახსენე! — ნატრობდა
მესამე.

ვიღაც იტალიურად გამოელაპარაკა ზოია
მასწავლებელს, მან ქართულად გაუღიმა მხო-
ლოდ.

— ბილეთ მე დამითმობთ, მთიდან ჩამავ-
სულვარ ბარადა! — უთხრა ავაბომ ჩვენს დი-
რექტორს.

— ინებეთ! — გაუღიმა მან.

— რამდენ ღირს ეს ქალადი, რამდენ? —
გათამამდა ავაბო.

- არაფერი!
- დაგვებ მაშინა!
- როგორ გეკადრებათ, რა მიხობა!

ავაბო ერთხანს ყოყმანობდა, მერე მოლა:
— რა გაეწყობის, მადლობა ხევის სახელი-
თა, ჩემი სახელითა!

— არ ღირს, არ ღირს! — გაუღიმა დირექ-
ტორმა. ცოლს ხელკავი გამოსდო და სტადი-
ონის შესასვლელისკენ გაეშურნენ.
სადარიდან გამოვედი.

— შენ შედი, ავაბო ბიძია, მე კი წავალ და
ტელევიზორში ვუყურებ!

— ეი შენს ავაბოსა, ეხლავ ნაყურ-ნაყურ
ეაქცევ ამ ლამაზად მოქარგულ ქალადსა! —
გაბრაზდა ავაბო, მერე ხელი მაგრად ჩამავ-
ლო და, — წამად შენ ჩემთანა, წამად!

ავაბომ ბავშვებით ამიტაცა და ისე მთარ-
ღევდა მილიციელთა რკალს. ატარებდნენ,
უღიმოდნენ, ისიც კმაყოფილი რჩებოდა:

— თქვენ ნუ გეშინიათ, კალთაში ჩაიცვამ,
არავეის შააწუხებს ე ბაღლ. მადლობა ხევის
სახელითა, ჩემი სახელითა, ამ ბაღლის საბე-
ლითა. მობრძანდით ჩვენთანა!

სტადიონზე რომ შევედით ავაბოს ვუთხა-
რი:

— იმ ადგილზე შენ წალი, მე მოვნახავ სად-
მე დასადგომს!

— რატომ ზაზიკავ, კაცია ხარ უკვე და
გრცხვენის კაცისა კალთაში ვდომისა?

— არა, ჩვენი დირექტორია იმ მხარეს და
არ მინდა სტადიონზე დამინახოს.

— ვამაცან, რომელია...

— სხვა დროს გავაცნობ, ავაბო ბიძია, რომ
გავაცნო ხომ მეც უნდა გამოვიჩნდე?

— კარგი, ზაზიკავ, თამაშის მერე იქ შეგვ-
დეთ, სადაც ეს ქალადი ვიშოვნე! — მითხ-
რა ავაბომ და თავისი ადგილისკენ დაეშვა.

უკან გაეყევი. ზოია მასწავლებელი და ჩვე-
ნი დირექტორი მესამე იარუსის პირველ რი-
კში ისხდნენ, მე მეორე რიგში შევიკუნე-
ყოველი შემთხვევისათვის, ახლოს ვიყავი ავა-
ბოსთან, მაგრამ იგი ვერ მამჩნევდა. ალბათ
დაემთხვა, რომ ფილიმონი, მისი ძალი და
გუცა ზოია მასწავლებელთან ისხდნენ. გულ-
ში კი გამკენწლა, ჩვენს დირექტორს ბილე-
თები გუცამ ხომ არ მიუტანა-მეთქი, მაგრამ
ახლა ამის გარკვევის დრო არ იყო.

ჯერ ჩემი კლასელი გუცა იჯდა, მერე მამა-
მისი, შემდეგ ტარზანა, მერე ერთი ადგილი
თავისუფალი გახლდით, შემდეგ კი დირექ-
ტორი და ზოია მასწავლებელი ისხდნენ.

ვიღაცამ თავისუფალი ადგილი რომ შე-
ამჩნია, — მისი დაკავება ვანიზრახა, მაგრამ დი-
რექტორმა ხელი გადაუღობა.

— რა დავიშავე? — გაოცდა გულშემა-
ტიკიარი.

გიზა მახვილშაქ
ფიხბურთე

— დაკავებულია! — მშვიდად მიუგო დირექტორმა.

ავაბოც მივიდა. გულშემატკივარმა ხანჯლიანი ხეცსური რომ დინახა, კინაღამ მეორე იარუსზე ჩახტა, მაგრამ ავაბომ საყულოში ხელი მაგრად ჩაავლო:

— ჩემი ძროხა შენი ათი მანათი, გინდა?

— მინდა!

— „ღანამო“ მოიგებს, ამბობს ავაბო! — უთხრა ან ხელი გაუწოდა.

— წააგებს, — თქვა გრიშამ, — მანაც გაუწოდა ხელი. სანაძლეო ჩვენმა დირექტორმა ჩაპრა.

— ადგილი რომ არა მაქვს, სად დავკდე? — იკითხა გრიშამ.

— სად და აი, ამ ძაღლის ადგილზე! — აუხსნა ავაბომ.

— ამ ძაღლს ბილეთი აქვს და ადგილს ვერაიენ წაართმევს! — მშვიდად თქვა ფილიმონმა.

— მგლისთვის გეყენდა ბილეთ და ის მაგეყენა ბარემ!

— მგელი მტერია, ძაღლი კი მეგობარია აღამოინისა! — აუხსნა ფილიმონმა ავაბოს.

— აქეთ მობრძანდით! — უთხრა ზოია მასწავლებელმა გრიშას, — ასე, აქ ჩაქექით, მხრები კარგად გაშალეთ!

— სიკვდილამდე დავიზახსოვრებთ ამ პატრიცებსა, ქალბატონო! — ლულუღებდა გრიშა და უხერხულად გრძნობდა თავს. მაგრამ შესანიშნავად მოთავსდა ზოია მასწავლებლის წინ და იმდენად გათამამდა, რომ ხელში რკინის მესერს მიღმა გადაჰყო და მხესუმზირის ქამაც კი დაიწყო.

ასე რატომ მოიქცა ზოია მასწავლებელი, განა ავაბოს წინ ვერ ჩაჯდებოდა უბილეთო გულშემატკივარი? — ვფიქრობდი მე.

ყველაფერს მაშინ მივხვდი, როცა მეორე იარუსიდან ზოია მასწავლებლის ლამაზი ფეხებისკენ მოღრეცილი კისრები გასწორდა და როცა ქვემოთ ვილაცამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ხელს უწყობენ უბილეთობებს, ანგარიშს არ უწევენ საზოგადოებას.

მონღომებით თამაშობდა „ღანამო“, ჩანდა არ სურდა, რომ ავაბოს ძროხა წაეგო. მოწინააღმდეგე გუნდი თამაშს კონტრიერშიმზე აგებდა და ზოგჯერ ჩვენს კართან ისეთი სახიფათო მომენტები იქმნებოდა, თვალბის ვხუჭავდი. რა დავიმალოთ და ავაბოს ძროხა იმდენად არ მენანებოდა, რამდენადაც ორი ქულა, რომელიც ხშირად აკლდებათ ხოლმე ჩვენებს, რომ ჩემპიონები გახდნენ.

ბურთი ჩვენი საგარიმეიან გამორტანა ცენტრალურმა დამცველმა, გადააწოდა ნახევარ-

მცველს, რომელმაც ტანის ცრუ მოძრაობით უკან ჩამოიტოვა ორი მოთამაშე და მათგან ერთ-ერთს ვახე გაიყენა მარცხენა გარემარბი. მერე ვეღარ დავთვალე, რამდენი მოთამაშე მოატყუა მარცხენა გარემარბმა. როცა ბოლოს მსაჯსაც ფეხებზეა გაუტარა ბურთი და მეკარესთან პირიპირ დარჩა, იგი ან წაიქცა, ან წააქციეს.

— პენალ! — წამოხტა ავაბო.

იგი ხელბის იქნევდა, ყვიროდა, იმუქრებოდა, ორჯერ ხანჯალზეც გაიყრა ხელი, მაგრამ მსაჯმა თერთმეტრეტიანი მინც არ დანიშნა.

— პენალი რომ მიეცა, ეგ რაღა თამაში გავმოვიღოდა, თუ ბიჭები არიან ისე გაიტანონ ბურთი.

— შენ ახლა შენი ათი მანათი გალაპარაკებს! — გააჩუმა გრიშა ავაბომ.

ორიოდე წუთის შემდეგ იგივე გამეორდა, ავაბო კვლავ წამოხტა, მაგრამ ტარზანა ეცა.

— რა გინდა, შე უპატრონოსავ! — ხელის კვრით მოიშორა ძაღლი ავაბომ.

ტარზანას მგონი ეწყინა, პატრონი რომ გაუღანძღეს და ისევ ეცა.

— გაჩერდე, თორემ ყელ გამაგვრი შენს თვალწინა! — ფილიმონს მივარდა ავაბო.

— ჰოდა, ძაღლს რა უნდა სტადიონზე, კაცო წესიერად ვეღარ ბალეშჩიკობს! — მიემხრო ვილაც ავაბოს.

— ვითხარით, რომ ამ ძაღლს ბილეთი აქვს და უბილეთოდ ხმას ვერაიენ ვასცემთ, იურიდიული უფლება არა გაქვთ! — ისევ მშვიდად თქვა ფილიმონმა.

— ის როგორი უფლებაა, კაცს ხმას რომ არ აღეზინებს! — შეუტეეს ფილიმონს სხვა მხრიდან.

— ჩემი ძაღლი უბრალოდ ვერ იტანს უსამართლობას!

— გადაუშვი მაშინ მინდორზე და ეცეს მსაჯს.

— რატომ, რატომ?! — გაცხარდა ფილიმონი, — თვითონ მესხის ბრალი იყო.

— მესხის ჰირი ეცეს შენს ძაღლს! — მიახლა ავაბომ.

— იმდენს ხანს ატარა ბურთი, სანამ ფეხზე არ აუგვრდა და არ წაიქცა!

— არ წააქციეს! — შეუწყორა ავაბომ.

— არ წაიქცა! — დაიეთნა ფილიმონმა.

— არ წააქციეს!

— არ წაიქცა-მეთქი! — იყვირა ფილიმონმა.

— ერთი ამას უყურეთ, ხალხნო და ჯამათნო, — წამოღდა ავაბო, — ბლოც არ იყო, ბლოც?

— იყო, ხეცსურო, იყო, ნამდვილი ბლოცი იყო!

— ბლოცი არა ბლოცი! — გაბრაზდა ფილიმონი და ვითომ სიტყვა მოვუგეო, ისე გადახედა გულშემატკივრებს.

— როგორც ჩანს, ეს ხეცსური ფეხბურთის

წესებში შესანიშნავად ერკვევა! — გადაუ-
ლაპარაკა ზოია მასწავლებელმა ქმარს.

— ასე იცის, ჩემო კარგო, ტელევიზიამ,
მატილნიაც შეიკრება და გაანათლებს ხალხს!
ავაბომ თამაშის წესების მართლა ისეთი
ცოლმა გამოამტლანა, რომ გულშემატკივარ-
თა გულები უმალ მოინადირა. რაც მთავარია,
სულ ჩვენს სასარგებლოდ ქრიდა.

— ასეთი თამაშით ჩვენები წააგებენ! —
თქვა ფილიმონი.

— მავას ვერ ეღირსებით, ქისტებო! — მი-
აძალა ავაბომ.

ავაბოს ტაში დაუკრეს, გულშემატკივართა
რიგები აირია, ყველა ცდილობდა ავაბოსთან
ახლო ყოფილიყო.

— ახლა რაღას იტყვ, იქნება არ მოარტყა
მეკარემ თითები, იქნება კორნერი არ არის? —
კვლავ მიუბრუნდა ავაბო ფილიმონს.

— რაც იყო მსაჯმა კიდევ მისცა, როგორმე
შენზე უკეთესად ერკვევა!

— შენნაირი ყოფილა ის შაოსანიც, ერთად
დაგიმთავრებით კურსები.

— შენნაირ უვციებს სტადიონზე რომ შე-
მოუშვებენ, უარესებს იტყვიან.

— შენს ძალზე კარგად აღარ მესმის ფეხ-
ბურთი?

— ამ ძალს თავი დანებებ, მედალოსანი!

— მედალოსანი, თორემ მაგანაც წყალწალე-
ბული ვადაარჩინა!

ავაბოს ამ სიტყვებზე ისეთი ხმაური ატყდა,
ვიფიქრე, ჩვენებმა ბურთი გაიტანეს და გამო-
მეპარა-მეთქი.

ფილიმონი გაჩუმდა, ავაბოც დამშვიდდა.
ტარზანა აღრეც არ ერეოდა მათ კამათში, ერ-
თ-ორი გამოხდომის გარდა. ჩანდა, ფეხბურთო
მანქანადმანაც არ იტაცებდა და მაყურებელს
ათვალყურებდა ცნობისმოყვარედ. მას, რა-
ლდ დაჰყავდა ფილიმონს ფეხბურთზე? ეშმაკ-
მა: უწყის, ალბათ იმიტომ, იმიტომ აზრებს
რომ გამოთქვამდა გულშემატკივართან თავ-
დასაცავად.

ავაბო ერთხელაც რომ წამოხტა, ტარზანამ
არც წაიღო, არც წამოიღო, ცალი ფეხი ავა-
ბოსკენ გაწია და ზედ ხანჯალზე მიუშვა.

ავაბო გაეცხლდა, მაგრამ დასველებულ
ხანჯალზე ხელი ვეღარ მოიკიდა. ვინ იცის, ეს
ამბავი როგორ დამთავრდებოდა, ჩვენს ღი-
რქეტრას რომ არ ემარჯვნა: იგი წვრთვად წა-
მოვდა და ავაბოს ადგილი გაუცვალა. თით-
ქოს მხოლოდ ეს უნდოდაო, ზოია მასწავლებ-
ლის გვერდით რომ მოხვდა, ავაბო დამშვიდდა.
სწრაფად გამოიხატეს საერთო ენა. ავაბო უხსნი-
და, რაც მოედანზე ხდებოდა, ზოია მასწავლ-
ბელი კი უჯერბდა და დრო და დრო უღიმოდა.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა
ერთი ნოლზე მოწინააღმდეგე გუნდის სასარგებლოდ
გებლოდ. შესვენებაზე ავაბომ შეიდი ნაყინო
იყიდა. ერთი ზოია მასწავლებელს გაუწოდა,
ერთი მის ქმარს, ერთი გრიშას, ერთი თვითონ
დაიტოვა და სამი ფილიმონს გაუგზავნა:

— შენა, შენს ბალსა და შენს მედალოსან
ძალსა!

ფილიმონი დაიბნა.

— გამოართვი, გამოართვი, ხომ ხედავ შენს
უბრლელ ძალს სიკეთით უხდის!

— რა ყურადღებანიებ არიან ზეესურები,
ძალსაც კი უყიდა ნაყინო.

— უმძრახად იყვენ და მაინც უყიდა!

ფილიმონი იძულბული გახდა ნაყინო გამო-
ერთშია და ძალისთვის მიეცა. ტარზანამ ნა-
ყინო შესწინა თუ არა, იმდენი ახველა კი-
ნალამ ყეფა ისწავლა.

ავაბო და ზოია მასწავლებელი ლაპარაკში
იყვნენ გაბოთული. ავაბოს არც ის ავიწყდებო-
და, რომ ქალს ქმარი იქვე ჰყავდა და დრო
და დრო მასაც მიუბრუნდებოდა:

— ასე არ არის?

— ძნელი სათქმელია! — სულ ასე პასუხობ-
და ჩვენი ღირქეტორი.

ფეხბურთი კი გრძელდებოდა. იყო მომენტი,
როცა ავაბოს ძროხა ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მა-
ლე ბურთი ჩაივლო მესხმა, ქვეყანა მოატყუა
და კარში დაარტყა. ისეთი ღრიანცელი ატყუა,
ხომ მიჩვეული ვიყავი, მაინც შემეშინდა.

— წელიწადში ერთხელ გაიტანს გოლს, მაგ-
რამ რომ გაიტანს არასოდეს დაგავიწყდება! —
ლიმილით ჩაილაპარაკა ფილიმონმა და ავაბოს
გადახვდა. მეერ გულწრფელად ჩამოართვა ხე-
ლი, პაშლი ტარზანო, დიძხა და წავიდა.

თამაში ფრედ დამთავრდა, ასე დაკარგა გრი-
შამ ყოველ დღე ოც ლიტრამდე რძე და ხუთ
კილოგრამამდე ერბო.

— თქვენ გაიმარჯვეთ! — ხელი გაუწოდა ერ-
ბო ბრუნსიანმა ქალმა ავაბოს.

— ქეშმარიტად, რაინდულად მოუთმინეთ იმ
თავზედ ძალს.

ახლომახლო მსხდომი გულშემატკივრები
სათითად დგებოდნენ და ავაბოს სათითად
ართმევდნენ ხელს.

— მოკითხვა და კეთილი სურვილები გადა-
ციეთ ჩემგან, ჩემი ოჯახის ყველა წევრისგან
და მეზობლებისგან ზეესურებს! — დააბარა
ერთმა.

— რა დროსაც გნებადეთ ჩამობრძანდით
და ერთი ბილეთი ჩემზე იყოს! — მორცხვად
გაუწოდა ტელეფონის ნომერი მეორემ.

უძნელდებოდა გულშემატკივრებს ავაბოს-
თა განშორება, რა მათი ბრალი იყო თუ ფეხ-
ბურთი მხოლოდ ორ საათს გრძელდება.



ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ნახატი — ზ. ფორჩხიძისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის შრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 19/IV-1971 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-1971 წ., ქალაქის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 1491. უე 00002. ტირაჟი 28.950.

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Гипография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

3360 60 333.

0 20/101



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236